

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო
უნივერსიტეტი
ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტი

სადოქტორო პროგრამა: ბიზნესის ადმინისტრირება

ალექსანდრე მიქელაძე

სადისერტაციო ნაშრომი

**“ფულის გათეთრების გლობალური პრობლემა და
საქართველოს გამოწვევები“**

სამეცნიერო ხელმძღვანელი: შოთა შაბურიშვილი
ეკონომიკის დოქტორი,
თსუ ასოცირებული პროფესორი

თბილისი

2018

შინაარსი

შესავალი.....	5
თავი I. ფულის გათეთრების პრობლემა გლობალიზაციის პირობებში	14
1.1. შემოსავლების ლეგალიზაციასთან დაკავშირებული სამეცნიერო შეხედულებების სისტემატიზაცია.....	14
1.2. ფულის გათეთრების სოციალურ-ეკონომიკური ასპექტები.....	30
1.3. ფულის გათეთრების ფაზები, მეთოდები და ხერხები.....	34
თავი II. ფულის გათეთრების წინააღმდეგ ბრძოლის საერთაშორისო გამოცდილება..	51
2.1. საერთაშორისო თანამშრომლობა ფულის გათეთრების წინააღმდეგ ბრძოლაში.....	51
2.2. ფულის გათეთრებასთან ბრძოლის გამოცდილება ქვეყნების მიხედვით.....	63
2.3. ელექტრონული ვალუტები, როგორც ახალი გამოწვევა ფულის გათეთრების წინააღმდეგ ბრძოლაში.....	72
2.4. ახალი ტექნოლოგიების როლი ფულის გათეთრების გამოსავლენად.....	83
თავი III. ფულის გათეთრების წინააღმდეგ ბრძოლის თავისებურებები საქართველოში.....	93
3.1. ფულის გათეთრების წინააღმდეგ ბრძოლის ინსტიტუციური სისტემა და სამართლებრივი ბაზა საქართველოში.....	93
3.2. ფულის გათეთრებაზე მოქმედი ფაქტორები საქართველოში.....	112
3.3. საქართველოში განხორციელებული უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციისა და მასთან დაკავშირებული ფაქტების მიმოხილვა.....	128
თავი IV. კვლევის მეთოდოლოგია და მონაცემთა ანალიზი.....	135
4.1. კვლევის მეთოდოლოგია.....	135
4.2. კვიპოთეზების შემოწმება.....	138
დასკვნა	174
გამოყენებული ლიტერატურა.....	185

ცხრილების ნუსხა

ცხრილი 1. შავი ფულის გათეთრების ეტაპები

ცხრილი 2. შავი ფულის გათეთრების წინააღმდეგ არსებული ძირითადი საერთაშორისო დოკუმენტები

ცხრილი 3. დეკლარირების მოთხოვნები ქვეყნების მიხედვით

ცხრილი 4. ჯინის კოეფიციენტის მაჩვენებელი საქართველოში 2006.-2016წწ.

ცხრილი 5. ოფშორებიდან განხორციელებული პირდაპირი უცხოური ინვესტიციები საქართველოში 2003.-2015წწ. (ათასი აშშ დოლარი)

ცხრილი 6. მიღებული ანგარიშგებათა სტატისტიკური მონაცემები 2016წ.

ცხრილი 7. შავი ფულის გათეთრებისა და მშპ-ს ინდექსირებული მაჩვენებელი პოსტ-სოციალისტური ქვეყნებისათვის 2012.-2016წწ.

ცხრილი 8. შავი ფულის გათეთრებისა და ინვესტიციების ინდექსირებული მაჩვენებელი პოსტ-სოციალისტური ქვეყნებისათვის 2012.-2016წწ.

ცხრილი 9. შავი ფულისა და პირდაპირი უცხოური ინვესტიციების ინდექსირებული მაჩვენებელი პოსტ-სოციალისტური ქვეყნებისათვის 2012.-2016წწ.

ცხრილი 10. შავი ფულის, კორუფციის და მშპ-ს ზრდის ინდექსირებული მაჩვენებელი პოსტ-სოციალისტური ქვეყნებისათვის 2012.-2016წწ.

ცხრილი 11. შავი ფულის, კორუფციის და ინვესტიციების ინდექსირებული მაჩვენებელი პოსტ-სოციალისტური ქვეყნებისათვის 2012.-2016წწ.

ცხრილი 12. შავი ფულის გათეთრების, კორუფციის და პუის ინდექსირებული მაჩვენებელი პოსტ-სოციალისტური ქვეყნებისათვის 2012.-2016წწ.

გრაფიკების ნუსხა

გრაფიკი 1. საქართველოს ჯინის კოეფიციენტი სამომხმარებლო ხარჯების მიხედვით 2004.-2016წწ.

გრაფიკი 2. ჯინის კოეფიციენტი პოსტ-საბჭოთა ქვეყნებში 2010.-2015წწ.

გრაფიკი 3. პირდაპირი უცხოური ინვესტიციები საქართველოში 2012.-2016წწ. (მლნ აშშ დოლარი)

სქემების ნუსხა

სქემა 1. კვლევის მოდელი

სქემა 2. უკანონოდ მიღებული შემოსავლის წყაროები

- სქემა 3.** შავი ფულის გათეთრების რისკის დონე თითოეულ ეტაპზე
- სქემა 4.** შავი ფულის მიმღები ობიექტები
- სქემა 5.** მეთოდები, რომლებიც გამოიყენება დამნაშავეების მიერ შავი ფულის გათეთრების განთავსების ეტაპზე
- სქემა 6.** მეთოდები, რომლებიც გამოიყენება დამნაშავეების მიერ შავი ფულის გათეთრების დანაწევრების ეტაპზე
- სქემა 7.** მეთოდები, რომლებიც გამოიყენება დამნაშავეების მიერ შავი ფულის გათეთრების ინტეგრაციის ეტაპზე
- სქემა 8.** ფულის გათეთრების წინააღმდეგ ბრძოლის მიზნები
- სქემა 9.** ფულის გათეთრების წინააღმდეგ ბრძოლის მექანიზმები
- სქემა 10.** საერთაშორისო თანამეგობრობა ჩართული ფულის გათეთრების წინააღმდეგ ბრძოლაში
- სქემა 11.** სხვადასხვა ქვეყნის ორგანიზაციული ერთეულები, რომლებიც პასუხისმგებელი არიან ფულის გათეთრების წინააღმდეგ ბრძოლაზე
- სქემა 12.** ფაქტორები, რომლებიც ხელს უწყობენ ფულის გათეთრებას საქართველოში

დიაგრამების ნუსხა

- დიაგრამა 1.** 10 წამყვანი ქველმოქმედი ქვეყანა ბოლო 4 წლის განმავლობაში
- დიაგრამა 2.** ოფშორებიდან განცხორიელებული პირდაპირი უცხოური ინვესტიციები საქართველოში 2002.-2016წწ. (აშშ დოლარი)
- დიაგრამა 3.** საქართველოს ეროვნული ანტიკორუფციული სისტემის ინსტიტუტები 2011.-2015წწ.
- დიაგრამა 4.** საფინანსო სექტორიდან მიღებული ანგარიშგებათა სტატისტიკური მონაცემები, 2016წ.
- დიაგრამა 5.** არასაფინანსო სექტორიდან მიღებული ანგარიშგებათა სტატისტიკური მონაცემები, 2016წ.
- დიაგრამა 6.** ფინანსური მონიტორინგის სამსახურში შესული ინფორმაციის საერთო მოცულობის ცვალებადობის ტენდენცია 2014.-2016წწ.
- დიაგრამა 7.** სამართალდამცავი ორგანოებისთვის გადაგზავნილი საქმეების რაოდენობის დინამიკა 2014.-2016წწ.

შესავალი

თემის აქტუალობა. ფულის გათეთრება XXI საუკუნისათვის ახალი მოვლენა არ არის. ბიზნეს-ოპერატორებს ნაწილი ყოველთვის ცდილობდა შემოსავლების ჭკეჭმარიტი წყაროს დათვალივას. თუმცა, თუ ეს პრობლემა XX საუკუნის 80-იან წლებამდე მხოლოდ შიდასახელმწიფოებრივ დონეზე განიხილებოდა, დღესდღეობით მან საერთაშორისო მნიშვნელობა შეიძინა, ვინაიდან ფულის გათეთრების შედეგად კრიმინალების ხელში თავს იყრის ეკონომიკური თუ პოლიტიკური ძალაუფლება, რომელიც საშიშია ქვეყნის როგორც სოციალური, ასევე ეკონომიკური განვითარებისათვის და ფინანსური ბაზრის მთლიანობის რღვევაში გამოიხატება.

XXI საუკუნეში კომუნიკაციის თანამედროვე საშუალებებმა გააიოლა კონტაქტი უცხოელ პარტნიორებთან და გაამარტივა საერთაშორისო გარიგებების განხორციელების პროცედურა. ამასთანავე, თანამედროვე ტექნოლოგიებმა ახალი სტიმული მისცა როგორც კანონიერ სამეწარმეო, ასევე დანაშაულებრივი საქმიანობის განვითარებას, რაც ხელს უწყობს ჩრდილოვანი სფეროს წარმოქმნასა და ეროვნული ეკონომიკის დეფორმირებას. ეჭვქვეშ დგება ფულად-საკრედიტო პოლიტიკის წარმატებით განხორციელების შესაძლებლობა. საქართველოს საკმაოდ საინტერესო გეოგრაფიული მდებარეობა აქვს. იგი ევროპისა და აზიის გადაკვეთაზე მდებარეობს და ვინაიდან ფულის გათეთრების სქემები ძირითადად ტრანსნაციონალური ხასიათისაა, არსებობს ამ სქემებში ქართული ეკონომიკის ჩართვის საფრთხეც. სახელმწიფოს მხრიდან აუცილებელია გააზრებული რეაგირება, რათა ქვეყნის განვითარება არ შეფერხდეს. ეს მიზანი ქმნის საჭიროებას შევიმუშავოთ თანამედროვე მიდგომები და სხვადასხვა დონისძიებები უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის წინააღმდეგ ბრძოლისთვის, რომელიც დაეყრდნობა კვლევას და იქნება უფრო ეფექტიანი აღნიშნული პრობლემის აღმოფხვრისათვის.

ფულის გათეთრებაზე არსებულმა ლიტერატურულმა ანალიზმა დაგვანახა, რომ აღინიშნება ემპირიული ნაშრომების სიმწირე, რომლებიც სწავლობენ ფულის გათეთრებას, კორუფციასა და პირდაპირ უცხოურ ინვესტიციებს შორის დამოკიდებულებას საქართველოში, რაც ზრდის კვლევების განხორციელების საჭიროებას. ამრიგად, აღნიშნული საკითხების დეტალური განხილვა მნიშვნელოვნად დაეხმარება როგორც ზედამხედველი ორგანოების, ისე კერძო

სექტორის თანამშრომლებს უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის ფაქტების გამოვლენასა და აღკვეთაში.

ნაშრომის მეცნიერული დამუშავების დონე. ფულის გათეთრების სქემების ტიპოლოგიასა და პრინციპებს, რომლებითაც ხელმძღვანელობენ დამნაშავეები უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის ოპერაციების დაგეგმვისას, ქართულ აკადემიურ წრეებში ჯერ არ დათმობია სათანადო ყურადღება, ხოლო ფულის გათეთრებასა და კორუფციას, ჯინის კოეფიციენტს და ინვესტიციებს შორის დამოკიდებულების ანალიზი არცერთ ემპირიულ კვლევაში არ არის წარმოდგენილი. წინამდებარე ნაშრომში გამოყენებულია რაოდენობრივი კვლევის მეთოდები. წამყვანი მეცნიერების ნაშრომების ანალიზის და სინთეზის შედეგად ჩამოყალიბდა ჰიპოთეზები, რომლებიც შემოწმდა მონაცემების დამუშავებით. ამრიგად, მიდგომა, რომელსაც ეფუძნება ნაშრომი, გულისხმობს არსებული თეორიის (ჰიპოთეზის) ემპირიული კვლევის საშუალებით შემოწმებას. კვლევა ატარებს პოზიტიურ ხასიათს, რომელშიც გამოყენებულია სხვადასხვა ანალიტიკური ხერხები.

კვლევის მიზანი და ამოცანები. კვლევის მიზანია საქართველოში ფულის გათეთრების ეკონომიკური, სოციალური და პოლიტიკური ასპექტების კომპლექსური შესწავლა და რეკომენდაციების შემუშავება აღნიშნული პრობლემის პრევენციის და აღმოფხვრის მიზნით.

კვლევის მიზნიდან გამომდინარე, დასმულია შემდეგი ამოცანები:

- ფულის გათეთრების შესახებ სხვადასხვა მეცნიერთა შეხედულებების შესწავლა;
- ფულის გათეთრების ძირითადი საერთაშორისო სქემების ანალიზი;
- ფულის გათეთრებას, კორუფციასა და ეკონომიკურ ზრდას, ინვესტიციებსა და პირდაპირ უცხოურ ინვესტიციებს შორის დამოკიდებულების შესწავლა;
- საერთაშორისო სამართლებრივი ნორმებისა და ინსტიტუტების ანალიზი და ფულის გათეთრების აღკვეთის საერთაშორისო სტანდარტების კვლევა;
- თანამედროვე ტექნოლოგიების ანალიზი, რომლებიც მიმართულია ფულის გათეთრების წინააღმდეგ საბრძოლველად;

- საქართველოში შავი ფულის გათეთრების პრობლემის წარმომშობი მიზეზებისა და სირთულის კვლევა;
- საქართველოში ფულის გათეთრების აღმკვეთი საკანონმდებლო ბაზის ანალიზი და საქართველოში ფულის გათეთრების აღმკვეთი სახელმწიფო პოლიტიკის კვლევა;
- რეკომენდაციების შემუშავება უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის აღკვეთის ხელშეწყობის მიზნით.

კვლევის ჰიპოთეზა. შესაბამისი სამეცნიერო ლიტერატურის ანალიზმა გვიჩვენა, რომ სადისერტაციო ნაშრომში გამოკვეთილი მიზნის მისაღწევად, მიზანშეწონილია შემდეგი ჰიპოთეზების შემოწმება.

ჰ1: პოსტ-სოციალისტურ ქვეყნებში შავი ფულის გათეთრება უარყოფითად აისახება ეკონომიკურ ზრდაზე;

ჰ2: პოსტ-სოციალისტურ ქვეყნებში შავი ფულის გათეთრება უარყოფითად აისახება ინვესტიციებზე;

ჰ3: პოსტ-სოციალისტურ ქვეყნებში შავი ფულის გათეთრება უარყოფითად აისახება პირდაპირ უცხოურ ინვესტიციებზე;

ჰ4: პოსტ-სოციალისტურ ქვეყნებში ფულის გათეთრება და კორუფცია უარყოფითად აისახება ეკონომიკურ ზრდაზე;

ჰ5: პოსტ-სოციალისტურ ქვეყნებში ფულის გათეთრება და კორუფცია უარყოფითად აისახება ინვესტიციებზე;


ჰ6: პოსტ-სოციალისტურ ქვეყნებში ფულის გათეთრება და კორუფცია უარყოფითად აისახება პირდაპირ უცხოურ ინვესტიციებზე.

კვლევის საგანი, ობიექტი და მოდელი. კვლევის საგანს წარმოადგენს ფულის გათეთრების პრობლემის თეორიული, მეთოდოლოგიური და პრაქტიკული საკითხების ერთობლიობა და ფულის გათეთრების წინააღმდეგ ბრძოლის საერთაშორისო და ადგილობრივი გამოცდილება. კვლევის ობიექტია საქართველოში არსებული შავი ფულის გათეთრების პრობლემა, მისი ზოგადი ზემოქმედება და დამოკიდებულება ბიზნესის გარემოსთან, რომელიც შეიძლება დაავაჯგუფოთ საერთო სოციალური, ეკონომიკური, სახელმწიფო-პოლიტიკური, სამართლებრივი, ტექნოლოგიური თუ სხვა ნიშნების მიხედვით.

კვლევის მოდელი. ნაშრომის კვლევის მოდელი წაროდგენილია სქემა 1-ში, რომელიც იკვლევს შავი ფულისა და ეკონომიკური მაჩვენებლების ურთიერთკავშირს.

კვლევის მეთოდი. ნაშრომში გამოყენებულია რაოდენობრივი კვლევის მეთოდები. არსებული თეორიებისა და მეცნიერების ნაშრომების ანალიზისა და სინთეზის შედეგად ჩამოყალიბდა ჰიპოთეზები, რომლებიც შემოწმდა ემპირიული კვლევის გამოყენებით.

სქემა 1. კვლევის მოდელი



ნაშრომის თეორიული საფუძველი. ლიტერატურის ანალიზმა გამოააშკარავა, რომ განვითარებადი ქვეყნები, უმეტეს შემთხვევაში, უფრო მეტად ზარალდებიან ფულის გათეთრების შედეგებით, ვიდრე განვითარებული. ფულის გათეთრება ზიანს აყენებს ქვეყნის ეკონომიკურ მდგომარეობას, ამცირებს ეკონომიკური განვითარების დონეს და ნეგატიურად მოქმედებს ფინანსურ ინსტიტუტებსა თუ ბაზრებზე. ისტორიული ფაქტების მოძიებით ვლინდება ყველა ის ნეგატიური ზემოქმედება, რომელიც შეიძლება ფულის გათეთრებამ მოუტანოს სახელმწიფოს. ხშირ შემთხვევაში, ფულის გათეთრებას თან სდევს კორუფციის მაღალი დონეც, რაც ასევე ნეგატიურად აისახება როგორც ქვეყნის ეკონომიკაზე, ისე მოსახლეობაში შემოსავლების გადანაწილების უთანაბრობის დონისა და ფულის გათეთრების მასშტაბების ზრდაზე. ფულის გათეთრების მაღალი დონე ხშირად ეჭვის ქვეშ აყენებს ქვეყნის რეპუტაციას საერთაშორისო ასპარეზზე, ვინაიდან ის ასახავს ქვეყანაში კორუფციის მაღალ დონეს. აღნიშნული ფაქტი უარყოფითად მოქმედებს პოტენციურ ინვესტორებზე, რადგან განვითარებადი ქვეყნები, რომლებიც ხასიათდებიან უკანონოდ მიღებული შემოსავლებისა და კორუფციის მაღალი დონით, ნაკლებად იზიდავენ პირდაპირ უცხოურ ინვესტიციებს. ფულის გათეთრების

წინააღმდეგ აქტივობები უნდა მოიცავდეს საბანკო აქტივობების, გადასახადების გადახდის მონიტორინგს, სტატისტიკური ანგარიშების დამუშავებას და საკანონმდებლო ბაზის შექმნას, რაც დადებითად იმოქმედებს ქვეყნის ეკონომიკურ ზრდაზე.

ნაშრომის მეცნიერული სიახლე. შავი ფულის გათეთრების ფენომენს და მასზე მოქმედი ფაქტორების რეტროსპექტიულ ანალიზს, ახალი ტექნოლოგიების როლს ფულის გათეთრების გამოსავლენად ქართულ აკადემიურ წრეებში აქამდე ჯერ არ დათმობია სათანადო ყურადღება, ხოლო მისი კავშირის ანალიზი ეკონომიკურ ზრდასთან, კორუფციასთან, ინვესტიციებსა თუ პირდაპირ უცხოურ ინვესტიციებთან არცერთ ემპირიულ კვლევაში არ არის წარმოდგენილი. სადისერტაციო ნაშრომი წარმოადგენს სიახლის მატარებელს და კონტრიბუტორს არსებული ცოდნის შესავსებად. აღნიშნულიდან გამომდინარე ნაშრომის მეცნიერული სიახლეებია:

- სისტემატიზირებულია მსოფლიოს სხვადასხვა მეცნიერის თუ საერთაშორისო ორგანიზაციის, სამართლებრივი დოკუმენტების განსაზღვრება შავი ფულის გათეთრების შესახებ შემდეგი ორი ჯგუფის მიხედვით: ა) ფულის გათეთრება, როგორც პროცესი, და ბ) ფულის გათეთრება, როგორც მიზანი;

- გამოვლენილია შავი ფულის ნეგატიური ზემოქმედება ინვესტიციებზე, პირდაპირ უცხოურ ინვესტიციებსა და ეკონომიკურ ზრდაზე;

- ერთმანეთისგან თვისებრივად გამიჯნულია ფულის გათეთრების ფაზები და მეთოდები, რომლებიც მოიცავს განთავსებას, დანაწევრებასა და ინტეგრაციას და გამოვლენილია მათი რისკი ფულის გათეთრების თითოეულ ეტაპზე;

- გამოვლენილია შავი ფულის მიმღები ყველაზე აქტუალური ობიექტები, რომელიც ხასიათდება ფულადი სახსრების ბრუნვის მაღალი მაჩვენებლით. ესენია: ფინანსური ინსტიტუტები, სათამაშო ბიზნესი, ვალუტის გადამცვლელი ჯიხურები, ანტიკვარული, საიუვილერიო მაღაზიები, თუ სხვ;

- გამოვლენილია თანამედროვე მეთოდები, რომლებიც გამოიყენება დამნაშავეების მიერ შავი ფულის გათეთრების განთავსების ეტაპზე: “სმერფინგი” - წვრილი ბანკოტების გადაქცევა მაღალი ღირებულების აქტივად, ოპერაციების სტრუქტურირება ნაღდი ფულით, სხვ;

- გამოვლენილია თანამედროვე მეთოდები, რომლებიც გამოიყენება დამნაშავეების მიერ შავი ფულის გათეთრების დანაწევრების ეტაპზე: ელექტრონული გადარიცხვა, ვირტუალური ვალუტების შექმნა, სხვ. ასევე, გამოვლენილია თანამედროვე მეთოდები, რომლებიც გამოიყენება დამნაშავეების მიერ შავი ფულის გათეთრების ინტეგრაციის ეტაპზე: უძრავი ქონების გაყიდვა, გათეთრება ონლაინ სათამაშო პლატფორმების მეშვეობით, გარიგება ფასთა ცვლილებით, სხვ.;

- გამოვლენილია საქართველოში ფულის გათეთრებაზე მოქმედი საერთო სოციალური, სახელმწიფო-პოლიტიკური, ეკონომიკური, სამართლებრივი ნიშნების მქონე მიზეზები და პირობები:

- დადგენილია, რომ შავი ფულის გათეთრება ზემოქმედებს პოსტ-სოციალისტურ ქვეყნებში ეკონომიკურ ზრდაზე, ინვესტიციებისა და პუი-ს მოცულობაზე, ამასთანავე, მისი შედეგი უფრო ძლიერია, როდესაც ზემოქმედებისას გათვალისწინებულია კორუფცია.

ნაშრომის პრაქტიკული მნიშვნელობა. კვლევის შედეგები მნიშვნელოვანია ფულის გათეთრების პრობლემის შესწავლით დაკავებული მეცნიერებისათვის ან სხვა დაინტერესებული პირისათვის. კვლევის პროცესში გამოვლენილია იმ ზოგადი და სპეციალურ ფაქტორთა ერთობლიობა, რომლებიც გავლენას ახდენენ უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის პროცესზე. ამასთანავე, გამოვკვეთეთ სადისერტაციო თემისთვის საინტერესო 6 თეორიული მოსაზრება, დავადგინეთ ფულის გათეთრების მაჩვენებელზე ცალკე და ერთიანად მოქმედი ფაქტორების ზეგავლენა, რის შედეგადაც, ჩავატარეთ ემპირიული კვლევა და მივიღეთ ან უარყავით ჩვენთვის საინტერესო კონკრეტული თეორიული მოსაზრებები. მიღებული შედეგები ადეკვატურად და მიზნობრივად პასუხობს ფულის გათეთრების პრობლემის გადაჭრას და მნიშვნელოვან როლს შეასრულებს აღნიშნული საკითხით დაინტერესებული პირების კვლევებში. ასევე, გაანალიზებულია საერთაშორისო სამართლებრივი ნორმები, სტანდარტები, თანამედროვე ტექნოლოგიების როლი აღნიშნულ პრობლემასთან საბრძოლველად, საქართველოში ფულის გათეთრების აღმკვეთი საკანონმდებლო ბაზა და შემუშავებულია რეკომენდაციები უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის აღკვეთის ხელშეწყობის მიზნით.

ნაშრომის პუბლიკაცია და აპრობაცია. ნაშრომის ძირითადი შედეგები გამოქვეყნებულია შემდეგ შრომებში:

1. “თანამედროვე ტექნოლოგიების როლი ფულის გათეთრებაში” (იტეას საერთაშორისო სამეცნიერო ჟურნალი, მაისი, 2018); (ინგლისურ ენაზე)
2. “ფულის გათეთრების ზემოქმედება სოციალური კაპიტალის ფორმირებასა და პუი-ს მოზიდვაში“ (ბუღალტრული აღრიცხვა, სამეცნიერო-პრაქტიკული ჟურნალი, საქართველოს პროფესიონალ ბუღალტერთა და აუდიტორთა ფედერაცია, იანვარი, 2018);
3. “ფულის გათეთრებასთან ბრძოლის საერთაშორისო და ეროვნული გამოცდილება“ (ჟურნალი საქართველოს ეკონომიკა, თებერვალი, 2018);
4. “შავი ფული და მისი ზემოქმედება მდგრად ეკონომიკურ განვითარებაზე” ჟურნალი საქართველოს ეკონომიკა, თებერვალი, 2018); (ინგლისურ ენაზე)
5. “ბიტკოინი საქართველოს შავი ფულის გათეთრების სქემებში” (ჟურნალი ეკონომიკისა და ბიზნესის შესახებ, დეკემბერი, 2017); (ინგლისურ ენაზე)
6. “ფულის გათეთრების მეთოდები და ახალი ტექნოლოგიების როლი მის გამოსავლენად” (ჟურნალი საქართველოს ეკონომიკა, აგვისტო, 2017);
7. “ფულის გათეთრების ფაქტორული ანალიზი” (ჟურნალი ეკონომიკა და ბიზნესი, ტომი X, N2, 2017).

ნაშრომის მოცულობა და სტრუქტურა. ნაშრომი მოიცავს კომპიუტერზე ნაბეჭდ 197 გვერდს. ნაშრომი შედგება შესავლის, ოთხი თავისა და დასკვნითი ნაწილისგან. მას თან ერთვის გამოყენებული ლიტერატურის სია.

პირველი თავი “ფულის გათეთრების პრობლემა გლობალიზაციის პირობებში” შედგება სამი პარაგრაფისგან. პირველ პარაგრაფში, “შემოსავლების ლეგალიზაციასთან დაკავშირებული სამეცნიერო შეხედულებების სისტემატიზაცია“ განხილულია უკანონოდ მიღებული შემოსავლებისათვის კანონიერი სახის მიცემის შესახებ ადგილობრივი და უცხოელი მეცნიერების კონცეპტუალური შეხედულებები.

მეორე პარაგრაფში, “ფულის გათეთრების სოციალურ-ეკონომიკური ასპექტები“ მიმოვიხილავთ შავი ფულის გათეთრების ეფექტებს ქვეყნის მდგრად ეკონომიკურ განვითარებაზე, მის ზეგავლენას ინვესტიციებზე და გამოვავლენთ როგორც აღნიშნული დანაშაულის ნეგატიურ შედეგებს სახელმწიფოსათვის, ისე კავშირს სხვა არალეგალურ აქტივობებთან.

მესამე პარაგრაფი “ფულის გათეთრების ფაზები, მეთოდები და ხერხები” მიზნად ისახავს ლეგალიზაციის მექანიზმების უნიფიცირებული მეთოდის

გამოვლენას და მის დეტალურ განხილვას თითოეულ ეტაპზე.

მეორე თავი “ფულის გათეთრების წინააღმდეგ ბრძოლის საერთაშორისო გამოცდილება“ წარმოდგენილია შემდეგი ოთხი პარაგრაფით. პირველ პარაგრაფში, “საერთაშორისო თანამშრომლობა ფულის გათეთრების წინააღმდეგ ბრძოლაში“ განხილულია საერთაშორისო გამოცდილება უკანონოდ მიღებული ფულადი სახსრების ლეგალიზაციასთან. აღნიშნულ ქვეთავში გავეცნობით, ფულის გათეთრებასთან მეზობელი საერთაშორისო ორგანიზაციებსა თუ გაერთიანებებს, რომლებიც დაკავებულნი არიან აღნიშნულ პრობლემასთან ბრძოლით.

მეორე პარაგრაფი “ფულის გათეთრებასთან ბრძოლის გამოცდილება ქვეყნების მიხედვით“ ეძღვნება უკანონოდ მიღებული ფულადი სახსრების ლეგალიზაციასთან დაკავშირებულ საერთაშორისო გამოცდილების შესწავლას. აღნიშნული კვლევა მოიცავს სხვადასხვა ქვეყნის სამეცნიერო ჟურნალში, პუბლიკაციებში, ქვეყნების ნორმატიული აქტების მიმოხილვას.

მესამე პარაგრაფში “ელექტრონული ვალუტები, როგორც ახალი გამოწვევა ფულის გათეთრების წინააღმდეგ ბრძოლაში” ყურადღება გამახვილებულია ელექტრონულ ვალუტებზე, რომლებიც დღესდღეობით ახალ გამოწვევას წარმოადგენს ფულის გათეთრების წინააღმდეგ ბრძოლაში ჩართული ორგანიზაციებისათვის.

მეოთხე პარაგრაფში “ახალი ტექნოლოგიების როლი ფულის გათეთრების გამოსაწვლენად“ განვიხილეთ თანამედროვე ტექნოლოგიები, რომლებიც ხელს უწყობენ უკანონოდ მიღებული შემოსავლების ლეგალიზაციის ფაქტების გამოვლენასა და მათ შემდგომ პრევენციას.

მესამე თავი “ფულის გათეთრების წინააღმდეგ ბრძოლის თავისებურებები საქართველოში” წარმოდგენილია სამი ქვეთავით. პირველ პარაგრაფში “ფულის გათეთრების წინააღმდეგ ბრძოლის ინსტიტუციური სისტემა და სამართლებრივი ბაზა საქართველოში” განვიხილავთ საქართველოში ფულის გათეთრების წინააღმდეგ ბრძოლის თავისებურებას. მიმოვიხილავთ როგორც საკანონმდებლო ბაზას, ასევე, სხვადასხვა სპეციალიზებულ ინსტიტუტებსა და აღნიშნულ პრობლემასთან საბრძოლველად შემუშავებულ დოკუმენტებს. პარაგრაფი გვაძლევს ინფორმაციას საქართველოში უკანონო საქმიანობიდან მიღებული ფულადი სახსრების ლეგალიზაციის წინააღმდეგ ბრძოლის თავისებურების შესახებ.

მეორე ქვეთავში “ფულის გათეთრებაზე მოქმედი ფაქტორები საქართველოში” მიმოხილულია საქართველოში ფულის გათეთრების გამომწვევ

მიზეზებს და გამოვავლენთ ფულის დაბანდებისათვის მიმზიდველ სფეროებს. გავაანალიზებთ უკანონოდ მიღებული შემოსავლის ლეგალიზაციაზე მოქმედ ფაქტორებს, რომლებიც დაჯგუფებულია სხვადასხვა ნიშნის მიხედვით.

მესამე პარაგრაფის “საქართველოში განხორციელებული უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციისა და მასთან დაკავშირებული ფაქტების მიმოხილვა” მიზანია უკანასკნელ წლებში განხორციელებული უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციისა და მასთან დაკავშირებული ფაქტების ანალიზი.

მეთხე თავი “კვლევის მეთოდოლოგია და მონაცემთა ანალიზი” დაეთმო კვლევით ნაწილს, სადაც სხვადასხვა მეთოდების გამოყენებით განხორციელდა მონაცემთა ანალიზი და შემოწმდა ჰიპოთეზები, რომლის შედეგებიც გამოტანილია ნაშრომის დასკვნით ნაწილში. პირველ პარაგრაფში, “კვლევის მეთოდოლოგია“ განხილულია კვლევის სტრატეგია და კვლევის დიზაინი.

მეორე პარაგრაფში, “ჰიპოთეზების შემოწმება” შეგროვებული მონაცემებით შევამოწმეთ ჰიპოთეზები და გამოვიტანეთ შესაბამისი დასკვნები.

თავი I. ფულის გათეთრების პრობლემა გლობალიზაციის პირობებში

1.1. შემოსავლების ლეგალიზაციასთან დაკავშირებული სამეცნიერო შეხედულებების სისტემატიზაცია

მოცემულ პარაგრაფში განხილულია შავი ფულის გათეთრების თეორიულ-მეთოდოლოგიური ასპექტები, მისი ევოლუცია, სხვადასხვა ადგილობრივი და უცხოელი მეცნიერის კონცეპტუალური შეხედულებები. ანალიზის შედეგად გამოიკვეთა შავი ფულის გათეთრების პრობლემის ისტორია წარმოშობიდან თანამედროვე ეტაპამდე.

შავი ფულის გათეთრება ისევე, როგორც დანაშაულის სხვა სახეები, ხასიათდება წარმოშობისა და შემდგომი განვითარების ისტორიით. ამ მოვლენის გენეზისის შესწავლა მოგვცემს საშუალებას, შევიმუშავოთ ყველაზე ზუსტი განსაზღვრება დანაშაულებრივი გზით მოპოვებული სახსრების ლეგალიზაციის შესახებ.

უკანონოდ მიღებული შავი ფულის გათეთრება პირველად დაფიქსირდა ჩინეთში ტანის დინასტიის აყვავების პერიოდში (618–907 წწ.), როდესაც დაიწყო ე.წ. მფრინავი შავი ფულის გამოყენება (ფეი-ჩინ). დღესდღეობით, ცნობილია მისი მრავალფეროვნება, რომელიც ატარებს სახელწოდებას “ხანდი” (პაკისტანი), “ხუკუანი” (ჰონკონგი), “კსავილაადი” (სომალი), “ფეიკუანი” (ტაილანდი), “პადალა” (ფილიპინები)¹. ამიერკავკასიაში, ხშირად გამოყენებულა არაბული წარმოშობის სიტყვა “ჰავალა”, რომელიც არის ფულის გადაცემის უძველესი მეთოდი და უკვე საუკუნეებია რაც გამოიყენება. ფულადი ტრანზაქციები ჰავალას ბროკერებსა და მომხმარებლებს შორის ყოველგვარი ხელშეკრულებების გარეშე ხორციელდებოდა. სისტემა ნდობის ფაქტორზეა დამყარებული. სიტყვა “ჰავალა” ითავგმნება როგორც “გადაცემა”. აღნიშნული სისტემის მთავარი პრინციპი შუამავლების დახმარებით თანხის გაცემაა. მსგავსი პრაქტიკა უკვე მრავალი საუკუნის განმავლობაში ძირითადად არაბეთსა და აზიის ქვეყნებში გამოიყენებოდა². ზოგიერთ ქვეყანაში ეს ხერხი სესხის გაცემის ლეგიტიმურ საშუალებასაც კი წარმოადგენს. თუმცა, ფულის გათეთრების მაღალი რისკის არსებობის გამო მთავრობებს არ მოსწონთ ფულის ბრუნვის მსგავსი ფორმა, რადგან ვერ ხერხდება თანხების კონტროლი და

¹Иванов А., Экономические Индикаторы Эффективности Системы Противодействия Отмыванию Доходов, Полученных Преступным Путем И Финансированию Терроризма, 2016, С.15

²Ladányi É., Kobilka I., The Hawala System, 2016, P.415-418

დაბეგვრა. ჰავალა ასევე მოიაზრება, როგორც “აზიური სქემა”, “არასაბანკო გადარიცხვების სისტემა”, რომელიც ერთიანდება ერთობლივი სახელწოდებით „ფულადი გადარიცხვების სისტემა”³. მ. პატრიკის და ჰ. სანდჰუს მოსაზრებით ჰავალა არის სისტემა, რომელიც ჩამოყალიბდა აზიაში. მისი როლი შავი ფულის გათეთრებაში დღესაც აქტუალურია⁴. ისტორიული ფაქტების მიმოხილვით ვასკენით, რომ შავი ფულის გათეთრების მეთოდებს, მათ შორის არალეგალური სახსრებით ტრანზაქციებს, აქვს ღრმა ისტორიული საფუძვლები. შავი ფულის გათეთრება ისტორიულად დაკავშირებულია მეკობრეების ეპოქასთან. XVII საუკუნეში, მეკობრეები, რომლებიც იტაცებდნენ სავაჭრო ხომალდებს, მოპარულ სახსრებს ხარჯავდნენ მათ მიერვე დაარსებულ ქალაქებსა და სახელმწიფოში. ამასთანავე, იყო შემთხვევა, როდესაც ინგლისის დედოფალი ელისაბედ I მფარველობდა მეკობრეებს. მაგალითად, ჩილეს, პერუსა და პანამის მმართველები-ფ. დრეიკი (1540–1596) და რ. ხოკინსი (1652–1622) ოფიციალურად რიცხავდნენ მოპარული სახსრების გარკვეულ წილს ინგლისის ხაზინაში. ინგლისმა 1612 წელს განახორციელა უკანონო საქმიანობიდან მიღებული შემოსავლების მფლობელ დამნაშავეთა ამნისტირება. სახელმწიფომ სრული შეწყობა გამოუცხადა მეკობრეებს იმ პირობით, რომ ისინი შეწყვეტდნენ დანაშაულის ჩადენას და ამასთანავე, სრულიად შეინარჩუნებდნენ მიღებულ შემოსავლებს⁵.

ტერმინი „ბინძური ფული” (ინგ. Dirty Money) და “შავი ფულის რეცხვა” (ინგ. Money Laundering)-წარმოიშვა აშშ-ში 1920-იან წლებში⁶, როდესაც ამერიკის შეერთებულმა შტატებმა მიიღო მე-18 შესწორება კონსტიტუციაში, რომლის მიხედვით, აშშ-ს ტერიტორიაზე იკრძალებოდა ალკოჰოლური სასმელის წარმოება და რეალიზაცია. კრიმინალებმა დაიწყეს ალკოჰოლური სასმელების ჩრდილოვანი წარმოება და მათი არალეგალური გაყიდვა. აღნიშნული საქმიანობიდან მიღებული შემოსავალი აშშ-ში მილიონებს უტოლდებოდა. არალეგალურმა წარმოებამ მასობრივი კორუფციაც კი მოიცვა⁷. ბეჭდვითი სახით, ტერმინი “ფულის გათეთრება” პირველად 1973 წელს აშშ-ს პრეზიდენტ რიჩარდ ნიქსონისა და “უოტერგეიტის” სკანდალთან დაკავშირებით გამოჩნდა. 1972 წელს პრეზიდენტის

³Зимин О.В., Хавала Для Нелегала, 2007, С.74-77.

⁴ Patrick M., and Harjit S., The Hawala Alternative Remittance System And Its Role In Money Laundering, 2001, P.1

⁵ Цветков И., Пираты: Легеды И Реалии, Архенгольц Ф. История Морских Разбойников Среди Земноморья И Океана, 1991, С.368

⁶ Данилова Н. А., О Противодействии Легализации (Отмыванию) Доходов, Полученных Преступным Путем, 2008, С.25-30.

⁷ Тер-Аванесов И.Г., Легализация Денежных Средств Или Иного Имущества, Приобретенных Преступным Путем, 2005, С.15-16

პოსტზე ხელმეორედ არჩევისათვის ნიქსონმა შექმნა საარჩევნო კომიტეტი, რომელმაც მომავალი საარჩევნო კამპანიისათვის ფინანსური ბაზის ფარულად შექმნა დაიწყო. უოტერგეიტში დემოკრატიული პარტიის ნაციონალური კომიტეტის შტაბის გატეხვის შემდეგ აღმოჩნდა, რომ კომიტეტში გათეთრებული ფული შედიოდა⁸. პიროვნება, რომელმაც შეიმუშავა ფისკალური ორგანოებისათვის შემოსავლების დამალვის მეთოდები, იყო მეიერ ლანსკი. კრიმინალური სქემა გულისხმობდა შემდეგს: უკანონო საქმიანობით მიღებული შავი ფული თავსდებოდა სრულიად კანონიერ ორგანიზაციებში, რომელიც აერთიანებდა რამდენი ფიქტიურ კომპანიას. აღნიშნული კომპანიები გადაადგილებდნენ შემოსავლებს საბანკო ანგარიშებს შორის კვალის არევის მიზნით, გათეთრების ბოლო სტადიაზე კი შავი ფული მეპატრონეს უბრუნდებოდა “გათეთრებული” სახით⁹. მიუხედავად იმისა, რომ არალეგალური საქმიანობიდან მიღებული შემოსავლების ლეგალიზაცია ფინანსურ სფეროში ერთ-ერთი უმძიმესი დანაშაულის ფორმაა, XX საუკუნამდე აღნიშნული დანაშაული დამოუკიდებლად არ განიხილებოდა¹⁰. სამოქალაქო ენციკლოპედიური ლექსიკონის განმარტებით, ლეგალიზაცია არის უკანონო შემოსავლისათვის კანონიერი სახის მიცემა, რომელიც მოიცავს შეძენას, გამოყენებასა და გადაცემას, აგრეთვე, მისი ნამდვილი წარმოშობის, მესაკუთრის ან მფლობელის, ქონებრივი უფლებების დამალვას, შენიღბვას ან აღნიშნული ქმედების ჩადენის მცდელობას¹¹. უკანონო საქმიანობით დაგროვილ კაპიტალს აქვს შენიღბული წარმომავლობის ისტორია¹². თუმცა, ასეთი შემოსავალი არ შეიძლება იწოდებოდეს კანონიერად. ზემოთ თქმულიდან გამომდინარე, გათეთრების, შენიღბვის მთლიანი პროცესი არ შეიძლება იწოდებოდეს ლეგალიზაციად. შეინიშნება შეუსაბამობა ლექსიკონებში მოცემულ განსაზღვრებას და რეალურად არსებულ მოვლენას შორის. ანალოგიურ პოზიციას ემსრობიან ა. შაშკოვა და ო.ი. იაკიმოვი, რომლებიც თვლიან, რომ საჭიროა აღნიშნული ტერმინის გამოყენებაზე უარის თქმა მოცემული მოვლენის განხილვისას¹³. აუცილებელია აღნიშნული მოვლენის პროცესების დრმა ანალიზი და მათი კომპლექსურად განხილვა, როგორც იურიდიული, ასევე, ეკონომიკური,

⁸ Gerth J., Richard II And Organized Nixon Crime, New York, 1972, P.43

⁹ Робинсон Д., Всемирная Прачечная: Террор, Преступления И Грязные Деньги В Оффшорном Мире, 2004, С.539

¹⁰ Карлеба В.А., Исторические, Правовые И Криминологические Аспекты Противодействия Легализации (Отмыванию) Преступных Доходов В России, 2004, С.62

¹¹ საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა, <http://www.nplg.gov.ge/gwdict/index.php?a=term&d=6&t=22650>

¹² Шашкова А.В., Зарождение понятия «Легализация, Доходов, Полученных Преступным Путем», 2011, С.27-32

¹³ Антипова О Н., Борьба С Отмыванием Денежных Средств, 2012, С.542.

სოციალური და პოლიტიკური ასპექტების გათვალისწინებით. ამასთანავე, ზოგიერთი მეცნიერის აზრით, უკანონო საქმიანობით მიღებულმა ფულადმა სახსრებმა უნდა მიიღონ კანონიერი სახე და ლეგალიზებულის სტატუსი, რათა უზრუნველყოფილ იქნას უკანონოდ მიღებული შემოსავლის წარმომავლობის დაფარვა და არ დაექვემდებაროს კონფისკაციას. შემოსავლები, მიღებული კანონსაწინააღმდეგო ქმედებებით, არ შეიძლება აღიარებულ იქნას კანონიერად, მაგრამ რთული ფინანსური მაქინაციების განხორციელება ხელს უწყობს დამნაშავეს, შენიღბოს მიღებული შემოსავლების წყარო და წარმოადგინოს ლეგალურად¹⁴. ზემოთ თქმულიდან გამომდინარე, ვფიქრობთ, რომ სრულიად საფუძვლიანია ტერმინი “ლეგალიზაციის” გამოყენება აღნიშნულ მოვლენასთან დაკავშირებით. ამასთანავე, ქართულ ლიტერატურულ სივრცეში საკმაოდ რთულია მოვიძიოთ ტერმინი „გარეცხვა“ ლეგალიზაციის სინონიმად. ი.გ. ტერ-ავანესოვის მიხედვით, აღნიშნული სიტყვა წარმოადგენს ბარბარიზმს და დღევანდელობამდე მხოლოდ დამნაშავეთა წრეებში გამოიყენებოდა¹⁵. ანალოგიურ პოზიციას ეყრდნობა ნ. მაკაროვა¹⁶. ნ. ივაკინა ხაზს უსვამს ტერმინის ზუსტი ფორმულირების საჭიროებას¹⁷.

ტერმინის “შავი ფულის გათეთრება” გამოყენება ლეგალიზაციის სინონიმად იწვევს კრიტიკას ავტორთა ერთ ჯგუფში. ო. უ. იაკიმოვი ერთ-ერთი მეცნიერთაგანია, რომელიც აღნიშნული დანაშაულის აღწერისათვის ემხრობა გათეთრების გამოყენებას სამეცნიერო ლიტერატურაში და არ აღიარებს მას ლეგალიზაციის სინონიმად¹⁸. ტერმინი “ლეგალიზაცია” ბუნებრივია უფრო მისაღებია იურიდიული ფორმით, ვიდრე “გათეთრება” ან “გარეცხვა”. თუმცა, მეცნიერთა მიერ ზემოთ მოყვანილი მოსაზრებები გვაძლევს საფუძველს, დავასკვნათ, რომ აღნიშნული ტერმინები ერთმანეთს არ ეწინააღმდეგებიან, მაგრამ ერთი უნიფიცირებული ტერმინის შემოღების მიზნად დასახვა არ არის სწორი. განსაზღვრების ზუსტი ფორმულირებისათვის აუცილებელია, განვიხილოთ უცხოელი და ადგილობრივი ექსპერტების მიერ შემოთავაზებული განმარტებები. დანაშაულებრივი გზით მიღებული შემოსავლების ლეგალიზაციის განმარტება

¹⁴ Быстрова Ю. В., Этимологическое Значение Термина «Легализация (Отмывание) Доходов Или Иного Имущества, Добытых Преступным Путем», 2010, С.115-128.

¹⁵ Тер-Аванесов И Г., Легализация Денежных Средств Или Иного Имущества, Приобретенных Преступным Путем, 2005, С.15

¹⁶ Макарова Н., Налоговые Преступления, Легализация (Отмывание) Денежных Средств, 2000, С.183-186.

¹⁷ Ивакина Н., Русский Язык Российского Права, Российская Юстиция, 2000, С.26-28.

¹⁸ Якимов, О. Ю., Легализация Имущества, Приобретенного Заведомо Преступным Путем: Региональное Состояние, Возможности И Пути Противодействия На Местном Уровне, 2004, С.68-79

უახლოეს წარსულში იქნა მოცემული. კრიმინალური სფეროდან, მათ შორის ნარკობიზნესიდან მიღებული შემოსავლების ლეგალიზება ევროპაში 1980-იანი წლებიდან იღებს საწყისებს¹⁹. შავი ფულის გათეთრების წინააღმდეგ ტერმინთა განმარტებები და პირველი მექანიზმები მასთან საბრძოლველად არსებობდა როგორც დანიაში, ისე დიდ ბრიტანეთსა და საფრანგეთში²⁰. თუმცა, აშშ არის პირველი იმ ქვეყანათა შორის, რომელმაც გადამჭრელი ზომები მიიღო აღნიშნული პრობლემის პრევენციის მიზნით. სწორედ აშშ-მ გამოავლინა, რომ ორგანიზებული დანაშაულის არსებობისათვის აუცილებელია ნაღდი ფულადი მასები, ვინაიდან ასეთი რესურსისათვის კვალის დამალვა უფრო მარტივია კრიმინალური სფეროსათვის²¹. აღნიშნულმა ფაქტმა განაპირობა ნაღდი შავი ფულის მიმოქცევის აღრიცხვიანობის შესახებ კანონის მიღება. ე.ა. ივანოვი ამტკიცებს, რომ ტერმინი “შავი ფულის გათეთრება” მიღებული იყო ნარკობიზნესის აქტიურობის დონის და აღნიშნული საქმიანობიდან მიღებული შემოსავლების დამალვის ფაქტების ზრდის შედეგად²².

ექსპერტები განსხვავებულად განსაზღვრავენ “უკანონოდ მიღებული შემოსავლების ლეგალიზაციას”, რომელიც დამოკიდებულია გათეთრების პროცესზე ან მის საბოლოო მიზანზე. გვაქვს შესაძლებლობა ავტორთა არსებული შეხედულებები გავეოთ ორ ჯგუფად: შავი ფულის გათეთრება-როგორც პროცესი, მეორე ჯგუფი-როგორც მიზანი.

ფულის გათეთრება, როგორც პროცესი

ო.უ. იაკიმოვი ამტკიცებს, რომ “გათეთრების” ქვეშ აუცილებელია, ვიგულისხმოთ “მოქმედებათა კომპლექსი, რომელიც გამიზნულია მიღებული შემოსავლებისათვის კანონიერი სახის მიცემაზე, გამოყენებასა და მის შემდგომ განკარგვაზე”. უმეტეს შემთხვევაში, ასეთი ქონება მიღებულია მძიმე დანაშაულის ჩადენის შედეგად²³.

ვ.დ. ლარიჩევის ფორმულირებით, შავი ფულის გათეთრება არის “პროცესი, რომლის დროსაც დანაშაულებრივი ქმედების შედეგად მიღებული შავი ფული

¹⁹ Алешкина И., Предмет Доказывания И Особенности Оценки Доказательств При Расследовании Преступлений, Связанных С Легализацией (Отмыванием) Денежных Средств Или Иного Имущества, Приобретенного Незаконным Путем, 2002, С.9

²⁰ Delmas-Marty M., Les Grands Systemes De Politique Criminelle, 1992, P.308

²¹ Отмывание Денег В Нарушение Формотчетности По Наличным Операциям, 1995, С.380

²² Иванов Э. А., Система Международно-Правового Регулирования Борьбы С Легализацией «Отмыванием Доходов», Полученных Преступным Путем, 2004, С.53

²³ Якимов О. Ю., Легализация Имущества, Приобретенного Заведомопреступным Путем: Региональное Состояние, Возможности И Пути Противодействия На Местном Уровне, 2004, С.68-79

გაედინება საბანკო სისტემის მეშვეობით იმგვარად, რომ შეუძლებელია ამ სახსრების უკანონო წარმომავლობის დადგენა²⁴. ამ კატეგორიის დანაშაულის დიდი ნაწილი დაკავშირებულია კორუფციასთან, თაღლითობასთან, ინფორმაციული ტექნოლოგიების გამოყენებასთან.

გ. ბოსკოვიჩის აზრით, შავი ფულის გათეთრების მეთოდებში შეიძლება, გამოყენებულ იყოს როგორც საბანკო სფეროში განხორციელებული სხვადასხვა ტიპის ოპერაციები, ასევე არასაბანკო ოპერაციები, რომლებიც დაკავშირებული იქნება ელექტრონულ ვალუტასთან, საერთაშორისო ვაჭრობასთან და სხვ.²⁵.

რ. კლაესენსის აზრით, შავი ფულის გათეთრების ბუნებიდან გამომდინარე აქტივობები განსხვავდება ქვეყნების მიხედვით, თუმცა, ტენდენცია ერთია: შავი ფულის გათეთრებლები ცდილობენ თანხების გატანას ისეთი ტიპის ქვეყნებში, სადაც სუსტია უკანონოდ მიღებული ფულადი სახსრების წინააღმდეგ არსებული საკანონმდებლო ბაზა²⁶.

ჟ.ბ. ველდის მიხედვით კრიმინალისტები და შავი ფულის გათეთრებლები კვლავ განაგრძობენ ახალი ტექნოლოგიების გამოყენებას ბოროტი განზრახვით. ამასთანავე, კრიმინალისტები აქტიურად იყენებენ სხვადასხვა ქვეყნის კანონმდებლობაში არსებულ ხარვეზებს ფულის ეფექტიანად გათეთრებისათვის²⁷.

ჟ. მადინგერის აზრით, ფულის გათეთრებლების საბოლოო მიზანია ასეთი გზით მიღებული შემოსავლების თავისუფლად განკარგვა, რომელიც შესაძლებელია სხვადასხვა მეთოდების კომბინაციით²⁸.

ჟ. ტრეჰან ადნიშნა, რომ შავი ფულის გათეთრება არის სახსრების შენიღბვის მცდელობა, რომელსაც ხელს უწყობს ჩრდილოვანი ეკონომიკის არსებობა და სხვა ქვეყნებიდან რთულად იდენტიფიცირებადი წყაროს მქონე ინვესტიციების შემოდინება. ის ასევე ადნიშნავს, რომ ტრანზიტული ეკონომიკის მქონე ქვეყნები ხასიათდებიან შავი ფულის გათეთრების მაღალი დონით²⁹.

²⁴ Ларичев В.Д., Мошенничество В Сфере Страхования: Предупреждение, Выявление, Расследование, 2005, С.160

²⁵ Boskovic G., Types Of Money Laundering And Suppression Methods, Police Academy, Belgrade, 2003, P.31

²⁶ Claessens R., Research Paper On Ethics, Corporate Values And Prevention Of Money Laundering, The Serbian Banks Association, Belgrade, 2006, P.35

²⁷ Weld Jean B., Current International Money Laundering Trends And Anti-Money Laundering Co-Operation Measures, Resource Material Series, 2011, P. 37-47

²⁸ Madinger J., Money Laundering a Guide for Criminal Investigators, 2011, http://shodh.inflibnet.ac.in/bitstream/123456789/3140/3/03_literature%20review.pdf

²⁹ Trehan J., Crime and Money Laundering: The Indian Perspective, 2004, http://shodh.inflibnet.ac.in/bitstream/123456789/3140/3/03_literature%20review.pdf

მ. მილენოვიჩის აზრით, შავი ფულის გათეთრება არის ორგანიზებული დანაშაულის სახე, რომელიც არ შეიძლება, განიხილებოდეს ცალკეული ქვეყნის პრობლემად. ქვეყნისათვის შავი ფულის გათეთრების წინააღმდეგ სხვადასხვა მეთოდების მიღება კი, როგორცაა შავი სია ფულის გათეთრებლეთა, კრიმინალთა, ორგანიზებული კრიმინალური თუ ტერორისტული დაჯგუფებებისა და მათი წევრების შესახებ ისევე, როგორც სხვადასხვა სამთავრობო თუ საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ ინფორმაციის არსებობა ხელს შეუწყობს აღნიშნული პრობლემის პრევენციას³⁰.

ნ. ჩენგის მოსაზრებით, შავი ფულის გათეთრება არის პროცესი, რომლის დროსაც ერთობლივი დაჯგუფება სხვადასხვა მეთოდის გამოყენებით ცდილობს შემოსავლის რეალური წყაროს დამალვას. თუმცა, აღნიშნულის განხორციელება შესაძლებელია არა მხოლოდ ცალკეული ინდივიდების გამოყენებით, არამედ თანამედროვე ტექნოლოგიების ჩართვითაც³¹.

ჟ. რობინსონმა ხაზი გაუსვა შავი ფულის გათეთრების არსს და გამოკვეთა მისი საერთაშორისო მნიშვნელობა. მისი აზრით, შავი ფულის გათეთრება არის აქტივობათა კომპლექსი, რომელიც სცდება ადგილობრივ საზღვრებს³².

გ. სმიტისა და ჰ. ვოლკერის აზრით, შავი ფულის გათეთრების მთავარი არსი არის მისი გამოყენების კანონიერი უფლების მოპოვება, რომელიც შესაძლებელია სხვადასხვა მეთოდების გამოყენებით. ამასთანავე, გათეთრებლები იყენებენ, როგორც საბანკო ოპერაციებს, ასევე, ნაღდ ფულს³³.

გ. პემბერტონის აზრით, შავი ფულის გათეთრების პრობლემა არსებობს და ეს მსოფლიო მასშტაბის პრობლემაა. კრიმინალები კარგად ფლობენ ინფორმაციას შავი ფულის გათეთრების შესახებ და მის მინიმალურ დონემდე დასაყვანად გამოიყენებენ სხვადასხვა მეთოდებს³⁴.

მ. სილკმენისა და ვ. იოვანოვიჩის მოსაზრებით, შავი ფულის გათეთრება არის აქტივობათა კომპლექსი, რომელიც მიმართულია წყაროს რეალური არსის შესანიღბად. ამასთანავე, პროცესებში ჩართულნი არიან არამხოლოდ კრიმინალები,

³⁰Milenovic M., Research Paper on Money Laundering, Pulse Magazine On Corruption, Centre For Management, Belgrade, 2004, P.1-6

³¹Cheng N., the Effectiveness of Money Laundering Investigations in Fighting Transnational Crime: A Comparison of the United States and Hong Kong, 2012, P.6-7

³²Robinson J., The Laundrymen: Inside Money Laundering, The World's Third-Largest Business, Arcade Publishing, New York, 1998, P.4

³³Russell G., and Walker J., the Illegal Movement of Cash and Bearer Negotiable Instruments: Typologies and Regulatory Responses, 2010, <https://aic.gov.au/publications/tandi/tandi402>

³⁴Pemberton G., Royal Canadian Mounted Police, Vancouver Integrated Proceeds Of Crime Section, Money Laundering In Securities Markets, 2000, P.1-2

არამედ სახელმწიფოს წარმომადგენლებიც. აღნიშნულიდან გამომდინარე, აუცილებელია, პრობლემის კომპლექსურად შესწავლა და მის წინააღმდეგ ბრძოლისათვის ცოდნის და კვალიფიკაციის ამაღლება³⁵. ს. სმიტისა და დ. ერიქსონის მოსაზრებით კრიმინალისტები გამოიყენებენ სხვადასხვა მეთოდებს არალეგალური წყაროს შესახებ რეალური ინფორმაციის შესანიღბად. აღნიშნულისათვის გამოიყენება როგორც პერსონალი, ასევე, ოფშორული ზონები და სხვადასხვა კვალიფიკაციის ინდივიდები³⁶.

დ. ჯელიკოს კვლევის მიხედვით, შავი ფულის გათეთრების აქტივობები ჯგუფური დანაშაულის ხასიათისაა, რომლის წინააღმდეგაც აუცილებელია მაკონტროლებელი ორგანოების გაძლიერება, ფინანსური და სხვა სისტემების დანერგვა, განახლება და შიდა მაკონტროლებელი ორგანოების დატრენინგება აღნიშნულ პრობლემასთან საბრძოლველად³⁷.

გერმანელი ავტორი კ. კოტკე შავი ფულის გათეთრებაში გულისხმობს სხვადასხვა სამართალდარღვევით მიღებული შემოსავლების გამოყენების პროცესს³⁸.

ა.ვ. კოროტკოვის განსაზღვრებით, უკანონო შემოსავლის ლეგალიზაცია არის “სახსრების წარმომავლობის დაფარვის პროცესი იმ მიზნით, რომ უკანონო შემოსავლები კანონიერი სახით, მოძრავი ან უძრავი ქონების შექმნის, ლეგალურ ეკონომიკურ საქმიანობაში ინვესტირებით და სხვა მეთოდების გამოყენებით ჩართულ იქნას ეკონომიკურ ბრუნვაში ოფიციალური სახით”³⁹.

ვ.მ. ალიევის აზრით, შავი ფულის გათეთრება არის “ნეგატიური სოციალური მოვლენა, რომლის საფუძველი შემოსავლების წარმომავლობის ბუნების, მატერიალური კეთილდღეობის ან მათთან დაკავშირებული უფლებების ნამდვილი კუთვნილების შესახებ ინფორმაციის დაფარვის პროცესია”⁴⁰.

³⁵Sikman, M., & Jovanovic, V., The Concept of Money Laundering As a Manifested Function of Organized Crime. Security, Police, Citizens, Mia Republic Srpska-Department Of Police Education, Banja Luka, N. 1-2/10, 2010, P.81-100

³⁶Smith, S. L., And Ericson D., Money Laundering Monitor, U.S. Department Of Justice, Criminal Division, Asset Forfeiture & Money Laundering Section, 2008, P.3

³⁷Zeljko B., Contemporary Tendencies in Money Laundering Methods: Review of the Methods and Measures for Its Suppression, 2011, P.10, 15-17

³⁸Kottke K., Schwarzgeld-Was Tun? Handbuch Für Das Scharzgeld-Steuerrecht; Entstehung, Unterbringung, Aufdeckung, Legalisierung Von Unversteuerten Geldern. Häufe, Freiburg, 1999, P.26-27

³⁹Коротков И. В., Уголовно-Правовые И Криминологические Аспекты Борьбы Против Легализации (Отмывания) Незаконных Доходов, 2004, С.54-62

⁴⁰Алиев В. М., Криминологическое И Уголовно-Правовое Исследование Легализации Доходов Добытых Пресупным Путем, 2001, С.17.

კ. ჰინტერსერის მიხედვით, ტერმინი “შავი ფულის გარეცხვა” გულისხმობს სხვადასხვა მეთოდს, რომელთა დახმარებითაც დამნაშავეები ნიღბავენ უკანონოდ მიღებული შავი ფულის წყაროს და საკუთრების უფლებას ისეთ გარიგებებში მონაწილეობით, რომლებიც ამ ფულს წარმოაჩენს კანონიერი წყაროებიდან მიღებულად⁴¹.

დანაშაულებრივი შემოსავლების ლეგალიზაციის ცალკეული კონკრეტული ნიშნები მოჰყავს ნ. ა. ლოპაშენკოს, რომლის აზრითაც “შავი ფულის გათეთრება არის პროცესი, რომელიც შედგება რამდენიმე ეტაპისაგან: ფინანსური ოპერაციებისა და გარიგებების ფორმით გამოსატყუი თანამიმდევრული ქმედებებისაგან, რომელთა მიზანიცაა დანაშაულებრივი სახსრების არაჩრდილოვან ეკონომიკურ ბრუნვაში ჩართვა და ამ სახსრების წარმომავლობისთვის კანონიერი სახის მიცემა”⁴². განმარტებები უმეტესწილად ასახავენ პრობლემის ძირითად შინაარსს. თუმცა, ნაკლები ყურადღება ეთმობა გათეთრების პროცესს. მ.ნ. ზაცეპინი შემოსავლების ლეგალიზაციას განსაზღვრავს როგორც “დანაშაულებრივი გზით მოპოვებული ქონებრივი ფასეულობების ჩართვას ლეგალურ ეკონომიკურ ბრუნვაში, რათა დაიფაროს მათი წარმომავლობა”⁴³. საინტერესოა, ასევე ნ. კეპულაძისა და რ. სულამანიძის ნაშრომი თემაზე “უკანონო შემოსავლების ლეგალიზაცია-შავი ფულის გათეთრება”. აღნიშნული ნაშრომი ხაზს უსვამს სახელმწიფოს როლს აღნიშნულ პრობლემასთან საბრძოლველად და ტერმინის დაზუსტების აუცილებლობას⁴⁴.

გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტის სამართალმცოდნეობის დოქტორის ს. ასანიძის შეხედულებით “უკანონოდ მიღებული შემოსავლების ლეგალიზაცია არის უკანონო გზით მიღებული ქონების წარმოშობის წყაროს შესახებ ცნობების განზრახ დამახინჯება, რომელიც ხორციელდება მათი ლეგალურ ეკონომიკურ ბრუნვაში ჩართვის გზით, რათა დაიფაროს მათი მართლსაწინააღმდეგო მიღების ფაქტი და უზრუნველყოფილ იქნას ამ ქონების თავისუფლად განკარგვის შესაძლებლობა”⁴⁵.

⁴¹Hinterseer K., The Wolfsberg Anti-Money Laundering Principles, Journal Of Money Laundering Control, 2001, P.25-41

⁴²Лопашенко А., Преступления В Сфере Экономической Деятельности, 1997, С.359-363.

⁴³Зацепин М.Н., Безопасность Предпринимательства: Криминологические И Уголовно-Правовые Проблемы. Екатеринбург. 1995. С.192

⁴⁴კეპულაძე ნ., სულამანიძე რ., უკანონო შემოსავლების ლეგალიზაცია-შავი ფულის გათეთრება, 2015, გვ.4-5

⁴⁵ასანიძე ს., უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის (შავი ფულის გათეთრების) კრიმინოლოგიური დასახისათება, 2012, გვ.22

გათეთრებული შავი ფული წარმოადგენს შენიღბულ, წარმომავლობა დაკარგულ სახსრებს, რომელიც მიღებულია არალეგალური საქმიანობიდან, ხოლო საბანკო სისტემის გამოყენებით გადანაწილებულია რამდენიმე ანგარიშზე. ამასთანავე, აღნიშნულ თანხასთან დაკავშირებით, განხორციელდა რიგი ოპერაცია, გარიგება, რათა უკანონოდ მიღებული სახსრები აღრეულიყო კანონიერ სახსრებში⁴⁶. მოცემულ განსაზღვრებაში ზუსტად არის წარმოდგენილი გათეთრება, როგორც პროცესი. თუმცა, აქცენტი გაკეთებულია მხოლოდ ფულადი სახსრების გათეთრებაზე და არ არის ნახსენები, რომ ასევე შესაძლებელია არაფულადი სახსრების გათეთრებაც.

ვ.ა. ტარანი შავი ფულის გათეთრებას განიხილავს, როგორც პროცედურებს, რომლის შედეგად შავი ფული საბანკო დაწესებულებებსა თუ სხვა საკრედიტო-ფინანსურ სფეროებში გაივლის იმ მიზნით, რომ მათ საბოლოო სტადიაზე მიეცეთ კანონიერი შემოსავლის სახე⁴⁷. ავტორები არ აზუსტებენ ეკონომიკური საქმიანობის სექტორებს, რომლებიც გამოიყენება უკანონოდ მიღებული შემოსავლების ლეგალიზაციისათვის.

მ. ლევი აღნიშნავს, რომ შავი ფულის გათეთრება არის კრიმინალური საქმიანობა, რომელიც ხორციელდება საერთაშორისო ფინანსური ოპერაციების გამოყენებით, მათ შორის, ვალუტის გადაცვლით. სახსრები მიღებულია ძარცვით, კორუფციით, ნარკოტიკების ყიდვა-გაყიდვით და სხვ. გათეთრების საბოლოო მიზანს კი არსებული სახსრების სუფთა ფულად გარდაქმნა წარმოადგენს⁴⁸. მ. ლევი შავი ფულის გათეთრების პროცესებისთვის ითვალისწინებს მხოლოდ ფინანსურ ოპერაციებს და სწორედ აქ ვლინდება აღნიშნული განმარტების ნაკლოვანება. რეალურად, დამნაშავეთა დაჯგუფება საკუთარ ინსტრუმენტებად ლეგალიზაციისათვის გამოიყენებს არასაფინანსო სექტორებსაც.

ს. გ. ლოკის მიხედვით, “უკანონოდ მიღებული შემოსავლების გათეთრების პროცესი გულისხმობს სხვადასხვა სფეროების გამოყენებით უკანონო სახსრებისათვის ლეგიტიმური სტატუსის მინიჭებას“⁴⁹. ავტორი სამართლიანად აღნიშნავს, რომ ლეგალიზაცია მოიცავს უკანონო შემოსავლების კანონიერ

⁴⁶U.S. Congress Office of Technology Assessment, Information Technologies for Control of Money Laundering, Washington, Dc: U.S. Government Printing Office, September 1995. P.12-16

⁴⁷Щегорцев В.А., Таран. В.А., Мировая Экономика, Мировая Финансовая Система, Международный Финансовый Контроль, 2005, С.345

⁴⁸Larry B., Lambert. Underground Banking and National Security, California, 1996, P.3

⁴⁹Ловкий С.Г., Документирование Деятельности Организованных Групп, Занимающихся Легализацией (Отмыванием) Денежных Средств Или Иного Имущества, Приобретенных Незаконным Путем, 2001, С.20

ეკონომიკურ საქმიანობებში ჩაშვებას. თუმცა, არ არის მოცემული მეთოდები, რომელთა დახმარებითაც ხდება ამ შემოსავლების ეკონომიკურ საქმიანობაში ჩართვა და ლეგიტიმური სტატუსის მინიჭება.

ვ. ა. ნიკულის პოზიციით, უკანონო საქმიანობით მიღებული ფულადი სახსრების ლეგალიზაცია “წარმოადგენს მატერიალური ღირებულების მქონე აქტივებისათვის კანონიერი ფორმის მიღების საბოლოო ეტაპს”⁵⁰. აღნიშნული განსაზღვრებიდან გამომდინარე, ვ. ა. ნიკულინი ითვალისწინებს უკანონოდ მიღებული შემოსავლების ლეგალიზაციის მხოლოდ უკანასკნელ სტადიას, იმ დროს, როდესაც თვით პროცესი მრავალეტაპიან პროცედურას წარმოადგენს.

ვ. უ. ემი თვლის, რომ “გათეთრების პროცესი სრულდება უკანონოდ მიღებული შემოსავლებისათვის კანონიერი სახის მიცემით, როდესაც უკვე შესაძლებელი ხდება მიღებული არალეგალური შემოსავლების კანონიერად გამოყენება”⁵¹. ანალოგიურ პოზიციას ეფუძნება კ. ვ. ტეტიუკოვიც⁵². აღნიშნული განსაზღვრებები არ მოიცავს უკანონოდ მიღებული შემოსავლებისათვის კანონიერი სახის მიცემის ყველა ეტაპს. თუ აღნიშნული განსაზღვრებით ვიხელმძღვანელებთ და არ მიმოვიხილათ შავი ფულის გათეთრების საფეხურებს, აღნიშნული პროცესის გამოკვლევისას დამნაშავის მიმართ პასუხისმგებლობის აღძვრა რთული იქნება.

ფულის გათეთრება, როგორც მიზანი

მეცნიერთა მეორე ჯგუფი ლეგალიზაციას განიხილავს არა როგორც პროცესს, არამედ მიზანს, რომლის მიღწევასაც ცდილობენ ბოროტმოქმედნი.

1984 წელს აშშ-ში ორგანიზებულ დანაშაულთან დაკავშირებით შემდგარ საპრეზიდენტო კომისიაზე გამოყენებულ იქნა შემდეგი ფორმულირება “შავი ფულის გათეთრება არის პროცესი, რომლის შედეგადაც იმალება მისი არსი, უკანონო წარმომავლობა ან უკანონო შემოსავლების გამოყენება იმ მიზნით, რომ არალეგალურად მიღებული შემოსავლები შეინიღბოს ისე, რომ მას საბოლოოდ კანონიერი წარმომავლობა მიეცეს”⁵³. აღნიშნულის ანალოგიურ განსაზღვრებას გვთავაზობს ჩ. გორიდემი, რომელიც ლეგალიზაციას წარმოადგენს როგორც

⁵⁰Никилина В.А., Правовые Аспекты Соучастия В Легализации Незаконных Доходов, 2000, С.17

⁵¹Эм В.Ю., Уголовно-Правовая И Криминологическая Характеристика Легализации (Отмывания) Денежных Средств Или Иного Имущества, Приобретенных Преступным Путем, 2004, С.9

⁵²Тетюков К.В., Легализация Преступных Доходов Уголовно-Правовые И Криминологические Аспекты, 2003, С.18

⁵³William R., Schroeder, Money Laundering. A Global Threat And The International Community’s Response, FBI Law Enforcement Bulletin, 2001, P.1-7

მეთოდების ერთობლიობას, გამიზნულს რეალური წყაროს შენიღბვაზე და/ან საკუთრების უფლების, შემდგომი განკარგულების უფლების მოპოვებაზე⁵⁴.

გერმანელი მეცნიერები, მათ შორის ხ. კერნერი და ე. დახი, რომლებიც აღნიშნულ სფეროს უკვე რამდენიმე წელია შეისწავლიან, აღნიშნავენ, რომ შავი ფულის გათეთრება იყოფა ორ სტადიად.

- პირველ სტადიაზე, სხვადასხვა მეთოდების გამოყენებით, ხორციელდება უკანონოდ მიღებული შემოსავლების დამალვა;

- მეორე ეტაპზე ხდება რეგულარული შემოსავლების მიღება⁵⁵.

მოცემული განსაზღვრებით, დამნაშავის ძირითადი მიზანია შემოსავლების დამალვა მათი შემდგომი გამოყენების მიზნით. რეალური მიზანი კი, რომელიც გულისხმობს კრიმინალური საქმიანობიდან მიღებული შემოსავლებისათვის კანონიერი სახის მიცემას, გამოკვეთილი არაა. მსგავს განსაზღვრებას იძლევა პროფესორი ბ. ვ. ვოლჟეკინი, რომელიც გათეთრებას მიმოიხილავს რიგი ფინანსური ოპერაციების განხორციელებით. ფინანსური ოპერაციები მიმართულია უკანონოდ მიღებული შემოსავლებისათვის წარმომავლობის დამალვაზე, რათა არალეგალური სახსრები უპრობლემოდ განთავსდეს ბიზნესში შემდგომში მოგების მიღების მიზნით⁵⁶. თუმცა, ზოგიერთი მეცნიერი, მათ შორის, ა. გროშევი და ზ. ტხაიშაოვი, საპირისპიროს ამტკიცებენ. ისინი თვლიან, რომ უკანონო შემოსავლების განთავსება ლეგალურ ბიზნესში არ წარმოადგენს დამნაშავეთა პირველად მიზანს⁵⁷.

დ.კარჩმერი საკუთარ ნაშრომში აღნიშნული დანაშაულის გამოკვლევის დროს ტერმინს შემდეგნაირად განსაზღვრავს-არალეგალური საქმიანობით მიღებული შავი ფულის გათეთრება არის პროცესი, რომელიც გამიზნულია მიღებული შემოსავლების წყაროს დამალვასა და შემდგომში მის კონვერტაციაზე იმ მიზნით, რომ მიღებული უკანონო შემოსავლების წყაროს აღმოჩენის შესაძლებლობა მინიმუმამდე იქნას დაყვანილი, ხოლო თვით შემოსავლებს ლეგალური სახე მიეცეთ⁵⁸.

⁵⁴Goredema C., Money Laundering In East And Sothern Africa: A Preliminary Overview Of The Threat, 2002, P.4-5

⁵⁵Кернерх Х., Дах. Э., Отмываниеденег: Путеводитель По Действующему Законодательству И Юридической Практике, 1996, С.36-37.

⁵⁶Волженкин Б.В., Экономические Преступления, 1999, С.107

⁵⁷Грошев А., Тхайшаов З., Понятие Легализации (Отмывания) Денежных Средств Или Иного Имущества В Отечественному Головному Праве, 2006, С.3-7.

⁵⁸Karchmer C. L., Strategies For Combating Narcotics Wholesalers, Investigative Approaches That Work, Washington, D.C. Police Executive Research Forum, 1992

კ. ბორანი თვლის, რომ “შავი ფულის გათეთრება ეს არის პროცესი, რომლის შედეგად ინდივიდი მაღავს არსებულ უკანონოდ მიღებული შემოსავლების წყაროებს იმ მიზნით, რომ შემდგომში კრიმინალს ჰქონდეს მისი თავისუფლად გამოყენების შესაძლებლობა”⁵⁹.

მ. ნ. ზაცეპინი ამტკიცებს, რომ “გათეთრება” გულისხმობს არსებული უკანონო საქმიანობიდან მიღებული ქონების კანონიერ საქმიანობაში ჩართვას იმ მიზნით, რომ დაიფაროს მისი უკანონო წარმომავლობა⁶⁰. განსაზღვრებაში არ არის დაზუსტებული, რომელი მეთოდებით არის შესაძლებელი აღნიშნული მიზნის მიღწევა.

შავი ფულის გათეთრების წინააღმდეგ ბრძოლის გლობალური გამოცდილებისა და სხვადასხვა მეთოდების შესწავლის შედეგად, დ. ვ. ბესედინმა ჩამოაყალიბა საკუთარი განსაზღვრება: “ლეგალიზაცია გულისხმობს პროცესების ერთობლიობას, რომელიც მოიცავს შეთანხმებებს, ფინანსურ და სხვა ტიპის ოპერაციებს. აღნიშნული ქმედებები გამიზნულია უკანონოდ მიღებული შემოსავლების კანონიერ ეკონომიკურ საქმიანობაში ჩართვაზე, რათა მას საბოლოოდ ლეგიტიმური სახე მიეცეს”⁶¹.

ო. ლ. პედუნი უკანონო ქმედებებით მიღებული შავი ფულის გათეთრების ქვეშ გულისხმობს პროცესს, რომლის ფარგლებში, შემოსავლები თავსდება საფინანსო ინსტიტუტებში, რათა შემდგომში ინვესტირდეს კანონიერ ეკონომიკურ საქმიანობაში. სხვადასხვა პროცესების გამოყენებით, დანაშაულებრივი კაპიტალის მიმოქცევა საბოლოო ეტაპზე უზრუნველყოფს კრიმინალისთვის გათეთრებული რესურსების მიბრუნებას მისი შემდგომი გამოყენების მიზნით⁶². წარმატებულ ფორმულირებას გვთავაზობს ი. ვ. რადზევანოვსკაია, რომელიც ეფუძნება ევროპელი მეცნიერების ნაშრომებს. მისი მოსაზრებით, “ლეგალიზაცია მოხსენებულია, როგორც პროცესი ან ქმედებათა კომპლექსი, რომლის ფარგლებში უკანონო შემოსავლები, სახეშეცვლილი, რამდენიმე მეთოდის გამოყენებით

⁵⁹Boran C., Money Laundering, American Criminal Review USA, 2003, P.847-871

⁶⁰Зацепин М.Н., Безопасность Предпринимательства: Криминологические И Уголовно-Правовые Проблемы, 1995, С.192

⁶¹Беседин Д.В., Международно-Правовое Сотрудничество Государств В Борьбе С Легализацией Преступных Доходов, 2005, С.29

⁶²Педун О.Л., Легализация Денежных Средств Или Иного Имущества, Приобретенных Преступным Путем, 2004, С.11

ლეგალურ ბიზნესში ჩართვის გზით გარდაისახება ლეგალურ სახსრებად”. ასეთი ქმედებები გამიზნულია კანონსაწინააღმდეგო წარმომავლობის შესანიღბად⁶³.

ინტერპოლის ბიულეტენში შავი ფულის გათეთრება განიმარტა შემდეგნაირად: “შავი ფულის გათეთრების მიზანია უკანონო ქმედებების შედეგად მიღებული შავი ფულით მაქინაციების იმგვარად წარმოება, რომ მიღების წყარო აღმოჩნდეს კანონიერი”⁶⁴. საერთაშორისო სამართალში ტერმინი “დანაშაულებრივი საქმიანობიდან მიღებული შემოსავლის ლეგალიზაცია” პირველად გაეროს 1988 წლის ვენის “ნარკოტიკული საშუალებებისა და ფსიქოტროპული ნივთიერებების უკანონო ბრუნვის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ” კონვენციაში გამოიყენეს⁶⁵. კონვენციის თანახმად, შემოსავლის ლეგალიზაციაში იგულისხმება ოპერაციათა კომპლექსი, რომელიც მიზნად ისახავს შემოსავლების წარმომავლობის დაფარვას. მოქმედებების ქვეშ იგულისხმება:

- ქონების გადაცემა ან კონვერსია, თუ ცნობილია, რომ ასეთი ქონება მიღებულია უკანონო საქმიანობის შედეგად ან თუ პიროვნება ჩართულია ასეთ აქტივობებში ისევე, როგორც რეალური წყაროს, წარმოშობის ისტორიის, ადგილმდებარეობის დამალვა;

- ქონების, ფულადი სახსრების გადაადგილება, თუ ცნობილია, რომ აღნიშნული შემოსავალი მიღებულია კანონსაწინააღმდეგო საქმიანობის შედეგად. ასევე, შემოსავლის მიღება, ფლობა და გამოყენება, თუ ცნობილია, რომ აღნიშნული ქონება მიღებულია უკანონო საქმიანობაში მონაწილეობის მიღების შედეგად;

- თანამონაწილეობა ან/და არაკანონიერ შეთანხმებაში მონაწილეობის მიღება; ზედამხედველობა, თანამზრახველობა, ან/და კონსულტაციის გაწევა მიზნის მისაღწევად⁶⁶.

ტერმინი შემოღებულ იქნა 1990 წლის 8 ნოემბერს ევროპის საბჭოს ხელშეკრულების საფუძველზე “უკანონოდ მიღებული შემოსავლების გათეთრების, გამოვლენის და ამოღების შესახებ”, რომელმაც აღიარა “ნარკობიზნესიდან და სხვა არალეგალური საქმიანობიდან მიღებული შემოსავლები უკანონოდ”. 1988 წლის 19 დეკემბრის კონვენციაში მითითებულია დამნაშავეთა ქმედებები, რომელიც

⁶³Радзевановская Ю.В., Легализация (Отмывание) Денежных Средств Или Иного Имущества, Приобретенных Преступным Путем (Уголовно-Правовая И Криминологическая Характеристика), 2005, С.11

⁶⁴Interpol, <http://www.interpol.int/crime-areas/financial-crime/money-laundering>

⁶⁵United Nations, United Nations Convention Against Illicit Traffic In Narcotic Drugs And Psychotropic Substances, 1988, P.2-3

⁶⁶Ramaswamy J., Overview of Asset Forfeiture and Money Laundering Program, 2013, P.1-2

გამოარჩევს შავი ფულის გათეთრებას სხვა საქმიანობისაგან. ევროპის კონვენციის მიხედვით და ფინანსური ქმედების სპეციალური ჯგუფის განსაზღვრებით (FATF): “არალეგალურად მიღებული შავი ფულის ლეგალიზაცია არის პროცესი, რომელიც უზრუნველყოფს უკანონოდ მიღებული შემოსავლების განთავსებას და შემდგომში ფინანსურ-საკრედიტო სისტემაში გადატანას. ასევე, შესაძლებელია აღნიშნული სახსრებით ნებისმიერი სხვა ქონების შექმნა. გათეთრების საბოლოო ეტაპი კი კრიმინალს საშუალებას აძლევს დამოუკიდებლად, კანონიერად გამოიყენოს აღნიშნული სახსრები სურვილისამებრ”⁶⁷. არსებული საერთაშორისო კონვენციები სახელმწიფოსაგან ითხოვენ უკანონო შემოსავლებისათვის შემდეგი აქტივობების მიკუთვნებას:

- კონვერსია, ან შემოსავლების გადატანა, თუ ცნობილია, რომ ასეთი ქონება მიღებულია უკანონო საქმიანობის შენიღბვის, დამალვის შედეგად. ასევე, დახმარების გაწევა იმ პიროვნებისათვის, რომელიც ჩართულია არალეგალურ საქმიანობაში;

- მიღებული შემოსავლების რეალური წყაროს, ადგილმდებარეობის დამალვა ან შენიღბვა მისი შემდგომი განკარგვის უფლების მოპოვების მიზნით, თუ ცნობილია, რომ ასეთი ქონება წარმოადგენს შემოსავალს უკანონო საქმიანობიდან.

საერთაშორისო კონვენციები, რეგლამენტები, რომლებიც დადგენილია უკანონოდ მიღებული შემოსავლების ლეგალიზაციის წინააღმდეგ საბრძოლველად, ხაზს უსვამენ აღნიშნული პრობლემის მნიშვნელობას. დანაშაული ხორციელდება ეტაპობრივად და ძირითადად დამოკიდებულია დროით მონაკვეთებში ჩასატარებელ ოპერაციებზე.

საქართველოს კანონმდებლობით უკანონო შემოსავლის ლეგალიზაცია განმარტებულია, როგორც უკანონო შემოსავლისთვის კანონიერი სახის მიცემა, შექმნა, გამოყენება, გადაცემა ან სხვა მოქმედება, აგრეთვე მისი ნამდვილი წარმოშობის, მესაკუთრის ან მფლობელის ან/და ქონებრივი უფლებების დამალვა ან შენიღბვა ან/და ასეთი ქმედებების ჩადენის მცდელობა⁶⁸. ლეგალიზაციის საგანი არ მოიცავს მხოლოდ დანაშაულებრივ შემოსავლებს, ამ ფორმულირების მიხედვით, სამართლებრივი რეგულირების სფეროში მოქცეულია სხვა სამართალდარღვევებიდან მიღებული შემოსავლის ლეგალიზაციაც.

⁶⁷Federal Financial Institutions Examination Council, Supplement To Authentication In An Internet Banking Environment, P.1-20

⁶⁸<http://www.kavkasreestri.ge/download/kanonebi/kanoniukanonoshemosavlis.pdf>, მუხლი 2. ტერმინთა განმარტება (25.02.2004, 3422), გვ.1

განსაზღვრებაში მითითებულია არა მხოლოდ უკანონო შემოსავლის შექმნა, გამოყენება, გადაცემა, არამედ საზგასმულია მისი ნამდვილი წარმოშობის წყაროს დამალვა ან შენიღბვა. უცხოელი ექსპერტების მიერ შემოთავაზებული განმარტებებიდან ვნახეთ, რომ აქცენტი კეთდება არაკანონიერი საქმიანობიდან მიღებულ შემოსავალზე, რომელიც მოცემულ განმარტებაში არ არის გათვალისწინებული. საჭიროა, აღვნიშნოთ, რომ მითითებულ განმარტებაში არ არის ასახული კონკრეტული მეთოდები, რომლის დახმარებითაც ხდება ლეგალიზაცია და არ არის აქცენტირებული ბოროტმოქმედის მიზანი, რომლის მიღწევასაც ცდილობს ინდივიდი შემოსავლის უკანონო წყაროს დამალვის დროს. ძირითადად, ყველა დეფინიცია, რომელიც განსაზღვრავს “შემოსავლების ლეგალიზებას” ეფუძნება ევროპის კონვენციას, რომლის თანახმად “შემოსავლების” ქვეშ იგულისხმება ნებისმიერი ეკონომიკური სარგებელი მიღებული უკანონო საქმიანობის შედეგად. ეკონომიკური სარგებელი “შეიძლება შედგებოდეს მატერიალური საკუთრებისაგან, რომელიც შესაძლებელია გამოსახული იყოს უფლებით მოძრავ ან/და უძრავ ქონებაზე და უფლებრივ დოკუმენტებზე, რომლითაც დასტურდება აღნიშნულ ქონებაზე საკუთრებისა და განკარგვის უფლება”⁶⁹.

ე. ნ. კონდრატე აღნიშნავს, რომ “ლეგალიზაციისათვის გამოიყენება ისეთი მეთოდები, ფინანსური ოპერაციები, რომლის შედეგად უკანონო შემოსავლები საკუთარ პირვანდელ წყაროსთან წყვეტენ კავშირს, იცვლიან წარმომავლობას და ხდებიან სრულიად კანონიერი”⁷⁰.

დავადგინეთ, რომ არ არსებობს შავი ფულის გათეთრების ერთიანი გაგება, ვინაიდან ავტორთა ერთი ჯგუფი უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის ქვეშ მოიცავს პროცესებს, სხვადასხვა მანიპულაციებს, რომლის დახმარებითაც უკანონოდ მიღებულ შემოსავლებს ეძლევა ლეგალური სახე. სხვა ავტორები შავი ფულის გათეთრებას კი განიხილავენ როგორც დამნაშავეს საბოლოო მიზანს, რომლის შედეგად უკანასკნელი იძენს ლეგალურ სტატუსს და გამოდის დანაშაულებრივი გზით მიღებული შემოსავლების კანონიერი მფლობელი. ზემოთ მოყვანილი განსაზღვრებებიდან რამდენიმე მოიცავს ეკონომიკურ არსს. თუმცა, დღემდე არ არის სიღრმისეულად შესწავლილი შავი ფულის გათეთრების

⁶⁹Глушков В., Теневые Процессы В Экономике: Области Формирования И Динамика Распространения, 2008, С.48-56

⁷⁰Кондрат Е.Н., Основные Способы Легализации (Отмывания) Преступных Доходов Результате Совершения Коррупционных Преступлений, 2011, С.61-66.

ეკონომიკური მნიშვნელობა. ჩვენ შევეცადეთ, შემოგვეთავაზებინა ჩვენეული ინტერპრეტაცია: “არალეგალური საქმიანობიდან მიღებული ეკონომიკური სარგებლის ლეგალიზაცია მრავალეტაპიანი უკანონო ქმედებაა, რომელიც ნეგატიურად აისახება საზოგადოებასა და მთლიანად სახელმწიფოს მდგომარეობაზე. შავი ფულის გათეთრება წარმოადგენს ფინანსური ინსტიტუტებისა და ინფორმაციულ-ტექნოლოგიური ინსტრუმენტების გამოყენებით ფულადი შემოსავლების განაწილების, შენიღბვის, გარდაქმნის პროცესს, რომლის მიზანია რეალური წყაროს დამალვა, შემდგომში ეკონომიკურ-ფუნქციონალურ სექტორში დაბანდების მიზნით, რათა არსებულმა შემოსავლებმა მიიღონ ლეგალური სახე კანონიერი გამოყენებისათვის”.

1.2. ფულის გათეთრების სოციალურ-ეკონომიკური ასპექტები

აღნიშნულ ქვეთავში მიმოვიხილავთ შავი ფულის გათეთრების ეფექტებს ქვეყნის მდგრად ეკონომიკურ განვითარებაზე და გამოვავლენთ აღნიშნული დანაშაულის კავშირს სხვა არალეგალურ აქტივობებთან.

შავი ფულის გათეთრების ეფექტების შესახებ არსებობს განსხვავებული მოსაზრებები. ზოგიერთი მოცემული კონტრარგუმენტი დამაჯერებლად გვეჩვენება, მაგრამ შესაძლოა, მცდარი აღმოჩნდეს და საკმაოდ საშიში გარდამავალი ეკონომიკის ქვეყნებისათვის. დანაშაულებრივი გზით მოპოვებული შავი ფული ახალი დანაშაულის ჩადენას ხმარდება, რაც ეკონომიკის მოშლას უწყობს ხელს⁷¹. დებულება იმის შესახებ, თითქოს შავი ფულის გათეთრებასთან ბრძოლა ხელს უშლის საერთაშორისო თანამშრომლობის ეკონომიკურ განვითარებას, FATF-ის ხელმძღვანელობის აზრით, მცდარია. “საინვესტიციო მიმშვილს” პირობებში არალეგალური ინვესტიციების მოზიდვამ ქვეყნის ეკონომიკას შესაძლებელია მსოფლიო დროებითი დადებითი შედეგები მოუტანოს⁷².

შავი ფულის ზეგავლენა ინვესტიციებზე. შავი ფულის გათეთრების პრობლემის შესწავლით დაკავებულმა მეცნიერმა ო. ოკუნკოლამ, რომელმაც შეისწავლა შავი ფულის გათეთრების ეფექტები ინვესტიციებზე, დაასკვნა, რომ შავი ფულის გათეთრებასა და სხვა ფინანსურ დანაშაულს ნეგატიური ზემოქმედება აქვს ქვეყნის ეკონომიკურ ზრდასა და ფინანსურ სტაბილურობაზე, რაც ქმნის ქვეყნების ურთიერთთანამშრომლობის საჭიროებას აღნიშნული

⁷¹Malkin L., Elizuv Y., The Dilemma of Dirty Money, World Policy Journal, #3, 2008, P.38-47

⁷²ჯანაშია ჯ., XXI საუკუნის გამოწვევა, 2002, გვ.229-231

პრობლემის ნეგატიური ეფექტების შესამცირებლად, რომელიც მოიცავს, მაგრამ არ შემოიფარგლება, მხოლოდ ინვესტიციებით, სამუშაო ადგილებითა და ახალი ტექნოლოგიების დანერგვით⁷³. გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტის დოქტორ ნ. ოსაძის ნაშრომში “ტრანსნაციონალური დანაშაულობის ეკონომიკურ ფორმებთან ბრძოლის პრობლემები“ შავი ფულის გათეთრების ტრანსნაციონალური ხასიათის ტენდენციების კვლევისას დადგინდა, რომ საქართველოში არაღებულ შავი ფულის არსებობა და ამ სახსრებით ინვესტიციების განხორციელება აუარესებს მდგრადი ეკონომიკური განვითარების ტემპს⁷⁴.

ა. აიოდგის მიხედვით შავი ფულის გათეთრება ზემოქმედებს ეკონომიკურ ზრდასა და ფინანსურ სტაბილურობაზე. ვინაიდან, საფინანსო ინსტიტუტები მნიშვნელოვან როლს თამაშობენ ინვესტიციებზე, მათ ხელი უნდა შეუწყონ შავი ფულის გათეთრების პრობლემის შემცირებას რესურსების მიკვლევალობის ეფექტურობის გაზრდით⁷⁵.

ა. იდოვუმ გამოიკვლია, რომ შავი ფულის გათეთრებას აქვს ნეგატიური შედეგები ინვესტიციებზე, რომელიც მოქმედებს მდგრადი ეკონომიკური განვითარების ზრდის ტემპზე და საფრთხის ქვეშ აყენებს ქვეყნის პოლიტიკურ სტაბილურობასა თუ საზოგადოების უსაფრთხოებას⁷⁶.

შავი ფულის ზეგავლენა პირდაპირ უცხოურ ინვესტიციებზე. UNCTAD-ის მიხედვით, პირდაპირი უცხოური ინვესტიციები ხელს უწყობს ადგილობრივი ბიზნესის განვითარებას, საექსპორტო კონკურენტუნარიანობის, დასაქმებულთა რაოდენობისა და ტექნოლოგიური შესაძლებლობების ამაღლებას. შედეგად, სახელმწიფო მაქსიმალურად უნდა ცდილობდეს შექმნას ისეთი საინვესტიციო კლიმატი, რომელიც ხელს შეუწყობს ინვესტიციების მოზიდვას⁷⁷. პირდაპირი უცხოური ინვესტიციები იზრდება, როდესაც ინვესტორებს სჯერათ, რომ სახელმწიფო აქტიურად ებრძვის შავი ფულის გათეთრების პრობლემას. ამასთანავე, შავი ფულის გათეთრება ზემოქმედებს არამხოლოდ ეროვნულ

⁷³Okunlola O., Money Laundering: A Threat To Sustainable Democracy In Nigeria, Journal Of Economics And Sustainable Development, 2014, P.91

⁷⁴ჯანაშია ჯ., XXI საუკუნის გამოწვევა, თბილისი, 2002, გვ.5-6

⁷⁵Aluko A., The Impact Of Money Laundering On Economic And Financial Stability And On Political Development Of Developing Countries, University Of London, London, 2011, P.107

⁷⁶Idowu A., Anti-Money Laundering Policy And Its Effects On Bank Performance In Nigeria. Business Intelligence Journal, 2012, P.367-373

⁷⁷United Nations Conference On Trade And Development, World Investment Report: Investor Nationality: Policy Challenges, 2016, P.116

შემოსავალზე, არამედ პირდაპირ უცხოურ ინვესტიციებზეც. შავი ფულის გათეთრება ეკონომიკასა და ბიზნესში განხილვის ერთ-ერთ აქტუალურ თემად რჩება. საინტერესოა მოსაზრება, რომ იურიდიული ნორმების სიმკაცრემ შეიძლება გამოიწვიოს ინვესტიციების არათუ მოზიდვა, არამედ ქვეყნიდან გატანა⁷⁸.

შავი ფულის ზეგავლენა ეკონომიკურ ზრდაზე. ბ. ბარტლეტის კვლევის შედეგად დადგინდა, რომ შავი ფულის გათეთრება ნეგატიურად ზემოქმედებს ქვეყნის ეკონომიკურ განვითარებაზე, რაც ხელს უშლის ეკონომიკურ ზრდას და ამცირებს ქვეყნის მწარმოებლურობის დონეს, უკანონო ფონდებს კი დანაშაულისა და კორუფციის სფეროში გადაისვრის, რის შედეგადაც მცირდება უცხოური ინვესტიციების დონე და ეკონომიკური აქტივობა⁷⁹. არსებული ლიტერატურის ანალიზმა ასევე გამოაშკარავა შავი ფულის კავშირი არამხოლოდ მთლიან შიდა პროდუქტთან ან პირდაპირ უცხოურ ინვესტიციებთან, არამედ კორუფციის მაჩვენებლებთანაც.

შავი ფული და კორუფცია. ო. ოკუნლოლა ერთ-ერთი პირველთაგანია, რომელმაც აღმოაჩინა დადებითი დამოკიდებულება კორუფციასა და შავი ფულის გათეთრებას შორის. “შავი ფულის გათეთრება არის ფინანსური დანაშაული, რომელსაც ნეგატიური ზეგავლენა აქვს ეკონომიკის განვითარებაზე, განსაკუთრებით ინვესტიციებზე”⁸⁰. ა. ჯეინი კვლევებზე დაფუძნებით გამოთქვამს მოსაზრებას, რომ შავი ფულის გათეთრება არღვევს ფინანსური ინსტიტუტების ფუნქციონირებას კორუფციითა და სახელმწიფო ქონების არამიზნობრივი ფლანგვით, რომელიც ხორციელდება კორუმპირებული პირისა და კრიმინალის მიერ.“ ანტი-კორუფციული და შავი ფულის გათეთრების წინააღმდეგ ბრძოლის მექანიზმების აქტიურად გამოყენება ზრდის ინვესტიციების შემოდინების მაჩვენებლებს. კორუფცია შესაძლოა, გამოვლინდეს, პოლიტიკოსების გამდიდრებით, საჯარო სიკეთის მითვისებით და ეკონომიკური არაეფექტურობით. კორუფცია იტაცებს სახელმწიფოს როლს რესურსების გადანაწილებაში, რითაც ვნებს მაკროეკონომიკურ მაჩვენებლებს⁸¹. ზ. დრაბეკი და ვ. პაინი აღნიშნავენ, რომ ინვესტიციები შეიძლება დამოკიდებული იყოს კორუფციის დონეზე. ორივე ექსპერტის მოსაზრებით, არსებობს შავი ფულის გათეთრების წინააღმდეგ

⁷⁸Ihsan I., & Razi A., Money Laundering - A Negative Impact On Economy, 2012, P.2-8

⁷⁹Bartlet B. L., The Negative Effects Of Money Laundering On Economic Development, Platypus Magazine, December, 2002,

⁸⁰Okunlola O. C., Money Laundering: A Threat To Sustainable Democracy In Nigeria, Journal Of Economics And Sustainable Development, 2014, P.91

⁸¹Jain A.K., Corruption: A Review. Journal Of Economic Surveys, 2001, 15, (1)

რამდენიმე იურიდიული დოკუმენტი, რომელსაც შეუძლია გათეთრების პროცესების შეფერხება და აღნიშნული პრობლემის დონის შემცირება⁸². კ. ჩანდერი ასევე ფიქრობს, რომ არასტაბილურობა, კორუფციის მაღალი დონე და სუსტი საკანონმდებლო სისტემა ბიზნეს ოპერატორებს კაპიტალის გატანისკენ უბიძგებს⁸³. ა. მარკუბიმ შეისწავლა დამოკიდებულება კორუფციას, ფასების დონის, შემოსავლების გადანაწილების ეფექტებს შორის. მისი აზრით, კორუფცია ზრდის ინფლაციას⁸⁴. მ. ჯონსტონის კვლევის შედეგად კი დადგინდა, რომ კორუფცია ზრდის ინფლაციასა და შემოსავლების გადანაწილებას⁸⁵. პ. კეფერმა და ს. კნექმა შეისწავლეს კორუფციის ფენომენი და სოციალური ფაქტორები ევროკავშირის რამდენიმე ქვეყანაში. კვლევებმა დაადგინა, რომ კორუფციამ შეიძლება გამოიწვიოს შემოსავლების არათანაბარი გადანაწილება⁸⁶. ს. გუპტას, ჰ. ავუდის და ა. თერმეს კვლევის მიხედვით, კორუფცია და შავი ფულის გათეთრება ხელს უწყობს სიღარიბის დონის ზრდას⁸⁷. ს. როუზ-აკერმანი საკუთარ კვლევაში ამტკიცებს, რომ კორუფციამ და შავი ფულის გათეთრებამ შეიძლება გამოიწვიოს ეკონომიკური კეთილდღეობის არარაციონალური გადანაწილება, რაც იწვევს ზოგიერთი ჯგუფისათვის მეტი სარგებლის მიღებას, ვიდრე სხვებისთვის⁸⁸. კორუფცია ზრდის შემოსავლების უთანაბრობას და აფერხებს ეკონომიკის განვითარებას. მაღალი კორუფციის დონე ზრდის შემოსავლების გადანაწილების უთანაბრობას და მოქმედებს ჯინის კოეფიციენტზე. კორუფციის ზემოქმედება შემოსავლების უთანასწორობას შორის გასათვალისწინებელია. სახელმწიფოს წარმომადგენლებმა შესაძლებელია, გამოიყენონ საკუთარი შესაძლებლობები აღნიშნულ პრობლემასთან დაკავშირებით. ს. ბრიჯიტმა გამოიკვლია, რომ შავი ფულის გათეთრება ნეგატიურად ზემოქმედებს ეკონომიკაზე, რაც ზრდის ფინანსური დანაშაულისა და ტერორიზმის დაფინანსების შესაძლებლობებს. თუ ქვეყანას ექნება შესაძლებლობა დასძლიოს შავი ფულის გათეთრების პრობლემა, სხვა ფინანსური დანაშაული და ტერორიზმი, ქვეყნის სოციალური მდგომარეობა

⁸²Drabek Z., And Payne W., The Impact Of Transparency On Foreign Director Investment, Staff Working Paper, Geneva: World Trade Organization, 1999, Erad-99-02,

⁸³Chander K., What Is Capital Flight? The World Economy, Vol. 25, 2002, P.341-58

⁸⁴Fahim A., Al-Marhubi, Corruption And Inflation, 1999, P.27

⁸⁵Johnston, M., Corruption, Inequality, And Change, Corruption, Development And Inequality, London: Routledge, 1989, P.13-37

⁸⁶Keefer, P. And Knack, S., Why Don't Poor Countries Catch Up? A Crossnational Test of an Institutional Explanation, Economic Inquiry 35, 1997, 590-602.

⁸⁷Gupta, S., Davoodi, H., And Alonso-Terme, R., Does Corruption Affect Income Inequality And Poverty? Economics of Governance 3: 2002, 23-45.

⁸⁸Rose-Ackerman S., Corruption And Government: Causes, Consequences, And Reform, Cambridge: Cambridge University Press, 1999, P.9

გაუმჯობესდება⁸⁹. ზოგიერთი მეცნიერის აზრით, მძიმე ადგილობრივი ფისკალური პოლიტიკისათვის თავის არიდების მიზნით, ხშირად ინვესტორებს გააქვთ კაპიტალი სხვა ქვეყანაში⁹⁰. აუცილებელია, ყურადღება გაგამახვილოთ საგადასახადო სისტემის მნიშვნელობაზე. ქვეყნებში არსებული განსხვავებული საგადასახადო სისტემა ერთ-ერთი ფაქტორია, რომელიც ხელს უწყობს კაპიტალის გატანას სხვა ქვეყანაში, ზუსტად ამიტომ არის, რომ საგადასახადო ოაზისები საკმაოდ ეფექტიანად იზიდავენ უცხოურ ინვესტიციებს. საინტერესო კვლევა არის ასევე წარმოდგენილი ჯ. რადას მიერ, რომელმაც დაასკვნეს, რომ პუი-ს 10% არალეგალურ ნაკადს წარმოადგენს⁹¹. არაკანონიერი გზით მიღებული ფულადი ნაკადების მოცულობა, რომელიც გადაადგილდება განვითარებადი ქვეყნებიდან, შესაძლებელია, მეტი იყოს ვიდრე ერთი ტრილიონი აშშ დოლარი წლის განმავლობაში. მკვლევრების აზრით, ქვეყნიდან შავი ფულის, კაპიტალის გატანა დაკავშირებულია წარმოშობის რეალური წყაროს დამალვით, ხოლო უკანონო შემოსავლების ლეგალიზაციის პროცესზე პოლიტიკური და ორგანიზაციულ-სამართლებრივი ხასიათის ფაქტორების არსებობა ამცირებს აღნიშნული პრობლემის დონეს⁹².

შავი ფულის გათეთრებას აქვს სხვადასხვა ნეგატიური ეფექტი ქვეყნის მდგრადი განვითარებისათვის. თუ მიმოვიხილავთ ჯ. მაკდოუელისა და ჯ. ნოვისის კვლევას, შეგვეძლება გამოვკვეთოთ ფულის გათეთრების ნეგატიური შედეგები: კერძო სექტორისათვის ლეგიტიმური ძირის გამოთხრა, კონტროლის შემცირება სახელმწიფო სტრუქტურებში, ეკონომიკური სტაბილურობის რღვევა, ეკონომიკური დოვლათის შემცირება, თუ სხვ.⁹³

13. ფულის გათეთრების ფაზები, მეთოდები და ხერხები

ამ პარაგრაფში განხილულია შავი ფულის გათეთრების ფაზები, უნიფიცირებული მეთოდები და ხერხები.

მიუხედავად ლეგალიზაციის მექანიზმებისა და სქემების

⁸⁹Yikona S., Slot B., Geller M., Hansen B., El Kadiri F., Ill-Gotten Money And The Economy, Experiences From Malawi And Namibia, 2011, P.16

⁹⁰Commission Communication Com 254, Concerning the Need to Develop a Coordinated Strategy to Improve the Fight against Fiscal Fraud, 2006

<https://eur-lex.europa.eu/legal-content/EN/TXT/?uri=celex%3A52007AE0406>


⁹¹Brada J.C., Et Al., Illicit Money Flows As Motivates For Fdi: Evidence from a Sample Tradition Economics, 2010, P.2

⁹²FATF, The Use Of The FATF Recommendations To Combat Corruption, 2013, P.147

⁹³Mcdowell J., And Novis G., The Consequence Of Money Laundering And Financial Crime, Economic Perspective, 2001, P.6-8

მრავალფეროვნებისა, მათი საფუძველი პრაქტიკულად ერთი ტექნოლოგიაა.. ამ ტექნოლოგიის არსი კი შემდეგია: მოახდინოს არსებული სახსრების ინვესტირება ისე, რომ აქტივების წყარომ ეჭვი არ გამოიწვიოს. დასახული მიზნის მისაღწევად აუცილებელია უკანონოდ მიღებული რესურსის სხვა სახის აქტივში ინვესტირება. ტექნოლოგიურ ოპერაციას, როდესაც პირველად ხდება უკანონო აქტივის ინვესტირება, “განთავსება” ეწოდება.

სქემა 2. უკანონოდ მიღებული შემოსავლის წყაროები



წყარო: ა.ნ. ლიტვინენკო, ე.უ. კოვალიოვა, უკანონოდ მიღებული შემოსავლების ლეგალიზაცია.

კრიმინალური დაჯგუფება ცდილობს, მალევე გადავიდეს მეორე-“დანაწევრების” ფაზაზე. უკანონო შემოსავლების მოწყვეტა წარმოშობის წყაროსგან მიმართულია კვალის არევაზე, ფინანსურ ოპერაციაში ლეგალური და არალეგალური აქტივების შერწყმით. “დანაწევრების” ფაზის შემდეგ შავი ფულის გამთეთრებელთა ქმედებების გამომჟღავნება რთულდება. დგება უკანასკნელი ეტაპი, როდესაც დამკვეთმა უნდა მიიღოს თავისი უკანონო შემოსავალი “ლეგალური” აქტივების სახით. კრიმინალისტების მიერ გასათეთრებელი აქტივები პარტიებად იყოფა და სხვადასხვა სფეროში ინვესტირდება.

ცხრილი 1. შავი ფულის გათეთრების ეტაპები

განთავსება	დანაწევრება	ინტეგრაცია
მსხვილი საგალუტო თანხის ფორმირება დაბალი ღირებულების მქონე ბანკნოტებით	ფულადი სახსრების გადაადგილება საბანკო ანგარიშებზე გარიგების საფუძველზე, რათა შეინიღბოს ფულადი სახსრების ადგილმდებარეობის და საკუთრების წარმოშობის წყარო	გათეთრებული ფულადი სახსრების ეკონომიკურ აქტივობებში ჩართვა სხვადასხვა ფინანსური

დიდი ოდენობით უკანონო ვალუტის კონვერტაცია საექვო ფორმებში	ფიქტიური პირების ანგარიშის გამოყენება	ინსტრუმენტებისა და გარიგებების გამოყენებით
	შავი ფულის დეპონირება ოფშორულ ბანკებში, რომლებიც რეგულირდება შენატანებზე ინფორმაციის გაუცემლობის მკაცრი კანონებით	
	არაოპერირებადი და საექვო კორპორაციების გამოყენება	

წყარო: ა.ნ. ლიტვინენკო, ე.უ. კოვალიოვა, უკანონოდ მიღებული შემოსავლების ლეგალიზაცია.

შემდგომ ფაზაზე დანაწევრებული აქტივები კონსოლიდირდება დამკვეთისათვის მოსახერხებელი ფორმით. ამ ეტაპმა “ინტეგრაციის” სახელწოდება მიიღო. “ინტეგრაციის” სტადიაზე არალეგალური შემოსავლები იდება მსოფლიო საბანკო სისტემაში კეთილსინდისიერად ნაშოვნის სახსრების სახით⁹⁴.

გათეთრების ბაზისური სქემის სამფაზიანი მოდელი ამჟამად ყველაზე გავრცელებულია სამეცნიერო ლიტერატურაში. თუმცა, შავი ფულის გათეთრების სქემები მრავალფეროვანია. ამ სქემების ტექნოლოგიების შესწავლა მნიშვნელოვანი თეორიული და პრაქტიკული ამოცანაა, ვინაიდან მასზეა დამოკიდებული უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის აღკვეთის სტრატეგიის შერჩევა.

გათეთრების ანალოგიური ქმედებები შუა საუკუნეების ევროპაში იყო ცნობილი. ვაჭრები მევახშეებთან, მოლაპარაკების საფუძველზე პროცენტს იხდიდნენ ჯარიმის სახით. მევახშე ხელს უწყობდა ვაჭარს, გაეთეთრებინა არალეგალურად მიღებული სახსრები. ვაჭარი კი ვადაგადაცილების პერიოდში მევახშეს ჯარიმების სახით აწვდიდა სოლიდურ თანხას⁹⁵.


მ. ლანსკიმ ასევე აღმოაჩინა შვეიცარიის ბანკების დანომრილი ანგარიშების, ბაჰამის ოფშორებისა და სათამაშო ბიზნესის უპირატესობები ვინაიდან მიღებული შემოსავალი არ ექვემდებარება საშემოსავლო გადასახადით დაბეგვრას, მიღებული შემოსავლის წყაროს იდენტიფიცირება სახელმწიფოს პრიორიტეტულ ინტერესთა

⁹⁴Australian Government, Australian Transaction Reports And Analysis Centre, Introduction To Money Laundering, 2008, P.4

⁹⁵Dr. Uribe R., Changing Paradigms On Money Laundering, Anti-Money Laundering Unit, America, Cicad/Oas, 2003, P.1

სფეროს სცილდება. ყველა დიდ ქვეყანას აქვს თავისი ე.წ. სამაღაგი, სადაც ისინი ფულს ათეთრებენ და გადასახადებს მაღავენ⁹⁶.


სქემა 3. შავი ფულის გათეთრების რისკის დონე თითოეულ ეტაპზე



წყარო: ა.ნ. ლიტვინენკო, ე.უ. კოვალიოვა, უკანონოდ მიღებული შემოსავლების ლეგალიზაცია


სქემა 4. შავი ფულის მიმღები ობიექტები

⁹⁶ზაჩიძე ნ., ოფშორები: ყველა ქვეყნის არჩევნების დაფინანსების წყარო, ანუ ვინ ვის ებრძვის ოფშორულ ომში; თბილისი, 2016, გვ.9




წყარო: ა.ნ. ლიტვინენკო, ე.უ. კოვალიოვა, უკანონოდ მიღებული შემოსავლების ლეგალიზაცია

სქემა 5. მეთოდები, რომლებიც გამოიყენება დამნაშავეების მიერ შავი ფულის გათეთრების განთავსების ეტაპზე




წყარო: ა.ნ. ლიტვინენკო, ე.უ. კოვალიოვა, უკანონოდ მიღებული შემოსავლების ლეგალიზაცია

სქემა 6. მეთოდები, რომლებიც გამოიყენება დამნაშავეების მიერ შავი ფულის გათეთრების დანაწევრების ეტაპზე



წყარო: ა.ნ. ლიტვინენკო, ე.უ. კოვალიოვა, უკანონოდ მიღებული შემოსავლების ლეგალიზაცია

სქემა 7. მეთოდები, რომლებიც გამოიყენება დამნაშავეების მიერ შავი ფულის გათეთრების ინტეგრაციის ეტაპზე



წყარო: ა.ნ. ლიტვინენკო, ე.უ. კოვალიოვა, უკანონოდ მიღებული შემოსავლების ლეგალიზაცია

ქვემოთ მოცემულია ლეგალიზაციის ძირითადი მეთოდები:

✚ უკანონო შემოსავლის ლეგალიზაცია საბანკო სისტემის გამოყენებით

მსოფლიო ფინანსურ სისტემაში ბანკებს ცენტრალური ადგილი უკავიათ. ტრანსნაციონალურ ბანკებს აქვთ საკმაოდ ფართო ქსელი ფილიალებისა და შვილობილი ბანკების სახით მთელ მსოფლიოში. გლობალური და მსხვილი ტრანსნაციონალური ბანკები აკონტროლებენ მთელი საბანკო აქტივების დაახლოებით 85%-ს⁹⁷. შემდეგი დონეა ადგილობრივი ბანკები, რომლებსაც უცხოურ ბანკებთან აქვთ ფართო საკორესპონდენტო ურთიერთობების ქსელი. მსოფლიო საბანკო სისტემის კიდევ ერთი მნიშვნელოვანი ჯგუფია ოფშორული ბანკები. მათ გარეშე პრაქტიკულად არც ერთი ტრანსნაციონალური ბანკის ოპერაციები არ ტარდება. შავი ფულის გათეთრების საკითხის მკვლევრის პ. ბერნასკონის აზრით, გათეთრებლის მიზანია ჰქონდეს საბანკო ანგარიში შეუღალავი რეპუტაციის მქონე ბანკში. ამისათვის საჭიროა, არალეგალური შავი ფული განთავსდეს დამნაშავეს მიერ კონტროლირებად, ან პატარა მოცულობის ბანკის საბანკო ანგარიშზე და საკორესპონდენტო კავშირების მეშვეობით გადატანილ იქნას მსხვილ, უნაკლო რეპუტაციის მქონე ბანკში, რომლის ანგარიშებზეც უკანონო შემოსავლები კანონიერ სახეს მიიღებენ⁹⁸. მსხვილი ანონიმური საბანკო სისტემის ნათელ მაგალითად, რომელიც წარმატებით ფუნქციონირებდა 2002 წლამდე, შეიძლება, დავასახელოთ ავსტრიული სისტემა “შემნახველი წიგნაკი“, რომელიც იძლეოდა საშუალებას, ნაღდი სახსრები განთავსებულიყო შემნახველ წიგნაკებზე. ის იხსნებოდა გარკვეული კოდით. კოდური სიტყვის დასახელება საკმარისი იყო შავი ფულის გასანადგურებლად. არსებობდა 26 მილიონი ასეთი შემნახველი წიგნაკი, რომლებზეც ჯამურად 50 მილიარდ აშშ დოლარზე მეტი ინახებოდა⁹⁹, თუ გავითვალისწინებთ, რომ ავსტრიის მოსახლეობა დაახლოებით 8.4 მილიონია, საკმაოდ საინტერესო მიგნებაა¹⁰⁰. საერთაშორისო თანამეგობრობის მიერ გამოხატულმა ნეგატიურმა დამოკიდებულებამ ავსტრიის ხელისუფლება აიძულა, გაეუქმებინა ანონიმური შემნახველი წიგნაკების სისტემა. ბ. ბრეხტი ამბობდა: “თუ გსურს ძარცვა-იყიდე ბანკი!”¹⁰¹. მაგალითად, ნაურუში 1990-იან წლებში ბანკის გახსნა დაახლოებით 6,500 აშშ დოლარი ღირდა¹⁰².

⁹⁷<http://www.allbanks.org/main/list/42.html>

⁹⁸Cambridge Study, Money Laundering, 2004, P.102-103

⁹⁹Lilley P., Dirty Dealing, 2006, P.10-11

¹⁰⁰<http://www.austria.org/population/>

¹⁰¹Lilley P., Dirty Dealing, 2006, P.12

¹⁰²Kochan N., The Washing Machine: How Money Laundering And Terrorist Financing Soils Us, 2011

უკანონო შემოსავლის ლეგალიზაცია არასაბანკო ფინანსური ინსტიტუტების მეშვეობით

არასაბანკო ფინანსური ინსტიტუტები-სადაზღვევო კომპანიები, საპენსიო და სხვა ფონდები ისევე, როგორც ფულადი გზავნილის სისტემები, მკაცრ კონკურენციას უწევენ ბანკებს და აქტიურად გამოიყენებიან უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციისათვის. შავი ფულის გათეთრებისათვის საკმაოდ მოქნილი ინსტრუმენტია ანგარიშსწორების ცენტრები, რომლებიც ფულად დაგალებებს ასრულებენ. ისინი მოსახერხებელია რიგი ფინანსური დანაშაულების ჩასადენად. ფულად დაგალებებს იყენებს დაახლოებით 30 მილიონი ადამიანი ყოველწლიურად ბიზნესის საწარმოებლად, ასევე, ოჯახებისათვის შავი ფულის გასაგზავნად. ფულადი გზავნილების სექტორი სხვა ფულადი მომსახურებების სექტორთან შედარებით დიდი არ არის, მაგრამ მასზე წვდომა გაცილებით მარტივი და იაფია.

ელექტრონული ფულადი გადარიცხვები და კრიპტოვალუტები

ახალი მეთოდები გულისხმობს ინტერნეტითა და ტელეფონით განხორციელებულ გადარიცხვებს. აშშ-ს ფედერალური ფინანსური ორგანიზაციის ექსპერტთა საბჭომ შეიმუშავა სახელმძღვანელო სახელწოდებით “ინტერნეტის იდენტიფიკაცია საბანკო გარემოში¹⁰³“. დოკუმენტი ფინანსურ ორგანიზაციებს რეკომენდაციას აძლევს, გამოიყენონ კლიენტის საიდენტიფიკაციო მონაცემები ისეთი ფორმით, რომ მისაღები იყოს ამ პროდუქტებისა და მათი მომსახურებისათვის. ბანკები ფინანსური სისტემის ერთ-ერთი ელემენტია და ის შავი ფულის გათეთრების სქემებში გამოიყენება.

შენატანების დანაწევრების ტექნოლოგია

საერთაშორისო მოთხოვნების შესაბამისად, არაერთი ქვეყნის საკანონმდებლო თუ ნორმატიული აქტით განისაზღვრა ფინანსური ოპერაციების ზღვრული ლიმიტები (15,000 ევრო, 10,000 აშშ დოლარი, 30,000 ლარი). ამ ლიმიტების ფარგლებში განხორციელებული ოპერაციების შესახებ სავალდებულო არ არის ბანკების მიერ შესაბამისი სახელმწიფო სტრუქტურისათვის ანგარიშგების ფორმის მიწოდება. იმისათვის, რომ დამნაშავეებმა თავი აარიდონ განხორციელებული ოპერაციების შესახებ სპეციალური სტრუქტურებისათვის შეტყობინებების გაგზავნას, შავი ფული იყოფა მცირე ტრანშებად.

ბირჟებთან და საფონდო ბაზართან დაკავშირებული შავი ფულის

¹⁰³Federal Financial Institutions Examination Council, Supplement To Authentication In An Internet Banking Environment, P.1-12

გათეთრების სქემები

ფასიანი ქაღალდების ბაზარზე ოპერაციების განხორციელება შეუძლიათ გარკვეულ ფორმებს ან სხვა უფლებამოსილ პირებს, მაგალითად: ბროკერებს, დამოუკიდებელ ფინანსურ კონსულტანტებსა და სხვ. ყველაზე მარტივი და გავრცელებულია ე.წ. დაბრუნების მექანიზმი, რომელიც შავი ფულის გათეთრების არაერთ სქემაში გამოიყენება. დაეუშვათ, დანაშაულებრივ დაჯგუფებას არალეგალური შავი ფული აქვს ქვეყანაში, სადაც უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის აღკვეთის სუსტი მექანიზმებია. ბროკერთან დადებულ ხელშეკრულებაში მითითებულია, რომ ბაზარზე განხორციელებული ოპერაციებიდან მიღებული შემოსავალი უნდა გადაირიცხოს კარგი რეპუტაციის მქონე ბანკსა და შავი ფულის გათეთრების წინააღმდეგ ბრძოლის კონტროლის მკაცრი მექანიზმების მქონე ქვეყანაში. გახსნილ ანგარიშზე ირიცხება არალეგალური შავი ფული¹⁰⁴.

შავი ფულის გათეთრება სადაზღვევო მექანიზმების მეშვეობით

სადაზღვევო მომსახურების მსოფლიო ბაზარი (სადაზღვევო პრემიების მოცულობით) შეფასებულია 5.0 ტრილიონ აშშ დოლარად¹⁰⁵. სადაზღვევო ბიზნესი მეტად მრავალფეროვანია. უკანონო შემოსავლების მფლობელი სადაზღვევო სააგენტოსთან დებს გარიგებას, რომელიც ითვალისწინებს სადაზღვევო შემთხვევის დადგომას. დამნაშავე საბანკო ანგარიშზე ათავსებს თანხას ნაღდი ფორმით, მაგრამ ბანკი, რომელიც იცნობს სადაზღვევო კომპანიას, არ ამოწმებს სახსრების წარმოშობის წყაროს. სადაზღვევო შემთხვევის დადგომის შემდეგ კი გათეთრებული შავი ფული ბრუნდება კლიენტის ანგარიშზე. საჭიროა მსოფლიო შესაბამისი სადაზღვევო შემთხვევის დადგომა, რომლის ინსცენირებაც გამოცდილი შავი ფულის გათეთრებისათვის საკმაოდ მარტივია¹⁰⁶. ისინი იცნობენ მზღვეველს და თვლიან, რომ ეს კანონიერი შავი ფულია.

შავი ფულის გათეთრება არაკომერციული და საქველმოქმედო ორგანიზაციების მეშვეობით

საქველმოქმედო და სხვა არაკომერციული ორგანიზაციები მსოფლიო ეკონომიკის მძლავრი სექტორია. მსოფლიოში მოქმედებს 610-ზე მეტი არაკომერციული, საქველმოქმედო ორგანიზაცია, რომლებშიც საკმაოდ სოლიდური


¹⁰⁴Мельников В. Н., Мовсесян А. Г., Противодействие Легализации Отмывания Незаконных Доходов. Москва, 2007, С.169

¹⁰⁵Global Insurance Market Opportunities, 2015, P.4

¹⁰⁶ National Money Laundering Risk Assessment, 2015, P.11-12

თანხა განთავსებული¹⁰⁷. 20 წლის განმავლობაში საქველმოქმედო ფონდების რაოდენობა გაორმაგდა. ამ მიმართულებით ერთ-ერთი ლიდერი აშშ-ა.

დიაგრამა 1. 10 წამყვანი ქველმოქმედი ქვეყანა ბოლო 4 წლის განმავლობაში



108

წყარო: Gallup C., Mashable Statista,

http://rack.2.mshcdn.com/media/zgkymde1lzaxlzezlzflziwmtqxmjexx0noljayogiwlmpwzwpwxcxrodw1icteymdb4otywmd4/d0a595db/dbd/20141211_charity.jpg

1921 წლის საგადასახადო კანონმდებლობაში შეტანილი ცვლილებები საქველმოქმედო მიზნებისათვის შეწირულ თანხებზე გადასახადების შემცირებას ითვალისწინებდა. ყოველწლიურად, ამერიკელები ქველმოქმედების მიზნით გასცემენ დაახლოებით 358.38 მილიარდ აშშ დოლარს¹⁰⁹. სახელმწიფო ორგანოები საქველმოქმედო მიზნების გამო სუსტად აკონტროლებდნენ არაკომერციულ ორგანიზაციებს, რამაც ისინი სახსრების ლეგალიზაციის მექანიზმად აქცია.

🚧 უკანონო შემოსავლის ლეგალიზაცია ოფშორებისა და ფიქტიური ხელშეკრულებების გამოყენებით

განთავსების სტადიაზე ხდება მატერიალური ან არამატერიალური აქტივის შექმნა, შემდეგ კი ეს აქტივი გადაიცვლება სხვა აქტივზე, იდება ფიქტიური გარიგებები, რომლებიც ზრდის ქონების ღირებულებას. უძრავი ქონების სააგენტოები ხშირად თანხას ღებულობენ ნაღდი ფორმით, მათი წარმოშობის

¹⁰⁷ <https://www.charitywatch.org/charities>

¹⁰⁸ Gallup C., Mashable Statista,

http://rack.2.mshcdn.com/media/zgkymde1lzaxlzezlzflziwmtqxmjexx0noljayogiwlmpwzwpwxcxrodw1icteymdb4otywmd4/d0a595db/dbd/20141211_charity.jpg

¹⁰⁹ Giving USA: Americans Donated An Estimated \$358.38 Billion To Charity In 2014; Highest Total In Report's 60-Year History, 2015, <http://givingusa.org/giving-usa-2015-press-release-giving-usa-americans-donated-an-estimated-358-38-billion-to-charity-in-2014-highest-total-in-reports-60-year-history/>

წყაროს შემოწმების გარეშე. ოფშორული საბანკო ბიზნესი ოფშორული ბიზნესის ყველაზე პრესტიჟული და რთული სექტორია. საბანკო დაწესებულებებს წამყვანი ადგილი უკავიათ ოფშორულ ფინანსურ ცენტრებში, სადაც საერთაშორისო საბანკო საქმიანობისთვის შექმნილია ფართო შესაძლებლობები. ოფშორული ბანკების დეპოზიტებზე არსებული ფულადი სახსრების მოცულობა 21 ტრლნ. დოლარს აღემატება¹¹⁰. ოფშორული კომპანიების უპირატესობების შესახებ მეწარმეებისათვის კარგადაა ცნობილი. როდესაც საუბარია ოფშორული ბიზნესის უპირატესობებზე, მხედველობაში აქვთ მისი ანონიმურობა და კონფიდენციალურობა. ბრიტანეთის მთავრობის მონაცემებით, “არაკეთილსინდისიერი“ ოფშორების გამო დიდი ბრიტანეთი წელიწადში კარგავს დაახლოებით 1 ტრილიონ დოლარს გადასახადების სახით¹¹¹. როგორც კლიენტების, ასევე კონტრაგენტების სახით, ქართულ საბანკო სექტორში ყველაზე ხშირად გვხვდება კვიპროსზე, ბრიტანეთის ვირჯინიის კუნძულებზე, გიბრალტარსა და სეიშელის კუნძულებზე რეგისტრირებული კომპანიები. მ. ლანსკი თვლიდა, რომ ყველა ტრანსნაციონალური ფინანსური სქემა ძირითადად ოფშორებზე გადის¹¹². დღესდღეობით, მსოფლიოში დაახლოებით 100 ოფშორული ზონაა, რომელთა შორის უმსხვილესად ითვლება პანამა (რეგისტრირებულია დაახლოებით 400 ათასი კომპანია) და ბრიტანეთის ვირჯინიის კუნძულები (200 ათასზე მეტი რეგისტრირებული კომპანიით)¹¹³. ახალ ეკონომიკურ გარემოში შეიქმნა მსოფლიო ეკონომიკურ ისტორიაში უნიკალური შესაძლებლობა “ჩრდილოვანი” ეკონომიკის განვითარებისა და უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციისათვის. ლანკისთვის, ოფშორული ბიზნესის ერთ-ერთი დამახასიათებელი ნიშანია კონფიდენციალურობის პრობლემა¹¹⁴. აღნიშნული გარემოება გამოწვეულია ადამიანების მიერ გადასახადების თავიდან აცილების სურვილით, აგრეთვე, სხვადასხვა ქვეყანაში საერთაშორისო ვაჭრობის აქტივიზაციისა და უცხოური კაპიტალის მიზიდვის მცდელობით, რომელიც ეფუძნება სხვადასხვა სახის შეღავათების დაწესებას. სხვადასხვა სახის შეღავათიანი პირობები იქმნებოდა ჯერ კიდევ ფინიკიელების აყვავების პერიოდში, შემდგომ თავისუფალი ვაჭრობის ცენტრად იქცა ათენის პირველი საზღვაო კავშირის (დელოსის კავშირი, რომელიც ჩ.წ. 478–477 წწ. აერთიანებდა ეგეოსის

¹¹⁰Forbes, Super Rich Hide \$21 Trillion Offshore, 2012

¹¹¹Porteous K., Hudson M., And Chavkin S., The International Consortium Of Investigative Journalist, A Project Of The Center For Public Integrity, <https://www.icij.org/blog/2013/04/release-offshore-records-draws-worldwide-response>

¹¹²Richard Friman H., And Andreas P., The Illicit Global Economy And State Power, P.55

¹¹³Madinger J., Money Laundering: A Guide for Criminal Investigators. Third Edition, 2011, P.13

¹¹⁴Friman H. R., And Andreas P., The Illicit Global Economy And State Power, P.198-199

ზღვისპირა ქალაქებსა და კუნძულებს) დედაქალაქი-კუნძული დელოსი¹¹⁵.

✚ ოფშორული იურისდიქციები შავი ფულის გათეთრების სქემებში

ოფშორული იურისდიქციები და ოფშორული ბანკები შავი ფულის გათეთრების თითქმის ყველა სქემაში გამოიყენება. ოფშორი ეწოდება ტერიტორიას, სადაც უცხოელი პირების კუთვნილი კომპანიები სარგებლობენ განსაკუთრებულად შეღავათიანი საგადასახადო რეჟიმით. ისტორიულად, სატრასტო მექანიზმი ნამდვილი მესაკუთრის ვინაობის დასაფარად გამოიყენებოდა. თანამედროვე მსოფლიოში იურისპრუდენციის სფეროში ინგლისელების ეს უდიდესი მიღწევა შესაბამისად შეფასდა დანაშაულებრივი სამყაროს მიერ. ტრასტი-ეს არის სამართლებრივი ურთიერთობა, რომელიც წარმოიშობა მარწმუნებლის მიერ ქონების რწმუნებულისათვის საკუთრებაში გადაცემისას, რათა რწმუნებული ფლობდეს და მართავდეს ქონებას ბენეფიციარი მარწმუნებლის სასარგებლოდ. რწმუნებული ფლობს ქონებას არა საკუთარი მოგების მიღების მიზნით, არამედ ბენეფიციარის ინტერესებისათვის. ტრასტი ძირითადად იმ შემთხვევაში გამოიყენება, როდესაც აუცილებელია ქონების იზოლირება მისი მფლობელის პოტენციური პრობლემებისაგან. თუმცა, მფლობელს უნდა დარჩეს გარკვეული კონტროლის, ან შემოსავლის მიღების უფლება.

✚ შავი ფულის გათეთრების მექანიზმები ბრუნვადი სახსრების გამოყენებით

განთავსების ფაზაზე შავი ფულის გათეთრებელმა უნდა შეძლოს ნაღდი ფულის გამოყენება და ანონიმურობის დაცვა. როგორც განვიხილეთ, უკანონო შემოსავლის ლეგალიზაცია ჩიკაგოში, სამრეცხაოებში დაიწყო. სამრეცხაოს ბიზნესის არჩევა განაპირობა იმ გარემოებამ, რომ ის დაკავშირებული იყო დიდი ოდენობით ნაღდი შავი ფულის ბრუნვასთან. სამრეცხაო ბიზნესის შემდეგ კრიმინალურმა დაჯგუფებამ გადაწყვიტა ინვესტიციების განხორციელება რძის წარმოებაში. დაჯგუფებამ დააარსა რძის კომპანია “მიდოუმურ დეირი,” რომელშიც აიკრძალა პროფკავშირების საქმიანობა. შემოიღეს სორტირება და აკრძალეს უხარისხო რძის გაყიდვა ჩიკაგოში. 1928 წელს რძის წარმოების ბიზნესის შემოსავალმა 10 მილიონ, ხოლო 1931 წელს-50 მილიონ ამერიკულ დოლარს მიაღწია¹¹⁶. შექმნილი სტანდარტების შეუსაბამო რძე იძლეოდა შესაძლებლობას, დაჯგუფებას მიეღო დამატებითი შემოსავალი, რომელიც უკანონო საქმიანობიდან

¹¹⁵Sharife K., Building Africa's Tax Havens, website: <http://www.pambazuka.org/governance/building-africas-tax-havens>

¹¹⁶William Tuohy J., The Milk Men, UK, 2001, P.1-2

მიღებულ წყაროს წარმოადგენდა, რის შემდეგაც ლეგალიზებულ სახსრებს ურევდნენ კვალის არევის მიზნით. ე. რებშერისა და ვ. ვალენკამპას კვლევებით, დანაშაულებრივი საქმიანობის შედეგად მოპოვებული ფულადი სახსრების ლეგალიზაციისათვის ყველაზე აქტიურად შემდეგი სახის ორგანიზაციები გამოიყენება: ბარები, სასტუმროები, სხვადასხვა კულტურული სადამოების მომწოდებელი სააგენტოები, ანტიკვარული მაღაზიები, საიუვილერიო მაღაზიები, მომსახურების სფერო, სამშენებლო ფირმები, დაწესებულებები, რომლებიც ვაჭრობენ ლითონითა თუ ძვირფასი ქვებით¹¹⁷. ლეგალიზაციის სქემებში ლიდერობენ ის მიმართულებები, რომლებიც ანონიმურობის დაცვისა და დიდი ოდენობით ნაღდი შავი ფულით ოპერირების შესაძლებლობას იძლევიან. პირველ რიგში, ეს არის სათამაშო ბიზნესი, რომლის დიდი ნაწილიც ხშირად დანაშაულებრივი დაჯგუფებების კონტროლს ექვემდებარება. 2015 წელს მსოფლიო სათამაშო ბიზნესის შემოსავლების მოცულობამ 159,71 მილიარდი აშშ დოლარი შეადგინა¹¹⁸. კაზინო პირველი არასაბანკო ფინანსური ორგანიზაცია გახდა, რომლისგანაც შავი ფულის გათეთრების აღკვეთის პრინციპების შესაბამისი სპეციალური პროგრამების შემუშავება მოითხოვეს. სამართალდამცავი ორგანოების ანგარიშები ცხადყოფს, რომ დამნაშავეები კაზინოში სახსრებს ძირითადად არალეგალური შავი ფულის ე.წ. ფიშკებზე გადაცვლით ათეთრებენ, რის მერეც გარკვეული პერიოდი ინახავენ მათ. მოგვიანებით დამნაშავეები ფიშკებს ცვლიან კაზინოს ჩეკზე ან ფულადი სახსრების რომელიმე მისამართზე მიწოდებას ითხოვენ. აშშ-ს კაზინოდან მიღებულმა შემოსავლების მოცულობამ 65,497 მილიონი აშშ დოლარი შეადგინა¹¹⁹.

უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის მიზნებისათვის მეტად პოპულარულია საერთაშორისო სავაჭრო გარიგებების დადება. ამ მიზნით უმეტესად გამოიყენება სპორტული ინვენტარი, კომპიუტერები, ტელევიზორები, ელექტრო აპარატურა, ავტომობილები და სხვ. ორი ყველაზე გავრცელებული მეთოდი დაკავშირებულია საქონლის გადაფასებასთან. სქემა გადაფასების გამოყენებით გულისხმობს ისეთი ინვოისის შედგენას, რომელიც აღემატება შესაბამისი საქონლის რეალურ ღირებულებას. ეს იმპორტიორს საშუალებას აძლევს, გადაიტანოს ფულადი სახსრები ოფშორულ ზონაში, როგორც იმპორტირებული საქონლისათვის

¹¹⁷Шашкова А.В, Международная И Национальная Практика Противодействия Коррупции И Отмыванию Незаконных Доходов. Практика Корпоративного Поведения, 2014, С.270

¹¹⁸<http://www.statista.com/topics/1053/casinos/ globalcasinomarket>

¹¹⁹<http://www.statista.com/topics/1053/casinos/ U.S. casino market>

გადასახდელი თანხა. ვინაიდან კომპანია არ იხდის საშემოსავლო გადასახადს ოფშორულ ზონებში, ისინი რეალურზე ბევრად უფრო მაღალ ფასს აწესებენ და ეხმარებიან ფულის გათეთრებაში.

✚ ძვირფასი ლითონებისა და ქვების გამოყენება უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციისთვის

ოქრო და სხვა ძვირფასი ლითონები დიდი ხნის განმავლობაში ასრულებდნენ ნაღდი შავი ფულის ფუნქციას, ამიტომ მათი გამოყენება უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციისათვის საკლებით კანონზომიერია. ოქროსა და სხვა ძვირფას ლითონებს აქვთ უპირატესობა-ისინი მაღალი ფასეულობის კომპაქტური საგნებია. ოქრო ,ფაქტობრივად, მთელ მსოფლიოში იყიდება ნაღდ ფულზე. შავი ფული ყველაზე მარტივად მაშინ თეთრდება, როდესაც კლიენტი უკანონო გზით ნაშონი სახსრებით ყიდულობს გამყიდველისგან ოქროს. კრიმინალური დაჯგუფებები ცდილობენ, დამალონ ოქროს წარმოშობის ნამდვილი წყარო ყალბი გადაზიდვის დოკუმენტების შექმნის გზით. ეს სქემა მათ ხელს უწყობთ, განახორციელონ გადარიცხვები და გადაიტანონ არალეგალური სახსრები. ანტვერპენის (ბელგია) აღმასის უმსხვილეს ბაზარზე ყოველწლიურად დაახლოებით 70 მილიარდი აშშ დოლარი სვდება. ამ ბაზრის ტრადიციულ გარიგების დადებისას ანონიმურობის დაცვა, რაც იდეალურ გარემოს ქმნის ფულის გასათეთრებლად. FATF-მა გამოავლინა შემთხვევა, როდესაც ადამიანმა შეიძინა 2.4 მილიონი აშშ დოლარის ღირებულების საიუვილერო ნაკეთობები, რისთვისაც გადაიხადა ნაღდი ფული. როგორც გაირკვა, მას არ ჰქონდა მუდმივი საცხოვრებელი ადგილი, არც სამსახური, ხოლო თანხა მიღებული იყო ნარკოტიკებით ვაჭრობიდან¹²⁰.

✚ კორუმპირებული პირების როლი შავი ფულის გათეთრების სქემებში

FATF ყურადღებას უთმობს პოლიტიკოსების როლს უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის პროცესში. იმ ფულადი სახსრების წყარო, რომელიც გავლენიან პირს სურს გაათეთროს, შეიძლება, იყოს კორუფციასთან დაკავშირებული შემოსავლები. გავლენიანი პოლიტიკური პირები ხშირად იყენებენ აგენტებს ფინანსური ოპერაციების განსახორციელებლად. ამ გზით გავლენიანი პირი თავს არიდებს მაკონტროლებელი ორგანოების არასასურველ ყურადღებას.

✚ უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის ძირითადი სქემები საქართველოში

უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის სქემების ტიპების დადგენისას

¹²⁰FATF, Report Money Laundering And Terrorist Financing Through Trade In Diamonds, October 2013, P.114-115

ეროვნული თავისებურებები უმრავლეს შემთხვევაში არ გაითვალისწინება. თუმცა, ჩვენ განვიხილავთ შავი ფულის გათეთრების იმ ცალკეულ მეთოდებს, რომლებიც ყველაზე ხშირად გამოიყენება საქართველოში. ევროპის საბჭოს შავი ფულის გათეთრების წინააღმდეგ მიმართულ ღონისძიებათა შემფასებელ რჩეულ ექსპერტთა მიერ საქართველოს 2010 წლის გაკეთებულ შეფასებაში ხაზგასმულია სწორედ სტატისტიკური მონაცემების სიმწირე და საგამოძიებო მოქმედებების სრულყოფისა და უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის წინააღმდეგ ბრძოლის ეფექტიანობის ამადლების მიზნით შავი ფულის გათეთრების ტიპოლოგიური ხერხების გამოვლენის აუცილებლობა. უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის ერთ-ერთ ყველაზე მარტივ მეთოდად შესაძლებელია მივიჩნიოთ უძრავი ქონების ყიდვა/გაყიდვა. ვინაიდან სავალდებულო არ არის ნასყიდობის ხელშეკრულებაში მითითებული თანხის გადაცემისა ან მიღების ფაქტის დადასტურება.

ფულის გათეთრების ერთ-ერთი მოქნილი მექანიზმია ფინანსური ინსტიტუტების გამოყენება, ლომბარდები, ვალუტის გადამცველი პუნქტები და ბანკები. მართალია, ისინი უკვე საკანონმდებლო რეგულირების სფეროში არიან მოქცეულნი, მაგრამ უმეტესად არ ხდება კლიენტების იდენტიფიცირება, რაც კარგ შესაძლებლობას ქმნის ფულის გასათეთრებლად. საბანკო სექტორში აქტიურად გამოიყენება შემდეგი მეთოდები: სახსრების დანაწევრების ტექნოლოგია, კვალის არევის მეთოდი და ფიქტიური გარიგებების დადება, მაგრამ ინვოისებისა და კონტრაქტების რეალურობის დადგენა პრაქტიკულად შეუძლებელია¹²¹. ასევე, ხდება ფიქტიური პირების გამოყენება ტრანზაქციების განსახოციელებლად. უნდა აღინიშნოს, საკანონმდებლო გამონაკლისით ეფექტურად სარგებლობის შესაძლებლობაც. მაგალითად, საბანკო ანგარიშზე დეპოზიტის განთავსება, თანხის ოდენობის მიუხედავად არ განეკუთვნება სავალდებულო რეჟიმში გადასაცემ ოპერაციათა კატეგორიას იმ მიზეზით, რომ აღნიშნულმა ზომამ არ გამოიწვიოს საბანკო სისტემაში ნაღდი ფულადი რესურსის შედინების შემცირება.

მოცემულ თავში გავეცანით შავი ფულის გათეთრების სხვადასხვა მეთოდს და გამოვიკვლიოთ, რომ არსებობს ერთი უნიფიცირებული მიდგომა, რომელიც გულისხმობს განთავსებას, დანაწევრებასა და გაერთიანებას. ამასთანავე, გამოვიკვლიოთ, თითოეულ ეტაპზე რისკის დონე, ვინაიდან მასზეა დამოკიდებული უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის აღკვეთის სტრატეგიის შერჩევა. ვნახეთ, რომ შავი ფულის გათეთრების სქემებს ძირითადად არ ახასიათებთ ნაციონალური

¹²¹საქართველოს კანონი, საქართველოს საგადასახადო კოდექსი

თავისებურებები და მათი ტიპების დადგენისას ამის გათვალისწინება არ ხდება, ვინაიდან უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციასთან დაკავშირებული ყველა გარიგების უმეტესობა ატარებს ტრანსნაციონალურ ხასიათს. ასევე, მიმოვიხილეთ ოფშორული ზონის უპირატესობები, შავი ფულის გათეთრებით დაინტერესებული პირთათვის და კვლევის საფუძველზე გამოგავლინეთ საქმიანობის ისეთი ტიპები, რომლებიც აქტიურად გამოიყენება შავი ფულის გასათეთრებლად.

თავი II. ფულის გათეთრების წინააღმდეგ ბრძოლის საერთაშორისო გამოცდილება

2.1. საერთაშორისო თანამშრომლობა ფულის გათეთრების წინააღმდეგ ბრძოლაში

ამ პარაგრაფის მიზანია უკანონოდ მიღებული ფულადი სახსრების

ლეგალიზაციასთან დაკავშირებით საერთაშორისო გამოცდილების შესწავლა. აღნიშნული კვლევა მოიცავს ფულის გათეთრებასთან მეტროლოგი საერთაშორისო ორგანიზაციებისა და გაერთიანებების გაცნობას ისევე, როგორც სხვადასხვა სამეცნიერო ჟურნალში, ქვეყნების საკანონმდებლო აქტებში საერთაშორისო ნორმატივების მიმოხილვას.

✚ XX საუკუნის 80-იანი წლების ბოლოს და 90-იანი წლების დასაწყისში საერთაშორისო დანაშაულის აღკვეთის მიზნით მიღებულ იქნა ზომები¹²². 1989 წელს პარიზში “დიდი შვიდეულის“ წარმომადგენელი ქვეყნების შესხვედრაზე შეიქმნა ფულის გათეთრების წინააღმდეგ ბრძოლის ფინანსურ ქმედებათა სპეციალური ჯგუფი, Financial Action Task Force on Money Laundering (FATF), რომელიც მოიცავს 35 სახელმწიფოსა და ორ რეგიონულ ორგანიზაციას-ევროკომისიასა და სპარსეთის ყურის ქვეყნების თანამშრომლობის საბჭოს¹²³. FATF-ის ოფისი განთავსებულია ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციის, the Organisation for Economic Co-operation and Development (OECD) შენობაში, პარიზში¹²⁴. ფულის გათეთრების წინააღმდეგ ფინანსურ ქმედებათა სპეციალური ჯგუფი თავისი საქმიანობის კოორდინირებას ახდენს გაეროსთან, ევროსაბჭოსთან, მსოფლიო ბანკთან, ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკთან, საერთაშორისო სავალუტო ფონდთან, ინტერპოლთან, საერთაშორისო თანამშრომლობის საბჭოსა და სხვა საერთაშორისო ორგანიზაციებთან¹²⁵. FATF-ის სტრუქტურის სამუშაო ჯგუფები დაკავებულნი არიან სტატისტიკის, უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის იურიდიული საკითხებითა და რეკომენდაციების, წინადადებებისა თუ სხვა ნორმის შემუშავებით. 1990 წლის თებერვალში FATF-მა შემუშავა 40 სპეციალური რეკომენდაცია, რომელიც მიზნად ისახავს ეროვნულ დონეზე ფულის გათეთრების პროცესის აღკვეთის ხელშეწყობას¹²⁶. FATF იკვლევს და ახდენს უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის ძირითადი სქემების კლასიფიცირებას და პერიოდულად აფასებს, სრულდება თუ არა მისი რეკომენდაციები. უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის წინააღმდეგ ბრძოლის

¹²²Standard Chartered, Fighting Financial Crime, What Is Money Laundering? August, 2017, P.1

¹²³Financial Action Task Force (FATF), website: <http://www.fatf-gafi.org/faq/membercountriesandobservers/>

¹²⁴The Organisation For Economic Co-Operation And Development (OECD), website: <https://www.oecd.org/cleangovbiz/toolkit/moneylaundering.htm>

¹²⁵Institute Of International And European Affairs, Setting And Implementing Global Standards Against Money Laundering And Terrorist Financing, Dublin, Ireland, February, 2014, P.2-4

¹²⁶International Standards On Combating Money Laundering And The Financing Of Terrorism & Proliferation, The FATF Recommendations, February, 2012, P.11-31

ეფექტურობის შეფასება FATF-ის მიერ შემუშავებული სპეციალური მეთოდის მიხედვით ხდება. კონკრეტულად კი, შეიმჩნევა თუ არა შიდა ეროვნულ კანონმდებლობაში ფულის გათეთრების წინააღმდეგ პროგრესი. FATF-ის საქმიანობის ერთ-ერთი მიმართულებაა იმ ქვეყნების მონიტორინგი, რომლებიც გამოიყენებენ ორგანიზებული დანაშაულობის მიერ უკანონო შემოსავლების ლეგალიზაციისთვის და პერიოდულად აწეობს სხვადასხვა ქვეყანაში ფინანსურ, იურიდიულ და საკანონმდებლო პრობლემებზე კონფერენციებს. FATF-ის 40 რეკომენდაცია უკანონოდ მიღებული შემოსავლების ლეგალიზაციის აღკვეთის ინიციატივით 1990 წელს შემუშავდა. 1996 წელს რეკომენდაციები გადაიხედა. იმავე წელს ეს რეკომენდაციები მოიწონა 130-ზე მეტმა სახელმწიფომ¹²⁷.

- რეკომენდაცია 1-3 ეძღვნება ფულის გათეთრების კრიმინალიზაციას, რომელიც იხილავს ფულის გათეთრებას როგორც დანაშაულს, რომელიც აუცილებელია, გათვალისწინებულ იქნას ყველა ცივილიზებული ქვეყნის კანონმდებლობაში;

- რეკომენდაციებში 4-20 ასახულია ნორმები, რომლებიც ეხება ფინანსური ორგანიზაციების მეშვეობით უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციისა და ტერორიზმის დაფინანსების აღკვეთას;

- რეკომენდაციები 21-22 განიხილავს ცალკეული ზომების მიღების საკითხს იმ ქვეყნებთან მიმართებაში, რომელთა საკანონმდებლო მექანიზმები არ შეესაბამება FATF-ის რეკომენდაციებს;

- რეკომენდაციები 23-25 ეხება რეგულირებისა და ზედამხედველობის საკითხებს;

- რეკომენდაციები 26-32 მოიცავს კომპეტენტური ორგანოების რესურსებსა და უფლებამოსილებას;

- რეკომენდაციებში 33-34 მითითებულია იურიდიული პირების გამჭვირვალობის უზრუნველსაყოფად მისაღები ზომები;

- რეკომენდაციებში 35-40 აღწერილია საერთაშორისო თანამშრომლობის წესები.


FATF-ის რეკომენდაციების გავლენა და მნიშვნელობა უზარმაზარია. მათ აჩვენებს, რომ საერთაშორისო საზოგადოებას აქვს თვითორგანიზების მძლავრი

¹²⁷FATF, International Standards On Combating Money Laundering And The Financing Of Terrorism & Proliferation, 2016, P.11-31

მექანიზმი, რათა აღკვეთოს ფულის გათეთრება და საერთაშორისო დანაშაულობა

✚ საერთაშორისო ორგანიზაციები და სპეციალური ქვედანაყოფები აქტიურად მონაწილეობენ ეკონომიკური დანაშაულების წინააღმდეგ ბრძოლაში. მაგალითად, ფინანსური და მაღალტექნოლოგიური დანაშაულების განყოფილების დაკვირვების ობიექტი ფულის გათეთრებასთან დაკავშირებული დანაშაულებია¹²⁸. აღნიშნული დანაშაულები ძირითადად პლასტიკური ბარათებისა და სხვა ტექნოლოგიების გამოყენებით ხორციელდება.

სქემა 8. ფულის გათეთრების წინააღმდეგ ბრძოლის მიზნები




წყარო: ა.ნ. ლიტვინენკო, ე.უ. კოვალიოვა, უკანონოდ მიღებული შემოსავლების ლეგალიზაცია

✚ ეგმონტის ჯგუფი 1995 წელს 9 ივნისს შეიქმნა. მისი სახელწოდება მომდინარეობს ბრიუსელში ეგმონტის ჯგუფის პირველი შეკრების ადგილის- ეგმონტ-არენბერგის სასახლის სახელწოდებიდან. ეგმონტის ჯგუფის მიზანია ქვეყნების ფინანსური მონიტორინგის უწყებებს შორის თანამშრომლობის კოორდინაციისა და ინფორმაციის ურთიერთგაცვლის ხელშეწყობა. ეგმონტის ჯგუფში ამჟამად 155 ქვეყნის ფინანსური მონიტორინგის უწყებაა გაერთიანებული. საქართველოს ფინანსური მონიტორინგის სამსახური ეგმონტის ჯგუფის წევრია 2004 წლის 23 ივნისიდან და აქტიურად არის ჩართული ჯგუფის საქმიანობაში. ეგმონტის ჯგუფის სტრუქტურა მოიცავს უმაღლეს მმართველ ორგანოს მასში გაწევრიანებული სხვადასხვა ქვეყნების ფინანსური მონიტორინგის უფროსების გენერალური ასამბლეის სახით, რომელიც სულ მცირე წელიწადში ერთხელ იკრიბება¹²⁹. ეგმონტის ჯგუფის საქმიანობას საფუძვლად უდევს ქარტია, ბიუჯეტი კი ფორმირდება წევრი სახელმწიფოების ყოველწლიური შენატანებითა და

¹²⁸Europol Interpol Cybercrime Conference, The Hague, Netherlands, October, 2015, P.5
¹²⁹სსიპ საქართველოს ფინანსური მონიტორინგის სამსახური, ვებ-გვერდი: <https://www.fms.gov.ge/geo/page/egmont-group>

ნებაყოფლობითი შემოწირულობებით¹³⁰. ეგმონტის ჯგუფთან თანამშრომლობითა და გაეროს ინიციატივის ფარგლებში ფულის გათეთრების აღკვეთის ხელშეწყობის მიზნით, შეიქმნა მონაცემთა საერთაშორისო ბაზა, რომელიც მოიცავს უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციასთან დაკავშირებულ დანაშაულების შესახებ მონაცემებს¹³¹.

სქემა 9. ფულის გათეთრების წინააღმდეგ ბრძოლის მექანიზმები



წყარო: ა.ნ. ლიტვინენკო, ე.უ. კოვალიოვა, უკანონოდ მიღებული შემოსავლების ლეგალიზაცია

ფულის გათეთრების აღკვეთაში მნიშვნელოვანი როლი უკავია ევროპის საბჭოს, რომელიც 1949 წელს ქ. ლონდონში შეიქმნა დასავლეთ ევროპის ათი სახელმწიფოს საგარეო საქმეთა მინისტრების მიერ ამ ორგანიზაციის წესდების ხელმოწერის შედეგად. 1949-1970 წწ. ორგანიზაციაში გაწევრიანდა დასავლეთ ევროპის კიდევ 8 სახელმწიფო. 1990 წლამდე ევროპის საბჭო დასავლეთ ევროპის სახელმწიფოთა გაერთიანებად რჩებოდა. 1989 წელს მან შემოიღო ქვეყნებისათვის სპეციალური სტუმრის სტატუსის მინიჭების ინსტიტუტი, რითაც ხელი შეეწყო ამ ორგანიზაციის არაწევრ სახელმწიფოებთან ურთიერთობის დამყარებას. პოსტ-კომუნისტურ სივრცეში განვითარებულმა პროცესებმა ევროპის საბჭოს წევრთა შემადგენლობაზეც იქონია გავლენა. ქ. ვენაში, 1993 წელს ჩატარდა წევრი სახელმწიფოების სამიტი, სადაც ოფიციალურად დადასტურდა ორგანიზაციის გაფართოვების პოლიტიკა: მასში გაწევრიანდა სოციალისტური ბანაკის მრავალი სახელმწიფო. დღეისთვის დამფუძნებელი 10 სახელმწიფოს გარდა, საბჭოს წევრი კიდევ 36 სახელმწიფოა, მათ შორის საქართველო. ევროპის

¹³⁰Egmont, 15 Years Of Trust And Confidence, Annual Report, June 2009-July 2010, P.3
¹³¹International Money-Laundering Information Network/Anti-Money-Laundering International Database, United Nations Office On Drugs And Crime, website: <https://www.unodc.org/unodc/en/money-laundering/imolin-amlid.html>

საბჭო განიხილავს ევროპის თანამეგობრობის ყველა უმნიშვნელოვანეს საკითხს, როგორებიცაა: ადამიანის უფლებები, მასობრივი ინფორმაციის საშუალებები, თანამშრომლობა სამართლებრივ დარგში, სოციალური და ეკონომიკური საკითხები, განათლება და სხვ.¹³²

✚ განსაკუთრებით საინტერესოა ევროპის საბჭოს ფულის გათეთრების წინააღმდეგ მიმართულ ღონისძიებათა შემფასებელ რჩეულ ექსპერტთა კომიტეტი და უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციისა და ტერორიზმის დაფინანსების წინააღმდეგ მებრძოლი ევრაზიის ჯგუფი, რომელთა საქმიანობაშიც მონაწილეობს საქართველოს ფინანსური მონიტორინგის სამსახური. ევროპის საბჭოს ფულის გათეთრების წინააღმდეგ მიმართულ ღონისძიებათა შემფასებელ რჩეულ ექსპერტთა კომიტეტი-MONEYVAL მოქმედებს ევროპის საბჭოს მანდატით. იგი 1997 წელს ევროპის საბჭოს წევრი სახელმწიფოების ინიციატივით შეიქმნა. კომიტეტის მიზნად განისაზღვრა ფულის გათეთრების წინააღმდეგ ბრძოლის საერთაშორისო მექანიზმებთან ევროპის საბჭოს წევრი სახელმწიფოების ეროვნული სისტემების შესაბამისობის შეფასება. თავის საშემფასებლო საქმიანობაში MONEYVAL-ის კომიტეტი FATF-ის რეკომენდაციებსა და პრაქტიკას ეყრდნობა. 1999 წლიდან საქართველო ევროპის საბჭოს ფულის გათეთრების წინააღმდეგ მიმართულ ღონისძიებათა შემფასებელ რჩეულ ექსპერტთა კომიტეტის წევრია. კომიტეტში საქართველოს წარმოადგენენ საქართველოს იუსტიციის სამინისტრო, საქართველოს პროკურატურა და საქართველოს ფინანსური მონიტორინგის სამსახური, რომელიც ხელმძღვანელობს საქართველოს დელეგაციას¹³³. MONEYVAL-ის კომიტეტი 30 წევრს აერთიანებს. კომიტეტის საქმიანობის ძირითადი მიზანია ფულის გათეთრების წინააღმდეგ ბრძოლის საერთაშორისო მექანიზმებთან ევროპის საბჭოს წევრი სახელმწიფოების ეროვნული სისტემების შესაბამისობის შეფასება¹³⁴.

✚ საბანკო კონტროლის ოფშორული ჯგუფი დაარსდა XX საუკუნის ბოლოს ოქტომბერში ბაზელის კომიტეტის ინიციატივით. შეხვედრები და საკითხების აქტიური განხილვა უმეტესად წელიწადში ერთხელ ხდება. ჯგუფი 17 სახელმწიფოს ინიციატივით დაარსდა. დღესდღეობით, ახალი მონაწილეები

¹³²Council of Europe, website: <https://www.coe.int/web/portal/home>

¹³³სსიპ საქართველოს ფინანსური მონიტორინგის სამსახური, ვებ-გვერდი: <https://www.fms.gov.ge/geo/page/egmont-group>

¹³⁴Council Of Europe, Committee Of Experts On The Evaluation Of Anti-Money Laundering Measures And The Financing Of Terrorism, MONEYVAL: 15 Years Fighting Money Laundering In Europe, 2012, P.1-2

ჯგუფში გარკვეული პირობების დაკმაყოფილების შემდეგ მიიღება, რაც დამოკიდებულია შესაბამის საერთაშორისო სტანდარტებთან დაკავშირებული იურისდიქციის ვალდებულებებზე, ასევე საწევრო გადასახადზე. ამჟამად, ჯგუფის წევრები არიან 19 სახელმწიფოს საბანკო ზედამხედველობის ორგანო. ძირითად მიზნად კი დასახელდა:

- საერთაშორისო თანამშრომლობა საზღვრისპირა რეგიონული საბანკო ზედამხედველობის საერთაშორისო სტანდარტების შემუშავებასა და განხორციელებაში;
- ჯგუფის წევრ ქვეყნებში საერთაშორისო პრინციპებზე დაფუძნებული საბანკო ზედამხედველობის სტანდარტების დანერგვა და ჯგუფის წევრი სახელმწიფოების საბანკო რეგულატორთა მუშაობის ორმხრივი შეფასებების ჩატარება.

საერთაშორისო თანამშრომლობა აქტიურად მონაწილეობს შავი ფულის გათეთრების წინააღმდეგ ბრძოლისა და ტერორიზმის დაფინანსების საკითხებში შესაბამისი საერთაშორისო სტანდარტების გაუმჯობესებით, FATF-ის მუშაობაში მონაწილეობის მიღებით და მათ მიერ შემუშავებული სტანდარტების დანერგვით. ჯგუფი ასევე აქტიურად თანამშრომლობს საბანკო ზედამხედველობის ბაზელის კომიტეტთან და აქტიურ როლს თამაშობს საერთაშორისო სტანდარტების შექმნაში¹³⁵.

✚ 1992 წლის 25 ივნისს შავი ზღვის აუზის 11 ქვეყნის: ალბანეთი, სომხეთი, აზერბაიჯანი, ბულგარეთი, საქართველო, საბერძნეთი, მოლდოვა, რუმინეთი, რუსეთის ფედერაცია, თურქეთი და უკრაინა (სერბეთი შეუერთდა 2004 წლიდან) სახელმწიფო და მთავრობათა მეთაურებმა, ევროპაში მიმდინარე მოვლენათა სწრაფი ცვლილებების გათვალისწინებით, ბოსფორის განცხადების მიღებითა და სტამბოლის დეკლარაციის ხელმოწერით საფუძველი ჩაუყარეს შავი ზღვის ეკონომიკურ თანამშრომლობას, რასაც საფუძველად დაედო ჰელსინკის დასკვნით აქტში, ევროპაში უსაფრთხოებისა და თანამშრომლობის ორგანიზაციის მიერ მიღებულ დოკუმენტებში და საერთაშორისო სამართლის სხვა საყოველთაოდ აღიარებული პრინციპები. თანამეგობრობის მთავარ მიზნებს წარმოადგენდა რეგიონის ეკონომიკური განვითარება და სტაბილურობა, წევრი ქვეყნების ხალხის კეთილდღეობა და შავი ზღვის სივრცეში დემოკრატიული პროცესების ხელშეწყობა. შავი ზღვის ეკონომიკურ თანამშრომლობამ მოახერხა რეგიონული

¹³⁵The Group of International Finance Centre Supervisors, <http://www.gifcs.org/index.php/about/history>

ინიციატივიდან საერთაშორისო ეკონომიკურ ორგანიზაციად გარდაქმნა. გადაწყვეტილების მიმღები მთავარი რეგულარული ორგანო-საგარეო საქმეთა მინისტრთა საბჭო, რომლის სხდომასაც წინ უსწრებს უფროსი თანამდებობის პირთა კომიტეტის შეხვედრა. დარგობრივი სამუშაო ჯგუფები, რომლებიც ატარებენ რეგულარულ შეხვედრებს, მოიცავენ თანამშრომლობის მრავალ სფეროს, მათ შორის ორგანიზებული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის საკითხებზე, სტატისტიკისა და ინფორმაციის გაცვლის საკითხებზე, მეცნიერებისა და ტექნოლოგიების საკითხებზე, საბანკო და საფინანსო საკითხებზე, ინსტიტუციონალური განახლებისა და მყარი მმართველობის საკითხებზე, საბაჟო საკითხებზე, საორგანიზაციო საკითხებზე და სხვ.¹³⁶ ფულის გათეთრების წინააღმდეგ საბრძოლველად კი შავი ზღვის ეკონომიკური თანამშრომლობის ფარგლებში ხელმოწერილ იქნა შემდეგი მრავალმხრივ შეთანხმებები, მათ შორის:

- შეთანხმება წვერი ქვეყნების მთავრობებს შორის დანაშაულთან, განსაკუთრებით კი მის ორგანიზებულ ფორმებთან ბრძოლაში თანამშრომლობის შესახებ;
- წვერი ქვეყნების მთავრობებს შორის დანაშაულთან, განსაკუთრებით კი მის ორგანიზებულ ფორმებთან ბრძოლაში თანამშრომლობის შესახებ შეთანხმების დამატებითი ოქმი;
- წვერი ქვეყნების მთავრობებს შორის დანაშაულთან, განსაკუთრებით კი მის ორგანიზებულ ფორმებთან ბრძოლაში თანამშრომლობის შესახებ შეთანხმების დამატებით ოქმი ტერორიზმთან ბრძოლის შესახებ¹³⁷.

✚ აზიის წყნარი ოკეანის რეგიონული ოფისი დაფუძნდა 1995 წელს ავსტრალიის მთავრობის მხარდაჭერით. სხვა საერთაშორისო ორგანიზაციებთან თანამშრომლობით, სამდივნო აქტიურად მუშაობს აზიის ქვეყნებთან და იღებს პასუხისმგებლობას ფულის გათეთრების საწინააღმდეგო პოლიტიკისა და ინიციატივების განხორციელების შესახებ. ამასთანავე, იგი უზრუნველყოფს ფულის გათეთრებასთან ბრძოლის ეფექტიანი მეთოდების შემუშავებას. 1997 წლის თებერვალში, ფულის გათეთრების საკითხზე გამართული მეოთხე უკანასკნელ სიმპოზიუმის შედეგად, აზიის/წყნარი ოკეანის ჯგუფი ოფიციალურად ჩამოყალიბდა ავტონომიურ ორგანოდ, რომელიც თავდაპირველად აერთიანებდა 13

¹³⁶საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს ოფიციალური ვებ.მისამართი: <http://www.mfa.gov.ge/MainNav/ForeignPolicy/MultilateralRelations/BSEC.aspx>

¹³⁷The Black Sea Economic Cooperation, www.bsec-organization.org

წევრ ქვეყანას. 1997 წლიდან მოყოლებული აღნიშნული ორგანო საერთაშორისო სავალუტო ფონდის, მსოფლიო ბანკის, გაეროს ნარკოტიკებისა და დანაშაულის ოფისის, გაეროს ტერორიზმის აღმასრულებელი დირექტორის, აზიის განვითარების ბანკის, თანამეგობრობის სამდივნოს, ინტერპოლისა და სხვა ორგანიზაციების აქტიური მხარდაჭერით სწრაფად იზრდება¹³⁸.

✚ უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციას კომერციული ორგანიზაციებიც ებრძვიან. 2000 წლის 30 ოქტომბერს მსოფლიოს 11-მა წამყვანმა ბანკმა-Societe Generale, Deutsche Bank AG, ABN, AMRO Bank N.V., Banco Santander Central Hispano S.A., Credit Suisse Group, UBS AG, HSBC და Barclays Bank-მა ხელი მოაწერეს საბანკო სექტორში ფულის გათეთრების აღკვეთის შესახებ საყოველთაო დირექტივებს (Wolfsberg Anti-Money Laundering Principles-ვოლფსბერგის პრინციპები)¹³⁹. ვოლფსბერგის პრინციპების შემუშავებაში მონაწილეობა მიიღო OECD-იმ და Transparency International-მა, რომლებიც დაკავებულნი არიან კორუფციის წინააღმდეგ გლობალური ბრძოლის საკითხებით.

✚ საინტერესოა უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციისა და ტერორიზმის დაფინანსების წინააღმდეგ მებრძოლი ევრაზიის ჯგუფი-The Eurasian Group on Combating Money Laundering and Financing of Terrorism, (EAG), რომელიც 2004 წელს შეიქმნა. მისი ძირითადი ამოცანები მოიცავს უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის წინააღმდეგ ბრძოლის სფეროში საერთაშორისო სტანდარტების გავრცელებას, ფინანსური დაზვერვის ფარგლებში ერთობლივი ღონისძიებების შემუშავებას, უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციისა და ტერორიზმის დაფინანსების წინააღმდეგ ბრძოლის ეფექტურობის შეფასებას, ფულის გათეთრების წინააღმდეგ ბრძოლის გამოცდილების გაზიარებასა და თანამშრომლობის პროგრამის კოორდინაციას¹⁴⁰.

✚ ფულის გათეთრების წინააღმდეგ ბრძოლაში ასევე მნიშვნელოვან როლს ასრულებს ანგარიშსწორების საერთაშორისო ბანკი¹⁴¹, ფასიანი ქაღალდების კომისიის საერთაშორისო ორგანიზაცია, რომელიც აერთიანებს 70-ზე

¹³⁸Asia / Pacific Group On Money Laundering, website: <http://www.apgml.org/about-us/page.aspx?p=91ce25ec-db8a-424c-9018-8bd1f6869162>


¹³⁹The Wolfsberg Group, Nk, Wolfsberg Statement On The Suppression Of The Financing Of Terrorism, 2002, P.1

¹⁴⁰Agreement on the Eurasian Group on Combating Money Laundering and Financing of Terrorism, <https://eurasiangroup.org/Agreement.pdf>

¹⁴¹The BCBS Expands Its Guidelines On Anti-Money Laundering And Countering Terrorist Financing With A "General Guide To Account Opening", 2016, P.1-2

მეტი ქვეყნის სახელმწიფო ორგანოს¹⁴², ფინანსური სტაბილიზაციის ფორუმი, რომელიც შეიმუშავებს ზომებს მსოფლიოში ფინანსური სტაბილურობის დაცვის მიზნით¹⁴³.

სქემა 10. საერთაშორისო თანამეგობრობა ჩართული ფულის გათეთრების წინააღმდეგ ბრძოლაში



წყარო: ა.ნ. ლიტვინენკო, ე.უ. კოვალიოვა, უკანონოდ მიღებული შემოსავლების ლეგალიზაცია

შავი ფულის გათეთრების პრობლემის მოგვარების მიზნით არაერთი კონვენციაა მიღებული ბოლო ათწლეულების მანძილზე.

✚ უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის წინააღმდეგ ბრძოლის ფუძემდებლური დოკუმენტია 1988 წლის 20 დეკემბრის “ნარკოტიკული საშუალებებისა და ფსიქოტროპული ნივთიერებების უკანონო ბრუნვის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ“ გაეროს ვენის კონვენცია, რომელშიც დაისვა ორგანიზებული დანაშაულობის წინააღმდეგ ბრძოლის საკითხი¹⁴⁴. კონვენციაში ყურადღება ეთმობა უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის სფეროში საერთაშორისო თანამშრომლობის საკითხებს. მონაწილეებს ეკისრებათ ვალდებულება, მიიღონ საკანონმდებლო ზომები, რომლის თანახმადაც კომპეტენტურ ორგანოებს უფლება ექნებათ გასცენ განკარგულება კომერციული დოკუმენტების წარდგენის შესახებ.

¹⁴²Objectives And Principles Of Securities Regulation, International Organization Of Securities Commissions, May 2003, P.16

¹⁴³Financial Stability Board, Press Releases, Further Action Agreed To Address Decline In Correspondent Banking Relationships, P.1-2, July, 2017

¹⁴⁴United Nations Convention Against Illicit Traffic In Narcotic Drugs And Psychotropic Substances, United Nations, 1988, P.4

✚ 1988 წლის დეკემბერში “დიდი შვიდეულის” ქვეყნების ცენტრალური ბანკების ხელმძღვანელობამ ბაზელში მიიღო დეკლარაცია, ე.წ. ბაზელის დეკლარაცია, რომელშიც აისახა ის პრინციპები, რომლითაც ხელმძღვანელობენ საბანკო სისტემები ფულის გათეთრების წინააღმდეგ საბრძოლველად¹⁴⁵. ევექტურობისათვის რეკომენდირებულია ბანკთან ურთიერთობის დამყარების მსურველი პირის იდენტიფიცირება და ფინანსური გარიგებების სფეროში მოქმედი საკანონმდებლო და ნორმატიული აქტების დაცვის აუცილებლობა.

✚ უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის აღმკვეთი ძირითადი საერთაშორისო სამართლებრივი აქტია “დანაშაულებრივი საქმიანობის შედეგად მიღებული შემოსავლების გამოვლენის, ამოღებისა და კონფისკაციის შესახებ” ევროპის საბჭოს კონვენცია, მიღებული 1990 წლის 8 ნოემბერს სტრასბურგში, რომელიც აახლოებს უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის სამართლებრივ შეფასებას მონაწილე ქვეყნების კანონმდებლობებში და შეიმუშავებს საერთაშორისო თანამშრომლობის ფორმებსა და პროცედურებს¹⁴⁶.

✚ 2000 წელს, პალერმოში, გაეროს სამიტზე მიიღეს კონვენცია “ტრანსნაციონალური ორგანიზებული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ”¹⁴⁷, რომლის მიხედვით გათვალისწინებულია საკუთრების კონფისკაცია, როდესაც ქონება მოპოვებულია დანაშაულებრივი გზით. აგრეთვე, საბანკო საიდუმლოების უგულებელყოფის აუცილებლობა, თუ ფინანსური ოპერაცია დაკავშირებულია არალეგალური კაპიტალის ლეგალიზებასთან. გაეროს კონვენცია, რომელიც მიღებულია 2003 წელს ამყარებს მჭიდრო სამართლებრივ კავშირს კორუფციასა და უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციას შორის¹⁴⁸.

✚ “დანაშაულებრივი გზით მიღებული შემოსავლების გათეთრების, მოძიების, ამოღებისა და კონფისკაციის და ტერორიზმის დაფინანსების შესახებ” ევროპის საბჭოს კონვენცია შეიმუშავებულია 2005 წლის 16 მაისს. საქართველოს პარლამენტმა მისი რატიფიცირება მოახდინა 2013 წელს. კონვენციის მონაწილეა 38 სუბიექტი (მათ შორის ევროსაბჭოს წევრი 37 სახელმწიფო და საერთაშორისო ორგანიზაცია ევროკავშირის სახით), რომელთაგანაც, დღევანდელი მდგომარეობით,

¹⁴⁵The Basel Committee On Banking Supervision In Basel, Switzerland, A Set Of Minimum Capital Requirements For Banks, 1988, P.1-2

¹⁴⁶Recommendation No. R (91) 12 Of The Committee Of Ministers To Member States Concerning The Setting Up And Functioning Of Arbitral Tribunals Under Article 42, Paragraph 2, Of The Convention Of 8 November 1990 On Laundering, Search, Seizure And Confiscation Of The Proceeds From Crime

¹⁴⁷United Nations Office On Drugs And Crime, United Nations Convention Against Transnational Organized Crime And The Protocols Thereto, 2017

¹⁴⁸United Nations Office On Drugs And Crime, United Nations Convention Against Corruption, New York, 2004, P.1

25-ს აქვს რატიფიცირებული¹⁴⁹. ვარშავის კონვენცია ეფუძნება ფულის გათეთრების მიმართულებით არსებულ საერთაშორისო გამოცდილებას, მხედველობაში იღებს ევროპის საბჭოს 1990 წლის კონვენციას “დანაშაულებრივი გზით მიღებული შემოსავლების გათეთრების, მოძიების, ამოღებისა და კონფისკაციის შესახებ” და გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის მიერ 1999 წლის 9 დეკემბერს მიღებულ საერთაშორისო კონვენციას “ტერორიზმის დაფინანსების აღკვეთის შესახებ” და მისი მიზანია საზოგადოების დაცვისაკენ მიმართული ერთიანი სისხლის სამართლის პოლიტიკის განხორციელება. კონვენცია ავალდებულებს მხარეებს მიიღონ ისეთი საკანონმდებლო ზომები, რომლებიც შესაძლებლობას მისცემს “უზრუნველყონ უკანონო წარმოშობის ქონების ან ამ დანაშაულით მიღებული შემოსავლის მოძიების, გამოვლენის, ამოცნობის, დაყადაღების, ამოღების და კონფისკაციის შესაძლებლობა, რომელიც მთლიანად ან ნაწილობრივ გამოიყენება ან გამოყოფილია ნებისმიერი გზით გამოსაყენებლად, არალეგალური აქტივობების დასაფინანსებლად და უზრუნველყოს ამ მიზნით თანამშრომლობა მაქსიმალური შესაძლებლობის ფარგლებში“, “აუცილებლობის შემთხვევაში კონფისკაცია გაუკეთონ იმ საშუალებებს და შემოსავალს ან ქონებას, რომელთა ღირებულებაც შეესაბამება ამ შემოსავალს და გათეთრებულ ქონებას”, “სწრაფად მოახდინონ იდენტიფიცირება, გამოავლინონ, ყადაღა დაადონ ან ამოიღონ ქონება, რომელიც ექვემდებარება კონფისკაციას”, “ფინანსური დაზვერვის სამსახურს ან, საჭიროების შემთხვევაში, ნებისმიერ სხვა კომპეტენტურ ორგანოს, როდესაც არსებობს ეჭვი, რომ გარიგება დაკავშირებულია ფულის გათეთრებასთან, შეაჩეროს ან უარი ეთქვას მიმდინარე გარიგებასთან დაკავშირებულ თანხმობაზე იმისათვის, რომ მოახდინოს გარიგების ანალიზი“¹⁵⁰. კონვენცია ასევე ითვალისწინებს ფინანსური დაზვერვის სამსახურების ურთიერთთანამშრომლობის ვალდებულებას ან სხვა საეჭვო გარიგების დროულად შეჩერების თაობაზე. უფლებამოსილმა სამსახურებმა, უცხო ფინანსური დაზვერვის სამსახურის მიერ მოთხოვნის საფუძველზე, უნდა შეაჩერონ თანხმობის მიცემაზე მიმდინარე გარიგებასთან დაკავშირებით იმ ვადით და იმ პირობის შესაბამისად, რომელიც გამოიყენება ეროვნული კანონმდებლობით გარიგებების გადავადებასთან დაკავშირებით.

ცხრილი 2. შავი ფულის გათეთრების წინააღმდეგ არსებული ძირითადი

¹⁴⁹ კვლევითი დეპარტამენტი, კანონშემოქმედებითი საქმიანობის საინფორმაციო უზრუნველყოფის განყოფილება, 2015, გვ.1-4

¹⁵⁰ ვარშავის კონვენცია, თავი 5, მუხლი 47

საერთაშორისო დოკუმენტები

წელი	დოკუმენტის დასახელება
1957	ევროპული კონვენცია ექსტრადაციის შესახებ
1959	ევროპული კონვენცია “სისხლის სამართლის საქმეებზე ურთიერთთანამშრომლობის შესახებ”
1990-მიღებული 1996-გადახედული	FATF-ის 40 რეკომენდაცია
1988	გაეროს კონვენცია “ნარკოტიკული საშუალებებისა და ფსიქოტროპული ნივთიერებების უკანონო ბრუნვის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ”
1990	ევროპის საბჭოს კონვენცია “დანაშაულებრივი საქმიანობის შედეგად მიღებული შემოსავლების გამოვლენის, ამოღებისა და კონფისკაციის შესახებ”
1991	ევროპის საბჭოს დირექტივა N91/308/EEC ფინანსური სისტემების ფულის გათეთრების მიზნით გამოყენების შეწყვეტის შესახებ

წყარო: ა.ნ. ლიტვინენკო, ე.უ. კოვალიოვა, უკანონოდ მიღებული შემოსავლების ლეგალიზაცია

დღესდღეობით არსებობს სხვადასხვა საერთაშორისო დოკუმენტი თუ ორგანიზაცია, რომელიც მიმართულია უკანონოდ მიღებული სახსრებისათვის ლეგალური სახის მიცემის წინააღმდეგ საბრძოლველად. აღნიშნული დოკუმენტებისა თუ ორგანიზაციების რიცხვი მატულობს, რაც ხაზს უსვამს პრობლემის აქტუალურობას XXI საუკუნეში.

2.2. ფულის გათეთრებასთან ბრძოლის გამოცდილება ქვეყნების მიხედვით

ფულის გათეთრების წინააღმდეგ, სხვადასხვა ქვეყნის მიერ მიღებული რეგულაციები ხელს უწყობს აღნიშნული დანაშაულის დონის შემცირებას. ფულის გათეთრების მცდელობა მსოფლიოს ნებისმიერ ქვეყანაში არის შესაძლებელი. აღნიშნულიდან გამომდინარე, აუცილებელია, შევეხოთ ფულის გათეთრების წინააღმდეგ ბრძოლის უცხოურ გამოცდილებას, რომელიც განხილული გვაქვს ქვეყნების მიხედვით.

ტერორიზმის დაფინანსებისა და უკანონო გზით მიღებული შემოსავლების დოკუმენტებით, საეჭვო გარიგებისა თუ ოპერაციის შეჩერების ვადა განსხვავებულად განისაზღვრება სხვადასხვა ქვეყანაში. თუმცა, ძირითადი პრინციპები მსგავსია ქვეყნის სპეციფიკის მიუხედავად: ფინანსური მონიტორინგის სამსახური უფლებამოსილი ხდება, საეჭვო გარიგების შესახებ ვარაუდის

არსებობისას მისცეს წერილობითი მითითება მონიტორინგის განმახორციელებელ პირს გარიგებისა და ოპერაციის შეჩერების ან გარიგებაში მონაწილე პირებთან დაკავშირებული ნებისმიერი ოპერაციის აღნიშნული პერიოდით შეჩერების, შეზღუდვის თაობაზე. კონვენციის ხელმომწერ ქვეყნებში საეჭვო გარიგებისა თუ ოპერაციის შეჩერების საკითხების რეგულაციები (ფულის უკანონო მოძრაობისა და ტერორიზმის შესახებ კანონები, საბანკო საქმიანობის შესახებ კანონი, სისხლის სამართლის კოდექსით და სხვ.) მცირედით განსხვავდება ერთმანეთისგან.

✚ ავსტრია ფულის გათეთრების სატრანზიტო ქვეყანაა. ფულის გათეთრების აღკვეთაში ავსტრიის ერთ-ერთ ძირითად პრობლემას ყოფილი საბჭოთა რესპუბლიკებიდან და აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებიდან გაურკვეველი წარმოშობის ფონდების მოძრაობის კონტროლი წარმოადგენს. საბანკო-საფინანსო სფერო ავსტრიის ბანკის 1991 წელს მიღებული ნორმებით, ხოლო სისხლის სამართლის პასუხისმგებლობა “სისხლის სამართლის კოდექსში“ 1993 წელს შეტანილი ცვლილებებით რეგულირდება. ლიმიტს ზემოთ არსებულ ფინანსურ ოპერაციებს აკონტროლებს ავსტრიის ბანკი¹⁵¹.

✚ აშშ-ში დაფიქსირებული ფულის გათეთრების ფაქტებიდან 60-80% ნარკოტიკების რეალიზაციის შედეგად მიღებული სახსრების ლეგალიზაციაზე მოდის, რასაც ლათინური ამერიკის ქვეყნებთან გეოგრაფიული სიახლოვე განაპირობებს. აშშ-ში The Financial Crimes Enforcement Network (FinCEN) 1990 წელს შეიქმნა, რომლის მიზანია კანონმდებლობაში ცვლილებების შეტანაზე ზეწოლა და საბანკო საიდუმლოების შემცველი ინფორმაციის გაანალიზება¹⁵². ბოლო პერიოდში აშშ-ს ხელისუფლების მიერ გატარებული აქტიური ღონისძიებების შედეგად ფულის გათეთრების მრავალი ფაქტი იდენტიფიცირდა. აშშ-მ ფულის გათეთრების აღკვეთის მიმართულებით გააძლიერა სავალუტო გარიგებათა აღრიცხვის სისტემა, გააუმჯობესა სხვა ქვეყნების სამთავრობო ფინანსურ რგოლებთან ფულის გათეთრების აღკვეთის სფეროში თანამშრომლობა, საერთო სისტემაში მოაქცია საერთაშორისო და ადგილობრივი საჰაერო რეისებით გადაადგილებულ პირებზე ინფორმაცია და გააუმჯობესა აღრიცხვიანობის სისტემა.

✚ ალბანეთში ტერორიზმისა და ფულის უკანონო მოძრაობის საკითხები ცალკე პროცედურებით არ რეგულირდება. სისხლის სამართლის კოდექსი არეგულირებს ბრალდებულ პირებთან დაკავშირებულ საკითხებს. ექვმიტანილი

¹⁵¹European Banking Federation, Money Laundering Legislation, National Measures, Fraud Working Group, 2002, P.1-3
¹⁵²Financial Crimes Enforcement Network, website: <https://www.treasury.gov/about/history/Pages/fincen.aspx>

პირებისა და მათთან დაკავშირებული ანგარიშებისა და გარიგებების შეჩერების შესახებ გადაწყვეტილებას იღებს სასამართლო, პროკურორის მიმართვის საფუძველზე. სასამართლო ვალდებულია გადაწყვეტილება მიიღოს 24 საათის განმავლობაში და მისი მოქმედების ვადა განისაზღვრება 15 დღით.

✚ იგივე წესით ხდება ოპერაციის შეჩერება ბულგარეთშიც-პროკურორი მიმართავს სასამართლოს საექვო გარიგების შეჩერების მოთხოვნით, რომელიც სასამართლომ უნდა განიხილოს 24 საათის განმავლობაში¹⁵³.

✚ ბელგიაში ერთ-ერთ მნიშვნელოვან პრობლემას წარმოადგენს მეზობელ ქვეყნებთან ნარკოტიკებით ვაჭრობა, რომლის შედეგად წარმოიქმნება შავი ფული. ამასთან, ქვეყანაში გამოიკვეთა ფულის გათეთრების შემდეგი ძირითადი მეთოდები: ვალუტის გადაცვლა, სართაშორისო გადარიცხვები, საბანკო ანგარიშებზე ფულის ჩარიცხვები. ბელგიამ სისხლის სამართლის კანონმდებლობაში გაითვალისწინა საერთაშორისო გამოცდილება ფულის გათეთრების საწინააღმდეგო ღონისძიებებში და 1990 წლის 17 ივლისის აქტით შეიტანა დამატება, რომლის საფუძველზეც ფულის გათეთრების მფარველ პირებს სისხლის სამართლის პასუხისმგებლობა დაეკისრათ. 1993, 1994 და 1995 წლის აქტებით შევიდა დამატებები, რომლებიც მიზნად ისახავდნენ ფინანსურ სისტემაში ფულის გათეთრების აღკვეთას და თანამშრომლობას ავალებდა ფინანსურ ინსტიტუტებს სპეციალურ მაკონტროლებელ ორგანოებთან. ფულის გათეთრების აღკვეთის რეალური ღონისძიებების გატარების მიზნით შეიქმნა დამოუკიდებელი მაკონტროლებელი ორგანო, რომელსაც ფართო უფლებები გააჩნია: კონტროლი, რეგულირება და საჯარიმო სანქციების დაკისრება¹⁵⁴.

✚ გერმანიაში უკანონო შემოსავლის მიღების ძირითადი ნაწილი დაკავშირებულია ნარკოტიკების ბრუნვასთან, საკუთრების წინააღმდეგ ჩადენილ დანაშაულებებთან, სიგარეტისა კონტრაბანდასთან, გაყალბებასთან, იარაღით ვაჭრობასთან და სხვა დარღვევებთან. გერმანიაში დსთ-ის და აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებიდან დიდი თანხები შეედინება, რომელთა წარმომავლობაც უმეტეს შემთხვევებში გაურკვეველია. აღსანიშნავია, რომ გერმანიაში მოქმედი

¹⁵³ნიაური ნ., კვლევითი დეპარტამენტი. კანონშემოქმედებითი საქმიანობის საინფორმაციო უზრუნველყოფის განყოფილება, 2015

¹⁵⁴ European Banking Federation, Money Laundering Legislation, National Measures, Fraud Working Group, 2002, P.4-8

კანონმდებლობით 30,000 გერმანულ მარკაზე, იგივე 16,700 აშშ დოლარზე მეტი მოცულობის ნებისმიერი ფინანსური ოპერაცია კონტროლს ექვემდებარება¹⁵⁵.

✚ დანია ნარკოტიკებით მოვაჭრე მსხვილ ქვეყანას არ წარმოადგენს, მაგრამ აღნიშნული საქმიანობის შედეგად ამოღებული თანხები სოლიდური მასშტაბების აღმოჩნდა. დანიაში ფულის გათეთრების საწინააღმდეგო სისტემა, სახელმწიფო სტრუქტურების მიერ გატარებულ ღონისძიებებთან ერთად ორიენტირებულია კერძო სტრუქტურებთან თანამშრომლობისა და კონტროლის სისტემაზეც. ქვეყანაში გარკვეული საკანონმდებლო ცვლილებები გატარდა. 1993 წლის 1 ივლისიდან ძალაში შესული საკანონმდებლო აქტით, რომელიც ძირითადად ევროგაერთიანების დირექტივას ასახავდა, განისაზღვრა ფინანსური სექტორისათვის საბაზისო ღონისძიებები-ოპერაციების განმახორციელებელი პირების იდენტიფიკაცია, გადარიცხვები, სხვადასხვა სახის ოპერაციებზე დოკუმენტაციის წარმოების აუცილებლობა და სხვ. საკანონმდებლო აქტით, შეიქმნა ფულის გათეთრების აღკვეთის ოფისი, რომელიც მთელი ინფორმაციის აკუმულირებასა და მონიტორინგს ახორციელებს. 1996 წელს კანონმდებლობაში შეტანილი ცვლილებებით უკანონო შემოსავლის კონფისკაციის სისტემა დაიხვეწა და გააქტიურდა. ამასთან, სისხლის სამართლის პასუხისმგებლობა გაიზარდა იმ პირებზე, რომლებიც მფარველობენ ფულის გათეთრების ღონისძიებებს¹⁵⁶.

✚ ესტონეთის სიახლოვე რუსეთთან და ნარკოტიკების შემოტანა კონტრაბანდისა და შავი ფულის არსებობას განაპირობებს. 1999 წელს დანაშაულის დონე 11%-ით გაიზარდა, მათ შორის უმეტესი წილი ნარკოტიკებით უკანონო ვაჭრობაზე მოდის. აღსანიშნავია, რომ ფულის გათეთრების აღკვეთის მიმართულებით ესტონეთში გამკაცრდა სამართლებრივი რეგულირება, რომლის ძირითად ბერკეტს ფულის გათეთრების საწინააღმდეგო სისტემა The Money Laundering Prevention Act და სისხლის სამართლისა და ადმინისტრაციულ კოდექსში შეტანილი ცვლილებები წარმოადგენს. გათეთრების მცდელობა ისჯება 4-დან 10 წლამდე თავისუფლების აღკვეთით, შემოღებულია კონფისკაციის სისტემა¹⁵⁷.

✚ ირლანდიაში ნარკოტიკების უკანონო ბრუნვიდან მიღებული შემოსავალი უკანონო შემოსავლების ძირითად ნაწილს წარმოადგენს. სხვა უკანონო

¹⁵⁵ European Banking Federation, Money Laundering Legislation, National Measures, Fraud Working Group, 2002, P.20-23

¹⁵⁶European Banking Federation, Money Laundering Legislation, National Measures, Fraud Working Group, 2002, P.9-11

¹⁵⁷European Banking Federation, Money Laundering Legislation, National Measures, Fraud Working Group, 2002, P.92-95

შემოსავლებს წარმოადგენს: სამეურნეო დანაშაულებები, სიგარეტისა და სპირტის კონტრაბანდა, ტერორიზმი. ირლანდიის პირველ საკანონმდებლო ნაბიჯს წარმოადგენს 1994 წლის კანონი, რომლითაც განისაზღვრა საფინანსო სექტორისათვის საექვო ოპერაციებზე ინფორმირების სისტემა, პირების იდენტიფიკაცია და დოკუმენტაციის შენახვა. ფულის გათეთრების ფაქტების გამოძიებისა და აღკვეთისათვის 1995 წელს პოლიციაში შეიქმნა საგამოძიებო განყოფილება. 1996 წელს კი ირლანდიამ რატიფიკაცია გაუკეთა და სრულად განახორციელა ვენის და ევროგაერთიანების შეთანხმებები¹⁵⁸.

✚ იტალიაში უკანონო შემოსავლის მიღების ძირითადი წყაროა ნარკოტიკების უკანონო ბრუნვიდან მიღებული შემოსავლები, გამომძაღველობა და უკანონო დანაშაული. ბოლო პერიოდში დამნაშავეთა ჯგუფის მიერ ორგანიზებული ფულის გათეთრება უფრო რთული მეთოდებით ხორციელდებოდა, მათ შორის კვალიფიციური კონსულტანტების ან დამოუკიდებელი ორგანიზაციების დახმარებით. იტალიური დანაშაულებრივი ორგანიზაციების ინტერნაციონალიზაცია ართულებს უკანონო შემოსავლების აღმოჩენას ნაკლებად კონტროლირებადი ეკონომიკური დარგის მქონე ქვეყნებში. ფულის გათეთრების აღკვეთის მიმართულებით იტალიაში მთელი რიგი საკანონმდებლო ღონისძიებები განხორციელდა. 1991 წელს შემოღებული ღონისძიებები მაქსიმალურად ამცირებდა წარმომდგენზე ფულადი ოპერაციების შესაძლებლობას და სავალდებულო კონტროლს აქვემდებარებდა დაწესებული ლიმიტი 20მლნ. იტალიური ლირის ოდენობით. 1993 წელს მიღებული “ფულის აღკვეთის შესახებ“ კანონით და 1997 წლის ცვლილებებით შეიქმნა სპეციალური ორგანო სახელწოდებით Ufficio Italiano dei Cambi, რომელსაც იტალიის ეროვნული ბანკი თავმჯდომარეობს. ფულის გათეთრების აღკვეთისათვის აღნიშნულ ორგანოს შესაბამისი ღონისძიებების გატარებისა და ადმინისტრაციული კონტროლის უფლებამოსილებანი მიენიჭა¹⁵⁹.

✚ ლატვიის საკანონმდებლო ორგანომ 1997 წლის 18 დეკემბერს მიიღო კანონი “დანაშაულებრივი გზით მიღებული შემოსავლების გათეთრების პრევენციის შესახებ“, რომელიც 1998 წლის 1 იანვრიდან ამოქმედდა. აღნიშნული კანონით, ფულადი სახით განხორციელებული ყველა გარიგება, რომელიც 15,700 აშშ

¹⁵⁸Criminal Justice Act, Overview Of Irish Law On Money Laundering, 1994, P.1-15

¹⁵⁹ European Banking Federation, Money Laundering Legislation, National Measures, Fraud Working Group, 2002, P.38-41

დოლარს აღემატება ექვემდებარება კონტროლს¹⁶⁰. ფულის გათეთრების მაკონტროლებელი ორგანოა ფულის გათეთრების ოპერაციების გამოვლენის ოფისი, სადაც გროვდება შესაბამისი ინფორმაციები, ხოლო დანაშაულის ნიშნების არსებობის შემთხვევაში, ინფორმაცია გენერალურ პროკურატურას გადაეცემა.

✚ ლიტვაში ფულის გათეთრების აღკვეთის მიმართულებით რიგი საკანონმდებლო ცვლილებები განხორციელდა. 1997 წელს მიიღეს კანონი “ფულის გათეთრების პრევენციის შესახებ”. ფულის გათეთრების აღკვეთაზე პასუხისმგებელი ორგანოებია ლიტვის მთავრობა, საგადასახადო პოლიცია, ლიტვის ეროვნული ბანკი და საბაჟო დეპარტამენტი. კანონის შესრულებაზე პასუხისმგებელი ორგანოა ლიტვის საგადასახადო პოლიცია. კანონმდებლობით, საინფორმაციო ბანკში გროვდება მონაცემები გარიგებებზე, რომელთა ღირებულება აღემატება 12,500 აშშ დოლარს, ხოლო ვალუტის ერთჯერად გადაცვლაზე 5,000 აშშ დოლარი და სადაზღვევო პრემიაზე 2,500 აშშ დოლარი¹⁶¹.

✚ ლუქსემბურგში საკანონმდებლო რეგულირებით, 1993 წელს მიიღეს ფინანსური სექტორის გამაფრთხილებელი ღონისძიებები, რომელიც სადაზღვევო სფეროსაც შეეხო 1993 წლიდან. აღნიშნული სისტემა საექვო გარიგებების შესახებ ინფორმაციის პროკურორის ოფისისთვის მიწოდებას ითვალისწინებს, რომელიც ფულის გათეთრების აღკვეთისთვის გასატარებელი ღონისძიებების მთავარი კოორდინატორი ორგანოა. სისხლის სამართლის კანონმდებლობაში 1992 წელს შეტანილი ცვლილებები ამ სახის დანაშაულთათვის სისხლის სამართლებრივ დევნას და უკანონო შემოსავლის კონფისკაციას ითვალისწინებს¹⁶².

✚ ნიდერლანდებში ნარკოტიკული საშუალებების რეალიზაცია და მოხმარება მოწესრიგებულია. ნიდერლანდების სამეფოში უკანონო შემოსავლების საკმაოდ დიდი რაოდენობა, დაახლოებით 5 მილიარდი დოლარია გენერირებული. ფული თეთრდება მეწარმეების მიერ სხვა ქვეყნებთან უნაღლო ანგარიშსწორების გზით. ნიდერლანდების სამეფოში გასატარებელ ღონისძიებათა შორის პრიორიტეტია სხვა ქვეყნებთან თანამშრომლობა და ინფორმაციის გაცვლა. ამ ღონისძიებების

¹⁶⁰ European Banking Federation, Money Laundering Legislation, National Measures, Fraud Working Group, 2002, P.102-106

¹⁶¹ Law Of The Republic Of Lithuania On Amending The Law On Prevention Of Money Laundering, 1997

¹⁶² European Banking Federation, Money Laundering Legislation, National Measures, Fraud Working Group, 2002, P.42-45

განმახორციელებელ ორგანოს იუსტიციის სამინისტროს განყოფილება Meldpunt Ongebruikelijke Transacties წარმოადგენს¹⁶³.

✚ პოლონეთში ფინანსთა სამინისტროს ფინანსური გამოძიების სამსახურს უნდა ეცნობოს ყველა ტრანზაქციის შესახებ, რომელიც აღემატება 15,000 ევროს ან წარმოადგენს საეჭვო ტრანზაქციას. ფინანსური გამოძიების სამსახური უფლებამოსილია, შეაჩეროს გადარიცხვები 72 საათის განმავლობაში.

✚ პორტუგალიაში უკანონო შემოსავლის ძირითად წყაროს ნარკოტიკებიდან მიღებული შემოსავალი წარმოადგენს. ქვეყნის გეოგრაფიული მდებარეობა, ჩრდილოეთ აფრიკის ქვეყნებთან სიახლოვე ნარკოტიკებისა და ფსიქოტროპული საშუალებების ყველაზე დიდ შემოდინებას განაპირობებს. ფულის გათეთრების ძირითად მეთოდს კი ოფშორულ ზონებთან ანგარიშსწორება წარმოადგენს. ფულის გათეთრების აღკვეთის მიმართულებით პირველი ღონისძიებები 1993 წელს გატარდა, 1998 წელს კი გაამკაცრეს სისხლის სამართლის პასუხისმგებლობა, შემოიღეს სავალდებულო კონტროლისა და უკანონო შემოსავლის კონფისკაციის შესაძლებლობა¹⁶⁴.

✚ რუსეთში უკანონო შემოსავლის მიღების ძირითადი ნაწილი დაკავშირებულია ნარკოტიკების ბრუნვასთან, კონტრაბანდასთან, კორუფციასთან და სხვადასხვა ეკონომიკურ დანაშაულებებთან. 2001 წელს რუსეთის ფედერაციის სათათბირო ორგანომ-დუმამ მიიღო კანონი “დანაშაულებრივი გზით მიღებული შემოსავლების ლეგალიზაციის აღკვეთის შესახებ”, რითაც აუცილებელი გახდა დადგენილ ლიმიტზე, ფულად ან სხვა მოძრავ ქონებაზე 500,000, ხოლო უძრავ ქონებაზე 25,000,000 რუსულ რუბლზე მეტი ღირებულების ოპერაციაზე კონტროლი ფინანსური მონიტორინგის კომიტეტის მიერ¹⁶⁵.

✚ საბერძნეთში ნარკოტიკების რეალიზაციის შედეგად მიღებული შემოსავლები უკანონო გზით მიღებული შემოსავლების ერთ-ერთ მნიშვნელოვან წყაროს წარმოადგენს. ფულის გათეთრების აღკვეთის კანონმდებლობა მიიღეს 1995 წელს, რომელიც ადმინისტრაციულ მეთოდებთან ერთად მოიცავს კონფისკაციის

¹⁶³European Banking Federation, Money Laundering Legislation, National Measures, Fraud Working Group, 2002, P.46-50

¹⁶⁴European Banking Federation, Money Laundering Legislation, National Measures, Fraud Working Group, 2002, P.56-58

¹⁶⁵Federal Law, No. 115-Fz Of August 7, 2001, On Countering The Legalisation Of Illegal Earnings (Money Laundering) And The Financing Of Terrorism (With The Amendments And Additions Of July 25, October 30, 2002, July 28, 2004, November 16, 2005, July 27, 2006, April 12, July 19, 24, November 28, 2007, July 17, 2009) Adopted By The State Duma On July 13, 2001, Approved By The Federation Council On July 20, 2001

პროცედურებს და თანამშრომლობას სხვა ქვეყნის ფულის გათეთრების აღკვეთის მწარმოებელ ორგანოებთან¹⁶⁶.

✚ საფრანგეთი ეკონომიკური სტაბილურობის, პოლიტიკური ადგილმდებარეობისა და მყარი ვალუტის არსებობის პირობებში, ფულის გათეთრების მსურველთათვის მიმზიდველ სახელმწიფოს წარმოადგენს. 1990 წლის 12 ივლისიდან სპეციალური ფინანსური ორგანოს Traitement Du Renseignement Et Action Contre Les Circuits Financiers Clandestins-ის შექმნის დღიდან ფულის გათეთრებასთან ბრძოლა საფრანგეთის პრიორიტეტია. საფრანგეთის დედაქალაქ პარიზში ჩაეყარა საფუძველი სპეციალურ საერთაშორისო ორგანიზაციის FATF-ის შექმნას. ფულის გათეთრების აღკვეთის მიმართულებით შემუშავდა და დაიხვეწა საკანონმდებლო ბაზა. ამასთანავე, 1996 წლის 13 მაისს მიღებული კანონი, რომელიც ეხებოდა ნარკოტიკებისა და ფულის უკანონო ბრუნვის აკრძალვას, ამ სფეროში საერთაშორისო თანამშრომლობის განვითარებასა და შემოსავლების კონფისკაციას, ფულის გათეთრების აღკვეთის გასაკონტროლებლად იუსტიციის სამინისტროს სპეციალური ორგანო შეიქმნა¹⁶⁷.

✚ წერილობითი, ზეპირი, ელექტრონული ან სატელეფონო სახით არის შესაძლებელი გარიგების/ოპერაციის შეჩერებაზე ბრძანების გაცემა სლოვაკეთშიც. ამასთან, სლოვაკეთში, რუმინეთსა და ჩეხეთში საეჭვო ტრანზაქციის გადავადების ხანგრძლივობა 48 საათით განისაზღვრება და მონიტორინგის შესაბამისი სამსახურების მოთხოვნით, შესაძლებელია ამ პერიოდის 72 საათამდე გაგრძელება. 72 საათიანი ლიმიტია დაწესებული სლოვენის, სერბეთისა და უკრაინის კანონმდებლობითაც. უკრაინაში ავტორიზებული უწყება უფლებამოსილია პერიოდი 5-დღემდე გადაავადოს.

✚ ფინეთში ფულის გათეთრების მეთოდებიდან გავრცელებულია ტოტალიზატორებიდან ფულის განადგება, როდესაც მტკიცებულებად მომგებიან კუპონებს იყენებენ. ფულის გათეთრების აღკვეთის მიმართულებით ფინეთმა გარკვეული საკანონმდებლო ღონისძიებები გაატარა. 1998 წლის 1 მარტიდან ძალაში შესული საკანონმდებლო აქტით, გამოდიებათა ეროვნულ ბიუროში შეიქმნა


¹⁶⁶ European Banking Federation, Money Laundering Legislation, National Measures, Fraud Working Group, 2002, P.24-28

¹⁶⁷ European Banking Federation, Money Laundering Legislation, National Measures, Fraud Working Group, 2002, P.15-19

ფულის გათეთრების აღკვეთის საანგარიშსწორებო პალატა, რომელსაც გაფართოებული უფლებები მიეცა¹⁶⁸.

✚ სორგატიაში საექვო ტრანზაქციის საფუძვლიანი ეჭვის არსებობის შემთხვევაში შეჩერების შესახებ წერილობით ბრძანებას გაცემს ფულის გათეთრების პრევენციის ოფისი. ოპერაციის შეჩერების მაქსიმალური პერიოდი 72 საათია. თუ წერილობითი ბრძანების გაცემა შეუძლებელია გარკვეული გარემოებების გათვალისწინებით, უწყება უფლებამოსილია, გაცეს სიტყვიერი ბრძანება, რომელიც აუცილებლად უნდა დაადასტუროს წერილობით, სიტყვიერი ბრძანების გაცემიდან მაქსიმუმ 24 საათის განმავლობაში¹⁶⁹. უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის პრობლემის გადაჭრისას საზღვარგარეთის ქვეყნებში ყურადღება ექცევა უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის ნაირსახეობას

სქემა 11. სხვადასხვა ქვეყნის ორგანიზაციული ერთეულები, რომლებიც პასუხისმგებელი არიან ფულის გათეთრების წინააღმდეგ ბრძოლაზე



წყარო: ა.ნ. ლიტვინენკო, ე.უ. კოვალიოვა, უკანონოდ მიღებული შემოსავლების

¹⁶⁸ European Banking Federation, Money Laundering Legislation, National Measures, Fraud Working Group, 2002, P.12-14

¹⁶⁹The Law On Prevention Of Money Laundering / I. General Provisions The Prevention Of Money Laundering P.6 https://www.imolin.org/doc/amlid/Croatia_Law%20on%20Prevention%20of%20ML.pdf

ლეგალიზაცია

მოცემულ პარაგრაფში მიმოხილულია უკანონოდ მიღებული ფულადი სახსრების ლეგალიზაციასთან დაკავშირებული საერთაშორისო გამოცდილება, ასევე, უკანონოდ მიღებული შემოსავლების გათეთრებასთან მებრძოლი საერთაშორისო ორგანიზაციები თუ ქვეყნების საკანონმდებლო აქტები და ნორმატივები. ასევე, მიმოვიხილეთ FATF-ის 40 სპეციალური რეკომენდაცია, რომელიც მიზნად ისახავს ეროვნულ დონეზე ფულის გათეთრების პროცესის აღკვეთის ხელშეწყობას. კვლევის შედეგად გამოვლინდა ფულის გათეთრების წინააღმდეგ მებრძოლი ქვეყნების გამოცდილება და მათი განსხვავებები¹⁷⁰.

2.3. ელექტრონული ვალუტები, როგორც ახალი გამოწვევა ფულის გათეთრების წინააღმდეგ ბრძოლაში

აღნიშნული პარაგრაფის მიზანია, გამოავლინოს თანამედროვე ტექნოლოგიების როლი უკანონოდ მიღებული შემოსავლებისათვის კანონიერი სახის მიცემის პროცესში. ყურადღება გამახვილებულია ელექტრონულ ვალუტებზე, რომლებიც ახალ გამოწვევას წარმოადგენს ფულის გათეთრების წინააღმდეგ ბრძოლაში ჩართული ორგანიზაციებისათვის.

მე-20 საუკუნიდან მასობრივად დაიწყო კომპიუტერების გამოყენება. კომპიუტერები და ინტერნეტ-ქსელში ჩართული სხვა მოწყობილობები აადვილებენ ცხოვრებას. თუმცა, კიბერდანაშაულის გავრცელებასაც უწყობენ ხელს¹⁷¹. დამნაშავეს შეუძლია, სერიოზული ზიანი მიაყენოს არამხოლოდ საბანკო დაწესებულებებს, არამედ პირდაპირ დაემუქროს სახელმწიფო უსაფთხოებასა და თავდაცვის უნარიანობას¹⁷². თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენების შედეგად ამერიკის შეერთებულ შტატებს 67 მილიარდი დოლარის ზარალი აქვს მიყენებული¹⁷³. კომპიუტერული დანაშაულის სახეობათა უმრავლესობას წარმოადგენს: თაღლითობა, ნარკოტიკული საშუალებებითა და იარაღით ვაჭრობა, კიბერ-ტერორიზმი და სხვ. დამნაშავეებმა, რომლებიც იყენებენ მადალ

¹⁷⁰ ჭყოიძე ნ., ტომარაძე გ., ვირტუალური/კრიპტოგრაფიული ვალუტა და მისი თავისებურებები, ვირტუალური ვალუტების რეგულირება, 2014, გვ.41-49

¹⁷¹ Internet and Electronic Crimes, National Institute of Justice USA, 11/05/2011, website: <http://nij.gov/topics/crime/internet-electronic/welcome.htm>

¹⁷² Harley B., A Global Convention on Cybercrime? on March 23rd, 2010, <http://www.stlr.org/2010/03/a-global-convention-on-cybercrime/>

¹⁷³ FBI 2005 Internet crime survey, <http://www.digitalriver.com/v2.0-img/operations/naievigi/site/media/pdf/FBIccs2005.pdf>

ტექნოლოგიებს დანაშაულის ახალი ფორმები და მიმართულებები შექმნეს¹⁷⁴. ვირტუალური ვალუტით ფულის გათეთრების მეთოდის უკეთ აღსაქმელად აუცილებელია, აღნიშნოთ ელექტრონული ვალუტის შესახებ და გავერკვათ მის წარმოშობის მიზეზსა და განვითარების ისტორიაში.

90-იანი წლებიდან ინტერნეტის მომხმარებლების რაოდენობის მკვეთრ ზრდასთან ერთად გაჩნდა ციფრული ვალუტები, რომელთა მეშვეობითაც ვირტუალურ საზოგადოებაში საქონლისა და მომსახურების გაცვლა გახდა შესაძლებელი. ახალი ტიპის ვირტუალური ვალუტის ე.წ კრიპტოგრაფიული ვალუტის გაჩენამ 2009 წელს და მისი პოპულარობის ზრდამ გამოწვევების წინაშე დააყენა ცენტრალური ბანკები, რომლებიც ცდილობენ აღნიშნულის გამოყენებით ფულის გათეთრების წინააღმდეგ ბრძოლას.

ციფრული ვალუტები ფულის განვითარების ხანგრძლივი ისტორიის თანამდროვე ეტაპია. ვალუტები ტრადიციულად ორ ტიპად იყოფა: რეგულირებადი ვალუტები, როგორებიცაა ცენტრალური ბანკის მიერ ემიტირებული ბანკნოტები და მონეტები, და არარეგულირებადი ე.წ ლოკალური, კერძო ფული¹⁷⁵. ციფრული ფორმატის ვალუტებში შეიძლება, გამოიყოს რეგულირებადი ციფრული ვალუტები, რომელთა შორის გავრცელებულია კომერციული ბანკის ფული. ამავე კატეგორიას მიეკუთვნება ელექტრონული ფულიც, რომელიც წარმოადგენს მოთხოვნას მისი გამომშვების მიმართ, შენახულია ელექტრონულად და აღიარებულია გადახდის საშუალებად გამომშვების გარდა სხვა პირების მიერ.

ევროპის ცენტრალური ბანკის კლასიფიკაციის მიხედვით კი “ვირტუალური ვალუტა არის არარეგულირებადი ციფრული ფულის ტიპი, რომლის გამომშვება და კონტროლიც ხორციელდება შემქმნელების მიერ და გამოიყენება ვირტუალური საზოგადოების წევრების მიერ“, რაც ამდლებს გამოყენების რისკს შავი ფულის გათეთრების მიზნებისათვის. გამოიყოფა ვირტუალური ვალუტის 3 ძირითადი სქემა:

1. დახურული ვირტუალური ვალუტის სქემა: ვირტუალურ ვალუტას არ აქვს კავშირი რეალურ ეკონომიკასთან. ასეთი ვალუტები ძირითადად თამაშებისათვის გამოიყენება;
2. ცალმხრივი ვირტუალური ვალუტის სქემა: ვირტუალური ვალუტა შესაძლებელია, შექმნილ იქნას რეალური ვალუტის სანაცვლოდ. თუმცა, უკუგადაცვლა არ არის ნებადართული;

¹⁷⁴Mitnick K., http://en.wikipedia.org/wiki/Kevin_Mitnick

¹⁷⁵<http://bitcoin.emoney.ge/ka/2015/06/08/ვირტუალურიკრიპტოგრაფიუ/>

3. ორმხრივი ვირტუალური ვალუტის სქემა: ვირტუალური ვალუტის ყიდვა და გაყიდვა შესაძლებელია რეალური ვალუტის ან როგორც წესი, რეალური საქონლისა და მომსახურების სანაცვლოდ შეზღუდვის გარეშე¹⁷⁶.

გარდა ზემოთ აღნიშნულისა, ციფრული ვალუტების კლასიფიკაციისთვის იყენებენ უშუალოდ გადახდის პროცესში ჩართული სანდოდ მიჩნეული მესამე მხარის არსებობა/არარსებობას (ონლაინ და ოფლაინ სისტემები), ან ვირტუალური ვალუტის სისტემის ცენტრალიზაციას. ონლაინ სისტემის შემთხვევაში ციფრული ვალუტით გადახდის დროს ტრანზაქციის განხორციელებისათვის აუცილებელია მესამე, სანდო მხარის მონაწილეობა, რათა შემოწმდეს გადახდილი ციფრული ვალუტის ლეგიტიმურობა, ოფლაინ სისტემის შემთხვევაში კი გადახდის მომენტში მიმღები მხოლოდ ნაწილობრივ ამოწმებს გადახდის ლეგიტიმურობას. საბოლოო შემოწმება ხორციელდება ტრანზაქციის განხორციელების შემდგომ მიმღებისა და ციფრული ვალუტის გამომშვებს შორის მონაცემების გაცვლის შემდეგ. ფულის ციფრულად შენახვისა და ელექტრონული საგადახდო სისტემების დაარსებისთანავე გაჩნდა მათი არსებობის უზრუნველყოფისთვის მინიმალური მოთხოვნების შესრულების საჭიროება. კერძოდ:

1. დანაწევრების შესაძლებლობა, რომელიც ძალიან მნიშვნელოვანია ფულის გათეთრების აქტივობებში ჩართული პიროვნებებისათვის;
2. ტრანსფერის განხორციელების შესაძლებლობა;
3. ანინიმურობა, რომელიც ასევე ძალიან მნიშვნელოვანია ფულის გათეთრების აქტივობებში ჩართული პიროვნებებისათვის.

ცენტრალიზებული სისტემის დროს ვალუტის გამომშვება ხორციელდება მესამე მხარის მიერ, რომელიც მის მიერ დანერგილი აღრიცხვისა და უსაფრთხოების სისტემების საშუალებით უზრუნველყოფს ჩამოთვლილი მოთხოვნების შესრულებას. დეცენტრალიზებული სისტემის შემთხვევაში კი ციფრული ვალუტა იქმნება წინასწარ განსაზღვრული ალგორითმით და არ არსებობს ცენტრალური ორგანო, რომელსაც შეუძლია გავლენა მოახდინოს ფულის ემისიაზე. ასეთ ვალუტას წარმოადგენს ბიტკოინი და მისი მსგავსი ვირტუალური ვალუტები. დეცენტრალიზებული სისტემების გაჩენასთან ერთად ჩნდება ტერმინი კრიპტოგრაფიული ვალუტები, რომლებიც იყენებენ კრიპტოგრაფიულ მეთოდებს ტრანზაქციების განხორციელების, მათი უცვლელობის დაცვის, ორმაგი გადახდის

¹⁷⁶Deborah L., Expanding Our Commitment to Facebook Credits, Facebook Developer Blog, February, 2010, <https://developers.facebook.com/blog/post/2010/02/25/expanding-our-commitment-to-facebook-credits/>

თავიდან აცილებისა და ახალი ფულის შექმნის კონტროლისათვის¹⁷⁷. ბიტკოინი წარმოადგენს დეცენტრალიზებულ ვირტუალურ ვალუტას ოფლაინ სისტემით, რომელიც საკმაოდ კარგი ინსტრუმენტია ფულის გასათეთრებლად¹⁷⁸. ამასთანავე, ბიტკოინის რევოლუციური სიახლე არის სისტემა, რომელიც უზრუნველყოფს ორმაგი გადახდის თავიდან აცილებას სანდო მესამე მხარის გარეშე როგორც უშუალოდ ტრანზაქციის დროს, ასევე მისი დასრულების შემდეგაც¹⁷⁹. ბიტკოინის ქსელს არ გააჩნია ცენტრალური სანდო პირი, რომელიც აწარმოებდა ცენტრალიზებულ აღრიცხვას. ამდენად, საჭიროა მექანიზმი, რომელიც უზრუნველყოფს განხორციელებული ტრანზაქციების დადასტურებას და თავიდან აიცილებს ტრანზაქციის ავტორის მიერ უკანონო აქტივობების განხორციელებას.

საერთო ბუღალტერიის წარმოება დამოკიდებულია იმ მომხმარებლებზე, რომლებიც თავიანთი კომპიუტერების გამოთვლითი სიმძლავრეების ნაწილს “გადასცემენ” ბიტკოინის ქსელის განკარგულებაში, რათა მოხდეს განხორციელებული ტრანზაქციების რეკონსილაცია და შენახვა ბლოკების ჯაჭვში¹⁸⁰. მიუხედავად დეცენტრალიზაციისა, ცალკეული მომხმარებლების ან მომხმარებელთა ჯგუფის მიერ წინააღმდეგობრივი ტრანზაქციების გენერირების შემთხვევაში ისინი შეიძლება, არ დადასტურდნენ მანამ, სანამ ქსელის მომხმარებელთა უმრავლესობა იცავს მიღებულ წესებს. რაც ნაკლებია ბიტკოინის ქსელის მონაწილეთა რაოდენობა, მით უფრო მარტივია ინდივიდებისთვის შავი ფულის გათეთრება¹⁸¹. ახალ ბლოკებს მომხმარებლების უმრავლესობა ადასტურებს. შესაბამისად, არსებობს ე.წ. 51%-იანი შეტევის საშიშროება. კერძოდ, თუ რომელიმე მომხმარებელი ან მათი ჯგუფი მოახერხებს სიმძლავრეების ასეთი წილის თავმოყრას, მას შეეძლება პრაქტიკულად ერთპიროვნულად აწარმოოს საერთო ბუღალტერია, რაც დაასრულებს ბიტკოინის დეცენტრალიზებულ სტრუქტურას და შესაძლებელს გახდის თაღლითური ტრანზაქციების განხორციელებას, რომელიც კიდევ უფრო მეტად გააიოლებს კრიმინალისტების მიერ ფულის გათეთრების პროცედურებს. განვლილ პერიოდში არცერთ მონაწილეს არ მიუღწევია ასეთი დიდი წილისათვის. თუმცა, იყო შემთხვევა, როცა მომპოვებელთა ორი გაერთიანება ჯამში გამოთვლითი სიმძლავრეების 52%-ს აკონტროლებდა.

¹⁷⁷Greenberg A., “Crypto Currency”, 2011, website: <http://www.forbes.com/forbes/2011/0509/technology-psilocybin-bitcoins-gavin-andresen-crypto-currency.html>, Retrieved 8 August 2014

¹⁷⁸Brito J., Castillo A., Bitcoin, a Primer for Policemakers, Mercatur Center, 2013, P.3–4

¹⁷⁹ECB, Virtual Currency schemes, 2012

¹⁸⁰Bohm P., Bitcoins Value is decentralization, 2011

¹⁸¹PWC, IFRS News, March 2017, P.1-9

მომპოვებელთა გაერთიანებების წილი საერთო სიმძლავრეში მუდმივად კონტროლდება¹⁸². აღნიშნული აქტივობები ართულებს ფულის გათეთრების ფაქტების მოხდების იდენტიფიცირების პროცესს. ბიტკოინების ანონიმურობა განისაზღვრება შემდეგი მიზეზებით: ბიტკოინების მისამართები არ ეფუძნება იდენტიფიცირებას, არავენ იცის, თუ ვინ განახორციელა ტრანსფერი და აღნიშნულიდან გამომდინარე, იგი ვირტუალური ვალუტაა, რომელიც ყველაზე ხშირად გამოიყენება ფულის გასათეთრებლად. ქვემოთ მოცემულია მეთოდები, რომელიც გამოიყენება ფულის გასათეთრებლად:

- აღმრეველები-არსებობენ ორგანიზაციები, რომლებიც ხელს უშლიან სახელმწიფოს ფულის გათეთრების წინააღმდეგ ბრძოლაში. ისინი გამოიყენებიან არალეგალურად მიღებული შემოსავლების კანონიერთან აღსარევად, რათა მოხდეს კვალის დამალვა. პროცესი იწყება თანხის ანონიმურ პირთან გაგზავნით, რითაც მარტივდება ფულის გათეთრების პროცესი;

- ღრმა ქსელი-ინტერნეტსივრცე, რომელიც განსხვავდება ისეთი საძიებო სისტემებისაგან როგორცაა Google, Yahoo, თუ სხვ. მოცემულ სივრცეში განთავსებულია უკანონოდ მიღებული ინფორმაციის ნაწილი. ზოგიერთი არალეგალური დოკუმენტის გარდა, შესაძლოა, მოვიძიოთ გასაიდუმლებული ინფორმაცია;

- აბრეშუმის გზა-ყველაზე დიდი ელექტრონული შავი ბაზარი ქსელში, რომელიც ამოქმედდა 2011 წლიდან. მისი დანიშნულებაა მსოფლიო მასშტაბით ნარკოტიკული საშუალებების გაყიდვა. აღნიშნული ყიდვა კი შესაძლებელი იყო ბიტკოინის გამოყენებით. აბრეშუმის გზამ შეწყვიტა ფუნქციონირება 2013 წლის 11 ოქტომბერს დამაარსებლების დაკავების შემდეგ¹⁸³.

დახურული ვირტუალური ვალუტის სქემები, რომლებიც მოქმედებს სპეციფიკურ ვირტუალურ საზოგადოებაში და არ ცდება ამ ფარგლებს, ნაკლებად რელევანტურია ცენტრალური ბანკების ფუნქციების შესრულებასთან. რაც შეეხება დანარჩენ ორ სქემას, რომელთაც კავშირი აქვთ რეალურ ეკონომიკასთან, სიტუაცია სხვაგვარია. განსაკუთრებით ისეთი ვირტუალური ვალუტები, რომელთა გადაცვლა ორმხრივად არის შესაძლებელი რეალურ ვალუტაზე, ქმნის სპეკულაციური გარემოს ჩამოყალიბების შესაძლებლობას და ზრდის ფულის

¹⁸²ჭყოიძე ნ., ტომარაძე გ., ვირტუალური/კრიპტოგრაფიული ვალუტა და მისი თავისებურებები, ვირტუალური ვალუტების რეგულირება, 2014, გვ.41-49

¹⁸³Mikeladze A., Bitcoins within Georgia's Money Laundering Scheme, 2017, P.12

გათეთრების რისკს. ხოლო იმ შემთხვევებში, როდესაც ვირტუალური ვალუტით შესაძლებელია რეალური საქონლისა და მომსახურების ყიდვა, დგება ტრადიციულ ვალუტებთან კონკურენციის საკითხი¹⁸⁴. ევროპის ცენტრალური ბანკის დოკუმენტში განხილულია ვირტუალური ვალუტის სქემების შესაძლო ზეგავლენები ცენტრალური ბანკის ფუნქციების შესრულებაზე, მათ შორის, ფასების სტაბილურობაზე, ფინანსურ, საგადახდო სისტემის სტაბილურობაზე. ასევე, დოკუმენტი შეეხო ცენტრალური ბანკის პოტენციურ რეპუტაციულ რისკს, რომელმაც შესაძლოა, გამოიწვიოს ვირტუალური ვალუტის სქემების უსაფრთხოებასთან დაკავშირებულმა ინციდენტებმა. ევროპის ცენტრალური ბანკის ანგარიშში მოცემულია დასკვნები, რომ არსებული ვითარების გათვალისწინებით, ვირტუალური ვალუტის სქემები:

- არასტაბილურია, მაგრამ ვერ შეუქმნის საფრთხეს ეკონომიკას გაყიდვების დაბალი მოცულობისა და მომხმარებელთა სიმცირის გამო;
- დღესდღეობით არ რეგულირდება და არ არის რაიმე სახელმწიფო სტრუქტურის ზედამხედველობის ქვეშ. თუმცა, მონაწილეობა ამ სქემაში მომხმარებლებს აყენებს სხვადასხვა, მათ შორის სამართლებრივი რისკის წინაშე;
- სპეციფიკური საკანონმდებლო ნორმების არ არსებობის გამო შეიძლება, წარმოადგენდეს სახელმწიფო სტრუქტურების გამოწვევას, რადგან აღნიშნული სქემები შესაძლოა, გამოყენებულ იქნას კრიმინალების, თაღლითებისა და ფულის გათეთრებლების მიერ უკანონო საქმიანობისთვის.

ჩვენ მოგვყავს რამდენიმე ფაქტორი, რომელიც ვირტუალური ვალუტის მოცულობის ზრდის ხელშემწყობია:


- ანონიმურობის უმაღლესი ხარისხი სხვა ელექტრონული გადახდის ინსტრუმენტებთან შედარებით, რომელიც მიიღწევა ვირტუალური ვალუტით გადახდის დროს, რაც იდეალურ ინსტრუმენტს წარმოადგენს ფულის გათეთრებით დაინტერესებული ინდივიდებისათვის;
- გადახდის ოპერაციების პირდაპირი და სწრაფი ანგარიშსწორება, რომელიც სჭირდება და სასურველია ვირტუალური საზოგადოებისთვის¹⁸⁵.

იმის გათვალისწინებით, რომ ვირტუალურ ვალუტის სქემები გააგრძელებენ ზრდას, ევროპის ცენტრალური ბანკი საჭიროდ თვლის, რომ პერიოდულად შემოწმდეს სქემების განვითარება, რათა გადაფასდეს რისკები და ამასთანავე,

¹⁸⁴Lo S., and Wang C., Bitcoin as Money? 2014, P.16

¹⁸⁵Danmarks Nationalbank Monetary Review, Virtual Currencies, 1st Quarter, 2014, P.85

თავიდან იქნას აცილებული უკანონო საქმიანობა, რომელიც შეაფერხებს ცალკეული ქვეყნების განვითარებას. ვირტუალური ვალუტა, მომხმარებლების ანონიმური ხასიათის გამო, შეიძლება გამოყენებული იყოს არალეგალურ საქმიანობაში, მათ შორის ფულის გათეთრებისთვის. სამწუხაროდ, რეგულაციები არ არის კარგად შემუშავებული ან გაწერილი. ამგვარი გამოყენების შედეგად, სამართალდამცავმა ორგანოებმა შესაძლოა გადაწყვიტონ “გადაცვლის პლატფორმის” დახურვა, რაც შეუძლებელს გახდის მომხმარებლების წვდომას თავიანთ ფულზე ან მათ გამოყენებაზე. ამ ეტაპზე, ევროპის ცენტრალური ბანკი განაგრძობს ვირტუალურ ვალუტასთან დაკავშირებული რისკების შეფასებას იმისათვის, რომ დაადგინოს, შესაძლებელია თუ არა რეგულირება და უნდა რეგულირდებოდეს თუ არა ვირტუალური ვალუტები.¹⁸⁶ როგორც ახალი ტექნოლოგიების უმრავლესობამ, ვირტუალური ფულის გამოჩენამაც წარმოშვა ახალი გამოწვევები ფინანსური ინსტიტუტების ზედამხედველობისათვის. მთავარი სირთულე მდგომარეობს იმაში, რომ იგი სრულყოფილად არ ჯდება ვალუტის, ფინანსური ინსტრუმენტის ან ფინანსური ინსტიტუტის მიღებულ განსაზღვრებაში და მარტივად შეიძლება იქნას გამოყენებული ფულის გათეთრების მიზნებისათვის. მას გააჩნია, როგორც ვალუტის, ასევე საცალო საგადახდო სისტემის და აქტივების თვისებები¹⁸⁷. ამასთან, ცალკე სირთულეს წარმოადგენს ისეთი ვირტუალური ვალუტების სქემები, რომელთაც გააჩნიათ დეცენტრალიზებული სტრუქტურა, რადგანაც რეალურად, არ არსებობს ფიზიკური ან იურიდიული პირი, რომელიც, შესაძლოა, პასუხისმგებელი ყოფილიყო ბიტკოინის კანონიერ ფუნქციონირებაზე, ან მისი ან ზედამხედველის მიერ დადგენილი წესების შესრულებაზე. რეგულატორების მიდგომები განსხვავებულია ქვეყნების მიხედვით და რაც საინტერესოა, თვით ევროკავშირის ქვეყნებს შორისაც. ერთმნიშვნელოვანია, რომ ვირტუალურ ვალუტას დიდი ყურადღება ექცევა სახელმწიფო სტრუქტურების მხრიდან და მათ განვითარებაზე მიმდინარეობს მუდმივი მონიტორინგი, რათა არ მოხდეს ბიტკოინის გამოყენება უკანონოდ მიღებული შემოსავლების ლეგალიზაციების მიზნებისათვის. საინტერესოა ქვეყანათა დამოკიდებულება აღნიშნულ ფენომენთან და მათი ქმედებები კრიპტოვალუტით შავი ფულის გათეთრების დონის შემცირებაში.

 აშშ წარმოადგენს ბიტკოინების ერთ-ერთ ყველაზე დიდ ბაზარს. 2013

¹⁸⁶EBA, Consumer Trends Report, 2014

¹⁸⁷He D., Habermeier K., Leckow R., Haksar V., Almeida Y., Kashima M., Kyriakos-Saad N., Oura H., Saadi T., Stetsenko N., and Verdugo-Yepes C., Virtual Currencies and Beyond: Initial Considerations, 2016, P.9

წლის ოქტომბრის მდგომარეობით, ეს იყო პირველი ქვეყანა, რომლის სასამართლომაც გარკვეული განმარტებები გააკეთა ვირტუალურ ვალუტასთან დაკავშირებით. ბიტკოინი შესაძლებელია, გამოყენებული იყოს როგორც ფული. მისი საშუალებით შესაძლებელია საქონლის ან მომსახურების შექმნა. ის შესაძლებელია, ასევე გადაიცვალოს ჩვეულებრივ ფულზე, როგორცაა აშშ დოლარი. შესაბამისად, ბიტკოინი არის ვალუტა ან ფულის ფორმა¹⁸⁸. ასევე, უნდა აღინიშნოს, რომ აბრეშუმის გზის, ე.წ. “სილქ როუდის” დაყადაღების დოკუმენტაციაში ნახსენებია, რომ ბიტკოინი არის “ელექტრონული ვალუტა, რომელიც გამოირჩევა ანონიმურობის მაღალი ხარისხით“ და საკმაოდ კარგი ინსტრუმენტი შავი ფულის გათეთრებისათვის. FinCEN-ის მიერ გამოცემული სახელმძღვანელოს საფუძველზე საბანკო საიდუმლოების აქტი ვრცელდება პირებზე, რომლებიც ქმნიან, ინახავენ, ცვლიან, იღებენ ან რიცხავენ ვირტუალურ ვალუტას. აღნიშნული პირები დაყოფილები არიან სამ კატეგორიად: მომხმარებლები, ადმინისტრატორები, გადამცველები. ”მომხმარებლები“, რომლებიც იძენენ ვირტუალურ ვალუტას და იყენებენ მას რეალური ან ვირტუალური საქონლის შესაძენად, არ წარმოადგენენ რეგულირებად პირებს. “ადმინისტრატორი“ ან “გადამცველი“, რომელიც იღებს და რიცხავს კონვერტირებად ვირტუალურ ვალუტას, ან ყიდულობს, ან ყიდის ვირტუალურ ვალუტას ნებისმიერი მიზნით, წარმოადგენენ “ფულის გადამცემებს/გადაგზავნებს“ და ხვდებიან FinCEN-ის რეგულაციის ქვეშ, რათა თავიდან იქნეს აცილებული უკანონო საქმიანობათა სერია¹⁸⁹. ნიუ-იორკის შტატის ფინანსური სერვისების დეპარტამენტმა 2014 წლის ივლისში გამოაქვეყნა ვირტუალური ვალუტის რეგულაციის პროექტი, რომელიც ქმნის ბიტკოინის ყოველსომცველ რეგულატორულ ჩარჩოს და მოიცავს მომხმარებელთა უფლებების დაცვის, ფულის გათეთრების წინააღმდეგ ბრძოლისა და უსაფრთხოების წესებს ვირტუალური ვალუტის ბიზნესებისთვის. ახალი ტიპის ლიცენზიები საჭიროა იმ პირებისათვის, რომლებიც:

- აწარმოებენ ისეთ საქმიანობებს, როგორცაა ვირტუალური ვალუტის მიღება და გადაგზავნა/გადაცემა კლიენტების სახელით;
- ვირტუალური ვალუტის გადაცემა, როგორც რეალურ ვალუტაზე,

¹⁸⁸Ellis S., 2013, P. 67

¹⁸⁹FinCEN, Guidance: Application of FinCEN’s Regulations to Persons Administering, Exchanging, or Using Virtual Currencies, 07/10/2014, P.7-10

ასევე, ვირტუალურ ვალუტაზე თუ სხვ.

ამ პროექტით ლიცენზირება არ სჭირდებათ პირებს, რომლებიც იძენენ ან ფლობენ ვირტუალურ ვალუტას პირადი მიზნებისთვის, ვირტუალური ვალუტის მომპოვებლებს, სავაჭრო ობიექტებს, რომლებიც ჰყიდიან საქონელს და მომსახურებას ვირტუალურ ვალუტაზე. BitLicense-ის მქონე პირები ვალდებული არიან მოახდინონ ყველა მომხმარებლის იდენტიფიცირება, იქონიონ რეზერვი, რომლის შესაბამისი ვირტუალური ვალუტის ფლობის უფლება ექნებათ, შეიმუშაონ და გამოაქვეყნონ მომხმარებელთა გასაჩივრების პოლიტიკა, ბოლოს კი განხორციელდეს უსაფრთხოების აუდიტი. აღნიშნული დაეხმარება ბიტკოინების საშუალებით ფულის გათეთრების მასშტაბების შემცირებას¹⁹⁰.

✚ გერმანიის ფინანსთა ფედერალურმა სამინისტრომ აღიარა ბიტკოინი და მას უწოდა “აღრიცხვის ერთეული“, “კერძო ფული“. ვინაიდან, ვირტუალური ვალუტა არ არის ელექტრონული ფული და არც გადახდის კანონიერი საშუალება გერმანიაში, მაშინ ბიტკოინების გადარიცხვა უნდა განიხილებოდეს არა როგორც ფულადი სახსრების გადარიცხვა, არამედ როგორც საქონლის ტრანსფერი, რომელიც პოტენციურად უნდა დაექვემდებაროს დღგ-სა და საშემოსავლო გადასახადს. ბიტკოინებთან დაკავშირებული ბიზნესი თავისი ბიზნეს მოდელიდან გამომდინარე, შესაძლოა, საჭიროებდეს ლიცენზიას, რადგან ბიტკოინი კლასიფიცირებულია როგორც ფინანსური ინსტრუმენტი, უფრო სწორად კი “აღრიცხვის ერთეული“. 2013 წლის დეკემბერში დადასტურდა ფინანსთა სამინისტროს პოზიცია, რომ ბიტკოინი არის “აღრიცხვის ერთეული“ და შესაბამისად, არის ფინანსური ინსტრუმენტი გერმანიის საბანკო აქტის ფარგლებში. ბიტკოინი არ არის გადახდის კანონიერი საშუალება და არც ელექტრონული ფული ევროპული და გერმანიის კანონმდებლობის ფარგლებში. ამავე დროს, განმარტავს, რომ ბიტკოინით გადახდის განხორციელება და მისი მოპოვება არ არის რეგულირებადი საქმიანობა და არ საჭიროებს ლიცენზიას¹⁹¹. თუ ბიტკოინების ყიდვა–გაყიდვა ხდება სხვის მაგივრად კომერციული მიზნით, მაშინ ასეთი საქმიანობა საჭიროებს ლიცენზირებას გერმანიის საბანკო აქტის

¹⁹⁰New York State Department of Financial Services New York Codes, Rules and Regulations Title 23. Department of Financial Services Chapter I. Regulations of the Superintendent of Financial Services Part 200. Virtual Currencies

¹⁹¹Aschenbeck-Florange T, Regulation of Bitcoins in Germany: First comprehensive statement on Bitcoins by German Federal Financial Supervisory Authority (BaFin), 07/10/2014

საფუძველზე¹⁹². ევროპის ბანკების სააგენტოს მიერ მომხმარებლების გაფრთხილების გამოქვეყნების შემდეგ, 2014 წლის თებერვალში ფედერალურმა ფინანსურმა დაზვერვის განყოფილებამაც გამოაქვეყნა მსგავსი გაფრთხილება ვირტუალური ვალუტის მომხმარებლებისათვის¹⁹³.

✚ 2009 წლის ივნისში ჩინეთის ვაჭრობის სამინისტრომ კულტურის სამინისტროსთან ერთად გამოსცა პირველი ოფიციალური ნორმა, რომელიც არეგულირებს ვირტუალური ვალუტის გამოყენებას. ამ ნორმის მიხედვით, ვირტუალური ვალუტით, რომლის გადაცემა რეალურ ფულზე შესაძლებელია განსაზღვრული კურსით, დასაშვებია მხოლოდ ამ ვალუტის გამომშვებების ვირტუალური საქონლისა ან მომსახურების შექმნა. ასევე, ამავე ნორმით აიკრძალა ვირტუალური ვალუტით აზარტული თამაშები და არასრულწლოვანებისთვის ვირტუალური ვალუტის მიყიდვა¹⁹⁴. აღნიშნული ღონისძიებების მიზებს უმეტეს წილად წარმოადგენდა იმ დროისთვის ჩინეთში არსებული ვირტუალური ვალუტა “QQ coins”, რომლის გამომშვები იყო ჩინეთის სოციალური მედიისა და თამაშების გიგანტი Tencent.com. აღნიშნულ სქემაში დარეგისტრირებული იყო 220 მლნ მომხმარებელი, რომელიც “QQ coin”-ს იყენებდა არამხოლოდ ვირტუალურ სივრცეში, არამედ ცვლიდა მათ რეალურ ფულზე და ყიდულობდა რეალურ საქონელსა და მომსახურებას. ზოგიერთის შეფასებით, აღნიშნული სქემის დაარსებიდან მოკლე პერიოდში, მან ჩინეთის ნაღდი ფულის ეკონომიკის 13%-ს მიაღწია, რამაც ჩინეთის სახელმწიფო სტრუქტურების მხრიდან ვირტუალური ვალუტის რეალურ ფინანსურ სექტორზე შესაძლო ზეგავლენის შეზღუდვის აუცილებლობის საკითხი წამოჭრა¹⁹⁵. ვინაიდან “QQ coins” ვირტუალური ვალუტის სქემა იყო ცენტრალიზებული, შესაბამისად, მასზე შეზღუდვების გავრცელება მარტივი იყო. სხვა სიტუაციაა ბიტკოინებთან დაკავშირებით. ამ შემთხვევაში ჩინეთის ცენტრალური ბანკისა და სხვა 5 სახელმწიფო სტრუქტურის მიერ 2013 წლის დეკემბერში გამოიცა ერთობლივი მითითება ბიტკოინთან დაკავშირებით, რომელშიც აღნიშნულია, რომ ბიტკოინი არ ატარებს კანონიერი გადახდის

¹⁹²Winheller, Winheller Rechtsanwälte und Steuerberater, Finanzaufsichtsrecht (BaFin-Lizenz), <http://www.winheller.com/bankrecht-finanzrecht/aufsichtsrecht-bafin-lizenz.html>, 1

¹⁹³Federal Financial Supervisory Authority, 2014, https://www.bafin.de/SiteGlobals/Forms/Suche/EN/Servicesuche_Formular.html;jsessionid=CD25F1D336243974C127E419F83365A2.2_cid363?nn=7844610&resourceId=7855386&input_=7844610&pageLocale=en&templateQueryString=bitcoin&language_=en&submit.x=0&submit.y=0

¹⁹⁴Ministry Of Commerce Of People’s Republic Of China, China Bars Use Of Virtual Money For Trading In Real Goods, 06/10/2014

¹⁹⁵A. Sines, Bitcoin is not Banned in China and What You Need to Know, 09/10/2014

საშუალების თვისებებს და თავისი შინაარსით არ წარმოადგენს ვალუტას. ბიტკოინი არის ვირტუალური საქონელი და არ შეიძლება გამოყენებული იქნას ბრუნვაში როგორც ვალუტა, ხოლო ფინანსურ და საგადახდო ინსტიტუტებს ეკრძალებათ ნებისმიერი კავშირი ბიტკოინებთან. ამავე მითითებით, ბიტკოინების გადამცვლელების ვებ-გვერდები ვალდებული არიან დარეგისტრირდნენ ტელეკომუნიკაციების ბიუროში და დაექვემდებარონ ფულის გათეთრების საწინააღმდეგო მოთხოვნებს¹⁹⁶. შეიძლება ითქვას, რომ ჩინეთის ცენტრალურ ბანკს ტოლერანტული დამოკიდებულება აქვს ბიტკოინის მიმართ წინამორბედი QQ coin-ისგან განსხვავებით, რადგან აღნიშნული ვირტუალური ვალუტის კავშირი რეალურ ეკონომიკასთან დაშვებულია. გადასახადების სახელმწიფო ადმინისტრაციის მიერ გავრცელებული ინფორმაციით ვირტუალური ვალუტის ვაჭრობიდან მიღებული მოგება ჩინეთში დაექვემდებარება საშემოსავლო გადასახადს¹⁹⁷.

✚ ევროპული ქვეყნებისა და აშშ-სგან განსხვავებით, ტაილანდის ცენტრალურმა ბანკმა გამოაცხადა ბიტკოინი არალეგალურად. ინფორმაცია გავრცელდა ტაილანდში არსებული კომპანიიდან, რომელსაც აქვს ბიტკოინების სავაჭრო პლატფორმა. აღნიშნულმა კომპანიამ ტაილანდის ცენტრალურ ბანკში გამართულ შეხვედრაზე მიიღო მითითება, რომ ბიტკოინი არ არის ლეგალური, რის გამოც აღნიშნულმა კომპანიამ შეაჩერა საქმიანობა. თუმცა, სხვა მსგავსი კომპანიები განაგრძობდნენ საქმიანობას ტაილანდში. მოგვიანებით Bitcoin Co-მ ცენტრალური ბანკიდან მიიღო წერილი, რომ მას შეუძლია აღადგინოს საქმიანობა, თუმცა, ბიტკოინის სამართლებრივი სტატუსი კვლავ გაურკვეველი რჩება¹⁹⁸. BOT-ის შეზღუდვასთან დაკავშირებით გაკეთდა შენიშვნები, რომ ტაილანდის ცენტრალურ ბანკს კონსტიტუციით არ ჰქონდა უფლებამოსილება აეკრძალა ბიტკოინი. თუმცა, მაღალი ანონიმურობის გამო, მას შეუნარჩუნდა უფლება, არეგულიროს ვალუტის ოპერაციები.

✚ რუსეთის ფინანსთა სამინისტრომ გამოაქვეყნა ცვლილებების კანონპროექტი, რომლის საფუძველზეც რუსეთის ტერიტორიაზე იკრძალება ოპერაციები ფულადი სუროგატების (რომელიც მოიცავს ვირტუალურ ვალუტასაც) საშუალებით. ასევე, ამავე კანონპროექტით იკრძალება ფულადი სუროგატების

¹⁹⁶<http://jolt.law.harvard.edu/digest/a-comparative-analysis-of-bitcoin-and-other-decentralized-virtual-currencies-legal-regulation-in-the-peoples-republic-of-china-canada-and-the-united-states>

¹⁹⁷Ye J., China Cracks Down on Virtual Currency For Real, 08/10/2014

¹⁹⁸<https://news.bitcoin.com/bank-of-thailand-bans-banks-from-cryptocurrency-activities/>

გამოშვება, მათი გამოშვების მიზნით პროგრამული უზრუნველყოფების შექმნა და გაერცელება¹⁹⁹.

დასკვნის სახით უნდა აღინიშნოს, რომ მიუხედავად იმისა, რომ ბიტკოინით გადახდების განხორციელებისას აღარ არის საჭირო სანდო მესამე მხარის არსებობა, მას ახასიათებს რიგი სისუსტეები, რომლებიც კითხვის ნიშნის ქვეშ აყენებენ მისი როგორც ვირტუალური ვალუტის სიცოცხლისუნარიანობას და წარმოშობს გარკვეულ რისკებს ცენტრალური ბანკების ამოცანებისათვის ებროლონ ფულის გათეთრების პრობლემას. მომავალში რა სახით ტრანსფორმირდება კრიპტოვალუტა, ამას რეგულატორი, საკანონმდებლო სხდომები და ცენტრალური ბანკების მიერ მიღებული გადაწყვეტილებები გვიჩვენებს. არარეგულირებადი კრიპტოვალუტის გამოყენების სქემა, საკმაოდ გაუმჭირვალეა. შედეგად, რთული სათქმელია, ტრანზაქციის შესრულებისას რამდენად დაცულია წარმოშობის წყაროს კანონიერება. ვირტუალური ვალუტის სამართლებრივი საკითხი რიგ შემთხვევებში გაურკვეველია. ამასთანავე, არ არსებობს მარეგულირებელი ცენტრალური ორგანო და მასთან დაკავშირებული ფინანსური და სამართლებრივი რისკები მთლიანად მომხმარებელზე გადადის. ვირტუალური ვალუტის ანონიმურობა და ფსევდო-ანონიმურობა კი მიმზიდველს ხდის მას კრიმინალური საქმიანობისთვის, მათ შორის, ფულის გათეთრებისთვის. მიუხედავად იმისა, რომ მიმდინარე ეტაპზე ეს რისკები არ უქმნიან შესამჩნევ საფრთხეს ცენტრალური ბანკების ამოცანების განხორციელებას, მათი გამოყენების ზრდის შემთხვევაში აუცილებელი იქნება რეგულირება ელექტრონული ფულის მსგავსად, ვინაიდან მაღალია რისკი ფულის გათეთრების მასშტაბებს ზრდის. მიმდინარე ეტაპზე არ არსებობს ერთობლივი მიდგომა ვირტუალური ვალუტების რეგულირებასთან დაკავშირებით. მსოფლიოს ცენტრალური ბანკები აგრძელებენ თანამშრომლობას ერთიანი მიდგომის ჩამოსაყალიბებლად. ელექტრონული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლა საჭიროებს საკითხისადმი ფრთხილ და გააზრებულ მიდგომას²⁰⁰.

2.4. ახალი ტექნოლოგიების როლი ფულის გათეთრების გამოსაგეგმად

ამ პარაგრაფის მიზანია, განვიხილოთ თანამედროვე ტექნოლოგიები, რომლებიც ხელს უწყობენ უკანონოდ მიღებული შემოსავლების ლეგალიზაციის

¹⁹⁹<https://www.forbes.com/sites/kenrapoza/2018/01/29/russias-newly-drafted-cryptocurrency-bill-crypto-not-cash/#7584a361646e>

²⁰⁰Adler F., Mueller G, Laufer W. 2008. Criminology and Criminal Justice System. Edition 5th.

ფაქტების გამოვლენასა და მათ შემდგომ პრევენციას.

ფულის გათეთრების წინააღმდეგ ბრძოლის მრავალი ტექნოლოგია დამოკიდებულია კომპიუტერულ მეცნიერებათა სფეროში შემუშავებულ ტექნიკაზე. ამასთანავე, ბევრი იყენებს კომპიუტერულ გრაფიკასა და მათემატიკის გამოთვლით მეთოდებს. ინფორმაციის აღსაქმელად ძირითადად გამოიყენება სხვადასხვა ტექნოლოგიების ნარევი. ამასთანავე, მონაცემთა ბაზის გრაფიკული წარმოსახვა კრიმინალისტებს ეხმარება ფულის გათეთრების ფაქტების გამოვლენაში. თანამედროვე ტექნოლოგიები სრულიად ახალ შესაძლებლობებს გვთავაზობს დასახული მიზნის მისაღწევად²⁰¹. არსებობს სხვადასხვა ტექნოლოგია, რომელიც სასარგებლოა ინფორმაციის გაანალიზებისათვის. აღნიშნული ტექნოლოგიები ხშირად კლასიფიცირდება იმ ამოცანების მიხედვით, რომელსაც კრიმინალისტი ისახავს. მაგალითად, სკრინინგის ტექნოლოგია მოიცავს როგორც ცოდნაზე დაფუძნებულ სისტემებს, ისე კავშირის ანალიზს. მონაცემთა ბაზის სისტემების ეფექტიანი გამოყენებისათვის აუცილებელია გამოსადეგი ინფორმაციის მოპოვება. აღნიშნული წარმოადგენს ფულის გათეთრების ინდივიდუალური შემთხვევების გაანალიზების უმარტივეს გზას, რომელიც ეხმარება ინდივიდებს, ორგანიზაციებს შორის კავშირის დადგენაში. ზოგიერთი პროგრამული პაკეტი უზრუნველყოფს კავშირის ანალიზს, ბაზები კი პროფესიონალებთან ინტერვიუების ჩატარების საფუძველზე ან მრავალი სხვადასხვა შემთხვევის გაანალიზებით იქმნება. მონაცემთა დამუშავების ტექნოლოგია მრავალმხრივია ისევე, როგორც სტატისტიკური მეთოდები. ბოლო ათწლეულის მანძილზე მკვლევარებმა შეიმუშავეს მრავალი მეთოდი ავტომატური ინფორმაციის მოძიებაზე. უმეტეს შემთხვევაში, ინფორმაცია მოიცავს მრავალფეროვან დაკვირვებას, სადაც ყველა დაკვირვება წარმოადგენს ერთ ობიექტს, მაგალითად, პირი, ანგარიში, ან საბანკო გადარიცხვა და შედგება მრავალი რიცხვისა თუ სიმბოლური ცვლადისგან. ანალიზი იწყება ერთი ამხსნელი ცვლადით-მაგალითად, ფულის გათეთრება. დანარჩენი ცვლადები კი წარმოადგენენ მოდელის დამოკიდებულ ცვლადებს, რომლებიც ითვალისწინებენ სხვა ფაქტორების ზემოქმედებას, როგორცაა ვალუტა, ბენეფიციარი, კლიენტის ტიპი და სხვა. ნაკლებად ზუსტი მოდელები უგულვებელყოფილია. შეუძლებელია ყველა შესაძლო მოდელის გაცნობა. აღნიშნულიდან გამომდინარე ტექნოლოგია, როგორც წესი, ზღუდავს მოდელების

²⁰¹Jiang, J., How to use graph technology to detect money laundering. Retrieved from Neo4j News: <https://neo4j.com/news/use-graph-technology-detect-money-laundering/>

შესაძლო რაოდენობას, რათა არჩეულ იქნას ზუსტი მოდელი. დამხმარე მოდელების განვითარება კი ინდივიდს აძლევს ხელსაწყოებს დიდი მოცულობის ინფორმაციის შესამოწმებლად და გასაანალიზებლად. კონკრეტულ შემთხვევაზე დაფუძნებული მეთოდები განაპირობებენ პირველად მომხდარი შემთხვევების შენახვის შესაძლებლობას სამომავლო ანალიზისათვის²⁰².

ფულის გათეთრების მეთოდები სწრაფად იცვლება და ამიტომ ფულის გათეთრების თვალსაზრისით ცოდნაზე დაფუძნებული სისტემების განვითარება უფრო მეტად არის საჭირო. ასევე, შესაძლოა, რომ ყველა ბანკს თუ არასაბანკო ინსტიტუტს დასჭირდეს ახალი პროგრამული პაკეტის გამოყენება. ცოდნის გაზიარების ტექნიკა ფულის გათეთრების წინააღმდეგ საბრძოლველად ნაკლებად არის განვითარებული, ვიდრე ფულის გათეთრების წინააღმდეგ ბრძოლის ალტერნატიული გზები. ფულის გამთეთრებლები მრავალჯერადად იყენებენ ტრანზაქციებს და სხვადასხვა ანგარიშს. აღნიშნულიდან გამომდინარე შესაძლოა, შეიქმნას მონაცემთა ცენტრალური ბაზა, სადაც გაზიარებული იქნება მრავალი პრობლემის გადაჭრის შემთხვევა. ინფორმაციულ აგენტებს კი შეიძლება წარმოადგენდნენ როგორც ბანკები, ასევე სხვა ფინანსური ინსტიტუტები. ამასთანავე, აუცილებელია სხვადასხვა შემთხვევის გაანალიზება. მაგალითად, ბანკები ცალსახად უპირატესობაში არიან გარიგების და ინდივიდუალური ანგარიშების დონეზე ფულის გათეთრების გამოვლენაზე. მათ აქვთ წვდომა მომხმარებელთა პირად ინფორმაციასთან და ასევე, ანგარიშის ისტორიის შესახებ, რომელიც შეიძლება საეჭვო წარმომავლობის აღმოჩნდეს. ამის საპირისპიროდ, FinCEN სათანადოდ არის აღჭურვილი ბიზნესისა და ბირჟის სფეროში ფულის გათეთრების წინააღმდეგ საბრძოლველად. მათ აქვთ აგრეგირებული მონაცემები სამართალდამცავებისა და კომერციულ წყაროებიდან²⁰³. ფულის გათეთრების პროცესის გამოსავლენად სპეციალური ორგანოები და ანალიტიკოსები ხშირად იყენებენ სხვადასხვა საინფორმაციო პორტალებზე, ცნობარებსა თუ საერთაშორისო პუბლიკაციებში რეგულარულად გამოქვეყნებულ ინფორმაციას. ინვესტიციების კვალის ძიება კი სახელიდან იწყება. სახელების კვლევა გამოამჟღავნებს, რომ კომპანიების შესახებ მონაცემებს შორის ჩნდება ორგანიზებულ დანაშაულში ჩართული რამდენიმე პირი. როდესაც საქმე პირებისა ან კომპანიების კვლევას ეხება, ონლაინ მონაცემთა ბაზები უამრავ შესაძლებლობას იძლევა. ინტერნეტის

²⁰²Johnson, C. Using Case-Based Reasoning to Support the Indexing and Retrieval of Incident Reports

²⁰³U.S. Congress, O. O., Technologies for Detecting Money Laundering. In O. O. U.S. Congress, Technologies for Detecting Money Laundering, P. 51-71

განვითარებასთან ერთად ინვესტიციების წყაროს გამოძიებით დაკავებული პიროვნებები იძიებენ ინფორმაციის დიდ ნაკადს, რომლის გადასამუშავებლად თანამედროვე პროგრამებს იყენებენ, მათ შორისაა პროგრამა “12“, ე.წ. “ანალიტიკოსის წიგნაკი“, რომელიც წარმოადგენს მოწინავე საგამოძიებო ანალიტიკურ პროგრამას²⁰⁴. აღნიშნული საშუალებას აძლევს მკვლევარს რთული, კომპლექსური ბაზებიდან მოპოვებული ინფორმაცია მარტივად დააკავშიროს ერთმანეთთან და შექმნას ე.წ. ლოგიკური სცენარები. “12”-ის გარდა ასევე არსებობს კომპიუტერული პროგრამები, მათ შორის NetMiner²⁰⁵, UCInet²⁰⁶, Pajek²⁰⁷, სხვ, რომელიც იძლევა მონაცემების ინფორმაციად გარდაქმნის საშუალებას და კომპანიების სახელწოდებებს, მოწილეთა რაოდენობას, ვინაობას, მისამართებს, დაბადების თარიღებს ისე გარდაქმნის, რომ საერთო სახელწოდებებს შორის ხილულ კავშირს ადგენს. ამგვარად, კავშირების დადგენა, რომელიც ანალიტიკოსს გაუჭირდებოდა მონაცემთა ბაზების რაოდენობის გამო, დღეს უკვე შესაძლებელია კომპიუტერული პროგრამის მეშვეობით. კომპიუტერული პროგრამების შესაძლებლობები იზრდება, როდესაც მას გამოიყენებენ ანალიტიკოსთა მიერ შექმნილ მონაცემთა ბაზებში. Groove ფუნქციონირებს, როგორც დამაკავშირებელი ხიდი და უზრუნველყოფს გაცვლისთვის დაცულ სამუშაო სივრცეს. კომპანიის შესახებ ინფორმაცია ქვეყნებში ხელმისაწვდომია საჯარო საინფორმაციო პორტალებზე, ქვეყნების მიხედვით, ის შეიძლება იყოს ფასიანი:

- <http://www.globalinvestigativejournalism.org>-საიტზე დაარქივებულია მასალები, რომელიც მოიცავს ინფორმაციას სხვადასხვა ქვეყანაში და ოფშორულ სამოთხეებში მოქმედი კომპანიების შესახებ²⁰⁸;
- <http://ebr.org>-საიტზე მოცემულია ავსტრიის, ნიდერლანდების, ესტონეთის, ფინეთის, საფრანგეთის, გერმანიის, საბერძნეთის, ირლანდიის, იტალიის, ჯერსის, ლატვიის, დანიის, ნორვეგიის, სერბეთის, ესპანეთის, შვედეთის, უკრაინისა და დიდი ბრიტანეთის მონაცემთა ბაზები. ფასები იცვლება ქვეყნების მიხედვით²⁰⁹;

²⁰⁴ რადუ პ., International Center for Journalists, Advancing Quality Journalism Worldwide, ფულის კვალდაკვალ, ციფრული გზამკვლევი კორუფციის გამოსაგლეხად, გვ.22-25

²⁰⁵ NetMiner, Manual, Getting Started with NetMiner, CYRAM, 2008, P.28-29

²⁰⁶ Indian Institute of Technology Dyderabad, Global Initiative on Academic Network (GIAN), Certificate Course on SOCIAL NETWORK ANALYSIS 17th-23rd December 2016, P.2

²⁰⁷ Batagelj V., and Mrvar A., Pajek-Program for Large Network Analysis, University of Ljubljana, 1999, P.1

²⁰⁸ Global Investigative Journalism Network, website: <https://www.gijn.org>

²⁰⁹ European Business Register, website: <http://www.ebr.org>

- <http://www.lexisnexis/uk/business-ვებ-გვერდი> ფასიანია და ითხოვს ხელმოწერას. ის სთავაზობს ხელმისაწვდომობას მედიაში გამოქვეყნებულ მასალებთან, კომპანიების რეგისტრებთან მრავალ ქვეყანაში, სასამართლო საქმეებთან, ფინანსურ ბაზრებთან და მრავალ სხვა სახის ინფორმაციასთან²¹⁰;

- <http://www.dialog.com-ვებ-გვერდი> იძლევა წვდომას ასობით გაერთიანებულ მონაცემთა ბაზასთან და საძიებო სისტემასთან²¹¹.

ცალკეული ქვეყნის მიხედვით, ინფორმაციის მოძიება შეიძლება საჯარო რეესტრისა და საშემოსავლო სამსახურის საინფორმაციო პორტალებზე. მაგალითად,

- ✚ ავსტრალიის ფასიანი ქაღალდებისა და ინვესტიციების კომისია უზრუნველყოფს მონაცემთა ბაზას ავსტრალიაში დარეგისტრირებული კომპანიების შესახებ <http://www.asic.gov.au>²¹².

- ✚ აზერბაიჯანში კომპანიების შესახებ ინფორმაციის მოძიება რთულია, განსაკუთრებით კომერციული ორგანიზაციების მფლობელების შესახებ. ინფორმაცია მმართველების შესახებ არ არის საჯაროდ ხელმისაწვდომი. სახელმწიფო სტრუქტურები აზერბაიჯანში მუდმივად უარს ამბობენ კომერციული ჰოლდინგების აქციონერების და მმართველი საბჭოების შესახებ ინფორმაციის გაცემაზე, ვინაიდან მათთვის აქციონერთა სახელები კომერციული საიდუმლოა და ნებისმიერი ინფორმაცია, დაკავშირებული ასეთ კომპანიებთან კონფიდენციალურია. ინფორმაცია აქციონერების შესახებ ეროვნულ სადეპოზიტო ცენტრშია განთავსებული. “ეროვნული სადეპოზიტო ცენტრი” ბანკის როლს თამაშობს და ინფორმაცია მოწილეთა შესახებ საბანკო საიდუმლოს წარმოადგენს²¹³.

- ✚ ამერიკის შეერთებულ შტატებს მრავალი მონაცემთა ბაზა აქვს, რომლებიც აქტიურად გამოიყენება კომპანიების შესასწავლად. მაგალითად, <http://www.nass.org>, სადაც დარეგისტრირებისას ხელი მიგიწვდებათ ქვეყნის 50 შტატის კომპანიათა რეესტრზე²¹⁴. ასევე, საინტერესოა <http://www.guidestar.org>, რომელიც ითხოვს რეგისტრაციას²¹⁵. ის ძალზედ სასარგებლო ელექტრონული ვებ-მისამართია მათთვის, ვინც აშშ-ში დაფუძნებულ, მაგრამ საზღვარგარეთ მოქმედ ფონდებს, არასამთავრობო და საქველმოქმედო ორგანიზაციებს ეძებს და მათზე

²¹⁰RELX Group, LexisNexis, website: <http://www.lexisnexis.co.uk/en-uk/home.page>

²¹¹ProQuest Research Database, website: <http://www.proquest.com>

²¹²Austrian Securities and Investment Commission, website: <http://www.asic.gov.au>

²¹³National Depository Center of the Republic of Azerbaijan, CJSC, website: <http://aecd.org>

²¹⁴National Association of Secretaries of State, website: <http://www.nass.org>

²¹⁵GuideStar, website: <http://www.guidestar.org/Home.aspx>

სურს ინფორმაციის მოძიება.

✚ ახალი ზელანდიისთვის <https://www.companiesoffice.govt.nz/companies> ინფორმაციის ერთ-ერთი საუკეთესო პროვაიდერია. სისტემა უფასოა და ხელმისაწვდომია ინგლისურ ენაზე²¹⁶.

✚ ბელგიურ ვებ-გვერდზე არსებობს ზოგადი ინფორმაცია კომპანიების შესახებ. ვებ-გვერდი <http://www.ejustice.just.fgov.be/tsv/tsf.htm> ასევე იძლევა ინფორმაციას კომპანიების შესახებ²¹⁷. <http://www.trendstop.be>-ზე კი განთავსებულია ფინანსური ინფორმაცია ბელგიის 100 უმსხვილესი კომპანიის შესახებ²¹⁸.

✚ ბოსნია და ჰერცეგოვინაში კომპანიის შესახებ ჩანაწერების მოპოვება შესაძლებელია. ისინი ძირითადად განთავსებულია ბოსნიის სასამართლოებში. დოკუმენტები იძლევა ინფორმაციას მფლობელთა შესახებ. ასლების გადაღება ფასიანია. ამასთანავე, რამდენიმე სასამართლომ პრაქტიკაში დანერგა ინტერნეტ ან ვებ-გვერდებზე ხელმისაწვდომი მონაცემთა ბაზებით სარგებლობა. თუმცა, ვებ-გვერდებზე არსებული ინფორმაცია არ იძლევა სრულ სურათს²¹⁹.

✚ ბრიტანეთის ვირჯინიის კუნძულებით სარგებლობენ ოფშორული კომპანიების ფორმირების დროს. მათ აქვთ საკუთარი რეესტრი, საიდანაც შესაძლებელია კომპანიის წესდების, დირექტორთა შესახებ ინფორმაციის მიღება. თუმცა, დარეგისტრირებული კომპანიის ბენეფიციარი მფლობელი კორპორაციულ ჩანაწერებში შესაძლოა, არ დაფიქსირდეს.

✚ ვებ-მისამართზე <http://www.guernseyregistry.com> მოცემულია ინფორმაცია გუერნსზე დარეგისტრირებული კომპანიების შესახებ²²⁰. აღნიშნული კუნძული გამოირჩევა ოფშორული კომპანიების დაფუძნებისთვის დამახასიათებელი სასურველი გარემოთი, რომელიც არაერთ ფულის გამოეთრებელს იზიდავს.

✚ დანიის ვებ-გვერდი <http://www.biq.dk> მოცემულია დანიურ ენაზე და ფასიანია. ამასთანავე, შესაძლებელია ერთკვირიანი უფასო წევრობის მიღება²²¹. აქ შესაძლებელია ინფორმაციის მოძიება დანიური კომპანიებისა და მათთან დაკავშირებული პირების შესახებ.

✚ დიდ ბრიტანეთში ინფორმაცია აქციონერების, დირექტორებისა და ფინანსური ანგარიშების შესახებ ძირითადად ფასიანია. ცვლილებები კომპანიების

²¹⁶Ministry of Business, Innovation and Employment, website: <https://www.companiesoffice.govt.nz/companies>

²¹⁷Belgisch Staatsblad, website: <http://www.ejustice.just.fgov.be/tsv/tsf.htm>

²¹⁸Trends Top, Trends Business Information, in Search for Business, website: <http://www.trendstop.be>

²¹⁹Registers of Business Entities in Bosnia and Herzegovina, website: <https://bizreg.pravosudje.ba>

²²⁰Guernsey Registry, website: <http://www.guernseyregistry.com>

²²¹Søgning, website: <https://data.biq.dk>

სტრუქტურაში შესაძლოა მიკვლეულ იქნას მონაცემთა ბაზის, საკრედიტო ვალდებულებების და სხვადასხვა ფინანსური ტრანსაქციების შესახებ მონაცემების მიღებისას-<http://www.companieshouse.co.uk/ddir>²²². ამასთანავე, შესაძლოა ინფორმაციის მოძიება ყველა დისკვალიფიცირებული დირექტორის შესახებ.

✚ ირლანდიაში ინფორმაციის მიღება ფასიანია. კომპანიების სარეგისტრაციო ოფისები, რეესტრი, ბიზნეს-სახელწოდებები შესაძლოა, მოიძებნოს შემდეგ ვებ-მისამართზე <http://www.cro.ie>²²³.

✚ იტალიურ ვებ-გვერდზე <http://www.registroimprese.it> ინფორმაციის მოძიება კომპანიის შესახებ უფასოა²²⁴. მონაცემთა ბაზა, აგრეთვე ხელმისაწვდომია ევროპის ბიზნეს რეესტრის მეშვეობით.

✚ 2004 წლიდან მოყოლებული კვიპროსი მაქსიმალურად ცდილობს ფულის გათეთრების შემთხვევების აღმოფხვრას. კორპორაციული ჩანაწერების მოპოვება შესაძლებელია კომპანიათა რეესტრის დეპარტამენტის შემდეგ ვებ-მისამართზე: <http://www.mcit.gov.cy>²²⁵. საინტერესოა, რომ ოფიციალური დოკუმენტები შესაძლოა, შეიცავდეს შეცდომებს. კვიპროსს პრაქტიკულად არ აქვს კონტროლი მონაცემებზე.

✚ ლატვიაში ინფორმაცია ხელმისაწვდომია რეესტრის მეშვეობით: <http://www.lursoft.lv>²²⁶.

✚ ლიხტენშტეინი მწირ მონაცემებს სთავაზობს კომპანიების შესახებ და არასოდეს გასცემს ინფორმაციას მფლობელების შესახებ. კომპანიის შესახებ ინფორმაცია შესაძლებელია, ინახოს შემდეგ ვებ-გვერდზე: <http://www.oera.li>²²⁷. ძიება მიმდინარეობს სახელწოდებისა და რეგისტრაციის ნომრით. განსაზღვრული ფორმის შევსების შემდეგ შესაძლებელია ჩანაწერების მიღება. ინფორმაციის მიღება ფასიანია.

✚ ლუქსემბურგის სავაჭრო რეესტრს ფასიანი მომსახურება აქვს - <http://www.rcsl.lu>²²⁸. სასარგებლო რესურსი ლუქსემბურგის კომპანიების შესახებ მონაცემების მოსაპოვებლად არის შემდეგი ვებ-გვერდი: <http://www.etat.lu>, რომელიც

²²²Companies House, Registrar of Companies (England and Wales), website: www.gov.uk

²²³Companies Registration Office, website: <https://www.cro.ie>

²²⁴The business register of the Italian Chambers of Commerce, website: <http://www.registroimprese.it>

²²⁵Republic of Cyprus, The Ministry of Energy, Commerce Industry and Tourism, website: <http://www.mcit.gov.cy>

²²⁶Lursoft, website: <http://www.lursoft.lv>

²²⁷Landesverwaltung, Fürstentum Liechtenstein, website: <http://www.oera.li>

²²⁸Registre de Commerce et des Societes, website: <https://www.rcsl.lu>

მოიცავს ოფიციალური ჩანაწერების ნაკრებს²²⁹. კომპანიის სახელწოდების მიხედვით შესაძლებელია მონაცემების მოპოვება <http://legilux.public.lu>²³⁰.

✚ მაკედონიის კომპანიების შესახებ მონაცემები თავმოყრილია <http://www.crm.com.mk>-ზე, სადაც ინფორმაცია განთავსებულია მაკედონიურ ენაზე 2008 წლიდან დარეგისტრირებული კომპანიების შესახებ²³¹. წინა წლებში დარეგისტრირებული კომპანიების შესახებ ინფორმაციის მოსაპოვებლად აუცილებელია რეესტრის ოფისიდან ინფორმაციის გამოთხოვა.

✚ ოფშორული კომპანიების ფორმირებისთვის ერთ-ერთი მიმზიდველი ადგილმდებარეობაა მენის კუნძული, რომელთა კორპორაციული ჩანაწერები შესაძლებელია, მოიძებნოს ვებ-გვერდზე: <http://www.fsc.gov.im>²³². ძიება შესაძლებელია სახელწოდებით ან კომპანიის რეგისტრაციის ნომრით.

✚ ჰოლანდიის სავაჭრო რეესტრი ონლაინ რეჟიმში იძებნება ვებ-გვერდზე <http://www.kvk.nl>, ინფორმაციის უმეტესობა უფასოა²³³.

✚ ნორვეგიაში კომპანიის შესახებ ინფორმაცია ბიზნეს-რეესტრის მეშვეობითაა ხელმისაწვდომი: <http://www.brreg.no>²³⁴.

✚ რუმინეთში ჩანაწერები განთავსებულია ვებ-გვერდზე <http://www.onrc.ro>, სადაც შესაძლებელია სხვადასხვა ტიპის ძიების განხორციელება სახელებისა და მისამართების, სარეგისტრაციო ნომრის, აქციონერების და ადმინისტრატორის სახელების ჩათვლით²³⁵. მონაცემთა ბაზასთან დაშვებისთვის საჭიროა ხელმოწერა. კომპანიის ისტორია ბუქარესტის რეესტრის სათაო ოფისში მოიპოვება და მიღებული კაკონმდებლობით პირადი მონაცემები აქციონერთა შესახებ ხელმიუწვდომელია.

✚ რუსეთში რამდენიმე საძიებო რესურსი არსებობს, რომელიც იძლევა ინფორმაციას კომპანიების შესახებ. მათ შორის <http://www.egrul.ru>, რომელზეც ხელმოწერა აუცილებელია²³⁶. ვებ-გვერდი იძლევა ინფორმაციას კომპანიების დამფუძნებლების და ფინანსური ანგარიშების შესახებ. ასევე, შესაძლებელია ინფორმაციის მოძიება იმის თაობაზე, თუ რა კომპანიები შეიქმნა ამა თუ იმ პირის

²²⁹Le Gouvernement Du Grand-Duche De Luxembourg, website: <http://www.etat.public.lu/fr/index.php>

²³⁰Le Gouvernement Du Grand-Duche De Luxembourg, website: <http://legilux.public.lu>

²³¹Централен Регистар На Република Македонија, website: <http://www.crm.com.mk>

²³²Isle of Man, Financial Services Authority, Lught-Reill Shirveishyn Argidoil Ellan Vannin, website: <https://www.iomfsa.im>

²³³The Chamber of Commerce, Kamer van Koophandel, website: <https://www.kvk.nl/english/>

²³⁴The Brønnøysund Register Centre, website: <https://www.brreg.no/home/>

²³⁵Ministerul Justi

²³⁶Russian Federation, Enquiry Service of Legal Entities, website: <https://russianpartner.biz>

მიერ. ასევე, სასარგებლო ვებ-გვერდი არის <http://www.lin.ru>, რომლის დახმარებითაც შესაძლებელია ინფორმაციის მიღება მსხვილი კომპანიების შესახებ²³⁷. მოცემულ გვერდზე განთავსებული ინფორმაცია არ არის განახლებული.

✚ სამხრეთ აფრიკაში ჩანაწერები მოიპოვება კომპანიების რეესტრიდან, რომელიც ინახება ვაჭრობისა და მრეწველობის დეპარტამენტში <http://www.cipro.gov.za>²³⁸. არაოფიციალურად მონაცემების მოპოვება შესაძლებელია <http://www.legalcity.net>-ზე²³⁹.

✚ საფრანგეთში კომპანიების შესახებ ინფორმაცია მოცემულია <http://www.euridile.fr>-ზე²⁴⁰. კომპანიის შესახებ სრული ჩანაწერი შესაძლოა 40 ევრომდე ღირდეს.

✚ საქართველოში ჩანაწერები კომპანიათა შესახებ შესაძლოა მოიძებნოს ფინანსთა სამინისტროს www.revenue.mof.ge-სა და საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს www.napr.gov.ge ვებ-გვერდზე²⁴¹. არის შემთხვევები, როდესაც კომპანიების რეალური მფლობელების უკან ფიქტიური პირები დგანან. საქართველოში დარეგისტრირებული კომპანიების შესახებ ჩანაწერების მოძიება ასევე შესაძლებელია <http://www.dnb.com>-ზე²⁴². მონაცემთა ბაზასთან ხელმისაწვდომობა და სხვადასხვა ტიპის საძიებო სისტემა მოცემულია უფასო საიტზე <http://www.lexisnexis.com>²⁴³.

✚ სლოვაკეთში სხვადასხვა ტიპის ინფორმაციის მოძიება უფასოა <http://www.orsk.sk>-ზე²⁴⁴.

✚ უკრაინაში კომპანიების შესახებ ინფორმაციის მოპოვება შესაძლებელია ევროპის ბიზნეს-რეესტრის მეშვეობით. კომპანიების შესახებ ინფორმაცია თავმოყრილია <http://www.smida.gov.ua>²⁴⁵. მონაცემთა ბაზა იძლევა ინფორმაციას სააქციო საზოგადოებების, კომპანიების, მათი წლიური ანგარიშების შესახებ. <http://bank.gov.ua>-ზე მოცემულია ბანკების აქციონერთა მონაცემთა ბაზა, სადაც ასახულია ინფორმაცია იმ პირების შესახებ, ვისაც ბანკში 10%-ზე მეტი

²³⁷Legislation and Investment, website: <http://www.lin.ru>

²³⁸Companies and Intellectual Property Commission, a member of the dtl group

²³⁹Legal City, South Africa's premier online legal services portals, website: <https://www.legalcity.net>

²⁴⁰Les Greffes Des Tribunaux De Commerce, website: <https://www.infogreffe.fr>

²⁴¹საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო. website: www.napr.gov.ge

²⁴²Dun and Bradstreet, Global Commercial Database, website: <http://www.dnb.com>

²⁴³LexisNexis, Legal and Professional, website: <https://www.lexisnexis.com/en-us/gateway.page>

²⁴⁴Ministry Of Justice Of The Slovak Republic, Business Register, On Internet, website: <http://www.orsk.sk>

²⁴⁵SMIDA, Ми робимо інформацію доступною, website: <https://smida.gov.ua>

წილი აქვს²⁴⁶. <http://cna.com.ua> არის მონაცემთა ბაზა კომპანიების გაკორტების, ლიკვიდაციის, კანონდარღვევების და სხვა მსგავსი სახის ინფორმაციის შესახებ. აღნიშნული ინფორმაციის გამოთხოვა არის ფასიანი.

✚ უნგრეთში დარეგისტრირებული კომპანიების შესახებ ინფორმაციის მოძიება შესაძლებელია ინგლისურ ენაზე <http://www.adatbazis.com>²⁴⁷.

✚ ფინური კომპანიების შესახებ ინფორმაციის მოძიება შესაძლებელია სავაჭრო რეესტრის ოფიციალურ ვებ-გვერდზე: <http://www.ytj.fi>. თუმცა, მონაცემთა ბაზა არ მოიცავს ფინანსურ ჩანაწერებს²⁴⁸.

✚ ჩეხეთის რესპუბლიკის ვებ-გვერდი <http://portal.justice.cz> უზრუნველყოფს უფასო ინფორმაციის მოწოდებას კომპანიის სახელწოდების მიხედვით²⁴⁹.

როდესაც ფინანსური ინსტიტუტები და სახელმწიფო სტრუქტურები ახორციელებენ დიდი მოცულობის ინვესტიციებს თანამედროვე ტექნოლოგიებში, რათა მოხერხდეს კლიენტების შესახებ უტყუარი ინფორმაციის მიღება, დამნაშავეები მაქსიმალურად ცდილობენ ალტერნატიული გზების მოძიებას, რის საპასუხოდაც სახელმწიფო თუ საერთაშორისო ორგანოები იმუშავებენ სხვადასხვა ტექნოლოგიებს, რომელიც საშუალებას მისცემს მათ დაინახონ კავშირები მოთამაშეებს შორის და გამოავლინონ საეჭვო ტიპის შემთხვევები, დაკავშირებული ფულის გათეთრებასთან. თუ ფინანსური სისტემები განაგრძობენ ახალი კონტროლის მექანიზმების დანერგვას, კრიმინალები კვლავ შეეცდებიან ახალი ალტერნატიული გზის მოძიებას ფულადი სახსრებისათვის. როგორც მოცემულ პარაგრაფში გამოვლინდა, თანამედროვე ტექნოლოგიები ხელს უწყობენ უკანონოდ მიღებული შემოსავლების ლეგალიზაციის ფაქტების გამოვლენასა და მათ შემდგომ პრევენციას. ასევე, გავეცანით ინფორმაციის დიდი ნაკადის გადამამუშავებელ ანალიტიკურ პროგრამებს.

²⁴⁶Національний банк України, website: <http://bank.gov.ua/control/uk/index>

²⁴⁷BISNODE, Azokosadatok és üzletilemzések úttörőivagyunk, website: <https://www.bisnode.hu>

²⁴⁸The Business Information System, website: <https://www.ytj.fi/en/index.html>

²⁴⁹Ministerstvo Spravedlnosti České Republiky, website: <http://www.justice.cz/Justice2/Uvod/uvod.aspx>

თავი III. ფულის გათეთრების წინააღმდეგ ბრძოლის თავისებურებები საქართველოში

3.1. ფულის გათეთრების წინააღმდეგ ბრძოლის ინსტიტუციური სისტემა და სამართლებრივი ბაზა საქართველოში

მოცემულ თავში განვიხილავთ საქართველოში ფულის გათეთრების წინააღმდეგ ბრძოლის თავისებურებას. მიმოვიხილავთ საკანონმდებლო ბაზას, სხვადასხვა სპეციალიზებულ ინსტიტუტებს და აღნიშნულ პრობლემასთან საბრძოლველად შემუშავებულ სპეციალურ დოკუმენტებს.

ბოლო ათი წლის განმავლობაში საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტების და წამყვანი ინდუსტრიული ქვეყნების განსაკუთრებული ძალისხმევა მიმართულია უკანონო საქმიანობით მიღებული ფულადი სახსრების არა მარტო დამალვის, არამედ ამ სახსრებით დანაშაულებრივი საქმიანობის და ტერორიზმის დაფინანსების წინააღმდეგ ბრძოლისაკენ. ამ ვითარებაში, საქართველოში ე.წ. „ფულის გათეთრების“ აღკვეთის შესახებ კანონდებლობის შემუშავების და შესაბამისი ღონისძიებების გატარების მცდელობა ეხმაურება მსოფლიოში არსებულ ტენდენციებს. გარდა ამისა, ჩვენს ქვეყანაში, სადაც მიახლოებითი სტატისტიკის მიხედვით ჩრდილოვანი ეკონომიკის წილი 60 პროცენტს შეადგენს, უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის წინააღმდეგ ბრძოლის პრობლემებზე მუშაობა ძალზე აქტუალურია²⁵⁰. საქართველოს, როგორც ევროპის საბჭოს წევრ ქვეყანას, რომელიც მიუერთდა ევროპის საბჭოს 1990 წლის კონვენციას „ფულის გათეთრების, დანაშაულებრივი საქმიანობის შედეგად მოპოვებული შემოსავლების მოძიების, ამოღებისა და კონფისკაციის შესახებ“ (სტრასბურგის კონვენცია), ნაკისრი აქვს ვალდებულება შექმნას უკანონო შემოსავლების ლეგალიზაციის წინააღმდეგ ბრძოლის სფეროში პრევენციული საკანონმდებლო ბაზა და გაატაროს შესაბამისი ღონისძიებები. აღნიშნული საკანონმდებლო ბაზის შექმნა აგრეთვე საერთაშორისო სავალუტო ფონდის რეკომენდაცია/მოთხოვნაა²⁵¹. აღნიშნული გარემოებების გათვალისწინებით შესაბამისი უწყებათაშორისი კომისიის მიერ მომზადდა კანონპროექტი „უკანონო შემოსავლების ლეგალიზაციის აღკვეთის

²⁵⁰ დანელია ბ., ჩრდილოვანი ეკონომიკა 60 პროცენტს აჭარბებს, სტატია, 2018, გვ.1 http://for.ge/view.php?for_id=52242&cat=1

²⁵¹ საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, კონვენცია ფულის გათეთრების, დანაშაულებრივი საქმიანობის შედეგად მოპოვებული შემოსავლების მოძიების, ამოღებისა და კონფისკაციის შესახებ, საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულება და შეთანხმება, 1990წ., <https://www.matsne.gov.ge/ka/document/view/1216554>

შესახებ” და საკანონმდებლო ცვლილებების პაკეტი. კანონპროექტის შემუშავებისას ნაწილობრივ გათვალისწინებული იყო, როგორც ზემოაღნიშნული კონვენციის დებულებები, ისე FATF-ის 40 რეკომენდაცია და 1991 წლის 10 ივნისის 91/308/EEC დირექტივა ფინანსური სისტემების ფულის გათეთრების მიზნით გამოყენების აღკვეთის შესახებ. სექტორული ქვეჯგუფის მიერ, რომელშიც GEPLAC-ის ექსპერტებთან ერთად მონაწილეობდნენ იუსტიციის სამინისტროს, ეკონომიკის, მრეწველობისა და ვაჭრობის სამინისტროს, ფინანსთა სამინისტროს და ეროვნული ბანკის წარმომადგენლები, შესწავლილ იქნა დირექტივის 91/308/EEC და სტრასბურგის კონვენციის მოთხოვნები და მომზადდა კანონპროექტის აღნიშნულ აქტებთან შედარებითი ანალიზი, რომელმაც კანონპროექტის მთელი რიგი ხარვეზები და შეუსაბამობები გამოავლინა. ამ სფეროში საქართველოს კანონდებლობის ევროპის კანონდებლობასთან ჰარმონიზაცია ხელს შეუწყობს ფულის გათეთრების წინააღმდეგ ბრძოლის მექანიზმების ეფექტიან ამოქმედებას- ფულის გათეთრების ყველა შესაძლო გზების გადაკეტვას, გათეთრების მცდელობის დროულ გამოვლენას და აღკვეთას და რაც მთავარია, საშუალებას მისცემს შესაბამის ორგანოებს არ დაუშვან დანაშაულებრივი გზით შექმნილი ქონების განკარგვა და უზრუნველყონ მისი სახელმწიფოსათვის გადაცემა. აღნიშნული ღონისძიებების მოსალოდნელი შედეგი გამოვლინდება ჩრდილოვანი სექტორიდან ლეგალურ სექტორში ფულის გადინებით.

საქართველოში უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციისა და ტერორიზმის დაფინანსების აღკვეთის სისტემა არსებობის ათ წელს ითვლის. ამჟამად მოქმედი “უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის აღკვეთის ხელშეწყობის შესახებ” საქართველოს კანონი 2003 წლის 6 ივნისს იქნა მიღებული და ძალაშია 2004 წლის 1 იანვრიდან²⁵². სწორედ აღნიშნული კანონი წარმოადგენს უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციისა და ტერორიზმის დაფინანსების პრევენციის ეროვნული სისტემის მთავარ სამართლებრივ ინსტრუმენტს. კანონი არეგულირებს საქართველოში უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციისა და ტერორიზმის დაფინანსების გამოვლენასა და აღკვეთის ხელშეწყობასთან დაკავშირებულ ურთიერთობებს, ასევე საქართველოსა და სხვა სახელმწიფოთა უფლებამოსილ ორგანოებსა და საერთაშორისო ორგანიზაციებს შორის თანამშრომლობის ფორმებს. საქართველოს ფინანსური მონიტორინგის სამსახურს ხელმძღვანელობს უფროსი, რომელსაც

²⁵²საქართველოს მთავრობის დადგენილება №236, ფულის გათეთრებისა და ტერორიზმის დაფინანსების წინააღმდეგ ბრძოლის სტრატეგია (2014-2017წწ), ქ.თბილისი, გვ.1-2

ეროვნული ბანკის საბჭოსთან შეთანხმებით, 4 წლის ვადით თანამდებობაზე ნიშნავს და თანამდებობიდან ათავისუფლებს საქართველოს პრეზიდენტი. სამსახურის უფროსს ჰყავს მოადგილე. სამსახურის შემადგენლობაში შედის შემდეგი სტრუქტურული ერთეულები: ანალიტიკური სამმართველო, ადმინისტრაციული სამმართველო, მეთოდოლოგიის, საერთაშორისო ურთიერთობებისა და იურიდიული სამმართველო, ინფორმაციის მიღებისა და დამუშავების სამმართველო. სამსახური საქართველოს პრეზიდენტს წელიწადში ერთხელ, მომდევნო საანგარიშო წლის 1 მაისამდე წარუდგენს ანგარიშს გაწეული საქმიანობის შესახებ²⁵³. სამსახურის დაფინანსებასთან დაკავშირებით უნდა აღინიშნოს, რომ მის ბიუჯეტს სამსახურის უფროსის წარდგინებით ყოველწლიურად ამტკიცებს ეროვნული ბანკის საბჭო²⁵⁴. სისტემატური ურთიერთობა აქვს სახელმძღვანელო ორგანოებთან, საქართველოს ეროვნულ ბანკთან, საქართველოს იუსტიციის სამინისტროსა და საქართველოს ფინანსთა სამინისტროსთან, საქართველოს კანონმდებლობის საფუძველზე შექმნილი ბუღალტერთა საერთაშორისო ფედერაციის წევრ ორგანიზაციასთან²⁵⁵. ”უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის აღკვეთის ხელშეწყობის შესახებ“ საქართველოს კანონი განსაზღვრავს საქართველოს ფინანსური მონიტორინგის სამსახურის ამოცანებსა და საქმიანობის ძირითად მიმართულებებს. საჯარო სამართლის იურიდიული პირი-საქართველოს ფინანსური მონიტორინგის სამსახური, როგორც დამოუკიდებელი ორგანო მონიტორინგის განმახორციელებელი პირებისგან იღებს, აანალიზებს და დასაბუთებული ვარაუდის გაჩენის შემთხვევაში, რომ გარიგება საეჭვოა და ხორციელდება უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის ან ტერორიზმის დაფინანსების ან სხვა დანაშაულის ჩადენის მიზნით, გადასცემს სათანადო ინფორმაციას სამართალდამცავ ორგანოებს.²⁵⁶ ბოლო წლებში ფინანსური მონიტორინგის სამსახური კვლავაც განაგრძობს ინტენსიურ თანამშრომლობას სახელმძღვანელო ორგანოებთან-საქართველოს ეროვნულ ბანკთან, საქართველოს იუსტიციისა და ფინანსთა სამინისტროებთან, საქართველოს პროფესიონალ ბუღალტერთა და აუდიტორთა ფედერაციასთან, საქართველოს ადვოკატთა ასოციაციასთან. მონიტორინგის განმახორციელებელი პირების შემოწმების

²⁵³ საქართველოს მთავრობის დადგენილება N606, 2014, ქ.თბილისი, თავი 4, მუხლი 6

²⁵⁴ Transparency International Georgia, 2014, website: <http://www.transparency.ge/ge/blog/pinansuri-monitoringis-samsakhuri-pinansta-saministros-ar-unda-gadaetses>

²⁵⁵ Georgian Federation of Professional Accountants and Auditors, website: <http://www.gfpaa.ge/site/index.php>

²⁵⁶ საქართველოს კანონი “უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის აღკვეთის ხელშეწყობის შესახებ” 2003, ქ.თბილისი, მუხლი 10

მომზადებასა და ინსპექტირების შედეგებთან დაკავშირებით სახელამხედველო ორგანოებთან ხორციელდება ინფორმაციის ურთიერთგაცვლა უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციისა და ტერორიზმის დაფინანსების სფეროში მოქმედი საკანონმდებლო ბაზის მოთხოვნების შესრულების მდგომარეობის შესახებ. აღსანიშნავია, რომ საქართველოს ეროვნულ ბანკსა და სსიპ საქართველოს ფინანსური მონიტორინგის სამსახურს შორის თანამშრომლობის ხელშეწყობის მიზნით, 2016 წლის 5 აგვისტოს გაფორმდა მემორანდუმი, რომლის მიზანია ინფორმაციის ურთიერთგაცვლის, ნორმატიული ბაზისა და მეთოდოლოგიური სახელმძღვანელოების შემუშავების პროცესში მხარეთა თანამშრომლობის გადრმავება²⁵⁷. 2016 წელს გაფორმებული მემორანდუმით განახლებულ იქნა მხარეთა შორის 2007 წლის 30 მაისს გაფორმებული შეთანხმებით გათვალისწინებულ საკითხებზე თანამშრომლობის პირობები.

2016 წელს საქართველოს ფინანსური მონიტორინგის სამსახური აქტიურად იყო ჩართული ასევე კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლის უწყებათშორისი საკოორდინაციო საბჭოსა და ფულის გათეთრებისა და ტერორიზმის დაფინანსების წინააღმდეგ ბრძოლის სტრატეგიისა და სამოქმედო გეგმის შემუშავებელი და მისი შესრულების კოორდინაციის განმახორციელებელი უწყებათაშორისი საბჭოს მუშაობაში. საერთაშორისო თანამშრომლობის გადრმავების თვალსაზრისით, აღსანიშნავია, რომ საქართველოს ფინანსური მონიტორინგის სამსახური აგრძელებს კოოპერირებულ საქმიანობას უცხოელ კოლეგებთან²⁵⁸. უცხო ქვეყნების შესაბამის სამსახურებთან ორმხრივი თანამშრომლობის ხელშეწყობის მიზნით, საქართველოს ფინანსური მონიტორინგის სამსახურის მიერ 2016 წლის განმავლობაში ურთიერთგაგების მემორანდუმები გაფორმებულ იქნა ყაზახეთის, მონტენეგროსა და მონაკოს ანალოგიურ სამსახურებთან. 2017 წლის 1 იანვრის მდგომარეობით, საქართველოს ფინანსური მონიტორინგის სამსახურს თანამშრომლობისა და ინფორმაციის ურთიერთგაცვლის შესახებ მემორანდუმი გაფორმებული აქვს 42 ქვეყნის ანალოგიურ სამსახურთან²⁵⁹.

საანგარიშო წლის მანძილზე სამსახური განაგრძობდა თანამშრომლობას საერთაშორისო და უცხოურ ორგანიზაციებთან. 2016 წლის მანძილზე საქართველოს ფინანსური მონიტორინგის სამსახური აქტიურად იყო ჩართული

²⁵⁷ საქართველოს ფინანსური მონიტორინგის სამსახური, წლიური ანგარიში, 2016, ქ.თბილისი, გვ. 10-11

²⁵⁸ საქართველოს ფინანსური მონიტორინგის სამსახური, წლიური ანგარიში, 2016, ქ.თბილისი, გვ.11


²⁵⁹ საქართველოს ფინანსური მონიტორინგის სამსახური, წლიური ანგარიში, 2016, ქ.თბილისი, გვ.12

ევროპის საბჭოს ფულის გათეთრების წინააღმდეგ მიმართულ ღონისძიებათა შემფასებელ რჩეულ ექსპერტთა (MONEYVAL) კომიტეტის პლენარული სხდომების მუშაობაში. საქართველოს ფინანსური მონიტორინგის სამსახურის წარმომადგენელი მონაწილეობას იღებდა სლოვენის მეხუთე რაუნდის საშემფასებლო მისიაში (ორგანიზატორი-MONEYVAL-ის კომიტეტი, 2016 წლის 6–19 ნოემბერი)²⁶⁰. ”უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის აღკვეთის ხელშეწყობის შესახებ“ საქართველოს კანონში 2016 წლის 8 ივნისს შეტანილი საკანონმდებლო ცვლილებების თანახმად, იმ პირებისათვის რომლებიც კანონმდებლობით დადგენილი წესით ეწვეიან საბუღალტრო ან/და აუდიტორულ საქმიანობის, ზემოაღნიშნული კანონით გათვალისწინებული მოთხოვნების შესრულებაზე ზედამხედველ ორგანოდ, საქართველოს კანონმდებლობის საფუძველზე შექმნილი ბუღალტერთა საერთაშორისო ფედერაციის წევრი ორგანიზაციის ნაცვლად, განისაზღვრა საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სისტემაში შემაგალი სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახური. ”უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის აღკვეთის ხელშეწყობის შესახებ“ საქართველოს კანონიდან გამომდინარე, 2016 წლის მანძილზე გაგრძელდა მუშაობა საქართველოს ფინანსური მონიტორინგის სამსახურის მიერ ტერორისტთა და ტერორიზმის ხელშემწყობ პირთა სიების განახლების მიმართულებით. საქართველოს ფინანსური მონიტორინგის სამსახურის მიერ საანგარიშო წლის მანძილზე გაეროს შესაბამისი კომიტეტის გადაწყვეტილებების საფუძველზე მუდმივად ხდებოდა ცვლილებები და დამატებები ტერორისტთა და ტერორიზმის ხელშემწყობ პირთა სიებში. ზემოაღნიშნული ბრძანებები გამოქვეყნდა საქართველოს საკანონმდებლო მაცნეში, საქართველოს ფინანსური მონიტორინგის სამსახურის ვებ-გვერდზე და მიეწოდა მონიტორინგის განმახორციელებელ პირებს. აღნიშნული ცვლილებებისა და დამატებების მიზანია გაეროს ალ-ქაიდასა და თალიბანის წინააღმდეგ მიმართული სანქციების კომიტეტების მიერ დამტკიცებულ სიებთან ადგილობრივი კანონმდებლობის სრული თავსებადობის უზრუნველყოფა²⁶¹. 2016 წელს საქართველოს ფინანსური მონიტორინგის სამსახურმა მონიტორინგის განმახორციელებელ პირებისთვის ამ უკანასკნელთა მიერ მათზე კანონმდებლობით დაკისრებული ვალდებულებების შესრულების ხელშეწყობის უზრუნველსაყოფად

²⁶⁰Egmont, Annual Report, 15 Years of Trust and Confidence, 2010, Page.36

²⁶¹საქართველოს ფინანსური მონიტორინგის სამსახური, წლიური ანგარიში, 2016, ქ.თბილისი, გვ.13

განაგრძო საკონსულტაციო შეხვედრების, ტრენინგებისა და სემინარების ორგანიზება. საქართველოს ფინანსური მონიტორინგის სამსახურმა საანგარიშო წლის მანძილზე დამოუკიდებლად და საერთაშორისო ორგანიზაციების მხარდაჭერით მონიტორინგის განმახორციელებელი პირებისათვის გამართა რამდენიმე ტრენინგ-სემინარი. 2016 წლის მანძილზე საქართველოს ფინანსური მონიტორინგის სამსახურის თანამშრომლები განაგრძობდნენ მონაწილეობას სხვადასხვა საერთაშორისო ტრენინგსა თუ სემინარში, ასევე ესწრებოდნენ საერთაშორისო ორგანიზაციების ინიციატივით გამართულ შესაბამის შეხვედრებს²⁶². საქართველოს მთავრობისათვის ფულის გათეთრების წინააღმდეგ ბრძოლა საკმაოდ მნიშვნელოვანი საკითხია. აღნიშნული პრობლემის წინააღმდეგ ბრძოლის სამართლებრივი სისტემა დაფუძნებულია საერთაშორისო დოკუმენტებისა და გამოცდილების საფუძველზე.

 **“უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის აღკვეთის ხელშეწყობი“** საქართველოს კანონი და მის საფუძველზე საქართველოს ფინანსური მონიტორინგის სამსახურისა და სახელმძღვანელო ორგანოების მიერ გამოცემული ნორმატიული აქტები საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად:

- განსაზღვრავენ მონიტორინგის განმახორციელებელი პირების ვალდებულებებს უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციისა და ტერორიზმის დაფინანსების აღკვეთის სფეროში;
- განსაზღვრავენ მონიტორინგის განმახორციელებელი პირების მიერ შესაბამისი ინფორმაციის საქართველოს ფინანსური მონიტორინგის სამსახურისთვის მიწოდების წესსა და პირობებს;
- ითვალისწინებენ ვალდებულებებს ინფორმაციის დაცვასა და გაცემასთან დაკავშირებული პასუხისმგებლობის შესახებ და უზრუნველყოფენ ადგილობრივი და საერთაშორისო თანამშრომლობის მექანიზმებს²⁶³.

“უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის აღკვეთის ხელშეწყობის შესახებ“ საქართველოს კანონში 2011 წლის 25 ნოემბერს შეტანილი ცვლილებები ითვალისწინებს ცალკე დებულებებს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის რეზოლუციების შესრულების საკითხებზე მომუშავე სამთავრობო კომისიის თაობაზე. კანონი განსაზღვრავს კომისიისა და სამუშაო ჯგუფის

²⁶² საქართველოს ფინანსური მონიტორინგის სამსახური, წლიური ანგარიში, 2016, ქთბილისი, გვ.16
²⁶³ საქართველოს მთავრობის დადგენილება N399, 2013, ქთბილისი, საჯარო სამართლის იურიდიული პირის-საქართველოს ფინანსური მონიტორინგის სამსახურის დებულების დამტკიცების თაობაზე, თავი 3, მუხლი 4

უფლებამოსილებებს. ”უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის აღკვეთის ხელშეწყობის შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრულია უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციისა და ტერორიზმის დაფინანსების აღკვეთის სფეროში მოქმედი ეროვნული ინსტიტუციონალური სისტემა. კანონით დადგენილია მონიტორინგის განმახორციელებელი პირების მიერ შესაბამისი ვალდებულებების შესრულებაზე პასუხისმგებელი სახელმძღვანელო ორგანოები. კერძოდ:

➤ საქართველოს ეროვნული ბანკი-კომერციული ბანკების, ვალუტის გადამცვლელი პუნქტების, კვალიფიციური საკრედიტო ინსტიტუტების, არასაბანკო სადეპოზიტო დაწესებულებებისა და მიკროსაფინანსო ორგანიზაციებისათვის; ფულადი გზავნილების განმახორციელებელი პირებისათვის; საბროკერო კომპანიებისა და ფასიანი ქაღალდების რეგისტრატორებისათვის;

➤ საჯარო სამართლის იურიდიული პირი-საქართველოს დაზღვევის სახელმწიფო ზედამხედველობის სამსახური-სადაზღვევო კომპანიებისა და არასახელმწიფო საპენსიო სქემის დამფუძნებლებისათვის;

➤ საქართველოს ფინანსთა სამინისტრო-ლატარიებისა და სხვა თამაშების მომწიფო პირებისათვის; ძვირფას ლითონებთან, ძვირფას ქვებთან და მათ ნაწარმსა და ანტიკვარულ ნივთებთან დაკავშირებული საქმიანობის განმახორციელებელი პირებისათვის; სსიპ-შემოსავლების სამსახურისათვის; სალიზინგო კომპანიებისათვის; გრანტებისა და საქველმოქმედო დახმარებების გამცემი პირებისათვის;

➤ საქართველოს იუსტიციის სამინისტრო-ნოტარიუსებისათვის; სსიპ-საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოსათვის;

➤ საქართველოს კანონმდებლობის საფუძველზე შექმნილი ბუღალტერთა საერთაშორისო ფედერაციის წევრი ორგანიზაცია იმ პირებისათვის, რომლებიც საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით ეწევიან საბუღალტრო ან/და აუდიტორულ საქმიანობას;

➤ საჯარო სამართლის იურიდიული პირი-საქართველოს ადვოკატთა ასოციაცია-ადვოკატებისათვის²⁶⁴.

მოქმედი კანონმდებლობის თანახმად, სახელმძღვანელო ორგანოებს ეკისრებათ პასუხისმგებლობა მონიტორინგის განმახორციელებელი პირების მიერ კანონმდებლობით გათვალისწინებული ვალდებულებების შესრულების

²⁶⁴საქართველოს პარლამენტი, კანონი “უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის აღკვეთის ხელშეწყობის შესახებ”, 2003, ქ.თბილისი, მუხლი 4

შემოწმებისათვის.

✚ “საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი” ახდენს უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციისა და ტერორიზმის დაფინანსების კრიმინალიზაციას. ასევე, მასში მოცემულია უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის პრედიკატი დანაშაულები. აღსანიშნავია, რომ უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის კრიმინალიზაციის მიზნებისათვის, პრედიკატს წარმოადგენს საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსით გათვალისწინებული ყველა დანაშაული²⁶⁵. მითითებული დანაშაულები სრულად მოიცავს ფინანსური მოქმედების სპეციალური ჯგუფის მიერ განსაზღვრულ უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის პრედიკატებს. აღსანიშნავია, რომ 2007 წლიდან დღემდე საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის შესაბამის მუხლებში განხორციელდა რიგი ცვლილებები, რომლებიც მიზნად ისახავდა უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის და ტერორიზმის დაფინანსების ფართო და სრულყოფილ კრიმინალიზაციას. აღნიშნულის შედეგად, მითითებული დანაშაულების კრიმინალიზაცია დღეისათვის სრულად შეესაბამება ამ სფეროში მოქმედ საერთაშორისო სტანდარტებს. ზემოხსენებული დანაშაულების კრიმინალიზაციასთან ერთად, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი ადგენს ქონების ჩამორთმევის სისხლის სამართლებრივ მექანიზმს, რაც არანაკლებ მნიშვნელოვანია უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის და ფულის გათეთრების წინააღმდეგ ბრძოლისთვის.

✚ “ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობის შესახებ” საქართველოს კანონი განსაზღვრავს ოპერატიულ ღონისძიებებს და მათი ჩატარების წესებს, რომლებიც გამოიყენება დანაშაულების, მათ შორის, ფულის გათეთრებისა და ტერორიზმის დაფინანსების, გამოვლენისა და აღკვეთის მიზნით²⁶⁶.

✚ “საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის” შესაბამისი თავი (თავი X IV1) ადგენს-უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციისა და ტერორიზმის დაფინანსების დანაშაულებისათვის მსჯავრდებული პირის, მისი ოჯახის წევრის, ახლო ნათესავის და დაკავშირებული პირის უკანონო და დაუსაბუთებელი ქონების ჩამორთმევის სამოქალაქო-სამართლებრივ მექანიზმს. აღნიშნული მექანიზმის არსებობა მნიშვნელოვანია უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის და ტერორიზმის დაფინანსების წინააღმდეგ ბრძოლაში, რადგან ამ დროს, ქონების ჩამორთმევის

²⁶⁵ საქართველოს მთავრობის დადგენილება №236, ფულის გათეთრებისა და ტერორიზმის დაფინანსების წინააღმდეგ ბრძოლის სტრატეგია (2014-2017წწ), 2014, ქ.თბილისი, გვ. 4

²⁶⁶ საქართველოს მთავრობის დადგენილება №236, ფულის გათეთრებისა და ტერორიზმის დაფინანსების წინააღმდეგ ბრძოლის სტრატეგია (2014-2017წწ), 2014, ქ.თბილისი, გვ. 4

სისხლის სამართლებრივი მექანიზმისგან განსხვავებით, ჩამორთმევას დაქვემდებარებულ ქონებასთან მიმართებაში ხდება მტკიცების ტვირთის ცვლილება და უშუალოდ მოპასუხე მხარეს ეკისრება ქონების კანონიერი წარმომავლობის დასაბუთების ვალდებულება²⁶⁷.

✚ **“სისხლის სამართლის სფეროში საერთაშორისო თანამშრომლობის შესახებ”** საქართველოს კანონი განსაზღვრავს სისხლის სამართლის საქმეებზე, მათ შორის, უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციისა და ტერორიზმის დაფინანსების საქმეებზე, სამართლებრივი დახმარების აღმოჩენის, ექსტრადიციის და განაჩენის აღსრულების პროცედურებს²⁶⁸.

✚ **“სამართალდაცვით სფეროში საერთაშორისო თანამშრომლობის შესახებ”** საქართველოს კანონი არეგულირებს სამართალდაცვით სფეროში საერთაშორისო თანამშრომლობის საკითხებს, რომლებიც უკავშირდება ოპერატიულ-სამძებრო ინფორმაციისა და პერსონალური მონაცემების გაცვლას, ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებების განხორციელებას და საქართველოს სამართალდამცავი ორგანოების კომპეტენციისათვის მიკუთვნებულ სხვა სფეროებს, რომლებშიც საქართველოს სამართალდამცავი ორგანოები თანამშრომლობენ საზღვარგარეთის ქვეყნის სამართალდამცავ ორგანოებთან ან საერთაშორისო ორგანიზაციის შესაბამის სტრუქტურებთან. აღნიშნული თანამშრომლობა ხორციელდება, მათ შორის, უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის თავიდან აცილების, გამოვლენის და აღკვეთის მიზნით. საქართველოს კანონმდებლობის თანახმად, უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის გამოძიება განეკუთვნება საქართველოს მთავარი პროკურატურის კომპეტენციას, ხოლო საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო იძიებს ტერორისტულ დანაშაულებს და ტერორიზმის დაფინანსების საქმეებს. აღსანიშნავია, რომ უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის და ტერორიზმის დაფინანსების საქმეების გამოძიება ტარდება საქართველოს მთავარი პროკურატურისა და საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სპეციალიზებული დანაყოფების მიერ²⁶⁹.

✚ **“ფულის გათეთრების წინააღმდეგ ბრძოლის სტრატეგიის”** ძირითადი მიზანია საქართველოში საერთაშორისო სტანდარტებთან თავსებადი უკანონო

²⁶⁷ საქართველოს მთავრობის დადგენილება №236, ფულის გათეთრებისა და ტერორიზმის დაფინანსების წინააღმდეგ ბრძოლის სტრატეგია (2014-2017წწ), 2014, ქ.თბილისი, გვ. 4-5

²⁶⁸ საქართველოს მთავრობის დადგენილება №236, ფულის გათეთრებისა და ტერორიზმის დაფინანსების წინააღმდეგ ბრძოლის სტრატეგია (2014-2017წწ), 2014, ქ.თბილისი, გვ. 5

²⁶⁹ საქართველოს მთავრობის დადგენილება №236, ფულის გათეთრებისა და ტერორიზმის დაფინანსების წინააღმდეგ ბრძოლის სტრატეგია (2014-2017წწ), 2014, ქ.თბილისი, გვ. 5

შემოსავლის ლეგალიზაციისა და ტერორიზმის დაფინანსების წინააღმდეგ ბრძოლისა და პრევენციის ეროვნული სისტემის ფორმირება, რაც, თავის მხრივ, ხელს შეუწყობს უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციისა და ტერორიზმის დაფინანსებასთან დაკავშირებული დანაშაულების პრევენციას, მათი რაოდენობის კლებას და მათ დროულ გამოვლენას. სტრატეგიის აღნიშნული მიმართულება უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის და ტერორიზმის დაფინანსების კუთხით ქვეყანაში არსებული რისკების იდენტიფიცირებას და ამ დანაშაულების პრევენციის მიზნით რისკზე დამყარებული პოლიტიკის განსაზღვრას გულისხმობს. კერძოდ, შესაბამისი უწყებების მონაწილეობით მუშავდება ზოგადი, სექტორული და თემატური რისკების ამსახველი დოკუმენტი, რომლის საფუძველზე მოხდება უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის და ტერორიზმის დაფინანსების სფეროში სახელმწიფო პოლიტიკის პრიორიტეტების განსაზღვრა და რესურსების ეფექტიანი განაწილება²⁷⁰. რისკების შეფასების დოკუმენტით გამოვლენილი სირთულეების აღმოფხვრის მიზნით, განხორციელდება სხვადასხვა სექტორებში საქართველოს კანონმდებლობით და სახელმწიფო ზედამხედველობის პოლიტიკით განსაზღვრული მექანიზმების გადასინჯვა ან, საჭიროების შემთხვევაში, ახალი მექანიზმების დანერგვა. შემუშავებული სტრატეგიის ერთ-ერთი მიმართულებაა უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციისა და ტერორიზმის დაფინანსების წინააღმდეგ ბრძოლის ეროვნული საკანონმდებლო ბაზის საერთაშორისო სტანდარტების გათვალისწინებით შემდგომი სრულყოფა. საქართველოს მოქმედი კანონმდებლობა ფინანსური ქმედების სპეციალური ჯგუფის (FATF) რეკომენდაციებს, ევროკავშირის შესაბამის დირექტივებსა და შესაბამისი კონვენციების მოთხოვნებს ეყრდნობა. თუმცა, მთელი რიგი მიმართულებებით აუცილებელია ზემოაღნიშნული სტანდარტების შემდგომი იმპლემენტაციის პროცესის გაგრძელება, რასაც მიზნად ისახავს სტრატეგია და მასზე თანდართული სამოქმედო გეგმა. სტრატეგიის ერთ-ერთი მიმართულებაა ასევე ეროვნული ინსტიტუციონალური სისტემის გაძლიერება. ამ მიმართულებით პრიორიტეტულია:

- საზედამხედველო ორგანოების შესაბამისი ადამიანური, მატერიალურ-ტექნიკური რესურსებით გაძლიერება;
- ფინანსური ქმედების სპეციალური ჯგუფის (FATF) მეთოდოლოგიისა და მის საფუძველზე შემუშავებული კანონმდებლობის გაცნობის მიზნით,

²⁷⁰ საქართველოს მთავრობის დადგენილება №236, ფულის გათეთრებისა და ტერორიზმის დაფინანსების წინააღმდეგ ბრძოლის სტრატეგია (2014-2017წწ), 2014, ქ.თბილისი, გვ. 6

პერმანენტული ტრენინგების ორგანიზება საზედამხედველო ორგანოების, სამართალდამცავი სტრუქტურებისა და სასამართლო ხელისუფლების წარმომადგენელთათვის;

- შესაბამისი საკანონმდებლო ცვლილებების განხორციელების გზით საზედამხედველო ორგანოების, საქართველოს ფინანსური მონიტორინგის სამსახურის აღჭურვა ყველა იმ მექანიზმით, რომელიც საერთაშორისო სტანდარტებისა და საუკეთესო პრაქტიკის გათვალისწინებით, აუცილებელია მათზე დაკისრებული ამოცანების ეფექტური რეალიზაციისთვის²⁷¹.

სტრატეგიის მიმართულებას წარმოადგენს უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციისა და ტერორიზმის დაფინანსების წინააღმდეგ მოქმედი სახელმწიფო და თვითმარეგულირებელი ორგანიზაციების ადგილობრივი თანამშრომლობის, ასევე, მათი უცხოელ კოლეგებთან საერთაშორისო თანამშრომლობის გაძლიერება²⁷². მონიტორინგის განმახორციელებელი პირების მიერ უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის და ტერორიზმის დაფინანსების წინააღმდეგ ბრძოლის სფეროში არსებული ვალდებულებების ჯეროვანი შესრულების ხელშეწყობა, განსაკუთრებით, ეს შეეხება იმ სფეროებს, სადაც მაღალია უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციისა და ტერორიზმის დაფინანსების რისკი. სტრატეგიის ერთ-ერთ მნიშვნელოვან მიმართულებას წარმოადგენს მონიტორინგის განმახორციელებელი პირების მიერ უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის და ტერორიზმის დაფინანსების წინააღმდეგ ბრძოლის სფეროში არსებული საკანონმდებლო ვალდებულებების სათანადოდ შესრულების უზრუნველყოფა²⁷³. 2015 წელს მიიღეს ცვლილება “უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის აღკვეთის ხელშეწყობის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“ კანონპროექტი, რომლის მიზანია “შემოსავლების სამსახურის მიერ იდენტიფიცირებულ იყოს არა მხოლოდ საზღვარზე 30,000 ლარზე-ეროვნული და უცხოური ვალუტების, ჩეკებისა და სხვა ფასიანი ქაღალდების-გადაამადგილებელი ფიზიკური პირები, არამედ გადაადგილებული საქონლის გამგზავნი და მიმღები, როგორც ფიზიკური, ასევე, იურიდიული

²⁷¹ საქართველოს მთავრობის დადგენილება №236, ფულის გათეთრებისა და ტერორიზმის დაფინანსების წინააღმდეგ ბრძოლის სტრატეგია (2014-2017წწ), 2014, ქ.თბილისი, გვ. 7

²⁷² საქართველოს მთავრობის დადგენილება №236, ფულის გათეთრებისა და ტერორიზმის დაფინანსების წინააღმდეგ ბრძოლის სტრატეგია (2014-2017წწ), 2014, ქ.თბილისი, გვ. 7

²⁷³ საქართველოს მთავრობის დადგენილება №236, ფულის გათეთრებისა და ტერორიზმის დაფინანსების წინააღმდეგ ბრძოლის სტრატეგია (2014-2017წწ), 2014, ქ.თბილისი, გვ. 8

პირები²⁷⁴“. უკანონო შემოსავლების ლეგალიზაციაში მონაწილეობის მიმღები ისჯება ჯარიმით ან თავისუფლების აღკვეთით²⁷⁵. აღნიშნული რეკომენდაციების გათვალისწინებით, ევროკავშირის წევრ ქვეყნებში მოქმედებს რეგულაცია ევროკავშირის ტერიტორიაზე ნაღდი ფულის შემოტანისა და გატანისა თაობაზე²⁷⁶. რეგულაციის თანახმად, ფიზიკური პირი, რომელსაც ევროკავშირის წევრ ქვეყანაში შესვლისას ან ქვეყნის დატოვებისას-საზღვარზე გადააქვს 10,000 ევრო (ან მისი ეკვივალენტი სხვა ვალუტაში), აგრეთვე, აღნიშნულ თანხაზე მეტი ოდენობის ნაღდი ფული (შემდგომში საქონელი), ჩეკები და სხვა ფასიანი ქაღალდები, ვაღდებულის, მოახდინოს მისი დეკლარირება წევრი ქვეყნის საზღვარზე მოქმედ უფლებამოსილ საბაჟო ორგანოში და შეავსოს სპეციალური ფორმა. სპეციალური ფორმა პრაქტიკულად იდენტურია თითოეული ევროკავშირის წევრი ქვეყნისთვის და მოიცავს პერსონალურ ინფორმაციას დეკლარანტის, აგრეთვე, გადაადგილებული საქონლის მფლობელისა და გადაადგილებული საქონლის მიმღები, როგორც ფიზიკური ასევე იურიდიული პირების შესახებ.

ცხრილი 3. დეკლარირების მოთხოვნები ქვეყნების მიხედვით

	<i>ქვეყანა</i>	<i>ნორმატიული აქტი</i>	<i>სავალდებულო საბაჟო დეკლარირებას დაქვემდებარებული თანხის ოდენობა</i>	<i>დეკლარაციაში ჩასაწერი სავალდებულო მონაცემები</i>
1.	აშშ	ფედერალური ნორმატიული აქტების კოდექსის ფინანსთა დეპარტამენტის რეგულაცია	თუ აღემატება 10,000 აშშ დოლარს.	<ul style="list-style-type: none"> • საქონლის გადაამადგილებელი; • საქონლის გამგზავნი; • საქონლის მიმღები.
2.	კანადა	“ფულის გათეთრებისა და ტერორიზმის დაფინანსების წინააღმდეგ“ კანონი.	10,000 კანადური დოლარი ან მეტი (ან მისი ეკვივალენტი სხვა ვალუტაში). 10,000 კანადური დოლარი შეადგენს დაახლოებით 7,951 აშშ დოლარს.	<ul style="list-style-type: none"> • საქონლის გადაამადგილებელი; • საქონლის გამგზავნი.
3.	სინგაპური	კორუფციის, ნარკოტიკების გადატანა და სხვა სერიოზული დანაშაულის შესახებ აქტი	თუ აღემატება 20,000 სინგაპურულ დოლარს. 20,000 სინგაპურული დოლარი შეადგენს დაახლოებით 14,841 აშშ დოლარს.	<ul style="list-style-type: none"> • საქონლის გადაამადგილებელი; • საქონლის გამგზავნი; • საქონლის მიმღები.
4.	მაკედონია	კანონი “ფულის გათეთრებისა, სხვა დანაშაულებრივი ქმედებების და ტერორიზმის დაფინანსების აღკვეთის შესახებ“	10,000 ევროდან (ან მისი ეკვივალენტი სხვა ვალუტაში)	<ul style="list-style-type: none"> • საქონლის გადაამადგილებელი; • საქონლის მფლობელი; • საქონლის მიმღები.

²⁷⁴საქართველოს კანონი “უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის აღკვეთის ხელშეწყობის შესახებ”. გვ.7

²⁷⁵გოგბერაშვილი ა., უკანონო შემოსავლის ლეგალიზაცია, 2012, გვ.1-2

²⁷⁶ Regulation (EC) No 1889/2005 on controls of cash entering or leaving the Community, Brussels, 2005

5.	მონტენეგრო	კანონი “ფულის გათეთრებისა და ტერორიზმის დაფინანსების აღკვეთის შესახებ“	10,000 ევროდან	<ul style="list-style-type: none"> საქონლის გადამაადგილებელი; საქონლის მიმღები.
6.	სერბეთი	კანონი “ფულის გათეთრებისა და ტერორიზმთან ბრძოლის წინააღმდეგ“	თუ აღემატება 10,000 ევროს(ან მისი ეკვივალენტი სხვა ვალუტაში)	<ul style="list-style-type: none"> საქონლის გადამაადგილებელი; საქონლისმფლობელი; საქონლის მიმღები.
7.	ყაზახეთი	“შეთანხმება საბაჟო კავშირის საბაჟო საზღვარზე ფიზიკური პირების მიერ ნაღდი ფულისა და ფულადი ინსტრუმენტების გადაადგილების წესის შესახებ“	-	<ul style="list-style-type: none"> საქონლის გადამაადგილებელი; საქონლის მფლობელი.
8.	უკრაინა	საბაჟო საზღვარზე ნაღდი ფულის გადაადგილების შესახებ ინსტრუქცია	-	<ul style="list-style-type: none"> საქონლის გადამაადგილებელი.

შენიშვნა: შედგენილია ავტორის მიერ

უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციისა და ტერორიზმის დაფინანსების წინააღმდეგ ბრძოლის სტრატეგიით განსაზღვრული მიზნებისა და ძირითადი მიმართულებების იმპლემენტაციის უზრუნველსაყოფად, სტრატეგიას თან ერთვის სამოქმედო გეგმა, რომელიც ითვალისწინებს კონკრეტულ ღონისძიებებს, მათ იმპლემენტაციაზე პასუხისმგებელ უწყებებსა და შესრულების ვადებს²⁷⁷. სტრატეგიის და სამოქმედო გეგმის შესრულების ზედამხედველობას უზრუნველყოფს უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციისა და ტერორიზმის დაფინანსების წინააღმდეგ ბრძოლისა და პრევენციის სფეროში მოქმედი შესაბამისი სახელმწიფო უწყებებისა და ორგანიზაციების წარმომადგენელთა მონაწილეობით ფორმირებული უწყებათშორისი საკოორდინაციო საბჭო, რომლის მთავარ ამოცანას ასევე წარმოადგენს სტრატეგიის, შესაბამისი სამოქმედო გეგმის და უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციისა და ტერორიზმის დაფინანსების წინააღმდეგ ბრძოლისა და მისი პრევენციის სფეროში მოქმედი საერთაშორისო ორგანიზაციების რეკომენდაციების შესრულების ზედამხედველობა და ამ მიმართულებით სახელმწიფო ორგანოების საქმიანობის კოორდინაცია²⁷⁸.

საერთაშორისო და ადგილობრივი ლიტერატურის გაცნობის შედეგად, შესაძლოა შემდეგი რეკომენდაციების ჩამოყალიბება, რომელიც დაეხმარება სახელმწიფოს ფულის გათეთრების დონის შემცირებაში.

²⁷⁷საქართველოს მთავრობის დადგენილება №236, ფულის გათეთრებისა და ტერორიზმის დაფინანსების წინააღმდეგ ბრძოლის სტრატეგია (2014-2017წწ), 2014, ქ.თბილისი, გვ.8

²⁷⁸საქართველოს მთავრობის დადგენილება №236, ფულის გათეთრებისა და ტერორიზმის დაფინანსების წინააღმდეგ ბრძოლის სტრატეგია (2014-2017წწ), 2014, ქ.თბილისი, გვ.8-9

✚ თანამედროვე მსოფლიოში დაგროვილი გამოცდილება გვიჩვენებს, რომ საფინანსო ინსტიტუტებს ფულის გათეთრების მიზნებისათვის გამოყენების დიდი რისკი ახასიათებს. ამასთან საფინანსო ინსტიტუტის ცნება გარდა ბანკების, სადაზღვევო კომპანიების და ფასინი ქაღალდების ბროკერებისა ბევრად უფრო ფართოა და მრავალ ისეთ ინსტიტუტს მოიცავს, რომელიც კანონპროექტით დაზუსტებული არ არის, მაგალითად: კოლექტიური საინვესტიციო დაწესებულებები, საფინანსო სალიზინგო კომპანიები, ფულადი გზავნილების დაწესებულებები და მრავალი სხვა ინსტიტუტი, რომლის საქმიანობის ძირითად საგანს ესა თუ ის ფინანსური მომსახურება წარმოადგენს. კანონპროექტის ამგვარი ვაკუუმი გასაგებიცაა, ვინაიდან საქართველოს ფინანსური ბაზრის განვითარება არ შეესაბამება ევროპის ფინანსური ბაზრის განვითარების დონეს, და კანონპროექტი არ მოიცავს ბაზრის არარსებულ სუბიექტებს. თუმცა, ახლო მომავალში გამორიცხული არ არის ბაზარზე ასეთი სუბიექტების გამოჩენა, ხოლო კანონპროექტში არსებულმა ვაკუუმმა ისინი შესაძლოა ფულის გათეთრებლების „თავშესაფრად“ აქციოს.

✚ ფინანსური მონიტორინგის განმახორციელებელი პირების ჩამონათვალს შეიძლება დაემატოს აუდიტორები, დამოუკიდებელი ბუღალტრები, საგადასახადო კონსულტანტები და იურიდიული პროფესიის დამოუკიდებელი პირები, როდესაც ეს უკანასკნელნი კონსულტაციას უწევენ კლიენტებს სხავდასხვა საკითხებთან დაკავშირებით. ისინი დახმარებას უწევენ:

- თავიანთ კლიენტებს გარიგებათა დაგეგმვასა და შესრულებაში;
- უძრავი ქონების ან სამეწარმეო საზოგადოების ყიდვა-გაყიდვასთან დაკავშირებით;
- კლიენტის ფულის, ფასიანი ქაღალდების ან სხვა აქტივების მართვასთან დაკავშირებით; საბანკო, შემნახველი და ფასიანი ქაღალდების ანგარიშების გახსნასა და მართვასთან დაკავშირებით;
- კომპანიის დაფუძნების, ფუნქციონირებისა და მართვისთვის აუცილებელი შენატანების ორგანიზებასთან დაკავშირებით;
- ტრასტების, კომპანიების ან მსგავსი სტრუქტურების დაფუძნებასთან, ფუნქციონირებასა და მართვასთან დაკავშირებით;
- კლიენტის სახელით და მის ინტერესებში მონაწილეობენ რაიმე ფინანსურ ან უძრავ ქონებასთან დაკავშირებულ გარიგებაში.

ფულის გათეთრების უკვე ჩამოყალიბებული საერთაშორისო პრაქტიკა ცხადყოფს, რომ ფულის გათეთრებლები, ფინანსური კონსულტაციისათვის ზემოაღნიშნული პროფესიის პირებს მიმართავენ. შესაძლოა, საქართველოში დღევანდელ ეტაპზე აღნიშნული პროფესიული საქმიანობა ფულის გათეთრების კუთხით მაღალი რისკის მატარებელი არ იყოს, მაგრამ თუ გავითვალისწინებთ ბაზრის სწრაფ განვითარებას, აღნიშნული პრობლემა შესაძლოა სულ მალე დადგეს დღის წესრიგში.

✚ კანოპროექტში მკაფიოდ უნდა იყოს ჩამოყალიბებული მოთხოვნა, რომლის თანახმადაც მონიტორინგის განმახორციელებელმა დაწესებულებამ კლიენტის/ხელშეკრულების მხარის იდენტიფიკაცია უნდა განახორციელოს:

- საქმიანი ურთიერთობების დამყარებისას;
- ერთჯერადი გარიგების დადებისას იმ შემთხვევაში თუ გარიგების თანხა დადგენილ ზღვარს აღემატება (15,000 ევროს).

აღნიშნული დებულების არსი იმაში მდგომარეობს, რომ დაწესებულებამ კლიენტის იდენტიფიკაცია აუცილებლად უნდა მოახდინოს მასთან საქმიანი ურთიერთობების დამყარებისას, რაც გულისხმობს გრძელვადიან, არაერთჯერად ურთიერთობას²⁷⁹. ეს დებულება განამტკიცებს პრინციპს „იცნობდე საკუთარ კლიენტს“, რომელსაც უნდა იცავდეს მონიტორინგის განმახორციელებელი დაწესებულება.

✚ რაც შეეხება გარიგების თანხის ოდენობას, იგი პირის იდენტიფიკაციის ვალდებულების წარმოშობისათვის განმსაზღვრელია მხოლოდ ერთჯერადი გარიგების შემთხვევაში, ე.ი. არა ყველა ერთჯერადი გარიგება ექვემდებარება იდენტიფიკაციას, არამედ მხოლოდ დიდ თანხასთან დაკავშირებული (15,000 ევროს ზევით). იდენტიფიკაციის ვალდებულებიდან შეიძლება დაშვებულ იქნეს გამონაკლისი სადაზღვევო კომპანიის მიერ გაცემულ სადაზღვევო პოლისებთან დაკავშირებით, როდესაც ნებისმიერი წლისათვის პერიოდულად გადასახდელი სადაზღვევო პრემიის თანხა ან თანხები არ აღემატება 1,000 ევროს ან როდესაც ერთჯერადი პრემიის ოდენობა არ აღემატება 2,500 ევროს. თუ შესაბამისი წლისათვის პერიოდულად გადასახდელი პრემიის თანხა იმდენად გაიზრდება, რომ გადააჭარბებს დადგენილ ზღვარს-1,000 ევროს, იდენტიფიკაციის

²⁷⁹Council Directive 91/308/EEC, On Prevention Of The Use Of The Financial System For The Purpose Of Money Laundering, Article 3(1)(2), 1991, Brussels

ვალდებულება გავრცელებულ უნდა იქნეს²⁸⁰. აღნიშნული გამონაკლისი იმითაა განპირობებული, რომ ამ ოდენობის პრემიები ფულის გათეთრების თვალსაზრისით მეტად დაბალი რისკის მატარებელია და ვინაიდან იდენტიფიკაციის პროცედურის ჩატარება გარკვეულ ხარჯებსა და ძალისხმევასთანაა დაკავშირებული, გამართლებული არ იქნება მათი სრული მოცულობით გავრცელება ასეთ დაბალრისკიან გარიგებებზე. იდენტიფიკაციის ვალდებულებიდან შეიძლება დაშვებულ იქნეს გამონაკლისი აგრეთვე საპენსიო სქემების სადაზღვევო პოლისებთან დაკავშირებით, რომლებიც გაცემულია შრომითი ხელშეკრულების ან დაზღვეულის დასაქმების საფუძველზე, იმ პირობით რომ ასეთი პოლისები არ შეიცავს დამზღვევის მიერ ხელშეკრულების ვადამდე შეწყვეტის უფლებას და არ შეიძლება გამოყენებულ იქნეს, როგორც უზრუნველყოფის საშუალება²⁸¹.

ამასთანავე, კაზინოებმა უნდა მოახდინონ ყველა კლიენტის იდენტიფიკაცია, რომელიც ყიდულობს ან ყიდის 1,000 ევროს (შესაბამისი ექვივალენტის ლარებში) და მეტი ღირებულების სათამაშო მონეტებს. კაზინო, თამაშების ინტენსიური, სწრაფი მონიტორინგის განმახორციელებელ პირებს იდენტიფიკაციის ვალდებულება უნდა დაეკისროთ იმ შემთხვევაშიც, როდესაც გარიგების თანხა ზემოთ დადგენილ ზღვრებზე ნაკლებია, თუ არსებობს ეჭვი ფულის გათეთრების შესახებ. კანონპროექტის თანახმად მონიტორინგის განმახორციელებელ პირებს კლიენტის იდენტიფიკაციის მოვალეობა ეკისრებათ, მხოლოდ იმ შემთხვევაში თუ მონიტორინგს დაქვემდებარებული გარიგების თანხა დადგენილ ზღვარზე მეტია²⁸². ამდენად, მიუხედავად იმისა, რომ გარიგება შეიძლება აშკარად ატარებდეს ფულის გათეთრების ნიშნებს, მონიტორინგის განმახორციელებელ პირებს არ ევალებათ გარიგების მონაწილე პირთა იდენტიფიკაცია და შესაბამისად ფინანსური მონიტორინგის სამსახურისათვის შეტყობინების მიწოდება, თუ გარიგების თანხა დადგენილ ზღვარზე ნაკლებია. აღნიშნული დებულება მნიშვნელოვნად შეასუსტებს ფულის გათეთრების წინააღმდეგ ბრძოლის მექანიზმებს, ვინაიდან საშუალებას მისცემს ფულის გამთეთრებლებს სხვადასხვა ხრიკების საშუალებით წარმატებულად აარიდონ თავი იდენტიფიკაციის და მონიტორინგის ღონისძიებებს.

²⁸⁰Council Directive 91/308/EEC of 10 June 1991 on prevention of the use of the financial system for the purpose of money laundering, article 3(3), Brussels

²⁸¹Council Directive 91/308/EEC of 10 June 1991 on prevention of the use of the financial system for the purpose of money laundering, article 3(4), Brussels.

²⁸²Council Directive 91/308/EEC of 10 June 1991 on prevention of the use of the financial system for the purpose of money laundering, article 3(4), Brussels.

✚ მონიტორინგის განმახორციელებელი პირები განთავისუფლებულ უნდა იქნენ ისეთი კლიენტის/ხელშეკრულების მხარის იდენტიფიკაციის ვალდებულებისაგან, რომელიც წარმოადგენს საბანკო დაწესებულებას. ვინაიდან კომერციული ბანკები ექვემდებარებიან სპეცილურ რეგულირებასა და ზედამხედველობას, რაც მოიცავს მათზე დეტალური ლიცენზირების პროცედურისა და ფულის გათეთრების საწინააღმდეგო ღონისძიებების სრული მოცულობით გავრცელებას, მიზანშეწონილია, რომ მათ, როგორც კლიენტთა/გარიგების მხარეთა მიმართ შესაბამისი იდენტიფიკაციის პროცედურები არ განხორციელდეს.

✚ კანონპროექტი უნდა უზრუნველყოფდეს, რომ მონიტორინგის განმახორციელებელი პირები გაატარებენ ყველა საჭირო და ადეკვატურ ღონისძიებას, რომელიც აუცილებელია იმ დიდ რისკის თავიდან ასაცილებლად, რომელიც დაკავშირებულია კლიენტის ფიზიკური დასწრების გარეშე მასთან საქმიანი ურთიერთობების დამყარებასა თუ გარიგების დადებასთან. ღონისძიებებმა უნდა უზრუნველყონ ვინაობის დადგენა დამატებითი დოკუმენტური მტკიცებულების მოთხოვნის გზით, დამატებითი ღონისძიებების გატარებით, რომლებიც უზრუნველყოფს წარმოდგენილი დოკუმენტების შემოწმებას და დადასტურებას.

✚ საფინანსო სექტორის სწრაფი განვითარება, რასაც თან ერთვის მზარდი ტექნოლოგიური პროგრესი, საშუალებას აძლევს დაწესებულებებს გაუწიონ მომხმარებლებს მომსახურება, მათი ფიზიკური დასწრების გარეშე, მაგალითად, ინტერნეტის, ბანკომატის, სატელეფონო საბანკო მომსახურების საშუალებებით. აღნიშნული სახის მომსახურებები სულ უფრო და უფრო მასშტაბურ სახეს იძენს, და ვინაიდან ასეთ ავტომატიზირებულ ოპერაციებს განსაკუთრებული სისწრაფე, ნებისმიერი ადგილიდან ხელმისაწვდომობა და ნაკლები გამჭვირვალობა ახასიათებს, ეს ფულის გათეთრების მეტად ხელსაყრელ საშუალებად შეიძლება იქცეს. მნიშვნელობა ენიჭება ასეთი ტიპის გარიგებებს და აუცილებელია სპეცილური ადეკვატური ზომების მიღება. მაგ:

- ახალი კლიენტისათვის, რომელიც განსაზღვრულ კატეგორიაში ექცევა დაწესდეს იდენტიფიკაციისათვის მათი ფიზიკური დასწრების მოთხოვნა;
- შემუშავდეს სრულყოფილი კითხვარი ანგარიშის გახსნის განცხადების ფორმით.

✚ ერთმანეთისაგან უნდა გაიმიჯნოს გარიგებასთან დაკავშირებული მტკიცებულებების და კლიენტის იდენტიფიკაციასთან დაკავშირებული

მტკიცებულებების შენახვის ვადა და ამ უკანასკნელის შენახვის ვადის ათვლა კლიენტთან ურთიერთობის შეწყვეტის მომენტიდან განისაზღვროს²⁸³. ჩამოყალიბებული რეკომენდაციის გათვალისწინების შემთხვევაში, რომლის თანახმადაც დაწესებულებას კლიენტის იდენტიფიკაციის ვალდებულება დაეკისრება გრძელვადიანი საქმიანი ურთიერთობების დამყარებისას, კანონპროექტში ავტომატურად უნდა განისაზღვროს მოთხოვნა, რომლის თანახმადაც დოკუმენტების შენახვის ხუთწლიანი ვადა აითვლება ამ ურთიერთობის შეწყვეტის მომენტიდან.

✚ ნოტარიუსები, იურიდიული პროფესიის დამოუკიდებელი პირები, აუდიტორები და გარე ბუღალტრები შეიძლება განთავისუფლებულ იქნან ფინანსური მონიტორინგის სამსახურისათვის იმ ინფორმაციის მიწოდების ვალდებულებისაგან, რომელიც მათ მიიღეს კლიენტისაგან ან კლიენტის შესახებ მისი სამართლებრივი მდგომარეობის გამყარებისას ან დაცვის ან წარმომადგენლობის უფლების განხორციელებისას სასამართლო წარმოებაში ან წარმოებასთან დაკავშირებით, მათ შორის რჩევის მიცემისას სასამართლო წარმოების დაწყებასა თუ თავის არიდებასთან დაკავშირებით, მიუხედავად იმისა, ინფორმაცია მიღებულ იქნა წარმოების დაწყებამდე, მისი მსვლელობისას თუ დასრულების შემდგომ²⁸⁴.

✚ ევროკავშირის მრავალ წევრ-ქვეყანაში დამკვიდრებული პროფესიული ეთიკის ნორმების თანახმად ნოტარიუსების, ადვოკატების და სხვა კონსულტანტების მიერ კლიენტის სამართლებრივი მდგომარეობის გამყარებასა და სასამართლო წარმოებაში მის წარმომადგენლობასთან დაკავშირებით მიღებული ინფორმაცია წარმოადგენს პროფესიული საიდუმლოების საგანს. ამდენად, ამ პირთა პროფესიული ეთიკის ნორმებთან შეუთავსებელია მათთვის ზემოაღნიშნული ინფორმაციის მიწოდების ვალდებულების დაკისრება, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც მათთვის ცნობილია, რომ მათი მომსახურება ფულის გათეთრების მიზნებს ემსახურება. მონიტორინგის განმახორციელებელ პირებს უნდა დაეკისროს მოვალეობა, თავი შეიკავონ გარიგების განხორციელებისაგან, როდესაც მათთვის ცნობილია, რომ გარიგებას კავშირი აქვს უკანონო შემოსავლების ლეგალიზაციასთან ან არსებობს ამის ეჭვი მანამ, სანამ ისინი შესაბამის

²⁸³Council Directive 91/308/EEC of 10 June 1991 on prevention of the use of the financial system for the purpose of money laundering, article 4, Brussels.

²⁸⁴Council Directive 91/308/EEC of 10 June 1991 on prevention of the use of the financial system for the purpose of money laundering, article 6(3), Brussels.

ინფორმაციას არ მიაწვდიან ფინანსური მონიტორინგის სამსახურს; ასევე, ფინანსური მონიტორინგის სამსახურს უნდა მიენიჭოს უფლება, მითითება მისცეს მონიტორინგის განმახორციელებელ პირს არ განახორციელოს გარიგება. თუ გარიგების განხორციელებისაგან, რომელიც ფულის გათეთრების ეჭვს იწვევს, თავის შეკავება შეუძლებელია ან ამან შეიძლება ჩაშალოს გარიგების მონაწილეთა დაკავების ღონისძიება, მონიტორინგის განმახორციელებელმა პირებმა შეტყობინება ფინანსური მონიტორინგის სამსახურში უნდა გააკეთოს დაუყოვნებლივ გარიგების განხორციელების შემდგომ²⁸⁵. საეჭვო გარიგების განხორციელება შესაბამის ორგანოს შეტყობინებამდე ნებადართულ იქნეს მხოლოდ გამონაკლის შემთხვევაში. კანონპროექტის თანახმად კი შეტყობინება უნდა გაკეთდეს გარიგების განხორციელებიდან 48 საათის განმავლობაში, რაც საკმაოდ ხანგრძლივი პერიოდია და უდავოდ ხელს შეუშლის დანაშაულის აღკვეთის ღონისძიებების ოპერატიულ და ეფექტიან განხორციელებას²⁸⁶. მონიტორინგის განმახორციელებელ პირებს უნდა დაეკისროს მოვალეობა არ გაამჟღავნონ საეჭვო გარიგებასთან დაკავშირებით ფინანსური მონიტორინგის სამსახურისათვის შეტყობინების მიწოდება არა მარტო გარიგებაში მონაწილე პირებთან, არამედ ნებისმიერ მესამე პირთან²⁸⁷. კანონპროექტში აღნიშნული დებულების გათვალისწინება თავიდან აგვაცილებს მესამე პირთა მეშვეობით ინფორმაციის არასასურველ გამჟღავნებას და შესაბამისად ხელს შეუწყობს ფულის გათეთრების საქმის გამოძიების წარმატებულ განხორციელებას.

✚ კანონმდებლობა უნდა ითვალისწინებდეს დანაშაულებრივი გზით მიღებული შემოსავლის ან მისი ღირებულების ექვივალენტური ქონების კონფისკაციას²⁸⁸. ნათელია, რომ ფულის გათეთრების ძირითადი არსი და მიზანი დანაშაულებრივი გზით შექმნილი ფულადი სახსრების დაგროვება და მისი დაკანონებაა. საერთაშორისო სავალუტო ფონდის მონაცემებით მსოფლიოში ყოველწლიურად 600 მილიარდიდან 1.5 ტრილიონამდე აშშ დოლარის ოდენობის თანხები თეთრდება²⁸⁹. გარდა დამნაშავის დაკავებისა და დასჯისა ფულის

²⁸⁵ Council Directive 91/308/EEC of 10 June 1991 on prevention of the use of the financial system for the purpose of money laundering, article 7, Brussels.

²⁸⁶ Council Directive 91/308/EEC of 10 June 1991 on prevention of the use of the financial system for the purpose of money laundering, article 7, Brussels.

²⁸⁷ Council Directive 91/308/EEC of 10 June 1991 on prevention of the use of the financial system for the purpose of money laundering, article 8, Brussels.

²⁸⁸ Convention on Laundering, Search, Seizure, and confiscation of the Proceeds from Crime, chapter 2, article 2.1, 1990, Strasbourg.

²⁸⁹ International Monetary Fund statistics, Money Laundering, Washington.

გათეთრების საწინააღმდეგო ღონისძიებები მნიშვნელოვან ეკონომიკურ მიზანს ემსახურება, კერძოდ, დანაშაულებრივი გზით შექმნილი ქონების ჩამორთმევას და მისი სახელმწიფოსათვის გადაცემას. შესაბამისად, ფულის გათეთრების საწინააღმდეგო სისტემის დანერგვა კონფისკაციის მექანიზმის დამკვიდრების გარეშე მნიშვნელოვნად შეასუსტებს აღნიშნული სისტემის ეფექტიანობას. ფულის გათეთრების წინააღმდეგ ბრძოლის სრულყოფის მიზნით, აუცილებელია საერთაშორისო თანამშრომლობის გაფართოება და გრძელვადიანი უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის აღკვეთის კომპლექსური მიზნობრივი პროგრამის შემუშავება და რეალიზება.

3.2. ფულის გათეთრებაზე მოქმედი ფაქტორები საქართველოში

მოცემული პარაგრაფი მიზნად ისახავს საქართველოში ფულის გათეთრების გამომწვევი მიზეზების გარკვევას და ფულის დაბანდებისათვის მიმზიდველი სფეროების გამოვლენას. ასევე, გაანალიზებულია უკანონოდ მიღებული შემოსავლის ლეგალიზაციაზე მოქმედი ფაქტორები, რომლებიც დაჯგუფებულია სხვადასხვა ნიშნის მიხედვით.

საქართველოში 80-იანი წლების ბოლომდე არ იყო ცნობილი ფულის გათეთრების პრობლემა, თუმცა, “პერესტროიკის” დასაწყისისათვის საბჭოთა კავშირში წარმოიქმნა მნიშვნელოვანი მოცულობის კრიმინალური და ჩრდილოვანი კაპიტალი. ჩრდილოვანი შემოსავლების მასშტაბური გათეთრება “პერესტროიკის” წლებში დაიწყო, როდესაც 1988 წელს მიიღეს საბჭოთა კავშირის კანონი “კოოპერაციის შესახებ”. ამ კანონით, ნებადართული იყო კოოპერატივების შექმნა შემოსავლების დეკლარირების მოთხოვნის გარეშე, რაც ჩრდილოვანი კაპიტალის გასათეთრებლად გზების ოფიციალურად გახსნას ნიშნავდა. ეფექტიანად არ გამოიყენებოდა საბჭოთა კავშირის მინისტრთა საბჭოს 1986 წლის 15 მაისის დადგენილება “არაშრომითი შემოსავლების წინააღმდეგ ბრძოლის გაძლიერების ზომების შესახებ”²⁹⁰. 90-იანი წლების დასაწყისიდან დაიწყო ბანკების, სადაზღვევო კომპანიების, ბირჟების, კაზინოებისა თუ სხვა კერძო წარმოებების შექმნა, მაგრამ კანონმდებლობა, რომლითაც მათი საქმიანობა უნდა დარეგულირებულიყო, მოგვიანებით ჩამოყალიბდა²⁹¹. საკანონმდებლო ხარვეზებმა, ფინანსური

²⁹⁰ ასანიძე ს., უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის კრიმინოლოგიური დახასიათება, დისერტაცია, თბილისი, 2012, გვ.16

²⁹¹ ასანიძე ს., უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის კრიმინოლოგიური დახასიათება, დისერტაცია, თბილისი, 2012, გვ.16

ინსტიტუტების საბაზრო სტანდარტებისადმი მოუმზადებლობამ დამნაშავეების მიერ უკანონო კაპიტალის დასაგროვებლად და გასათეთრებლად საბანკო დაწესებულებების გამოყენება განაპირობა. ძირითად ფაქტორებში იგულისხმება, მნიშვნელოვანი მოვლენები და პროცესები, რომლებიც ფულის გათეთრების პროცესისათვის ხელშემწყობ მიზეზებსა და პირობებს წარმოადგენს. ყველა ფაქტორი, რომელიც გავლენას ახდენს უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციაზე, შეიძლება 2 ძირითად ჯგუფად დავყოთ:

1. ზოგადი ხასიათის ფაქტორები, რომლებიც ფულის გათეთრების სფეროზე ახდენენ ირიბ ზემოქმედებას;


2. კონკრეტული ხასიათის ფაქტორები, რომლებიც მოქმედებენ უშუალოდ უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის სფეროში.

ფულის გათეთრებაზე მოქმედი ძირითადი მიზეზები და პირობები კი შეგვიძლია, დავაჯგუფოთ სხვადასხვა ნიშნის მიხედვით:

- საერთო სოციალური, ეკონომიკური;
- სახელმწიფო-პოლიტიკური, სამართლებრივი, ტექნოლოგიური, სხვ.²⁹²

სქემა 12. ფულის გათეთრების ხელშემწყობი ფაქტორები საქართველოში

²⁹²ასანიძე ს., უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის კრიმინოლოგიური დახასიათება, თბილისი, 2012, გვ.82



წყარო: ა.ნ. ლიტვინენკო, ე.უ. კოვალიოვა, უკანონოდ მიღებული შემოსავლების ლეგალიზაცია

საერთო სოციალურ მიზეზებსა და ხელშემწყობ პირობებში შეიძლება გაგაერთიანოთ შემდეგი მოვლენები:

❖ ჯინის კოეფიციენტის მაღალი მაჩვენებელი

მოსახლეობის დაბალ შემოსავლიანი ფენის ნაწილი გასამრჯელოს სანაცვლოდ ცდილობს დაკარგულის ანაზღაურებას, მათ შორის, სხვადასხვა სახის ეკონომიკური დანაშაულის ჩადენით. სწორედ ასეთი პირების საიდენტიფიკაციო მონაცემები, საბანკო ანგარიშები გამოიყენება ტრანზაქციების შესრულებისას.

ცხრილი 4. ჯინის კოეფიციენტი საქართველოში 2006-2016წწ.


	მთლიანი შემოსავლების მიხედვით	მთლიანი ფულადი სახსრების მიხედვით	მთლიანი სახსრების მიხედვით	მთლიანი სამომხმარებლო ხარჯების მიხედვით	მთლიანი ფულადი ხარჯების მიხედვით	მთლიანი ხარჯების მიხედვით
2006	0.43	0.5	0.44	0.38	0.45	0.4
2007	0.44	0.5	0.45	0.4	0.46	0.42
2008	0.43	0.5	0.45	0.4	0.47	0.42
2009	0.43	0.5	0.45	0.4	0.47	0.43
2010	0.43	0.49	0.45	0.41	0.48	0.44
2011	0.43	0.49	0.45	0.42	0.49	0.45

2012	0.41	0.47	0.43	0.41	0.48	0.44
2013	0.4	0.43	0.4	0.39	0.46	0.42
2014	0.39	0.43	0.4	0.39	0.47	0.44
2015	0.39	0.43	0.41	0.38	0.46	0.43
2016	0.4	0.43	0.41	0.39	0.46	0.43

წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური, www.geostat.ge

ჯინის კოეფიციენტის მიხედვით, საქართველო იმ ქვეყნების ჯგუფში შედის, რომელთა მოსახლეობის საშუალო ფენა არ არსებობს ან მცირერიცხოვანია²⁹³. საბაზრო ეკონომიკის ქვეყნებისთვის ეკონომიკური განვითარების სხვადასხვა დონის შესაბამისად დამახასიათებელია შემოსავლების არათანაბარი გადანაწილება, რაც სოციალური უთანასწორობის ინდექსს სხვადასხვა ნიშნულზე ამყოფებს. როგორც წესი, მაღალგანვითარებული ეკონომიკის მქონე ქვეყნებისთვის სოციალური უთანასწორობის ინდექსი გაცილებით დაბალია, ხოლო განვითარებადი ეკონომიკის მქონე ქვეყნებისთვის ჯინის ინდექსი შედარებით მაღალია. გაეროს მონაცემებით, ყველაზე დაბალი ჯინის კოეფიციენტი სკანდინავიის ქვეყნებისთვის (ნორვეგია, შვედეთი, ფინეთი, დანია, ისლანდია) არის დამახასიათებელი. რაც ნიშნავს, რომ აღნიშნულ ქვეყნებში მოსახლეობას შორის შემოსავლების მიხედვით უთანაბრობა დაბალია²⁹⁴.

გრაფიკი 1. საქართველოს ჯინის კოეფიციენტი სამომხმარებლო ხარჯების მიხედვით 2004.-2016წწ.²⁹⁵



წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური, www.geostat.ge

საქართველოში ჯინის კოეფიციენტი შედარებით მაღალია. თუმცა, წლების განმავლობაში, ეკონომიკურ ზრდასთან ერთად ჯინის კოეფიციენტი შემცირების ტენდენციით ხასიათდებოდა. სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემებით


²⁹³ საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური, 2006-2016

²⁹⁴ გაერთიანებული ერების ორგანიზაცია, Human development Reports, Income Gini Coefficient.

²⁹⁵ საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური, 2006-2016

საქართველოში სოციალური უთანასწორობის ინდექსი 2011-2015 წწ-ში მცირდებოდა. მიუხედავად კლების ტენდენციისა, ჯინის კოეფიციენტი მნიშვნელოვნად არ შემცირებულა, ხოლო 2016 წელს 0.01 პუნქტით გაიზარდა. უნდა გვახსოვდეს, რომ ჯინის ინდექსი ზომავს შემოსავლების გადანაწილებას მოსახლეობას შორის და არა მოსახლეობის შემოსავლების ზრდას. შესაძლებელია ინდექსის კლებადობა მოსახლეობის მდიდარი ნაწილის გაღარიბებით და ამავდროულად ღარიბი ნაწილის შემოსავლების ზრდით იყოს გამოწვეული. მაგალითისთვის, ყოფილი საბჭოთა კავშირის ქვეყნებში შემოსავლები თანაბრად იყო განაწილებული. თუმცა, ეს არ ნიშნავს, რომ აღნიშნული ქვეყნების ეკონომიკური მდგომარეობა და ცხოვრების დონე მაღალი იყო. გაეროს მონაცემებით, საქართველოს, რუსეთის ფედერაციის შემდეგ ყოფილ საბჭოთა ქვეყნებს შორის ჯინის ყველაზე მაღალი კოეფიციენტი აქვს, რაც ნიშნავს რომ სოციალური უთანასწორობა გაცილებით მაღალია. საქართველოს შემდეგ სოციალური უთანასწორობის მაღალი მაჩვენებლით მესამე ადგილზე არის ლიტვა.

გრაფიკი 2. ჯინის კოეფიციენტი პოსტ-საბჭოთა ქვეყნებში 2010.-2015წწ. (პროცენტი)



296

წყარო: www.factcheck.ge

გასული წლების განმავლობაში საქართველოში სოციალური უთანასწორობის კოეფიციენტი კლების ტენდენციით ხასიათდებოდა. თუმცა, აღნიშნული შემცირება არ იყო მაღალი. 2016 წლის მონაცემებით საქართველოში ჯინის კოეფიციენტი 0.01 პუნქტით გაიზარდა და 0.40 შეადგინა. საქართველო ჯინის ინდექსის მიხედვით პოსტ-საბჭოთა ქვეყნებს შორის რუსეთის შემდეგ მეორე ადგილზე იმყოფება, რაც ნიშნავს, რომ ქვეყანაში სოციალური უთანასწორობა ყოფილი საბჭოთა კავშირის ქვეყნებთან შედარებით გაცილებით მაღალია. აღნიშნული კი ზრდის ქვეყნის ფულის გათეთრების აქტივობებში ჩართულობის რისკს. სოციალური მიზეზებს ასევე განეკუთვნება:

- ❖ მოსახლეობის გულგრილი დამოკიდებულება აღნიშნულ პრობლემასთან დაკავშირებით

საინტერესოა ის ფაქტი, რომ ხშირად ბანკის თანამშრომელი უწევს კონსულტაციას კლიენტს, თუ როგორ განახორციელოს ტრანზაქცია ისე, რომ არ დაექვემდებაროს სავალდებულო ანგარიშგებასა და მონიტორინგს. ამასთანავე, შეინიშნება სპეციალური პროგრამების, მათ შორის პუბლიკაციების სერიის ნაკლებობა მასობრივი ინფორმაციის საშუალებებში, რომელიც მიეძღვნება მოსახლეობის ფსიქოლოგიური გულგრილობის ანალიზს სხვადასხვა დანაშაულის შესახებ, მათ შორის უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციაზე²⁹⁷;

- ❖ პრობლემის გათვითცნობიერების დონე

²⁹⁶ გაერთიანებული ერების ორგანიზაცია, ოფიციალური ვებ-მისამართი: <http://hdr.undp.org/en/composite/IHDI>

²⁹⁷ Dr. Ikramul Haq, Self-Contradictory Anti-Money Laundering Laws-I, 2005, P.2

თუ მოსახლეობას არ ექნება გააზრებული ის საფრთხეები, რომელსაც ფულის გათეთრება იწვევს, სავსებით შესაძლებელია, მარტივად მოხდეს მათი ჩართვა შემოსავლების ლეგალიზებასთან დაკავშირებულ საქმიანობაში²⁹⁸.

✚ უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის პროცესზე არსებით ზეგავლენას ახდენს ეკონომიკური ხასიათის ფაქტორები. ამ ჯგუფის ფაქტორებს შორის შეიძლება მოვიხროთ:

❖ ჩრდილოვანი ეკონომიკის არსებობა

ჩრდილოვანი ეკონომიკა მოიცავს ასევე უკანონო, ფარულსა და კორუფციულ ეკონომიკას²⁹⁹. ჩრდილოვანი ეკონომიკა ეროვნული მეურნეობის ის ნაწილია, რომელიც მოქმედებს კანონის დარღვევით, ვერ აღირიცხება სახელმწიფო მართვის ორგანოების მიერ და არ იხდის სახელმწიფო გადასახადებს. 1990-1993 წლებში საქართველოში ეკონომიკური საქმიანობის 43.6% ჩრდილოვან ეკონომიკაზე მოდიოდა, 1994-1995 წლებში 63%. ბოლო წლებისათვის კი მსოფლიო ბანკის გამოკვლევებით, საქართველოში ჩრდილოვანი ეკონომიკა ქვეყნის მშპ-ის 68.8% შეადგენს. შედარებისთვის: რუსეთში 49%-ს, ბელორუსიაში 49.6%-ს, უკრაინაში კი 54.9%-ს. პირველ სამეულშია შვეიცარია (8.6%), აშშ (8.8%) და ავსტრია (9.8%) არიან³⁰⁰. 1990 წლის ბოლოს და 2000-იანების დასაწყისში საქართველოს ეკონომიკური პრობლემების ძირითად მიზეზად ჩრდილოვანი ეკონომიკის ზრდა მიიჩნეოდა. თავის მხრივ, არალეგალურ ბიზნესს საკანონმდებლო ბაზის მოუწესრიგებლობა, კორუფციის მაღალი დონე და გაუარესებული ბიზნეს-გარემო ახალისებდა. ჩრდილოვანი ეკონომიკის მასშტაბი საქართველოში უკვე საშიშ ზღვარს აღწევდა. მიუხედავად იმისა, რომ ლეგალური ბიზნესი არ ექვემდებარება არანაირ აღრიცხვას, დამოუკიდებელი ექსპერტები მის მასშტაბებს მთელი ეკონომიკის დაახლოებით 50 პროცენტზე მეტად აფასებდნენ. სპეციალისტთა აზრით 90-იანი წლების ბოლოს საქართველოს ეკონომიკაში არსებული მდგომარეობის, ჩრდილოვანი ეკონომიკის ასეთი მაღალი პროცენტის მიზეზია კორუფცია და მაღალი საგადასახადო განაკვეთები. შეიძლება გამოიყოს ფაქტორების სამი ქვეჯგუფი, რომლებიც ახდენენ ზეგავლენას გაუკონტროლებელ ეკონომიკასა და შავი ფულის გათეთრების მოტივაციაზე.

- ეკონომიკური ფაქტორები: სამეურნეო საქმიანობის სფეროების

²⁹⁸The Law Society, Money Laundering Offences, 2016, P.1

²⁹⁹Corruption And The Shadow Economy: A Structural Equation Model Approach Iza Dp No. 4182 Andreas Buehn Friedrich Schneider, May, 2009, P.39-40

³⁰⁰მსოფლიო ბანკის ანგარიში. ორგანიზაციის ოფიციალური ვებ-გვერდი: <http://www.worldbank.org/>

რესტრუქტურისაცია, რომლებიც ყოველთვის არ არიან ორიენტირებული ლეგიტიმური სამეურნეო სტრუქტურების განვითარებაზე, ფინანსური სისტემის კრიზისი, პრივატიზაციის არასრულყოფილი პროცესი, არარეგისტრირებული ეკონომიკური სუბიექტების საქმიანობა;

- სოციალური ფაქტორები: მოსახლეობის ცხოვრების დაბალი დონე, რაც იწვევს ფარული სახის ეკონომიკურ საქმიანობას; უმუშევრობის მაღალი დონე და მოსახლეობის ერთი ნაწილის ორიენტაცია მიიღოს შემოსავალი ნებისმიერი გზით;
- სამართლებრივი ფაქტორები: სამართალდამცავი სტრუქტურებისათვის აუცილებელი მატერიალურ-ტექნიკური რესურსებით უზუნველყოფის დაბალი დონე. სამართალდამცავ სტრუქტურებში მომუშავე კადრების სუსტი და შეუსაბამო დონე ახალ ეკონომიკურ პირობებში საქმიანობისათვის. მოსახლეობაში სამართლებრივი შეგნებისა და კულტურის დაბალი დონე.

ყოველივე ზემოთ ჩამოთვლილის სხვა სიტყვებით გადმოცემა შესაძლებელია შემდეგნაირად: განსახლდრულ პერიოდში ჩრდილოვანი ეკონომიკა ქვეყანაში მით უფრო დიდია რაც უფრო მაღალია გადასახადებისა და სოციალურ ამკრებთა მორალი, უფრო მაღალია სახელმწიფო რეგლამენტირების ტვირთი და უფრო მცირეა რეალურად არსებული შემოსავალი მოსახლეობის ერთ სულზე.

❖ დანაშაულებრივი სამყაროს მიერ უზარმაზარი მოგების მიღების შესაძლებლობა

გაეროსა და მსოფლიო ბანკის მონაცემებით ნარკობიზნესს დანაშაულებრივი სამყაროსათვის წელიწადში 150-მდე მილიარდი დოლარი მოგება მოაქვს. ნარკოტიკების ბრუნვის დაახლოებით 65% ნაღდი ფულის ბრუნვაზე მოდის, ამიტომ ნარკოსაქმოსნები ცდილობენ, ასეთი დიდი რაოდენობის ნაღდი ფული როგორმე მოაქციონ უნაღდო ბრუნვაში, რისთვისაც ფულის გათეთრების სხვადასხვა ხერხებსა და მეთოდებს მიმართავენ³⁰¹.

❖ საინვესტიციო შიმშილი

ცალკეული სახელმწიფოები არალეგალური კაპიტალის მოზიდვის პირობების შექმნით ცდილობენ ეკონომიკური განვითარების დაფინანსების კანონიერი წყაროების არარსებობის კომპენსირებას. ცალკეულ ეკონომისტთა მოსაზრებით, საბაზრო ეკონომიკისთვის არ აქვს მნიშვნელობა ეკონომიკურ ბრუნვაში ლეგალური კაპიტალი ერთგება თუ არალეგალური. ერთი შეხედვით, ლეგალურ

³⁰¹Statista; The Statistics portal, Casino and Gambling Industry, New York, 2016

ბრუნვაში კრიმინალური კაპიტალის გამოყენებას კანონიერი მეწარმეობის განვითარების საქმეში საზოგადოებისთვის სარგებლობა მოაქვს: მუშაობს საწარმოები, საქმდება მოსახლეობა. თუმცა, არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ ლეგალურ ბრუნვაში ჩართული ფული ხშირად რენესტირდება ისევ კრიმინალურ საქმიანობაში, სამეწარმეო სფეროში ამკვიდრებს დანაშაულებრივი სამყაროს წეს-ჩვეულებებს, რაც იწვევს საზოგადოების დაძაბულობის დონის ამაღლებას და კანონმორჩილი სუბიექტების ინვესტიციების გადინებას. აპრილის დასაწყისში გამოქვეყნდა “პანამის დოკუმენტების“ სახელით ცნობილი კონფიდენციალური დოკუმენტების ბაზა, რომლის მიხედვითაც გაირკვა, რომ ასზე მეტი პოლიტიკოსი, მათ შორის თორმეტი ამჟამად მოქმედი მსოფლიო ლიდერი და მათი ოჯახები, იყენებდნენ ოფშორში რეგისტრირებულ კომპანიებს ფულის გასათეთრებლად და გადასახადებისგან თავის ასარიდებლად³⁰². ”პანამის დოკუმენტები“ შეიცავს ოფშორში რეგისტრირებული მსოფლიოში ერთ-ერთი უდიდესი იურიდიული კომპანიის Mosak Fonsecas (Mossack Fonseca)-ს მილიონობით დოკუმენტს, რაც ანონიმური წყაროებით აღმოჩნდა გერმანულ გაზეთ Süddeutsche Zeitung-ის ხელში³⁰³. ამ უკანასკნელმა დოკუმენტები გაუზიარა “საგამოძიებო ჟურნალისტების საერთაშორისო კონსორციუმს“, საიდანაც ინფორმაცია მთელს მსოფლიოში გავრცელდა. დოკუმენტების რაოდენობით იგი გაცილებით აჭარბებს როგორც ვიკილიქსის მიერ 2010 წელს გასაჯაროებულ მონაცემებს, ისე ედვარდ სნოუდენის მიერ გავრცელებულ მასალებს³⁰⁴. პანამის დოკუმენტების გამოქვეყნების შედეგად გადადგა ისლანდიის პრემიერ-მინისტრი და ესპანეთის ტრანსპორტის მინისტრი, შვეიცარიის და სხვა ევროპული ქვეყნების სამართალდამცავმა სტრუქტურებმა დაიწყეს საგამოძიებო მოქმედებები, ხოლო 2016 წლის 14 აპრილს ევროპარლამენტის პრეზიდიუმის კონფერენციაზე ერთხმად მიიღეს გადაწყვეტილება³⁰⁵ პანამის დოკუმენტების საქმესთან დაკავშირებით სპეციალური საგამოძიებო კომისიის შექმნის თაობაზე³⁰⁶.

³⁰² პანამის დოკუმენტები მოკლედ და გასაგებად, საინფორმაციო პორტალი NEWS.ON.GE, მოპოვებულია 12 აპრილი, 2016, <http://bit.ly/25J6ftK>

³⁰³ Obermaier F., “About the Panama Papers”, Süddeutsche Zeitung, 2016 <http://panamapapers.sueddeutsche.de/articles/56febff0a1bb8d3c3495adf4/>


³⁰⁴ Harding L., “What are the Panama Papers? A guide to history's biggest data leak”, The Guardian, 2016, <http://www.theguardian.com/news/2016/apr/03/what-you-need-to-know-about-the-panama-papers>

³⁰⁵ EP inquiry committee into Panama Papers, European Parliament, 2016, <http://www.europarl.europa.eu/news/en/news-room/20160414IPR23111/EP-inquiry-committee-into-Panama-Papers>

³⁰⁶ <http://www.euronews.ge/archives/4922>

საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის ვებ-გვერდზე გამოქვეყნებული მონაცემების ანალიზი გვაჩვენებს, წლების განმავლობაში ოფშორული ზონებიდან საქართველოში მილიონობით აშშ დოლარის ინვესტიციები ხორციელდებოდა³⁰⁷. როგორც ქვემოთ მოყვანილი დიაგრამიდან ჩანს, 2003-2015 წლებში ოფშორებიდან საქართველოში შემოსული ყველაზე დიდი თანხა დაფიქსირდა 2007 წელს-371,109,900 ათასი აშშ დოლარი. თუმცა, 2013 და 2015 წლებში მოხდა ოფშორებში საქართველოდან ინვესტიციების გადინება, რამაც გამოიწვია მნიშვნელოვანი უარყოფითი ბალანსი.

დიაგრამა 2. ოფშორებიდან განხორციელებული პირდაპირი უცხოური ინვესტიციები საქართველოში 2002.-2016წწ. (აშშ დოლარი)



წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური, www.geostat.ge

როგორც მოყვანილი ცხრილიდან ჩანს, 2003-2015 წლებში ოფშორული ზონებიდან საქართველოში ინვესტიციის ყველაზე მაღალი მაჩვენებელი აქვს დიდი ბრიტანეთის ვირჯინიის კუნძულებს-563,338,100 აშშ დოლარი, მეორე ადგილზეა კვიპროსი-253,677,900 აშშ დოლარი, ხოლო მესამეზე პანამა-192,164,700 აშშ დოლარი³⁰⁸.

აგრეთვე ირკვევა, რომ 2003-2015 წლებში საქართველოში განხორციელებულმა პირდაპირმა უცხოურმა ინვესტიციებმა შეადგინა 13,611,225 100 აშშ დოლარი, საიდანაც ოფშორულ ზონებზე ჯამურად მოდის 1,315,265,700 აშშ დოლარი, რაც მთლიანი პირდაპირი ინვესტიციების დაახლოებით 10%-ს შეადგენს. რასაკვირველია, საქართველოს ეკონომიკის განვითარებისთვის დიდი მნიშვნელობა აქვს უცხოური ინვესტიციების ზრდას, თუმცა, პოტენციურად საფრთხის შემცველია ის გარემოება, როდესაც ოფშორული ზონების გამოყენების გამო

³⁰⁷ http://geostat.ge/?action=page&p_id=139&lang=geo

³⁰⁸ საქართველოს მთავრობის 2013 წლის 30 მაისის №13225 დადგენილებით განისაზღვრა შეღავათიანი დაბეგვრის მქონე/ოფშორული ქვეყნების ჩამონათვალი, რითიც შეიცვალა 2010 წლის დადგენილება 25. 2013 წლის დადგენილებით, შეღავათიანი დაბეგვრის მქონე/ოფშორული ქვეყნების ჩამონათვალი შემცირდა 79-დან 66-მდე


უცნობი რჩება ინვესტიციების დაახლოებით მეთედის რეალური წარმომავლობა.

ცხრილი 5. ოფშორებიდან განხორციელებული პირდაპირი უცხოური ინვესტიციები საქართველოში 2003.-2015წწ. (ათასი აშშ დოლარი)

ქვეყანა/წელი	2003	2004	2005	2006	2007	2008	2009	2010	2011	2012	2013	2014	2015
პანამა				3391.6	6177.7	-2470	74742.2	-5025	2181.5	9802.7	25750	70663.5	6950.3
კვიპროსი	675.7	21333.1	47537.3	40071.2	148643.6	26165.8	-1612.1	40387.7	10358.7	38684.6	-106439.9	-5101.3	-7026.9
ბაჰამები					-3.2				184.4	417.9	-430.7		
ბელიზი	155.7		695	-264.2	10306.5	37822.5	3100.7	689.1	28118	14907.4	-7158.3	36987.2	18680.9
ვირჯინიის კუნძულები	6225.5	6893.6	4900.2	58586.2	187815.5	156847.3	35434.2	40235.9	42119.9	19804	36169.7	-2551.3	-29142.8
კაიმანის კუნძულები				2972	3104.9	-7007.3	2161.1	12332.3	21660.4	6529.1	6362.3	905.1	-29232.2
გიბრალტარი	115.1		90.2	955	6127.5	5307	4089	-23573.7	-802.9	-630	469.1	545.6	530.8
ლიბანი	133.5	177.2	84.7	-7869.9	135.9	212.1	0	102.3	1250.2	-460.9	74.1	210.5	51.6
ლისტენშტაინი					2662.7	5016	1912.9	35044.6	-8466.3	1678.7	-7070	-1199.4	150.2
მავრიკი								-98.5	13701.4	5029.4	4942.7	-350.6	19004.3
მარშალის კუნძულები				3197.7	1450.4	1501.2	2766.6	7788.7	10728.2	4996.2	-589.3	3465.8	5149.8
ფილიპინები								1620.3					
სეიშელები					4688.3	4350.5	1481.6	5467.5	8637.3	8761.5	702.7	-1639.4	8280.3
სულ	7305.5	28403.9	53307.4	101039.6	371109.8	227745	124076.2	114971.2	129670.8	109520.6	-47217.6	101935.7	-6603.7

წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური, www.geostat.ge

გრაფიკი 3. პირდაპირი უცხოური ინვესტიციები საქართველოში 2012.-2016წწ. (მლნ აშშ დოლარი)³⁰⁹



წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური, www.geostat.ge

³⁰⁹ საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური, 2006-2016

დღესდღეობით საქართველოში ინვესტიციების მოსაზიდად მოქმედებს თავისუფალი ინდუსტრიული ზონა, რომელიც არის სპეციალური ეკონომიკური ზონის ერთ-ერთი სახე, სადაც კანონმდებლობის მიხედვით მოქმედებს საგადასახადო შეღავათები და დამატებითი პირობები. სპეციალური ეკონომიკური ზონების შექმნა მიზნად ისახავს ინვესტიციების გაზრდას ბიზნესისთვის მაქსიმალურად მისაღები ეკონომიკური გარემოს შექმნით. დღესდღეობით, სპეციალური ეკონომიკური ზონების ყველაზე უფრო გავრცელებული სახეებია: ურბანული ეკონომიკური ზონა, ინდუსტრიული ზონა, თავისუფალი სავაჭრო ზონა, თავისუფალი ეკონომიკური ზონა და თავისუფალი პორტები. ბოლო წლების განმავლობაში საქართველომ გამოხატა მნიშვნელოვანი დაინტერესება თავისუფალი ეკონომიკური ზონების მიმართ. კერძოდ, ბიუროკრატიული პროცედურების გამარტივების და ლიბერალური ეკონომიკური კურსის გატარების შემდეგ, 2007 წლიდან მოყოლებული ქ.ფოთში, ქ.ქუთაისში და ყულევში შეიქმნა თავისუფალი ეკონომიკური ზონის ერთ-ერთი სახეობა თავისუფალი ინდუსტრიული ზონა ხოლო, 2010 წელს ქობულეთში, ანაკლიაში და განმუხურში თავისუფალი ტურისტული ზონა. ამასთან, 2010 წელს ქვეყნის ტერიტორია გამოცხადდა საინფორმაციო ტექნოლოგიურ ზონად³¹⁰. განისაზღვრა საგადასახადო შეღავათები და სხვა დამატებითი ეკონომიკური წამახალისებელი პირობები თავისუფალ ინდუსტრიულ ზონაში დარეგისტრირებული კომპანიებისა და თავისუფალი ინდუსტრიული ზონების ორგანიზატორებისათვის, რომელიც შეიძლება იყოს საწარმო, გადასახადის გადამხდელად აღრიცხული. ორგანიზატორმა უნდა უზრუნველყოს თავისუფალი ინდუსტრიული ზონის კანონმდებლობის შესაბამისად აღჭურვა და ფუნქციონირება. საქართველოს კანონმდებლობის თანახმად, თავისუფალი ინდუსტრიული ზონის შექმნის შესახებ გადაწყვეტილებას იღებს საქართველოს მთავრობა. თუმცა, ინდუსტრიული ზონის შესაქმნელი დოკუმენტაციის შემოწმებაში და ამ ინდუსტრიული ზონის ფუნქციონირების დაწყებაში მნიშვნელოვან როლს თამაშობს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო და შემოსავლების სამსახური³¹¹. უშუალოდ თავისუფალი ეკონომიკური ზონა წარმოადგენს ქვეყნის ტერიტორიულ ნაწილს, განსაკუთრებული ეკონომიკური, სამართლებრივი, ადმინისტრაციული და საგადასახადო რეჟიმით. მისი ფუნქციონირებისთვის აუცილებელ ფაქტორებს

³¹⁰ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი, თბილისი, 2016, გვ.1

³¹¹საქართველოს კანონი “თავისუფალი ინდუსტრიული ზონის შესახებ”, მუხლი 4.3, 2007, თბილისი

წარმოადგენს საკანონმდებლო და საშეღავათო პირობების არსებობა, მასთან დამაკავშირებელი საგზაო, სატრანსპორტო და საკომუნიკაციო ინფრასტრუქტურის მოწესრიგება, მის სიახლოვეს ფინანსური ინსტიტუტების ხელმისაწვდომობა და მეტ-ნაკლებად კვალიფიციური ადგილობრივი კადრების არსებობა³¹². საქართველოში თავისუფალი ეკონომიკური ზონის სხვადასხვა სახეობის შექმნა მიზნად ისახავდა საგარეო პოლიტიკური კავშირების გაფართოებას, უცხოური და ადგილობრივი ინვესტიციების მოზიდვას, დასაქმების ხელშეწყობას და ახალი ტექნოლოგიების განვითარებას. თუმცა, ამ მიზნით საკანონმდებლო და საშეღავათო პირობების უზრუნველყოფა და ინფრასტრუქტურის მოწყობა არ წარმოადგენს ზონის წარმატებული ფუნქციონირების უპირობო გარანტს. მნიშვნელოვანია ქვემოთ მოცემული პოტენციური რისკების და საფრთხეების განსაზღვრა და ანალიზი:

- თავისუფალი ეკონომიკური ზონის შექმნის შემდეგ აღნიშნული ტერიტორია რჩება ქვეყნის ეკონომიკური კონტროლის გარეთ და სახელმწიფო და ადგილობრივ ბიუჯეტს უმცირდებათ შემოსავალი;

- მსოფლიო პრაქტიკის გათვალისწინებით თავისუფალ ეკონომიკურ ზონაში არსებობს არალეგალური საქმიანობის, ფულის გათეთრების და კორუფციული გარიგებების წარმოების მაღალი ალბათობა.

ცხადია, მაღალი დონის საშეღავათო პირობები, ინფრასტრუქტურის მოწესრიგება, სახელმწიფოს მხრიდან ზონის საქმიანობაში ჩაურევლობა და მაქსიმალური მხარდაჭერა არის თავისუფალი ეკონომიკური ზონის წარმატების და განვითარების უმნიშვნელოვანესი წინაპირობა. თუმცა, არ წარმოადგენს მისი წარმატების უპირობო გარანტს. საქართველოს შემთხვევაში აუცილებელია, მოხდეს ზემოთ აღნიშნული პოტენციური რისკების და საშიშროებების განსაზღვრა და მათი მინიმუმადე დაყვანის ან/და აღმოფხვრის მიზნით გატარდეს შესაბამისი ღონისძიებები. კომპლექსური ღონისძიებების გატარების გზით იქნება შესაძლებელი საქართველოში თავისუფალი ეკონომიკური ზონის სხვადასხვა სახეობის წარმატებული შექმნა და ფუნქციონირება.

- ✚ ფულის გათეთრების მასტიმულირებელ სახელმწიფო-პოლიტიკურ მიზეზებსა და ხელშემწყობ პირობებში შეიძლება მოვიაზროთ

- ❖ სახელმწიფო ნების არარსებობა ებრძოლოს ამ მოვლენას

³¹²საქართველოს კანონი “თავისუფალი ინდუსტრიული ზონის შესახებ”, 2007, თბილისი

❖ საკანონმდებლო ხარვეზები

ფულის გათეთრების აღკვეთის თვალსაზრისით განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, რომ ნორმატიული ბაზა პასუხობდეს უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის წინააღმდეგ ეფექტიანი ბრძოლის მოთხოვნებს.

❖ კორუფცია

არ შეიძლება უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის პრობლემის გადაჭრა კორუფციისგან იზოლირებულად. ფულის გათეთრების თემით დაინტერესებული მეცნიერი დ. ჩაიკინი ფიქრობს, რომ: “ფულის გათეთრებასა და კორუფციას შორის არის მჭიდრო კავშირი. პოლიტიკა, მიმართული კორუფციის დონის შემცირებაზე, დადებითად მოქმედებს ფულის გათეთრების პრობლემის პრევენციაზე”. აღნიშნულ მოსაზრებას ასევე ემხრობა ჯ.ს.შარმანი: “ნორმატივები და რეგულაციები შექმნილი კორუფციასთან საბრძოლველად ასევე, ებრძვის ფულის გათეთრების პრობლემასაც”³¹³. საქართველოში ჩატარებული რიგი კვლევა ბოლო ათწლეულის განმავლობაში კორუფციის კუთხით შესამჩნევ გაუმჯობესებას ასახავს, განსაკუთრებით საჯარო სამსახურში მექრთამეობის ფაქტების აღმოფხვრის მხრივ. ამავე დროს, არსებობს ნიშნები იმისა, რომ კორუფციის ზოგიერთი, უფრო კომპლექსური გამოვლინებები პრობლემას წარმოადგენს. კორუფციის სხვადასხვა სახეობასთან დაკავშირებით მწირი ემპირიული მონაცემები მოიპოვება. უკანასკნელი წლების “კორუფციის აღქმის“ ინდექსში, საქართველომ 175 ქვეყანას შორის 50-ე ადგილი დაიკავა და მაქსიმალური 100 ქულიდან 52 ქულა მიიღო³¹⁴. საქართველოს მონაცემები ყველაზე მაღალია აღმოსავლეთ ევროპისა და ცენტრალური აზიის რეგიონში, რეიტინგით ის ევროკავშირის წევრ რამდენიმე ქვეყანასაც უსწრებს: ჩეხეთის რესპუბლიკას, სლოვაკეთს, ხორვატიას, ბულგარეთს, საბერძნეთს, იტალიასა და რუმინეთს. “კორუფციის აღქმის“ ინდექსში საქართველო ბოლო წლებში სტაბილურ მდგომარეობას ინარჩუნებს: 2012 წელს 52-ე ადგილზე იყო, ხოლო 2013 წელს-49-ზე. აღნიშნული შედეგია 2003 წლიდან საქართველოში გატარებული ანტიკორუფციული პოლიტიკისა.


მთავრობის ანტიკორუფციული ღონისძიებების მნიშვნელოვან ელემენტს წარმოადგენდა სამართალდამცავი უწყებების, მათ შორის შინაგან საქმეთა სამინისტროსა და პროკურატურის რეფორმა. ანტიკორუფციული რეფორმის პირველ წლებში ანტიკორუფციული პოლიტიკის თვალსაჩინო მახასიათებელი იყო

³¹³Группа разработки финансовых мер борьбы с отмыванием денег, отмывание доходов от коррупции, Франция, 2008

³¹⁴Transparency International, The global coalition against corruption, Global Corruption Report, Berlin, 2014

კორუფციაში ეჭვმიტანილი თანამდებობის პირების დაპატიმრება. შემცირდა აგრეთვე გადასახადების რაოდენობა და საგადასახადო განაკვეთები³¹⁵. ამ დონისძიებების შედეგად, საქართველოში მოქმედ საწარმოთა მხოლოდ მცირე ნაწილი მიიჩნევდა, რომ “საქმის მოსაგვარებლად” ქრთამის გადახდა იყო საჭირო. დღესდღეობით საარჩევნო ადმინისტრაცია და სახელმწიფო აუდიტის სამსახური ამჟამად სისტემის ყველაზე ძლიერი ინსტიტუტები არიან.

დიაგრამა 3. საქართველოს ეროვნული ანტიკორუფციული სისტემის ინსტიტუტები 2011.-2015წწ.



წყარო: საერთაშორისო გამჭვირვალობა საქართველო, საქართველოს ეროვნული ანტიკორუფციული სისტემის შეფასება, ანგარიში, 2015

აღსანიშნავია, რომ 2011-დან 2015 წლამდე საკანონმდებლო ჩარხო ყველაზე მეტად გაუმჯობესდა საარჩევნო ადმინისტრაციაში. ასევე გარკვეული პოზიტიური საკანონმდებლო ცვლილებები იყო ხუთ სხვა ინსტიტუტშიც, მაშინ როდესაც არ შეცვლილა პარლამენტის, სახალხო დამცველის, მედიისა და ბიზნესის საკანონმდებლო ჩარხო. 2011.-2015წწ. მხოლოდ სამართალდამცავი უწყებების სამართლებრივი ჩარხო გაუარესდა³¹⁶.

კონკრეტული ხასიათის დეტერმინანტებს შორის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს ფაქტორად შეიძლება მივიჩნიოთ ბანკირები და ბუღალტრები, რომლებიც გეგმავენ და უზრუნველყოფენ უკანონო შემოსავლების წყაროს დაფარვასა და შემდგომში ლეგალურ ბიზნესში გამოყენებას სოლიდური საკომისიოს სანაცვლოდ³¹⁷.

³¹⁵საერთაშორისო გამჭვირვალობა საქართველო, საქართველოს ეროვნული ანტიკორუფციული სისტემის შეფასება, თბილისი, 2015, გვ.25

³¹⁶საერთაშორისო გამჭვირვალობა საქართველო, საქართველოს ეროვნული ანტიკორუფციული სისტემის შეფასება, 2015, თბილისი, გვ.190

³¹⁷დლონტი გ., მოსულიშვილი მ., დაუთაშვილი პ. კორუფცია, თბილისი, 2009, გვ.219

ძირითადი ფაქტორები, რომლებიც გავლენას ახდენენ უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის პროცესზე, დროთა მანძილზე ვითარდება. მათი სისტემა მუდმივ შესწავლას საჭიროებს, ვინაიდან, ეკონომიკური ურთიერთობის სწრაფი ცვლილებების გამო, ეს ფაქტორებიც სწრაფად იცვლება. სოციალური ღონისძიებების ადეკვატური სისტემის შემუშავების თვალსაზრისით, საჭიროა განხილული ზოგადი ხასიათის ფაქტორების ერთობლიობის ანალიზი, რაც მიმართული იქნება ფულის გათეთრების პროცესზე. ”შავი ბაზრის” არსებობა, ფინანსური ინსტიტუტების საქმიანობაზე კონტროლისა და მონიტორინგის მექანიზმების არასრულყოფილება, საფინანსო და არასაფინანსო ინსტიტუტების დაარსების არაადეკვატური პროცედურა, ანონიმური ანგარიშებისა და ფინანსური ინსტრუმენტების არსებობა, ფულადი სახსრების მოძრაობაზე კონტროლის მექანიზმების არარსებობა, ორგანიზაციებისა და ბანკების მიერ ოპერაციების წარმოებისას ოფშორული კომპანიების ფართო გამოყენება, ქვეყნის შიგნით “თავისუფალი სავაჭრო ზონის არსებობა,” დანაშაულის მაღალი ლატენცია, არასაკმარისი სასამართლო და საგამოძიებო პრაქტიკა, კორუფციის არსებობა და უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის ხელშემწყობ სხვა ფაქტორებს ესაჭიროება დეტალური ანალიზი, ვინაიდან მხოლოდ ამ გზით არის შესაძლებელი უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის სფეროში შექმნილ სიტუაციაზე რეაგირების მოსახდენად შესაბამისი ღონისძიებების და ზომების შემუშავება.

3.3. საქართველოში განხორციელებული უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციისა და მასთან დაკავშირებული ფაქტების მიმოხილვა

აღნიშნული პარაგრაფის მიზანია საქართველოში განხორციელებული უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციისა და მასთან დაკავშირებული ფაქტების ანალიზი.

ფულის გათეთრების კუთხით ბოლო წლების დინამიკის საილუსტრაციოდ და სახელმწიფო პოლიტიკის ეფექტიანობის შესაფასებლად მოგვეყვას უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის საქმეებთან დაკავშირებით არსებული სტატისტიკური მონაცემები. ინფორმაციას აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით აგროვებს 2017 წლის 1 იანვრის მდგომარეობით, “უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის აღკვეთის ხელშეწყობის შესახებ“ საქართველოს კანონის თანახმად, მონიტორინგის განმახორციელებელი პირები, რომლებსაც წარმოადგენდნენ:

- ❖ **ფინანსური ინსტიტუტები:**

- კომერციული ბანკები, ვალუტის გადამცვლელი პუნქტები, არასაბანკო სადეპოზიტო დაწესებულებები და მიკროსაფინანსო ორგანიზაციები;
- ფულადი გზავნილების განმახორციელებელი პირები, კვალიფიციური საკრედიტო ინსტიტუტები, საბროკერო კომპანიები და ფასიანი ქაღალდების რეგისტრატორები, სადაზღვევო კომპანიები, არასახელმწიფო საპენსიო სქემის დამფუძნებლები, საგადახდო მომსახურების პროვაიდერები, სალიზინგო კომპანიები³¹⁸.

❖ **არაფინანსური ინსტიტუტები:**

- ლატარიის, აზარტული და მომგებიანი თამაშობების მოწყობის ორგანიზატორები, სამორინეები (აგრეთვე, ინტერნეტ სამორინეები), ძვირფას ლითონებთან, ძვირფას ქვებთან და მათ ნაწარმთან და ანტიკვარულ ნივთებთან დაკავშირებული საქმიანობის განმახორციელებელი პირები;
- საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მმართველობის სფეროში შემავალი საჯარო სამართლის იურიდიული პირი-შემოსავლების სამსახური, გრანტებისა და საქველმოქმედო დახმარებების გამცემი პირები, ნოტარიუსები, საჯარო სამართლის იურიდიული პირი-საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო: პირები, რომლებიც საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით ეწევიან საბუღალტრო ან/და აუდიტორულ საქმიანობას და ადვოკატები³¹⁹.

“უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის აღკვეთის ხელშეწყობის შესახებ“ საქართველოს კანონის თანახმად, მონიტორინგის განმახორციელებელი პირები ვალდებული არიან საქართველოს ფინანსური მონიტორინგის სამსახურს მიაწოდონ ანგარიშგების ფორმები მონიტორინგს დაქვემდებარებულ გარიგებებთან დაკავშირებით. მონიტორინგს დაქვემდებარებული გარიგებების სახეები განსაზღვრულია “უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის აღკვეთის ხელშეწყობის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლით, რომლის თანახმად მონიტორინგს ექვემდებარება გარკვეული სახის გარიგებები 30,000 ლარს ზღვარს ზემოთ და სხვა საეჭვო გარიგებები. ბოლო მონაცემების თანახმად, სამსახურში შევიდა 175,346 ანგარიშგების ფორმა, მათ შორის, 993 ფორმა საეჭვო გარიგების, ოპერაციის

³¹⁸საქართველოს კანონი “უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის აღკვეთის ხელშეწყობის შესახებ”, მუხლი 3, ქ.თბილისი, 2003

³¹⁹საქართველოს კანონი “უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის აღკვეთის ხელშეწყობის შესახებ”, მუხლი 3, ქ.თბილისი, 2003

თაობაზე, ხოლო 174,353 ანგარიშგების ფორმა კანონმდებლობით გათვალისწინებულ ზღვარს ზემოთ განხორციელებული ოპერაციის შესახებ.

გასული წლების ანალოგიურად, ინფორმაციის ძირითადი მოცულობა წარმოდგენილია კომერციული ბანკების მიერ 92,406 ანგარიშგების ფორმა, მათ შორის, 549 საექვო გარიგების ანგარიშგების ფორმა. რაც შეეხება მონიტორინგის განმასხვრციელებელ სხვა პირებს, აღსანიშნავია, რომ მიკროსაფინანსო ორგანიზაციების მიერ წარმოდგენილია 30,499 ანგარიშგების ფორმა, მათ შორის, 65 საექვო გარიგების ანგარიშგების ფორმა.³²⁰ გრაფიკულად 2016 წლის მანძილზე სამსახურის მიერ მიღებული ანგარიშგების ფორმების რაოდენობა შემდეგნაირად გამოიყურება:

ცხრილი 6. მიღებულ ანგარიშგებათა სტატისტიკური მონაცემები 2016წ.


	ზ/ზ	საექვო
<i>კომერციული ბანკები</i>	91,857	549
<i>სავალუტო პუნქტები</i>	30,843	0
<i>მიკროსაფინანსო ორგანიზაციები</i>	30,434	65
<i>რეგისტრატორები</i>	336	5
<i>საკრედიო კავშირები</i>	49	0
<i>სადაზღვევო კომპანიები</i>	75	0
<i>საბროკერო კომპანიები</i>	396	1
<i>ფულადი გზავნილის განმკირი</i>	5	1
<i>სალიზინდო კომპანიები</i>	856	46
<i>სავადახდო მომსპროვადერები</i>	115	1
<i>სამორინე</i>	133	0
<i>აზარტული თამაშის მომწყობი</i>	122	27
<i>ბუღალტრები და აუდიტორები</i>	0	0
<i>საბაჟო</i>	5,105	0
<i>ნოტარიუსები</i>	5,104	1
<i>ადვოკატები</i>	0	1
<i>საჯარო რეესტრი</i>	8,923	296

წყარო: სსიპ საქართველოს ფინანსური მონიტორინგის სამსახურის, 2016 წლის ანგარიში

შესაბამისად, სტატისტიკური მონაცემების ანალიზის შედეგად ფინანსური (მათ შორის, კომერციული ბანკებიდან) და არაფინანსური ინსტიტუტებიდან მიღებული ანგარიშგების რაოდენობის მაჩვენებლები შემდეგნაირად გამოიყურება:


³²⁰საქართველოს კანონი “უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის აღკვეთის ხელშეწყობის შესახებ”, მუხლი 5, ქ.თბილისი, 2003

დიაგრამა 4. საფინანსო სექტორიდან მიღებული ანგარიშგებათა სტატისტიკური მონაცემები, 2016წ.



წყარო: სსიპ საქართველოს ფინანსური მონიტორინგის სამსახურის, 2016 წლის ანგარიში

დიაგრამა 5. არასაფინანსო სექტორიდან მიღებული ანგარიშგებათა სტატისტიკური მონაცემები, 2016წ.




წყარო: სსიპ საქართველოს ფინანსური მონიტორინგის სამსახურის, 2016 წლის ანგარიში

თავის მხრივ, სამსახურში რეგისტრირებული, კანონმდებლობით განსაზღვრული მონიტორინგის განმახორციელებელი პირები, რომლებიც საქართველოს საფინანსო სექტორს წარმოადგენენ, 2017 წლის 1 იანვრისთვის მოიცავდა: 16 კომერციულ ბანკს, 13 საკრედიტო კავშირს, 73 მიკროსაფინანსო ორგანიზაციას, 16 სადაზღვევო ორგანიზაციასა და არასახელმწიფო საპენსიო სქემის დამფუძნებელს და 7 საბროკერო კომპანიას, 4 ფასიანი ქაღალდის

რეგისტრატორს, 92 ფულადი გზავნილის განმხორციელებელ პირს, 1089 ვალუტის გადამცვლელ პუნქტს და 5 სალიზინგო კომპანიას და 29 საგადახდო მომსახურების პროვაიდერს³²¹.

2016 წელს მიღებული ანგარიშგების ფორმების ანალიზის და სამსახურის მიერ მოძიებული სხვა ინფორმაციის დამუშავების შედეგად, ფინანსური მონიტორინგის სამსახურმა გამოავლინა და “უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის აღკვეთის ხელშეწყობის შესახებ” საქართველოს კანონის შესაბამისად საქართველოს მთავარი პროკურატურის, შინაგან საქმეთა სამინისტროსა და სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის შესაბამის სტრუქტურულ ერთეულებს გადასცა 118 საქმე მათ შორის, 15 ტერორიზმის შესაძლო დაფინანსების საგარეულო შემთხვევებზე³²².

დიაგრამა 6. ფინანსური მონიტორინგის სამსახურში შესული ინფორმაციის საერთო მოცულობის ცვალებადობის ტენდენცია 2014.-2016წწ.




წყარო: სსიპ საქართველოს ფინანსური მონიტორინგის სამსახურის, 2016 წლის ანგარიში

საქართველოს ფინანსური მონიტორინგის სამსახურის მიერ გასულ წლებთან შედარებით 2016 წელს სამართალდამცავი ორგანოებისთვის გადაგზავნილი საქმეების რაოდენობის ზრდის ტენდენცია კი შემდეგნაირად გამოიყურება.

დიაგრამა 7. სამართალდამცავი ორგანოებისთვის გადაგზავნილი საქმეების რაოდენობის დინამიკა 2014.-2016წწ.

³²¹საქართველოს სტატისტიკის სამსახური, 2017
³²²საქართველოს სტატისტიკის სამსახური, 2017



წყარო: სსიპ საქართველოს ფინანსური მონიტორინგის სამსახურის, 2016 წლის ანგარიში

“უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის აღკვეთის ხელშეწყობის შესახებ“ საქართველოს კანონში 2015 წლის 3 ივლისს განხორციელებული საკანონმდებლო ცვლილებების საფუძველზე, 2016 წელს, წინა წლის ანალოგიურად, გარიგების აღსრულების შეჩერების უფლებამოსილება საქართველოს ფინანსური მონიტორინგის სამსახურის მიერ გამოყენებულ იქნა ერთხელ. საანგარიშო წლის მანძილზე საქართველოს ფინანსური მონიტორინგის სამსახურის მიერ მიღებული ანგარიშგებების, მონიტორინგის განმახორციელებელი პირებისგან გამოთხოვილი დამატებითი ინფორმაციის, უცხოელი კოლეგებისგან მიღებული და ღია წყაროებში მოძიებული ინფორმაციის ანალიზმა აჩვენა, რომ წინა წლის მსგავსად, 2016 წელს კვლავ აქტუალური იყო სხვადასხვა თაღლითური გზებით (კომპიუტერულ სისტემებში ან ელექტრონულ ფოსტაში არაავტორიზებული შეღწევა, საბანკო რეკვიზიტების შეცვლა დოკუმენტაციაში, საიდენტიფიკაციო დოკუმენტების გაყალბება, ე.წ. “romance-scam“, ე.წ. “identity theft“ და ა.შ.) მოპოვებული თანხების ჩარიცხვა ან გადარიცხვა სხვადასხვა ქვეყნების საფინანსო არხების საშუალებით. საქართველოს ფინანსური მონიტორინგის სამსახურის მიერ სამართალდამცავ უწყებებში გადაგზავნილი საქმეების უმრავლესობა, წინა წლის ანალოგიურად, კვლავ მსგავს ქმედებებთანაა დაკავშირებული. სამსახურში შესული ინფორმაციის ანალიზით დასტურდება, რომ საანგარიშო წლის მანძილზე კვლავ გაგრძელდა საქართველოში რეგისტრირებული და საქართველოს ფინანსურ ინსტიტუტებში ანგარიშების მქონე იურიდიული პირების კომპიუტერულ სისტემებში, ბიზნეს-პარტნიორებს შორის კომუნიკაციაზე კონტროლის დამყარების მიზნით, უკანონო შეღწევის შემთხვევები, როდესაც ხდებოდა სხვადასხვა სახის დოკუმენტაციის გაყალბება და გაყალბებული საგადახდო დავალებების გამოყენებით თანხის პოტენციური დაზარალებულის საქართველოში განთავსებული ანგარიშიდან უცხოეთში გადარიცხვა, სადაც ხდებოდა თანხის განადგობა და თაღლითური

ანგარიშის მფლობელის მიმალვა. 2016 წლის მანძილზე ასევე შენარჩუნდა უცხოეთიდან სავარაუდოდ თაღლითური გზით მოპოვებული თანხების საქართველოს ბანკებში არსებულ ანგარიშებზე ჩარიცხვის ტენდენცია. რიგ შემთხვევებში აღნიშნული ჩარიცხვები ხორციელდებოდა ისეთი საერთაშორისო საგადახდო პლატფორმების საშუალებით, როგორებიცაა PayPal და WebMoney, ასევე სწრაფი ფულადი გზავნილების სხვადასხვა საერთაშორისო სისტემებით. ანგარიშებზე ჩარიცხული თანხების უდიდესი ნაწილი მალევე გადაირიცხებოდა მესამე ქვეყნის საბანკო დაწესებულებებში, ხოლო საქართველოს ფინანსური ინსტიტუტების სახელზე გადმომრიცხავისგან მოდიოდა მოთხოვნა თანხის დაბრუნების თაობაზე. 2016 წელს სამართალდამცავ ორგანოებში გადაცემული იქნა რამდენიმე საქმე, რომელიც მოიცავდა სხვადასხვა ფიზიკური პირის საიდენტიფიკაციო მონაცემების სავარაუდოდ უკანონო გამოყენების გზით ონლაინ-სესხების აღებასა და შემდგომ თანხის განაღდებას, რის შედეგადაც სამართალდამრღვევების მიერ მითვისებული სესხის დაფარვა უწევდა საიდენტიფიკაციო მონაცემების რეალურ მფლობელს. აღსანიშნავია, რომ საანგარიშო წლის მანძილზე სამართალდამცავ ორგანოებთან გადაიგზავნა რამდენიმე საქმე, რომლებიც შეიცავდა შესაძლო კორუფციის ნიშნებს.

უკანონო საქმიანობიდან მიღებული ფულადი სახსრების ლეგალიზაციის მეთოდები დღევანდელობაში საკმაოდ მრავალფეროვანია. როგორც ვნახეთ, 2016 წელს სამსახურში შესული 993 საექვო გარიგების თაობაზე ანგარიში, წარმოდგენილია კომერციული ბანკების მიერ 549 საექვო გარიგების ანგარიშების ფორმა, მიკროსაფინანსო ორგანიზაციების მიერ 65, სადაზღვევო კომპანიებისა და არასახელმწიფო საპენსიო სქემების მიერ 75, საბროკერო კომპანიების მიერ 1, ფასიანი ქაღალდების რეგისტრატორების მიერ 5, ხოლო ლატარიების, ახარტული და სხვა მომგებიანი თამაშების მომწიფობი პირების მიერ 27 საექვო გარიგება, ხოლო სალიზინგო კომპანიების მიერ 46 საექვო ან შემოსავლების სამსახურის და საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მიერ 296 საექვო გარიგების შესახებ ანგარიშების ფორმა. ტექნოლოგიური ცვლილების გათვალისწინებით, უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის ფაქტებთან დაკავშირებული პროცესზე ზემოქმედების მიზნით ჩატარებული კვლევა იძლევა საქართველოში აქტუალური სფეროების გამოვლენის შესაძლებლობას, რომელიც ხელს შეუწყობს პრაქტიკული რეკომენდაციების შემუშავების შესაძლებლობას აღნიშნულ პრობლემასთან ეფექტურად საბრძოლველად.

თავი IV. კვლევის მეთოდოლოგია და მონაცემთა ანალიზი

4.1. კვლევის მეთოდოლოგია

ამ პარაგრაფის მიზანია, შეიმუშაოს ის მეთოდები, რომლებიც საფუძვლად დაედება შემდგომ კვლევას. მოცემულ ნაწილში ახსნილია ყველა პროცედურა, რომელთა მეშვეობითაც ჩამოყალიბდა კვლევის ინსტრუმენტი.

კვლევის ფარგლებში განხორციელდა თეორიული და ემპირიული-რაოდენობრივი და თვისებრივი მეთოდების კომბინირება, მათი უპირატესობების მაქსიმიზაცია და შეზღუდვების მინიმიზაცია. კვლევის საწყის ეტაპზე მოპოვებულ იქნა შესაბამისი ლიტერატურა, სტატისტიკური მონაცემები საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურიდან და სხვა სახელმწიფო დაწესებულებებიდან თუ საერთაშორისო ორგანიზაციებისაგან. ინტერნეტით მოძიებულ იქნა სხვა ქვეყნების საჯარო დაწესებულებების და საერთაშორისო ორგანიზაციების კვლევების მონაცემები, რის საფუძველზეც განხორციელდა ლიტერატურისა თუ დოკუმენტის და მეორეული ინფორმაციის ანალიზი. კონკრეტულად კი შეგროვდა სამეცნიერო ნაშრომები, სამართლებრივი აქტები, სამთავრობო და საერთაშორისო ორგანიზაციების ანგარიშები, სტატისტიკური ინფორმაცია.

დოკუმენტების ანალიზის მეთოდი გამოყენებულია როგორც დამოუკიდებელი მეთოდი, რომლის საშუალებითაც მოპოვებული იქნა საკვლევ საკითხზე მნიშვნელოვანი ინფორმაცია. დოკუმენტების შეგროვებისთვის გამოვიყენეთ ინტერნეტი. ძებნა ძირითადად განხორციელდა ელექტრონული სამეცნიერო ბაზების Researchgate, Academia.edu და სხვა ბაზების საფუძველზე. ცალკეულ შემთხვევაში მოხდა პოპულარული საძიებო სისტემის <http://www.google.com>-ის გამოყენება. მონაცემების შესაგროვებლად ვისარგებლეთ საკვანძო სიტყვების სხვადასხვა კომბინაციით. საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის და მსოფლიო ბანკის ოფიციალურ ელექტრონულ მისამართებზე: www.geostat.ge და <https://data.worldbank.org> განთავსებული მონაცემები გაანალიზდა ორცვლადიანი და მრავალცვლადიანი ანალიზის მეთოდების გამოყენებით.


კვლევის ობიექტად შევარჩიეთ 17 პოსტ-სოციალისტური ქვეყანა, საქართველოსთან მსგავსი რიგი ფაქტორების, მათ შორის, საერთო წარსულის გამო. საქართველომ ისევე, როგორც სხვა ყოფილმა სოციალისტურმა რესპუბლიკებმა, დამოუკიდებლობა საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ მოიპოვეს

და ამ ქვეყნებში ბოლო 20 წლის განმავლობაში გეგმურიდან საბაზრო ურთიერთობებზე გადასვლის მტკივნეული პროცესი მიმდინარეობდა. ვვარაუდობთ, რომ ფულის გათეთრების პრობლემა და ეკონომიკურ ცვლადებთან მისი კავშირი მსგავსი იქნება საერთო წარსულის და მსგავსი ეკონომიკური სისტემის მქონე ქვეყნებისათვის, და ასეთი კავშირების ხასიათი განსხვავებულია ტრადიციული საბაზრო ეკონომიკის მქონე ქვეყნებისაგან. მნიშვნელოვანია, რომ ამ მიმართულებით ემპირიული კვლევა ჯერ არ განხორციელებულა და აღნიშნული კვლევის შედეგები ერთგვარი სიახლეა პოსტ-სოციალისტურ ქვეყნებში ფულის გათეთრებასა და ეკონომიკურ ცვლადებს შორის კავშირის დადგენაში.

კვლევის თეორიული ჩარჩო. კვლევის პირველ ეტაპზე მიღებული ემპირიული მონაცემების ასახსნელად გამოყენებულ იქნა ფულის გათეთრების პრობლემით დაინტერესებული სხვადასხვა მეცნიერის თეორიები შემდეგი საკითხების შესახებ:

 შავი ფული და ეკონომიკური ზრდა

შავი ფულის წინააღმდეგ ბრძოლის ექსპერტმა ა. იდოვუმ გამოიკვლია, რომ ფულის გათეთრება ნეგატიურად ზემოქმედებს ინვესტიციების მოცულობის ზრდაზე, რაც გავლენას ახდენს ეკონომიკურ ზრდაზე. აღნიშნული საფრთხის ქვეშ აყენებს სახელმწიფოს შემოსავლებს, პოლიტიკურ სტაბილურობას და მოსახლეობის უსაფრთხოებას³²³. მრავალწლიანი კვლევების შედეგად მან დაასკვნა, რომ ფულის გათეთრება უარყოფითად მოქმედებს ეკონომიკურ ზრდასა და ფინანსურ სტაბილურობაზე. FATF-ის მიხედვით, ფულის გათეთრება მიჩნეულია რეალურ საფრთხედ და ფინანსური ინსტიტუტების უკონტროლობა იწვევს ქვეყნის განვითარების რისკს³²⁴. ს. ბრიჯიტმა გამოიკვლია, რომ ფულის გათეთრება და სხვა ფინანსური დანაშაული ნეგატიურად ზემოქმედებს ეკონომიკურ ზრდასა თუ განვითარებაზე³²⁵. აღნიშნულ პოზიციას ასევე ამყარებს უცხოელ მეცნიერთა გამოკვლევები, რომელთა მიხედვით, ფულის გათეთრების წინააღმდეგ არსებული სუსტი პოლიტიკა ამცირებს ეკონომიკური ზრდის შესაძლებლობებს და ზრდის შემოსავლების გადანაწილების უთანაბრობას, რაც საფრთხეს უქმნის ეკონომიკურ ზრდას ბევრ ქვეყანაში.

 შავი ფული და ადგილობრივი თუ პირდაპირი უცხოური ინვესტიციები

³²³Idowu A. Anti-Money Laundering Policy and Its Effects on Bank Performance in Nigeria. Business Intelligence Journal, 6, 2012, 367-373

³²⁴Aluko A., The Impact of Money Laundering on Economic and Financial Stability and on Political Development of Developing Countries, University of London, London, 2011, P.107

³²⁵Yikona S., Slot B., Geller M., Hansen B., El Kadiri F., Ill-Gotten Money And The Economy, Experiences From Malawi And Namibia, 2011, P.16

ი. რაზიმ აღმოაჩინა, რომ ფულის გათეთრებას აქვს ეფექტი ეროვნულ შემოსავალზე და ასევე უცხოურ ინვესტიციებზე. ფულის გათეთრება ფინანსური დანაშაულია, რომელიც ნეგატიურად აისახება ეკონომიკის სტაბილურობაზე, განსაკუთრებით ინვესტიციებზე³²⁶. შავი ფულის გათეთრების პრობლემით დაინტერესებულმა მეცნიერმა ა. ალუკომ შეისწავლა ფულის გათეთრების ეფექტი ინვესტიციებზე და დაასკვნა, რომ ფულის გათეთრება სხვა ფინანსური დანაშაულების მსგავსად ნეგატიურად ზემოქმედებს ეკონომიკურ ზრდასა და ფინანსურ სტაბილურობაზე სხვადასხვა ქვეყნის გამოცდილებიდან გამომდინარე³²⁷.

შავი ფული და კორუფცია

შავი ფულის გათეთრების პრობლემით დაინტერესებულმა მეცნიერმა ა. ალუკომ აღმოაჩინა პოზიტიური დამოკიდებულება კორუფციასა და ფულის გათეთრებას შორის. მისი აზრით, კორუფცია და ფულის გათეთრება ერთი მედლის ორი მხარეა. წარმოდგენელია აღნიშნული პრობლემის არსებობა კორუფციისგან დამოუკიდებლად, ვინაიდან კორუფცია ამახინჯებს სახელმწიფოს როლს რესურსების გადანაწილებაში და ქმნის შავი ფულის რეზერვს. საერთაშორისო კვლევებში დაფიქსირებულია კორუფციის ეფექტი ფულის გათეთრების მასშტაბების ზრდაზე, რომელიც, საბოლოო ჯამში, იწვევს ეკონომიკური განვითარების დონის შემცირებას. სამეცნიერო ლიტერატურაში ხაზგასმულია კორუფციის სიმძიმე, რომელიც აისახება უკანონოდ მიღებული შემოსავლების ლეგალიზაციის მასშტაბების ზრდით და სახელმწიფოს კეთილდღეობის შემცირებით. პ. მაუროს მიერ ჩატარებული კვლევა აჩვენებს, რომ არსებობს კავშირი კორუფციასა და ეკონომიკურ ზრდას შორის³²⁸. იმ შემთხვევაშიც კი, როდესაც ქვეყანა ღიაა საერთაშორისო ვაჭრობისადმი, ინვესტიციის დონე დაბალი დარჩება, თუ კორუფციის დონე მაღალია. უცხოურ ლიტერატურაში მოიძებნება დამატებითი კვლევები კორუფციის ეფექტების შესახებ ფულის გათეთრებაზე. ს. აკერმანის სამეცნიერო სტატიის მიხედვით, კორუფციის მაღალი დონე გავლენას ახდენს ამა თუ იმ ქვეყნის ეკონომიკურ განვითარებასა და ეკონომიკურ ზრდაზე³²⁹. განხილული ლიტერატურის საფუძველზე შევკვლით, ჩამოგვეყალიბებინა შემდეგი ჰიპოთეზები:

³²⁶Ihsan I., & Razi A., Money Laundering-A Negative Impact on Economy, 2012, P.2-8

³²⁷Aluko A., The Impact of Money Laundering on Economic and Financial Stability and on Political Development of Developing Countries, University of London, London, 2011, P.107

³²⁸რისკულაოვი უ., შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტი ბიზნესის მართვის ფაკულტეტი კორუფციის ფაქტორების რაოდენობრივი ანალიზი, 2012, გვ.8

³²⁹The Political Economy of Corruption, S. Ackerman, 1996, P.32,33

ჰ1: პოსტ-სოციალისტურ ქვეყნებში შავი ფულის გათეთრება უარყოფითად აისახება ეკონომიკურ ზრდაზე;

ჰ2: პოსტ-სოციალისტურ ქვეყნებში შავი ფულის გათეთრება უარყოფითად აისახება ინვესტიციებზე;

ჰ3: პოსტ-სოციალისტურ ქვეყნებში შავი ფულის გათეთრება უარყოფითად აისახება პირდაპირ უცხოურ ინვესტიციებზე;

ჰ4: პოსტ-სოციალისტურ ქვეყნებში ფულის გათეთრება და კორუფცია უარყოფითად აისახება მთლიან შიდა პროდუქტზე;

ჰ5: პოსტ-სოციალისტურ ქვეყნებში ფულის გათეთრება და კორუფცია უარყოფითად აისახება ინვესტიციებზე;

ჰ6: პოსტ-სოციალისტურ ქვეყნებში ფულის გათეთრება და კორუფცია უარყოფითად აისახება პირდაპირ უცხოურ ინვესტიციებზე.

4.2. ჰიპოთეზების შემოწმება

ფულის გათეთრება და ეკონომიკური ზრდა

H₀: პოსტ-სოციალისტურ ქვეყნებში ფულის გათეთრება უარყოფითად აისახება ეკონომიკურ ზრდაზე.

H₁: ფულის გათეთრება დადებითად აისახება ეკონომიკურ ზრდაზე.

აღნიშნული ჰიპოთეზის შესამოწმებლად კვლევა ითვალისწინებს ფულის გათეთრებასა და მთლიან შიდა პროდუქტს შორის კავშირის გამოვლენას, რომელიც მოდელირებულია მინიმალური კვადრატების ფუნქციით. ჩვენს კვლევაში ასახულია პოსტ-სოციალისტური 17 ქვეყნის ოფიციალური სტატისტიკური მონაცემი და ხაზს უსვამს წრფივ რეგრესიულ მოდელს. აღნიშნული ჰიპოთეზის შესამოწმებლად ვიყენებთ მსოფლიო ბანკისა და ბაზელის გამოქვეყნებულ შავი ფულის ზრდის ინდექსურ მაჩვენებელს.

ცხრილი 7. შავი ფულის გათეთრებისა და მშპ-ს ინდექსირებული მაჩვენებელი პოსტ-სოციალისტური ქვეყნებისათვის 2012.-2016წწ.^{330 331}

		ფულის გათეთრება (x)				მშპ (y)			
		2013	2014	2015	2016	2013	2014	2015	2016
1	ალბანეთი	-1.074	2.203	0.279	-9.416	1.001	1.774	2.227	3.370
2	ბელორუსია	-0.134	0.134	-0.134	0.134	1.024	1.723	-3.830	-2.649
3	ბულგარეთი	-2.664	-7.255	-0.960	1.027	0.862	1.329	3.617	3.941
4	ესტონეთი	1.002	-1.180	-2.438	19.831	1.937	2.891	1.674	2.063
5	ლატვია	-8.117	2.178	-1.054	-1.475	2.430	1.858	2.972	2.213
6	ლიტვა	-3.809	-4.338	0.812	-1.472	3.499	3.538	2.035	2.345
7	მოლდოვა	-14.672	0.754	1.088	1.656	9.400	4.800	-0.400	4.100
8	პოლონეთი	-0.128	-16.704	1.133	10.333	1.392	3.283	3.845	2.864
9	რუმინეთი	0.023	-1.459	-0.741	-2.669	3.532	3.076	3.974	4.589
10	რუსეთი	1.708	9.329	-0.480	-0.585	1.785	0.739	-2.828	-0.225
11	საქართველო	-14.798	0.601	-0.664	-1.936	3.387	4.623	2.880	2.849
12	სომხეთი	-4.472	-0.755	0.632	-5.412	3.300	3.600	3.200	0.200
13	უზბეკეთი	-0.494	0.015	-5.328	-0.292	8.000	7.793	8.000	7.800
14	უკრაინა	-2.156	1.211	0.137	0.212	-0.027	-6.553	-9.773	2.308
15	უნგრეთი	-5.222	-1.589	1.481	2.209	2.096	4.228	3.367	2.213
16	ყირგიზეთი	0.779	-0.980	-0.380	-0.993	10.915	4.024	3.876	3.826
17	ჩეხეთი	-1.441	-3.893	-0.128	2.381	-0.484	2.715	5.309	2.593

³³⁰<https://index.baselgovernance.org>

³³¹<https://data.worldbank.org/indicator>

ეკონომიკურ ზრდაზე ფულის გათეთრების გავლენის დასადგენად ჩვენ ვიყენებთ წრფივ რეგრესიულ მოდელს. მოდელი ითვალისწინებს ფულის გათეთრების ზემოქმედებას ეკონომიკურ ზრდაზე, რომელიც გამოხატულია რეალური მშპ-ს ზრდით. ქვეყნის ეკონომიკური ზრდა გამოითვლება რეალური მშპ-ის ზრდის მაჩვენებლით. მთლიანი შიდა პროდუქტი (მშპ) წარმოადგენს ეკონომიკური საქმიანობის საზომს, რომელიც განისაზღვრება ეკონომიკის ფარგლებში წარმოებული საქონლისა და მომსახურების საერთო ღირებულებით. მშპ-ის წლიური ზრდის ტემპის გაანგარიშება მიზნად ისახავს ეკონომიკური განვითარების დინამიკის შედარებას, როგორც დროით, ასევე სხვადასხვა ქვეყნის ჭრილში. მთლიანი შიდა პროდუქტის მოცულობის ზრდის გაზომვის მიზნით, მიმდინარე ფასებში გამოხატული მშპ შეფასებულია წინა წლის ფასებში, რომელიც გავლენას ახდენს ფასების მოძრაობაზე. შავი ფულის გათეთრება მოცემული ეკონომიკური მოდელის დამოუკიდებელ ცვლადს წარმოადგენს. ეკონომიკური ზრდისა და ფულის გათეთრების კორელაციის დასადგენად ჩვენ შემოვიტანეთ მოდელი, რომელიც შეაფასებს ფულის გათეთრების დონეს საწყის ეტაპზე. კავშირი დამყარებულია თითოეული ფაქტორის წლიური ზრდის მაჩვენებელზე. მნიშვნელობის დონედ აღებულია 0.05.

2013: რეგრესია: $\hat{y} = -0.158x + 2.6619$. წყვილური კორელაციის კოეფიციენტი: $r_{x,y} = -0.243$, რაც გულისხმობს ცვლადებს შორის სუსტ და უკუპროპორციულ დამოკიდებულებას. ელასტიკურობის კოეფიციენტი: $E = 0.163$, რაც გვეუბნება, რომ x -ის 1%-იანი ზრდა იწვევს y -ის 16.3%-იან ზრდას. ბეტა კოეფიციენტით ვადაგნთ, თუ რა გავლენა აქვს ამხსნელ ცვლადს ახსნილ ცვლადზე: $\beta = -0.243$, რაც ნიშნავს, რომ რეგრესორის გაზრდა თავისი საშუალო კვადრატული გადახრის სიდიდით გამოიწვევს ახსნილი ცვლადის შემცირებას საშუალოდ 24.3%-ით. დეტერმინაციის კოეფიციენტი: $R^2 = 0.05903$, ანუ, y -ის ცვალებადობის საერთო შემთხვევების 5.903% გამოწვეულია x -ის ცვლილებით. დანარჩენი 94.097% გამოწვეულია მოდელში გაუთვალისწინებელი ფაქტორებითა და სპეციფიკაციის შეცდომით. რეგრესიის სტანდარტული შეცდომაა: $S = 3.26$, რომლის საფუძველზეც გაანგარიშებული კოეფიციენტების სტანდარტული გადახრებია: $S_a = 0.953$, $S_b = 0.163$. კოეფიციენტების შესაფასებლად გამოვიყენეთ სტიუდენტის კრიტერიუმი. კერძოდ, მნიშვნელოვნების დონისა და თავისუფლების ხარისხის გამოყენებით, სტიუდენტის განაწილების ცხრილში დავადგინეთ მისი კრიტიკული მნიშვნელობა,

გამოვთვალეთ კოეფიციენტების სტატისტიკური მნიშვნელობები: $t_{კრიტ(15;0.025)}=2.131$, $t_a=2.79$, $t_b=0.97$. $2.79>2.131$; $0.97<2.131$, ამიტომ, **a** კოეფიციენტის სტატისტიკური მნიშვნელოვნება დადასტურდა, **b** კოეფიციენტის კი-არა. **a** და **b** კოეფიციენტების ნდობის ინტერვალებია: **a** (0.631;4.692), **b** (-0.505;0.189). რეგრესიის განტოლების მნიშვნელოვნება შევამოწმეთ დეტერმინაციის კოეფიციენტის საფუძველზე გაანგარიშებული ფიშერის კრიტერიუმით: $R^2=0.05903$, საიდანაც $F=0.94$. ფიშერის განაწილების ცხრილიდან (1;15) თავისუფლების ხარისხებით დავადგინეთ მისი კრიტიკული მნიშვნელობა: $F_{კრიტ(1;15)}=4.54$, $0.94<4.54$, ამიტომ დეტერმინაციის კოეფიციენტი სტატისტიკურად არაა მნიშვნელოვანი და შედეგად, რეგრესიის მოდელიც არაა სანდო. გამოვიკვლიეთ ახსნილი ცვლადის დამოკიდებულება ამხსნელ ცვლადზე. სპეციფიკაციის ეტაპზე გამოვიყენეთ წრფივი წყვილური რეგრესია, რომლის პარამეტრებიც განვსაზღვრეთ უმცირეს კვადრატთა მეთოდით, ხოლო მოდელის ვარგისიანობა შევამოწმეთ დეტერმინაციის კოეფიციენტითა და ფიშერის კრიტერიუმით. დადგინდა, რომ y -ის ზოგადი ცვალებადობის 5.903% შემთხვევა გამოწვეულია x -ის ცვლილებით. აღმოჩნდა, რომ მოდელის პარამეტრები სტატისტიკურად არამნიშვნელოვანია. მოდელის ეკონომიკური ინტერპრეტაციაა: x -ის 1 ერთეულით გაზრდა გამოიწვევს y -ის საშუალოდ 0.158 ერთეულით შემცირებას.

2014: რეგრესიის განტოლება: $\hat{y}=-0.08986x+2.5582$. წყვილური კორელაციის კოეფიციენტი: $r_{x,y}=-0.164$, რომელიც ცვლადებს შორის სუსტ და უკუპროპორციულ დამოკიდებულებას გულისხმობს. ელასტიკურობის კოეფიციენტი: $E=0.043$, რაც გვეუბნება, რომ x -ის 1%-იანი ზრდა იწვევს y -ის 4.3%-იან ზრდას. ბეტა კოეფიციენტით ვადგენთ, თუ რა გავლენა აქვს ამხსნელ ცვლადს ახსნილ ცვლადზე: $\beta=-0.164$, რაც ნიშნავს, რომ რეგრესორის გაზრდა თავისი საშუალო კვადრატული გადახრის სიდიდით გამოიწვევს ახსნილი ცვლადის შემცირებას საშუალოდ 16.4%-ით. გამოთვლილი მნიშვნელობები ფაქტობრივი მნიშვნელობებისგან გადახრილია 33.6%-ით. დეტერმინაციის კოეფიციენტი: $R^2=0.02678$, ანუ, y -ის ცვალებადობის საერთო შემთხვევების 2.678% გამოწვეულია x -ის ცვლილებით. დანარჩენი 97.322% გამოწვეულია მოდელში გაუთვალისწინებელი ფაქტორებითა და სპეციფიკაციის შეცდომით. რეგრესიის სტანდარტული შეცდომაა: $S=2.95$, რომლის საფუძველზეც გაანგარიშებული კოეფიციენტების სტანდარტული

გადახრება: $S_a=0.737$, $S_b=0.14$. კოეფიციენტების შესაფასებლად გამოვიყენეთ სტიუდენტის კრიტერიუმი. კერძოდ, მნიშვნელოვნების დონისა და თავისუფლების ხარისხის გამოყენებით, სტიუდენტის განაწილების ცხრილში დავადგინეთ მისი კრიტიკული მნიშვნელობა, გამოვთვაღეთ კოეფიციენტების სტატისტიკური მნიშვნელობები: $t_{კრიტ}(15;0.025)=2.131$, $t_a=3.47$, $t_b=0.64$. $3.47>2.131$, $0.64<2.131$, ამიტომ, a კოეფიციენტის სტატისტიკური მნიშვნელოვნება დადასტურდა, b კოეფიციენტის კი არა. a და b კოეფიციენტების ნდობის ინტერვალებია: a (0.987, 4.129), b (-0.388, 0.208). რეგრესიის განტოლების მნიშვნელოვნება შევამოწმეთ დეტერმინაციის კოეფიციენტის საფუძველზე გაანგარიშებული ფიშერის კრიტერიუმით: $R^2=0.02678$, საიდანაც $F=0.41$. ფიშერის განაწილების ცხრილიდან (1;15) თავისუფლების ხარისხებით დავადგინეთ მისი კრიტიკული მნიშვნელობა: $F_{კრიტ}(1;15)=4.54$, $0.41<4.54$, ამიტომ დეტერმინაციის კოეფიციენტი სტატისტიკურად არაა მნიშვნელოვანი. გამოვიკვლიეთ ახსნილი ცვლადის დამოკიდებულება ამხსნელ ცვლადზე. სპეციფიკაციის ეტაპზე გამოვიყენეთ წრფივი წყვილური რეგრესია, რომლის პარამეტრებიც განვსაზღვრეთ უმცირეს კვადრატთა მეთოდით, ხოლო მოდელის ვარგისიანობა შევამოწმეთ დეტერმინაციის კოეფიციენტითა და ფიშერის კრიტერიუმით. დადგინდა, რომ y -ის ზოგადი ცვალებადობის 2,678% შემთხვევა გამოწვეულია x -ის ცვლილებით. აღმოჩნდა, რომ მოდელის პარამეტრები სტატისტიკურად არამნიშვნელოვანია. მოდელის ეკონომიკური ინტერპრეტაციაა: x -ის 1 ერთეულით გაზრდა გამოიწვევს y -ის საშუალოდ 0.0899 ერთეულით შემცირებას.

2015: რეგრესია: $\hat{y}=-0.8465x+1.4374$. წყვილური კორელაციის კოეფიციენტი: $r_{x,y}=-0.332$, რაც გულისხმობს ცვლადებს შორის საშუალო და უკუპროპორციულ დამოკიდებულებას. ელასტიკურობის კოეფიციენტი: $E=0.189$, რაც გვეუბნება, რომ x -ის 1%-იანი ზრდა იწვევს y -ის 18.9%-იან ზრდას. ბეჭა კოეფიციენტით ვადგენთ, თუ რა გავლენა აქვს ამხსნელ ცვლადს ახსნილ ცვლადზე: $\beta=-0.332$, რაც ნიშნავს, რომ რეგრესორის გაზრდა თავისი საშუალო კვადრატული გადახრის სიდიდით გამოიწვევს ახსნილი ცვლადის შემცირებას საშუალოდ 33.2%-ით. აპროქსიმაციის შეცდომაა: $A=6.65\%$. გამოთვლილი მნიშვნელობები ფაქტობრივი მნიშვნელობებისგან გადახრილია 6.65%-ით. დეტერმინაციის კოეფიციენტი: $R^2=0.11$, ანუ, y -ის ცვალებადობის საერთო შემთხვევების 11% გამოწვეულია x -ის


ცვლილებით. დანარჩენი 89% გამოწვეულია მოდელში გაუთვალისწინებელი ფაქტორებითა და სპეციფიკაციის შეცდომით. რეგრესიის სტანდარტული შეცდომაა: $S=0.995$, რომლის საფუძველზეც გაანგარიშებული კოეფიციენტების სტანდარტული გადახრებია: $S_a=0.995$, $S_b=0.622$. კოეფიციენტების შესაფასებლად გამოვიყენეთ სტიუდენტის კრიტერიუმი. კერძოდ, მნიშვნელოვნების დონისა და თავისუფლების ხარისხის გამოყენებით, სტიუდენტის განაწილების ცხრილში დავადგინეთ მისი კრიტიკული მნიშვნელობა, გამოვთვალეთ კოეფიციენტების სტატისტიკური მნიშვნელობები: $t_{კრიტ}(15;0.025)=2.131$, $t_a=1.44$, $t_b=1.36$. $1.44 < 2.131$, $1.36 < 2.131$, ამიტომ, a და b კოეფიციენტების სტატისტიკური მნიშვნელოვნება არ დადასტურდა. a და b კოეფიციენტების ნდობის ინტერვალებია: $a (-0.683, 3.558)$, $b (-2.171, 0.478)$. რეგრესიის განტოლების მნიშვნელოვნება შევამოწმეთ დეტერმინაციის კოეფიციენტის საფუძველზე გაანგარიშებული ფიშერის კრიტერიუმით: $R^2=0.11$, საიდანაც, $F=1.85$, ფიშერის განაწილების ცხრილიდან $(1;15)$ თავისუფლების ხარისხებით დავადგინეთ მისი კრიტიკული მნიშვნელობა: $F_{კრიტ}(1;15)=4.54$, $1.85 < 4.54$. დეტერმინაციის კოეფიციენტი სტატისტიკურად არაა მნიშვნელოვანი და შედეგად, რეგრესიის მოდელიც არაა სანდო. გამოვიკვლიეთ ახსნილი ცვლადის დამოკიდებულება ამხსნელ ცვლადზე. სპეციფიკაციის ეტაპზე გამოვიყენეთ წრფივი წყვილური რეგრესია, რომლის პარამეტრებიც განვსაზღვრეთ უმცირეს კვადრატთა მეთოდით, ხოლო მოდელის ვარგისიანობა შევამოწმეთ დეტერმინაციის კოეფიციენტითა და ფიშერის კრიტერიუმით. დადგინდა, რომ y -ის ზოგადი ცვალებადობის 11% შემთხვევა გამოწვეულია x -ის ცვლილებით. აღმოჩნდა, რომ მოდელის პარამეტრები სტატისტიკურად არამნიშვნელოვანია. მოდელის ეკონომიკური ინტერპრეტაციაა: x -ის 1 ერთეულით გაზრდა გამოიწვევს y -ის საშუალოდ 0.846 ერთეულით შემცირებას.

2016: რეგრესია: $\hat{y}=-0.00947x+2.6193$. წყვილური კორელაციის კოეფიციენტი: $r_{x,y}=-0.0269$, რაც გულისხმობს ცვლადებს შორის სუსტ და უკუპროპორციულ დამოკიდებულებას. ელასტიკურობის კოეფიციენტი: $E=-0.00289$, რაც გვეუბნება, რომ x -ის 1%-იანი ზრდა იწვევს y -ის 0.289%-იან შემცირებას. ბეტა კოეფიციენტით ვადგენთ, თუ რა გავლენა აქვს ამხსნელ ცვლადს ახსნილ ცვლადზე: $\beta=-0.0269$, რაც ნიშნავს, რომ რეგრესორის გაზრდა თავისი საშუალო კვადრატული გადახრის სიდიდით გამოიწვევს ახსნილი ცვლადის შემცირებას საშუალოდ 2.69%-ით. აპროქსიმაციის შეცდომაა: $A=5.84\%$. შედეგად, გამოთვლილი მნიშვნელობები

ფაქტობრივი მნიშვნელობებისგან გადახრილია 5.84%-ით. დეტერმინაციის კოეფიციენტი: $R^2=0.000722$, ანუ, γ -ის ცვალებადობის საერთო შემთხვევების 0.0722% გამოწვეულია x -ის ცვლილებით. დანარჩენი 99.9278% გამოწვეულია მოდელში გაუთვალისწინებელი ფაქტორებითა და სპეციფიკაციის შეცდომით. რეგრესიის სტანდარტული შეცდომაა: $S=2.3$, რომლის საფუძველზეც გაანგარიშებული კოეფიციენტების სტანდარტული გადახრებია: $S_a=0.562$, $S_b=0.091$. კოეფიციენტების შესაფასებლად გამოვიყენეთ სტიუდენტის კრიტერიუმი. კერძოდ, მნიშვნელოვნების დონისა და თავისუფლების ხარისხის გამოყენებით, სტიუდენტის განაწილების ცხრილში დავადგინეთ მისი კრიტიკული მნიშვნელობა, გამოვთვალეთ კოეფიციენტების სტატისტიკური მნიშვნელობები: $t_{კრიტ(15;0.025)}=2.131$, $t_a=4.66$, $t_b=0.1$. $4.66 > 2.131$, $0.1 < 2.131$, ამიტომ, a კოეფიციენტი სტატისტიკურად მნიშვნელოვანია, b - არა. a და b კოეფიციენტების ნდობის ინტერვალებია: $a (1.421;3.817)$, $b (-0.203;0.184)$. რეგრესიის განტოლების მნიშვნელოვნება შევამოწმეთ დეტერმინაციის კოეფიციენტის საფუძველზე გაანგარიშებული ფიშერის კრიტერიუმით: $R^2=0.000722$, საიდანაც $F=0.0108$. ფიშერის განაწილების ცხრილიდან (1;15) თავისუფლების ხარისხებით დავადგინეთ მისი კრიტიკული მნიშვნელობა: $F_{კრიტ(1;15)}=4.54$, $0.0108 < 4.54$, ამიტომ დეტერმინაციის კოეფიციენტი სტატისტიკურად არაა მნიშვნელოვანი და შედეგად, რეგრესიის მოდელიც არაა სანდო. გამოვიკვლიეთ ახსნილი ცვლადის დამოკიდებულება ამხსნელ ცვლადზე. სპეციფიკაციის ეტაპზე გამოვიყენეთ წრფივი წყვილური რეგრესია, რომლის პარამეტრებიც განვსაზღვრეთ უმცირეს კვადრატთა მეთოდით, ხოლო მოდელის ვარგისიანობა შევამოწმეთ დეტერმინაციის კოეფიციენტითა და ფიშერის კრიტერიუმით. დადგინდა, რომ γ -ის ზოგადი ცვალებადობის 0.0722% შემთხვევა გამოწვეულია x -ის ცვლილებით. აღმოჩნდა, რომ მოდელის პარამეტრები სტატისტიკურად არამნიშვნელოვანია. მოდელის ეკონომიკური ინტერპრეტაციაა: x -ის 1 ერთეულით გაზრდა გამოიწვევს γ -ის საშუალოდ 0.00947 ერთეულით შემცირებას.

გამოვიკვლიეთ ახსნილი ცვლადის დამოკიდებულება ამხსნელ ცვლადზე. სპეციფიკაციის ეტაპზე გამოვიყენეთ წრფივი წყვილური რეგრესია, რომლის პარამეტრებიც განვსაზღვრეთ უმცირეს კვადრატთა მეთოდით, ხოლო მოდელის ვარგისიანობა შევამოწმეთ დეტერმინაციის კოეფიციენტითა და ფიშერის კრიტერიუმით. დადგინდა, მოდელის ეკონომიკური ინტერპრეტაცია: შავი ფულის გათეთრების ტემპის 1 ერთეულით გაზრდა გამოიწვევს მშპ-ს ზრდის საშუალოდ

0.2758425 ერთეულით შემცირებას. აღნიშნულის საფუძველზე ნულოვანი ჰიპოთეზა, რომლის თანახმად შავი ფულის გათეთრება უარყოფითად აისახება ეკონომიკურ ზრდაზე, მიღებულია.

 **ფულის გათეთრება და ინვესტიციები**

H_0 : პოსტ-სოციალისტურ ქვეყნებში ფულის გათეთრება უარყოფითად აისახება ინვესტიციებზე.

H_1 : ფულის გათეთრება დადებითად აისახება ინვესტიციებზე.

აღნიშნული ჰიპოთეზის შესამოწმებლად კვლევა ითვალისწინებს ფულის გათეთრებასა და ინვესტიციებს შორის კავშირის გამოვლენას, რომელიც მოდელირებულია მინიმალური კვადრატების ფუნქციით. ანგარიშში ასახულია პოსტ-სოციალისტური 17 ქვეყნის ოფიციალური სტატისტიკური მონაცემი და ხაზს უსვამს წრფივ რეგრესიულ მოდელს. აღნიშნული ჰიპოთეზის შესამოწმებლად ვიყენებთ მსოფლიო ბანკის სტატისტიკურ მონაცემებს.

ცხრილი 8. შავი ფულის გათეთრებისა და ინვესტიციების ინდექსირებული მაჩვენებელი პოსტ-სოციალისტური ქვეყნებისათვის 2012.-2016წწ.^{332 333}

		ფულის გათეთრება (x)					ინვესტიციები (y)				
		2012	2013	2014	2015	2016	2012	2013	2014	2015	2016
1	ალბანეთი	5.4839	5.4250	5.5445	5.5600	5.0365	28.4461	27.6076	25.8928	26.3512	27.0166
2	ბელორუსია	5.4173	5.4100	5.4173	5.4100	5.4173	38.1480	41.2732	38.5447	32.7522	29.1867
3	ბულგარეთი	4.2390	4.1260	3.8267	3.7900	3.8289	21.9518	21.0502	21.6873	21.3549	19.5948
4	ესტონეთი	3.2759	3.3088	3.2697	3.1900	3.8226	29.3154	27.7750	28.3068	25.8013	25.6829
5	ლატვია	5.3609	4.9258	5.0331	4.9800	4.9065	25.9049	23.9837	21.4475	21.3895	20.9640
6	ლიტვა	3.9562	3.8055	3.6405	3.6700	3.6160	17.0485	16.4701	16.5803	20.2843	18.9528
7	მოლდოვა	5.9258	5.0564	5.0945	5.1500	5.2353	24.3878	24.9897	25.4666	22.3727	23.0605
8	პოლონეთი	4.7425	4.7365	3.9453	3.9900	4.4023	21.6498	20.1195	21.9754	22.2057	21.1678
9	რუმინეთი	4.6814	4.6825	4.6142	4.5800	4.4578	25.6210	24.8596	24.5338	25.2495	24.1617
10	რუსეთი	5.6569	5.7535	6.2902	6.2600	6.2234	27.9991	25.9810	24.2273	21.5919	21.9722
11	საქართველო	5.6374	4.8032	4.8321	4.8000	4.7071	25.7277	21.9678	26.6482	28.3231	29.7707
12	სომხეთი	5.1255	4.8963	4.8593	4.8900	4.6254	27.9012	24.5520	22.9878	22.0077	20.0530
13	უზბეკეთი	5.4235	5.3968	5.3976	5.1100	5.0951	25.2648	25.6858	26.3778	26.7686	27.1907
14	უკრაინა	6.6153	6.4726	6.5510	6.5600	6.5739	21.2877	18.6634	13.0789	16.2348	22.3379
15	უნგრეთი	4.2893	4.0653	4.0007	4.0600	4.1497	18.5767	19.2553	20.7803	19.3364	18.2184
16	ყირგიზეთი	6.3071	6.3562	6.2939	6.2700	6.2077	39.1989	37.1357	41.3015	38.8452	37.5725
17	ჩეხეთი	4.8097	4.7404	4.5558	4.5500	4.6583	26.2629	25.0459	26.4713	28.3955	27.0487

³³²<https://index.baselgovernance.org>

³³³<https://data.worldbank.org/indicator>

ვინაიდან ფულის გათეთრების მაჩვენებელი დაკავშირებულია მშპ-სთან, ინვესტიციების ინდექსირებული მაჩვენებლის მისაღებად აბსოლუტური მაჩვენებელი შევაფარდეთ რეალური მშპ-ს მოცულობას და მოვახდინეთ წლიური რეგრესიის მოდელის აგება პოსტ-სოციალისტური ქვეყნებისათვის.

2012 წელი: რეგრესიის მოდელი: $\hat{y}=2,3835x+13.968$. კორელაციის კოეფიციენტი $r_{yx}=0.353$, რომელიც ასახავს ცვლადებს შორის საშუალო სიძლიერის პირდაპირპროპორციულ დამოკიდებულებას. a და b კოეფიციენტების სტანდარტული გადახრებია: $S_a=8.461$, $S_b=1.633$, კოეფიციენტების სტატისტიკური წერტილები კი $t_a=1.65$, $t_b=1.46$, $t_{კრიტ}=2.131$. ვინაიდან $1.65 < 2.131$ და $1.46 < 2.131$, ვასკენით, რომ a და b კოეფიციენტები სტატისტიკურად არამნიშვნელოვანია. a -ს ნდობის ინტერვალია: $(-4.061; 31.997)$, ხოლო b -სი: $(-1.096; 5.862)$. დეტერმინაციის კოეფიციენტისა და ფიშერის კრიტერიუმის გამოყენებით, შევამოწმოთ მოდელის ვარვისიანობა: $R^2=0.1244$ და შესაბამისად, $F_{სტატ}=2.131$. თავისუფლების $(1;15)$ ხარისხებისათვის, ფიშერის შესაბამისი სტატისტიკური მაჩვენებელია: $F_{კრიტ}=4.54$, ვინაიდან $2.131 < 4.54$, ამიტომ ვამბობთ, რომ მოდელი არ არის ვალიდური. დავადგინეთ β კოეფიციენტი, რომელიც განსაზღვრავს, ახსნილი (y -ინვესტიციები) ფაქტორის ცვლილების სიდიდეს თავისი საშუალო კვადრატული გადახრის ფარგლებში, ამხსნელი (x -ფულის გათეთრების მაჩვენებელი) ფაქტორის საშუალო კვადრატული გადახრის სიდიდის ტოლი ცვლილებისას, როცა სხვა ყველა ფაქტორი ფიქსირებულია. $\beta=0.353$, რაც ნიშნავს, რომ ფულის გათეთრების მაჩვენებლის თავისი საშუალო კვადრატული გადახრის სიდიდით ზრდა იწვევს ინვესტიციების მაჩვენებლის 35.3%-ის ტოლი სიდიდით ზრდას. შევისწავლეთ y ფაქტორის დამოკიდებულება x ფაქტორზე. გამოვიყენეთ წყვილური წრფივი რეგრესიის მოდელი და კოეფიციენტები შევაფასეთ უმცირეს კვადრატთა მეთოდით. კოეფიციენტების სტატისტიკური მნიშვნელოვნება შემოწმებულია სტიუდენტის კრიტერიუმის საფუძველზე, მნიშვნელოვნების 0.05 დონისა და თავისუფლების ხარისხი 15-ის საფუძველზე, ხოლო მოდელის სტატისტიკური მნიშვნელოვნება შემოწმებულია დეტერმინაციის კოეფიციენტისა და ფიშერის კრიტერიუმის საფუძველზე. გამოკვლეულ სიტუაციაში (2012წ), ზოგადი ცვალებადობის 12.44% შემთხვევაში, y -ის ცვლილება ახსნილია x -ის ცვლილებით. მოდელის

პარამეტრების ეკონომიკური ინტერპრეტაციით კი ვასკვნით, რომ შავი ფულის გათეთრების 1 ერთეულით ზრდა იწვევს ინვესტიციების 2.383 ერთეულით ზრდას.

2013 წელი: მოდელი: $\hat{y}=2.8793x+10.8626$. კორელაციის კოეფიციენტი $r_{yx}=0.387$, რაც გულისხმობს ცვლადებს შორის საშუალო სიძლიერის პირდაპირპროპორციულ დამოკიდებულებას. a და b კოეფიციენტების სტანდარტული გადახრებია: $S_a=8.879$, $S_b=1.774$, კოეფიციენტების სტატისტიკური წერტილები კი $t_a=1.22$, $t_b=1.62$, $t_{კრიტ}=2.131$. ვინაიდან, $1.22 < 2.131$ და $1.62 < 2.131$, ვასკვნით, რომ ორივე a და b კოეფიციენტები სტატისტიკურად არამნიშვნელოვანია. a -ს ნდობის ინტერვალია: $(-8.059; 29.785)$, ხოლო b -სი: $(-0.901; 6.66)$. დეტერმინაციის კოეფიციენტისა და ფიშერის კრიტერიუმის გამოყენებით, შევამოწმეთ მოდელის ვარგისიანობა: $R^2=0.1494$ და შესაბამისად, $F_{სტატ}=2.63$. თავისუფლების $(1;15)$ ხარისხებისათვის, ფიშერის შესაბამისი სტატისტიკური მაჩვენებელია: $F_{კრიტ}=4.54$. ვინაიდან, $2.63 < 4.54$, ვამბობთ, რომ მოდელი არ არის ვალიდური. დავადგინეთ β კოეფიციენტი, რომელიც განსაზღვრავს, ახსნილი (y -ინვესტიციები) ფაქტორის ცვლილების სიდიდეს თავისი საშუალო კვადრატული გადახრის ფარგლებში, ამხსნელი (x -ფულის გათეთრების მაჩვენებელი) ფაქტორის საშუალო კვადრატული გადახრის სიდიდის ტოლი ცვლილებისას, როცა სხვა ყველა ფაქტორი ფიქსირებულია, $\beta=0.387$. ფულის გათეთრების მაჩვენებლის თავისი საშუალო კვადრატული გადახრის სიდიდით ზრდა იწვევს ინვესტიციების მაჩვენებლის 38.7%-ის ტოლი სიდიდით ზრდას. შევისწავლეთ y ფაქტორის დამოკიდებულება x ფაქტორზე. გამოვიყენეთ წყვილური წრფივი რეგრესიის მოდელი და კოეფიციენტები შევაფასეთ უმცირეს კვადრატთა მეთოდით. კოეფიციენტების სტატისტიკური მნიშვნელოვნება შემოწმებულია სტიუდენტის კრიტერიუმის საფუძველზე მნიშვნელოვნების 0.05 დონისა და თავისუფლების ხარისხი 15-ის საფუძველზე, ხოლო მოდელის სტატისტიკური მნიშვნელოვნება შემოწმებულია დეტერმინაციის კოეფიციენტისა და ფიშერის კრიტერიუმის საფუძველზე. გამოკვლეულ სიტუაციაში (2013წ) ზოგადი ცვალებადობის 14.94% შემთხვევაში, y -ის ცვლილება ახსნილია x -ის ცვლილებით. მოდელის პარამეტრების ეკონომიკური ინტერპრეტაციით, ვასკვნით, რომ x -ის 1 ერთეულით ზრდა იწვევს y -ის საშუალოდ, 2.879 ერთეულით ზრდას.

2014 წელი: რეგრესია: $\hat{y}=1.6708x+16.9031$. კორელაციის კოეფიციენტი $r_{yx}=0.238$, რაც გულისხმობს ცვლადებს შორის სუსტი სიძლიერის პირდაპირპროპორციულ

დამოკიდებულებას. a და b კოეფიციენტების სტანდარტული გადახრებია: $S_a=8.778$, $S_b=1.762$, ხოლო სტატისტიკური წერტილები: $t_a=1.93$, $t_b=0.95$, $t_{კრიტ}=2.131$. ვინაიდან, $1.93 < 2.131$ და $0.95 < 2.131$, ვასკენით, რომ ორივე, a და b კოეფიციენტები სტატისტიკურად არამნიშვნელოვანია. a -ს ნდობის ინტერვალია: $(-1.804; 35.61)$, ხოლო b -სი: $(-2.085; 5.426)$. დეტერმინაციის კოეფიციენტისა და ფიშერის კრიტერიუმის გამოყენებით, შევამოწმოთ მოდელის ვარგისიანობა: $R^2=0.05653$ და შესაბამისად, $F_{სტატ}=0.899$. თავისუფლების $(1;15)$ ხარისხებისათვის, ფიშერის შესაბამისი სტატისტიკური მაჩვენებელია: $F_{კრიტ}=4.54$. ვინაიდან, $2.63 < 4.54$, ვამბობთ, რომ მოდელი არ არის ვალიდური. დავადგინეთ β კოეფიციენტი, რომელიც განსაზღვრავს ახსნილი (y -ინვესტიციები) ფაქტორის ცვლილების სიდიდეს თავისი საშუალო კვადრატული გადახრის ფარგლებში, ამხსნელი (x -ფულის გათეთრების მაჩვენებელი) ფაქტორის საშუალო კვადრატული გადახრის სიდიდის ტოლი ცვლილებისას, როცა სხვა ყველა ფაქტორი ფიქსირებულია. $\beta=0.238$, ანუ, ფულის გათეთრების მაჩვენებლის თავისი საშუალო კვადრატული გადახრის სიდიდით ზრდა იწვევს ინვესტიციების მაჩვენებლის 23.8%-ის ტოლი სიდიდით ზრდას. გამოკვლეულ სიტუაციაში (2014წ), ზოგადი ცვალებადობის 5.65% შემთხვევაში, y -ის ცვლილება ახსნილია x -ის ცვლილებით. მოდელის პარამეტრების ეკონომიკური ინტერპრეტაციით, ვასკენით, რომ x -ის 1 ერთეულით ზრდა იწვევს y -ის 1.671 ერთეულით ზრდას.

2015 წელი: რეგრესია: $\hat{y}=1.2299x+18.671$. კორელაციის კოეფიციენტი $r_{yx}=0.217$, რაც გულისხმობს ცვლადებს შორის სუსტი სიძლიერის პირდაპირპროპორციულ დამოკიდებულებას. a და b კოეფიციენტების სტანდარტული გადახრებია: $S_a=7.071$, $S_b=1.426$. კოეფიციენტების სტატისტიკური წერტილებია: $t_a=2.64$, $t_b=0.86$, $t_{კრიტ}=2.131$. ვინაიდან, $2.64 > 2.131$, a კოეფიციენტი სტატისტიკურად მნიშვნელოვანია. $0.86 < 2.131$, ამიტომ b კოეფიციენტები სტატისტიკურად არამნიშვნელოვანია. a -ს ნდობის ინტერვალია: $(3.604; 33.738)$, ხოლო b -სი: $(-1.808; 4.268)$. დეტერმინაციის კოეფიციენტისა და ფიშერის კრიტერიუმის გამოყენებით შევამოწმოთ მოდელის ვარგისიანობა: $R^2=0.04727$ და შესაბამისად, $F_{სტატ}=0.74$. თავისუფლების $(1;15)$ ხარისხებისათვის, ფიშერის შესაბამისი სტატისტიკური მაჩვენებელია: $F_{კრიტ}=4.54$. ვინაიდან, $0.74 < 4.54$, ვამბობთ, რომ მოდელი არ არის ვალიდური. დავადგინეთ β

კოეფიციენტი, რომელიც განსაზღვრავს, ახსნილი (y-ინვესტიციები) ფაქტორის ცვლილების სიდიდეს თავისი საშუალო კვადრატული გადახრის ფარგლებში, ამსხნელი (x-ფულის გათეთრების მაჩვენებელი) ფაქტორის საშუალო კვადრატული გადახრის სიდიდის ტოლი ცვლილებისას, როცა სხვა ყველა ფაქტორი ფიქსირებულია. $\beta=0.217$, რაც გულისხმობს, რომ ფულის გათეთრების მაჩვენებლის თავისი საშუალო კვადრატული გადახრის სიდიდით ზრდა იწვევს ინვესტიციების მაჩვენებლის 21.7%-ის ტოლი სიდიდით ზრდას. გამოკვლევულ სიტუაციაში (2015წ), ზოგადი ცვალებადობის 4.73% შემთხვევაში, y-ის ცვლილება ახსნილია x-ის ცვლილებით. მოდელის პარამეტრების ეკონომიკური ინტერპრეტაციით ვასკვნით, რომ შავი ფულის გათეთრების 1 ერთეულით ზრდა იწვევს ინვესტიციების საშუალოდ 1.23 ერთეულით ზრდას.

2016 წელი: რეგრესია: $\hat{y}=2.5431x+11.939$. კორელაციის კოეფიციენტი $r_{yx}=0.441$, რაც გულისხმობს ცვლადებს შორის საშუალო სიძლიერის პირდაპირპროპორციულ დამოკიდებულებას. a და b კოეფიციენტების სტანდარტული გადახრებია: $S_a=6.609$, $S_b=1.335$. კოეფიციენტების სტატისტიკური წერტილებია: $t_a=1.81$, $t_b=1.91$, $t_{კრიტ}=2.131$. ვინაიდან, $1.81 < 2.131$, a კოეფიციენტი სტატისტიკურად არამნიშვნელოვანია. $1.91 < 2.131$, ამიტომ b კოეფიციენტი სტატისტიკურად არამნიშვნელოვანია. a-ს ნდობის ინტერვალია: $(-2.145; 26.023)$, ხოლო b-სი: $(-0.302; 5.388)$. დეტერმინაციის კოეფიციენტისა და ფიშერის კრიტერიუმის გამოყენებით, შევამოწმოთ მოდელის ვარგისიანობა: $R^2=0.1948$ და შესაბამისად, $F_{სტატ}=3.63$. თავისუფლების (1;15) ხარისხებისათვის, ფიშერის შესაბამისი სტატისტიკური მაჩვენებელია: $F_{კრიტ}=4.54$. ვინაიდან $3.63 < 4.54$, ამიტომ ვამბობთ, რომ მოდელი არ არის ვალიდური. დავადგინეთ β კოეფიციენტი, რომელიც განსაზღვრავს ახსნილი (y-ინვესტიციები) ფაქტორის ცვლილების სიდიდეს თავისი საშუალო კვადრატული გადახრის ფარგლებში, ამსხნელი (x-ფულის გათეთრების მაჩვენებელი) ფაქტორის საშუალო კვადრატული გადახრის სიდიდის ტოლი ცვლილებისას, როცა სხვა ყველა ფაქტორი ფიქსირებულია. $\beta=0.441$, რაც აღნიშნავს, რომ ფულის გათეთრების მაჩვენებლის თავისი საშუალო კვადრატული გადახრის სიდიდით ზრდა იწვევს ინვესტიციების მაჩვენებლის 44.1%-ის ტოლი სიდიდით ზრდას. გამოკვლევულ სიტუაციაში (2016წ), ზოგადი ცვალებადობის 19.48% შემთხვევაში, y-ის ცვლილება ახსნილია x-ის ცვლილებით. მოდელის პარამეტრების ეკონომიკური

ინტერპრეტაციით ვასკვნით, რომ x -ის 1 ერთეულით ზრდა იწვევს y -ის 2.543 ერთეულით ზრდას.

შვეისწავლეთ ინვესტიციების დამოკიდებულება შავი ფულის გათეთრების ფაქტორზე. გამოვიყენეთ წყვილური წრფივი რეგრესიის მოდელი და კოეფიციენტები შევაფასეთ უმცირეს კვადრატთა მეთოდით. კოეფიციენტების სტატისტიკური მნიშვნელოვნება შემოწმებულია სტიუდენტის კრიტერიუმის საფუძველზე, მნიშვნელოვნების 0.05 დონისა და თავისუფლების ხარისხი 15-ის საფუძველზე, ხოლო მოდელის სტატისტიკური მნიშვნელოვნება შემოწმებულია დეტერმინაციის კოეფიციენტისა და ფიშერის კრიტერიუმის საფუძველზე. გამოკვლეულ სიტუაციაში 2012წ-2016წ. მოდელის პარამეტრების ეკონომიკური ინტერპრეტაციით, ვასკვნით, რომ შავი ფულის გათეთრების 1 ერთეულით ზრდა იწვევს ინვესტიციების საშუალოდ, 2.1412 ერთეულით ზრდას. აღნიშნული გვაძლევს საშუალებას, უარვყოთ ნულოვანი ჰიპოთეზა და ვაღიაროთ ალტერნატიული ჰიპოთეზა, რომლის თანახმად პოსტ-სოციალისტურ ქვეყნებში შავი ფულის გათეთრების ზრდა დადებითად მოქმედებს ინვესტიციებზე.

✚ ფულის გათეთრება და პუი

H_0 : პოსტ-სოციალისტურ ქვეყნებში ფულის გათეთრება უარყოფითად აისახება პუი-ზე.

H_1 : ფულის გათეთრება დადებითად აისახება პუი-ზე.

აღნიშნული ჰიპოთეზის შესამოწმებლად კვლევა ითვალისწინებს ფულის გათეთრებისა და პირდაპირი უცხოური ინვესტიციების კავშირის გამოვლენას, რომელიც მოდელირებულია მინიმალური კვადრატების ფუნქციით. ანგარიშში ასახულია პოსტ-სოციალისტური ქვეყნების ოფიციალური სტატისტიკური მონაცემები, რომელიც მოცემულია მსოფლიო ბანკის და ბაზელის მიერ.

საქართველოსთვის განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოზიდვას. ქვეყანაში არსებული ლიბერალური საინვესტიციო გარემო და თანაბარი პირობები ადგილობრივი და უცხოური ინვესტიციებისათვის, საქართველოს მიმზიდველს ხდის უცხოელი ინვესტორებისთვის. ფულის გათეთრების მაჩვენებელი დაკავშირებულია მშპ-სთან. ანალოგიურად პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მაჩვენებელი აღებულია რეალური მშპ-სთან შეფარდებით.

ცხრილი 9. შავი ფულისა და პირდაპირი უცხოური ინვესტიციების ინდექსირებული მაჩვენებელი პოსტ-სოციალისტური ქვეყნებისათვის 2012.-2016წწ.^{334 335}

		ფულის გათეთრება (x)					პუი (y)				
		2012	2013	2014	2015	2016	2012	2013	2014	2015	2016
1	ალბანეთი	5.4839	5.4250	5.5445	5.5600	5.0365	7.4172	10.0072	9.0139	7.6045	7.7494
2	ბელორუსია	5.4173	5.4100	5.4173	5.4100	5.4173	2.3821	3.6187	2.9490	2.7211	2.1094
3	ბულგარეთი	4.2390	4.1260	3.8267	3.7900	3.8289	3.4657	3.8221	3.9209	4.9538	2.0761
4	ესტონეთი	3.2759	3.3088	3.2697	3.1900	3.8226	8.1739	4.9270	7.6323	-3.0975	3.1149
5	ლატვია	5.3609	4.9258	5.0331	4.9800	4.9065	4.1025	3.6741	3.4260	2.9688	0.8434
6	ლიტვა	3.9562	3.8055	3.6405	3.6700	3.6160	1.4085	1.6744	1.1519	2.1707	2.1041
7	მოლდოვა	5.9258	5.0564	5.0945	5.1500	5.2353	4.0687	3.5873	4.8377	3.0710	1.2416
8	პოლონეთი	4.7425	4.7365	3.9453	3.9900	4.4023	1.4388	0.1533	3.6927	2.7089	2.9294
9	რუმინეთი	4.6814	4.6825	4.6142	4.5800	4.4578	1.7837	2.1792	2.1220	2.2775	2.7097
10	რუსეთი	5.6569	5.7535	6.2902	6.2600	6.2234	3.0397	4.0863	1.2911	0.4133	1.9668
11	საქართველო	5.6374	4.8032	4.8321	4.8000	4.7071	6.2635	6.9769	12.2807	10.7152	10.4575
12	სომხეთი	5.1255	4.8963	4.8593	4.8900	4.6254	4.7783	3.2235	3.6312	1.5532	2.9396
13	უზბეკეთი	5.4235	5.3968	5.3976	5.1100	5.0951	1.2216	1.2634	1.1775	0.1129	0.1065
14	უკრაინა	6.6153	6.4726	6.5510	6.5600	6.5739	5.6854	3.1367	0.6305	2.5164	2.7750
15	უნგრეთი	4.2893	4.0653	4.0007	4.0600	4.1497	8.1116	-2.8223	9.2504	-3.6822	46.6865
16	ყირგიზეთი	6.3071	6.3562	6.2939	6.2700	6.2077	5.1410	10.8717	5.8574	18.8075	9.8044
17	ჩეხეთი	4.8097	4.7404	4.5558	4.5500	4.6583	4.5032	3.5294	3.7776	0.7539	2.8086

³³⁴<https://index.baselgovernance.org>

³³⁵<https://data.worldbank.org/indicator>

გათეთრებული ფულის აღნიშნული მონაცემები ქვემოთ მოცემული ეკონომიკური მოდელის დამოუკიდებელ ცვლადებს წარმოადგენენ, ხოლო პირდაპირი უცხოური ინვესტიცია დამოკიდებულ ცვლადს.

2012 წელი: რეგრესიის განტოლება: $\hat{y} = -0.108x + 4.8456$. x და y კოეფიციენტებისათვის კავშირის სიძლიერისა და დამოკიდებულების დასადგენად, გამოვიყენეთ კორელაციური ანალიზი და მოძიებული მაჩვენებლების საფუძველზე განვსაზღვრეთ კორელაციის კოეფიციენტი: $r_{yx} = -0.0405$, რაც გვიჩვენებს ამსხნელ და ახსნილ ფაქტორებს შორის სუსტ და უკუპროპორციულ დამოკიდებულებას. ასევე, განვსაზღვრეთ რეგრესიის სტანდარტული შეცდომა (Se) და a და b კოეფიციენტების სტანდარტული გადახრები, რომლებსაც ვიყენებთ კოეფიციენტების ვალიდურობის დასადგენად. a და b კოეფიციენტების სტანდარტული გადახრებია: $S_a = 3.565$, $S_b = 0.688$. გამოთვლილი მონაცემების საფუძველზე, მიღებული კოეფიციენტების სტატისტიკური წერტილებია: $t_a = 1.36$, $t_b = 0.16$. თავისუფლების ხარისხი 15-ისა და 0.05 მნიშვნელოვნების დონის მიხედვით, სტიუდენტის განაწილების ცხრილში მოვძებნეთ შესაბამისი კრიტერიუმის კრიტიკული მნიშვნელობა: $t_{კრიტ} = 2.131$, ვინაიდან $1.36 < 2.131$ და $0.16 < 2.131$, ვასკვნით, რომ ორივე, a და b კოეფიციენტები სტატისტიკურად არამნიშვნელოვანია. დეტერმინაციის კოეფიციენტისა და ფიშერის კრიტერიუმის გამოყენებით, შევამოწმეთ მოდელის ვარგისიანობა: $R^2 = 0.00164$ და შესაბამისად, $F_{სტატ} = 0.0246$. თავისუფლების (1;15) ხარისხებისათვის, ფიშერის შესაბამისი სტატისტიკური მაჩვენებელია: $F_{კრიტ} = 4.54$. ვინაიდან, $0.0246 < 4.54$, ამიტომ ვამბობთ, რომ მოდელი არ არის ვალიდური. დავადგინეთ β კოეფიციენტი, რომელიც განსაზღვრავს, ახსნილი (y -პუი) ფაქტორის ცვლილების სიდიდეს თავისი საშუალო კვადრატული გადახრის ფარგლებში, ამსხნელი (x -ფულის გათეთრების მაჩვენებელი) ფაქტორის საშუალო კვადრატული გადახრის სიდიდის ტოლი ცვლილებისას, როცა სხვა ყველა ფაქტორი ფიქსირებულია. $\beta = -0.0405$, რაც გვაძლევს საშუალებას, დავასკვნათ, რომ ფულის გათეთრების მაჩვენებლის თავისი საშუალო კვადრატული გადახრის სიდიდით ზრდა იწვევს პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მაჩვენებლის 4.05%-ის ტოლი სიდიდით შემცირებას. შევისწავლეთ y ფაქტორის დამოკიდებულება x ფაქტორზე. გამოვიყენეთ წყვილური წრფივი რეგრესიის მოდელი და კოეფიციენტები შევაფასეთ უმცირეს კვადრატთა მეთოდით. კოეფიციენტების სტატისტიკური მნიშვნელოვნება შემოწმებულია სტიუდენტის

კრიტერიუმის საფუძველზე, მნიშვნელოვნების 0.05 დონისა და თავისუფლების ხარისხი 15-ის საფუძველზე, ხოლო მოდელის სტატისტიკური მნიშვნელოვნება შემოწმებულია დეტერმინაციის კოეფიციენტისა და ფიშერის კრიტერიუმის საფუძველზე. გამოკვლეულ სიტუაციაში (2012წ), ზოგადი ცვალებადობის 0.16% შემთხვევაში, y -ის ცვლილება ახსნილია x -ის ცვლილებით. მოდელის პარამეტრების ეკონომიკური ინტერპრეტაციით კი ვასკნით, რომ x -ის 1 ერთეულით ზრდა იწვევს y -ის საშუალოდ 0.108 ერთეულით შემცირებას.

2013 წელი: მოდელი: $\hat{y}=1.6128x-4.2062$. კორელაციის კოეფიციენტი $r_{yx}=0.413$, რაც გვიჩვენებს ამსხნელ და ახსნილ ფაქტორებს შორის საშუალო და პირდაპირპროპორციულ დამოკიდებულებას. a და b კოეფიციენტების სტანდარტული გადახრებია: $S_a=4.6$, $S_b=0.919$. კოეფიციენტების სტატისტიკური წერტილებია: $t_a=0.91$, $t_b=1.75$, $t_{კრიტ}=2.131$. ვინაიდან, $0.91 < 2.131$ და $1.75 < 2.131$, a და b კოეფიციენტები არამნიშვნელოვანია. დეტერმინაციის კოეფიციენტისა და ფიშერის კრიტერიუმის გამოყენებით, შევამოწმოთ მოდელის ვარგისიანობა: $R^2=0.170$, ხოლო $F_{სტატ}=3.08$. ცხრილის თანახმად, $F_{კრიტ}=4.54$. $3.08 < 4.54$, ამიტომ აგებული რეგრესიის მოდელი არაა ვალიდური. კოეფიციენტი $\beta=0.413$, რაც გვიჩვენებს, რომ ფულის გათეთრების მაჩვენებლის თავისი საშუალო კვადრატული გადახრის სიდიდით ზრდა იწვევს პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მაჩვენებლის 41.3%-ის ტოლი სიდიდით ზრდას. გამოკვლეულ სიტუაციაში (2013წ), ზოგადი ცვალებადობის 17.03% შემთხვევაში, y -ის ცვლილება ახსნილია x -ის ცვლილებით. მოდელის პარამეტრების ეკონომიკური ინტერპრეტაციით კი ვასკნით, რომ x -ის 1 ერთეულით ზრდა იწვევს y -ის საშუალოდ, 1.613 ერთეულით ზრდას.

2014 წელი: მოდელი: $\hat{y}=-0.7991x+8.4177$. კორელაციის კოეფიციენტი $r_{yx}=-0.234$, რაც მიუთითებს ცვლადების სუსტ და უკუპროპორციულ დამოკიდებულებაზე. a და b კოეფიციენტების სტანდარტული გადახრებია: $S_a=4.275$, $S_b=0.858$. კოეფიციენტების სტატისტიკური წერტილებია: $t_a=1.97$, $t_b=0.93$, $t_{კრიტ}=2.131$. რადგან, $1.97 < 2.131$ და $0.93 < 2.131$, ამიტომ ორივე კოეფიციენტი სტატისტიკურად არამნიშვნელოვანია. დეტერმინაციის კოეფიციენტისა და ფიშერის კრიტერიუმის გამოყენებით, შევამოწმოთ მოდელის ვარგისიანობა: $R^2=0.05464$, $F_{სტატ}=0.867$, $F_{კრიტ}=4.54$. $0.867 < 4.54$, ამიტომ, რეგრესიის მოდელი არ არის ვალიდური. კოეფიციენტი $\beta=-0.234$, რაც გულისხმობს, რომ ფულის გათეთრების მაჩვენებლის თავისი საშუალო

კვადრატული გადახრის სიდიდით ზრდა იწვევს პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მაჩვენებლის 23.4%-ის ტოლი სიდიდით შემცირებას. გამოკვლეულ სიტუაციაში (2014წ), ზოგადი ცვალებადობის 5.46% შემთხვევაში, y -ის ცვლილება ახსნილია x -ის ცვლილებით. მოდელის პარამეტრების ეკონომიკური ინტერპრეტაციით კი ვასკვნით, რომ x -ის 1 ერთეულით ზრდა იწვევს y -ის საშუალოდ 0.799 ერთეულით შემცირებას.

2015 წელი: რეგრესიის მოდელი: $\hat{y}=2.3931x-8.3311$. კორელაციის კოეფიციენტი $r_{yx}=0.439$, რაც ასახავს ცვლადებს შორის საშუალო სიძლიერის პირდაპირპროპორციულ დამოკიდებულებას. a და b კოეფიციენტების სტანდარტული გადახრებია: $S_a=6.281$, $S_b=1.266$. კოეფიციენტების სტატისტიკური წერტილებია: $t_a=1.33$, $t_b=1.89$, $t_{კრიტ}=2.131$. $1.33 < 2.131$ და $1.89 < 2.131$, ამიტომ, კოეფიციენტები სტატისტიკურად არამნიშვნელოვანია. დეტერმინაციის კოეფიციენტისა და ფიშერის კრიტერიუმის გამოყენებით, შევამოწმოთ მოდელის ვარგისიანობა: $R^2=0.1923$, $F_{სტატ}=3.571$, $F_{კრიტ}=4.54$. $3.571 < 4.54$, რის გამოც, რეგრესიის მოდელი არავალიდურია. კოეფიციენტი $\beta=0.439$, რაც გულისხმობს, ფულის გათეთრების მაჩვენებლის თავისი საშუალო კვადრატული გადახრის სიდიდით ზრდა იწვევს პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მაჩვენებლის 43.9%-ის ტოლი სიდიდით ზრდას. გამოკვლეულ სიტუაციაში (2015წ), ზოგადი ცვალებადობის 19.23% შემთხვევაში, y -ის ცვლილება ახსნილია x -ის ცვლილებით. მოდელის პარამეტრების ეკონომიკური ინტერპრეტაციით კი ვასკვნით, რომ x -ის 1 ერთეულით ზრდა იწვევს y -ის საშუალოდ, 2.393 ერთეულით ზრდას.

2016 წელი: მოდელი: $\hat{y}=-2.0954x+16.251$. კორელაციის კოეფიციენტი $r_{yx}=-0.165$, რაც მიგვანიშნებს ცვლადების სუსტ და უკუპროპორციულ დამოკიდებულებაზე. a და b კოეფიციენტების სტანდარტული გადახრებია: $S_a=15.968$, $S_b=3.225$. კოეფიციენტების სტატისტიკური წერტილებია: $t_a=1.02$, $t_b=0.65$, $t_{კრიტ}=2.131$. $1.02 < 2.131$, $0.65 < 2.131$, რაც გულისხმობს, რომ კოეფიციენტები სტატისტიკურად არამნიშვნელოვანია. დეტერმინაციის კოეფიციენტისა და ფიშერის კრიტერიუმის გამოყენებით, შევამოწმოთ მოდელის ვარგისიანობა: $R^2=0.1923$, $F_{სტატ}=0.42$, $F_{კრიტ}=4.54$. $0.42 < 4.54$, რის გამოც, რეგრესიის მოდელი არავალიდურია. კოეფიციენტი $\beta=-0.165$, რაც გულისხმობს, რომ ფულის გათეთრების მაჩვენებლის თავისი საშუალო კვადრატული გადახრის სიდიდით ზრდა იწვევს პირდაპირი უცხოური

ინვესტიციების მაჩვენებლის 16.5%-ის ტოლი სიდიდით შემცირებას. გამოკვლევულ სიტუაციაში (2016წ), ზოგადი ცვალებადობის 2.74% შემთხვევაში, y -ის ცვლილება ახსნილია x -ის ცვლილებით. მოდელის პარამეტრების ეკონომიკური ინტერპრეტაციით ვასკვნი, რომ x -ის 1 ერთეულით ზრდა იწვევს y -ის 2.095 ერთეულით შემცირებას.

გამოკვლევულ სიტუაციაში (2012წწ.-2016წწ.), ზოგადი ცვალებადობის 2.74% შემთხვევაში, პირდაპირი უცხოური ინვესტიციების ცვლილება ახსნილია შავი ფულის გათეთრების ცვლილებით. მოდელის პარამეტრების ეკონომიკური ინტერპრეტაციით ვასკვნი, რომ შავი ფულის გათეთრების 1 ერთეულით ზრდა იწვევს პირდაპირი უცხოური ინვესტიციების საშუალოდ, 0.2008 ერთეულით ზრდას. აღნიშნული გვაძლევს საშუალებას, უარვყოთ ნულოვანი ჰიპოთეზა და ვაღიაროთ ალტერნატიული ჰიპოთეზა, რომლის თანახმად შავი ფულის გათეთრების ზრდა დადებითად მოქმედებს პუიზე.

ფულის გათეთრება, კორუფცია და მშპ

H_0 : პოსტ-სოციალისტურ ქვეყნებში ფულის გათეთრება და კორუფცია უარყოფითად აისახება ეკონომიკურ ზრდაზე.

H_1 : ფულის გათეთრება და კორუფცია დადებითად აისახება მშპ-ზე.

ცხრილი 10. შავი ფულის, კორუფციის და მშპ-ს ზრდის ინდექსირებული მაჩვენებელი პოსტ-სოციალისტური ქვეყნებისათვის 2012.-2016წწ.^{336 337 338}.

		ფულის გათეთრება (x_1)				კორუფცია (x_2)				მშპ (y)			
		2013	2014	2015	2016	2013	2014	2015	2016	2013	2014	2015	2016
1	ალბანეთი	-1.074	2.203	0.279	-9.416	-6.061	6.452	9.091	8.333	1.001	1.774	2.227	3.370
2	ბელორუსია	-0.134	0.134	-0.134	0.134	-6.452	6.897	3.226	25.000	1.024	1.723	-3.830	-2.649
3	ბულგარეთი	-2.664	-7.255	-0.960	1.027	0.000	4.878	-4.651	0.000	0.862	1.329	3.617	3.941
4	ესტონეთი	1.002	-1.180	-2.438	19.831	6.250	1.471	1.449	0.000	1.937	2.891	1.674	2.063
5	ლატვია	-8.117	2.178	-1.054	-1.475	8.163	3.774	0.000	3.636	2.430	1.858	2.972	2.213
6	ლიტვა	-3.809	-4.338	0.812	-1.472	5.556	1.754	5.172	-3.279	3.499	3.538	2.035	2.345
7	მოლდოვა	-14.672	0.754	1.088	1.656	-2.778	0.000	-5.714	-9.091	9.400	4.800	-0.400	4.100
8	პოლონეთი	-0.128	-16.704	1.133	10.333	3.448	1.667	1.639	0.000	1.392	3.283	3.845	2.864
9	რუმინეთი	0.023	-1.459	-0.741	-2.669	-2.273	0.000	6.977	4.348	3.532	3.076	3.974	4.589
10	რუსეთი	1.708	9.329	-0.480	-0.585	0.000	-3.571	7.407	0.000	1.785	0.739	-2.828	-0.225
11	საქართველო	-14.798	0.601	-0.664	-1.936	-5.769	6.122	0.000	9.615	3.387	4.623	2.880	2.849
12	სომხეთი	-4.472	-0.755	0.632	-5.412	5.882	2.778	-5.405	-5.714	3.300	3.600	3.200	0.200
13	უზბეკეთი	-0.494	0.015	-5.328	-0.292	0.000	5.882	5.556	10.526	8.000	7.793	8.000	7.800
14	უკრაინა	-2.156	1.211	0.137	0.212	-3.846	4.000	3.846	7.407	-0.027	-6.553	-9.773	2.308
15	უნგრეთი	-5.222	-1.589	1.481	2.209	-1.818	0.000	-5.556	-5.882	2.096	4.228	3.367	2.213
16	ვირჯინიის	0.779	-0.980	-0.380	-0.993	0.000	12.500	3.704	0.000	10.915	4.024	3.876	3.826
17	ჩეხეთი	-1.441	-3.893	-0.128	2.381	-2.041	6.250	9.804	-1.786	-0.484	2.715	5.309	2.593

³³⁶<https://index.baselgovernance.org>

³³⁷<https://data.worldbank.org/indicator>

³³⁸<https://www.transparency.org/research/cpi/overview>

ეკონომიკური მოდელის ასაგებად ფულის გათეთრება და კორუფცია გამოვიყენეთ ამხსნელ ცვლადად, შესაბამისად, x_1 და x_2 . ხოლო მშპ ასახსნელ ცვლადად- y .

2013: რეგრესიის განტოლება: $\hat{y}=2.6488-0.1638x_1+0.0567x_2$. წყვილური კორელაციის კოეფიციენტებია: $r_{yx1}=-0.243$, $r_{yx2}=0.051$, $r_{x1x2}=0.112$. ფარარ-გლობერის ალგორითმით დავადგინეთ ცვლადებს შორის მულტიკოლინიარობის არსებობა/არ-არსებობა: (ფიშერის კრიტერიუმი). $F_1=0.56$, $F_2=0.64$, $F_3=0.16$, $F_{კრიტ(16;2)}=19.4$. რადგან $0.56 < 19.4$, y არამულტიკოლინიარულია სხვა ცვლადების მიმართ. ვინაიდან, $0.64 < 19.4$, x_1 არამულტიკოლინიარულია სხვა ცვლადების მიმართ და $0.16 < 19.4$, x_2 არამულტიკოლინიარულია სხვა ცვლადების მიმართ. პარამეტრების შესაბამისი დისპერსიებია: $S_{b0}=0.984$, $S_{b1}=0.169$. $S_{b2}=0.186$, ელასტიკურობის კოეფიციენტებია: $E_1=0.169$, x_1 -ის 1%-იანი ცვლილება y ზრდის 16.9%-ით. $E_2=-0.0018$, x_2 -ის 1%-იანი ცვლილება y ამცირებს 0.18%-ით. $\beta_1=-0.252 < \beta_2=0.0792$, ე.ი. მეორე ცვლადის ზემოქმედება მეტია. მრავლობითი კორელაციის კოეფიციენტია $R=0.2554$, ხოლო დეტერმინაციის კოეფიციენტია: $R^2=0.06523$. უფრო ზუსტი შემფასებელი კორექტირებული დეტერმინაციის კოეფიციენტი $\bar{R}^2=-0.0683$. მოდელის მნიშვნელოვნება შევამოწმეთ ფიშერის კრიტერიუმით: $F=0.49$, $F_{კრიტ(2;14)}=3.74$ (გაანგარიშებულია კორექტირებული დეტერმინაციის კოეფიციენტის საფუძველზე) $0.49 < 3.74$, რაც ნიშნავს, რომ დეტერმინაციის კოეფიციენტი სტატისტიკურად არამნიშვნელოვანია. პარამეტრების ეკონომიკური ინტერპრეტაციაა: x_1 -ის 1 ერთეულით გაზრდა გამოიწვევს y -ის შემცირებას საშუალოდ 0.164 ერთეულით, ასევე, x_2 -ის 1 ერთეულით ზრდა გამოიწვევს y -ის ზრდას 0.0567 ერთეულით. მაქსიმალური კოეფიციენტის $\beta_2=0.0792$ თანახმად, ვასკვნით, რომ y -ზე გაცილებით მეტი გავლენა აქვს x_2 ფაქტორს. y -ის ზოგადი ცვალებადობის 6.52% გამოწვეულია ფაქტორების ცვლილებით. დადგინდა, რომ მოდელის პარამეტრები მნიშვნელოვანია. მოდელში ჰეტეროსკედასტურობის არსებობა გამოირიცხა.

2014: რეგრესიის განტოლება: $\hat{y}=2.4065-0.08644x_1+0.04359x_2$. წყვილური კორელაციის კოეფიციენტებია: $r_{yx1}=-0.164$, $r_{yx2}=0.0735$, $r_{x1x2}=-0.111$. ფარარ-გლობერის ალგორითმით დავადგინეთ ცვლადებს შორის მულტიკოლინიარობის არსებობა/არ-არსებობა: (ფიშერის კრიტერიუმი). $F_1=0.25$, $F_2=0.3$, $F_3=0.13$, $F_{კრიტ(16;2)}=19.4$, რადგან $0.25 < 19.4$, ამიტომ y არამულტიკოლინიარულია სხვა ცვლადების მიმართ, რადგან $0.3 < 19.4$, x_1 არამულტიკოლინიარულია სხვა ცვლადების მიმართ. $0.13 < 19.4$, ამიტომ x_2

არამულტიკოლინიარულია სხვა ცვლადების მიმართ. პარამეტრების შესაბამისი დისპერსიებია: $S_{b0}=1.046$, $S_{b1}=0.145$, $S_{b2}=0.206$. ელასტიკურობის კოეფიციენტებია: $E_1=0.0413$, x_1 -ის 1%-იანი ცვლილება y ზრდის 4.13%-ით. $E_2=0.0583$, x_2 -ის 1%-იანი ცვლილება y ზრდის 5.83%-ით. $\beta_1=-0.157 < \beta_2=0.056$. ე.ი. მეორე ცვლადის ზემოქმედება მეტია. მრავლობითი კორელაციის კოეფიციენტია $R=0.1729$, ხოლო დეტერმინაციის კოეფიციენტია: $R^2=0.0299$. უფრო ზუსტი შემფასებელია კორექტირებული დეტერმინაციის კოეფიციენტი: $\bar{R}^2=-0.109$. მოდელის მნიშვნელოვნება შევამოწმოთ ფიშერის კრიტერიუმით: $F=0.22$, $F_{კრიტ(2;14)}=3.74$ (გაანგარიშებულია კორექტირებული დეტერმინაციის კოეფიციენტის საფუძველზე). $0.22 < 3.74$, ამიტომ, დეტერმინაციის კოეფიციენტი სტატისტიკურად არამნიშვნელოვანია. პარამეტრების ეკონომიკური ინტერპრეტაცია: x_1 -ის 1 ერთეულით გაზრდა გამოიწვევს y -ის შემცირებას საშუალოდ 0.0864 ერთეულით, ასევე, x_2 -ის 1 ერთეულით ზრდა გამოიწვევს y -ის ზრდას 0.0436 ერთეულით. მაქსიმალური კოეფიციენტის $\beta_2=0.056$ თანახმად, ვასკენით, რომ y -ზე გაცილებით მეტი გავლენა აქვს x_2 ფაქტორს. დადგინდა, რომ y -ის ზოგადი ცვალებადობის 2.99% გამოწვეულია ფაქტორების ცვლილებით. დადგინდა, რომ მოდელის პარამეტრები მნიშვნელოვანია. მოდელში ჰეტეროსკედასტურობის არსებობა გამოირიცხა.


2015: რეგრესიის განტოლება: $\hat{y}=1.612-0.9282X_1-0.09631X_2$. წყვილური კორელაციის კოეფიციენტებია: $r_{yx1}=-0.332$, $r_{yx2}=-0.0244$, $r_{x1x2}=-0.265$. ფარარ-გლობერის ალგორითმით დაგადგინოთ ცვლადებს შორის მულტიკოლინიარობის არსებობა/არ-არსებობა: (ფიშერისკრიტერიუმით), $F_1=1.13$, $F_2=1.81$, $F_3=0.74$, $F_{კრიტ(16;2)}=19.4$. ვინაიდან, $1.13 < 19.4$, y არამულტიკოლინიარულია სხვა ცვლადების მიმართ. $1.81 < 19.4$, რაც ნიშნავს, x_1 არამულტიკოლინიარულია სხვა ცვლადების მიმართ. დადგან, $0.74 < 19.4$, x_2 არამულტიკოლინიარულია სხვა ცვლადების მიმართ. პარამეტრების შესაბამისი დისპერსიებია: $S_{b0}=1.089$, $S_{b1}=0.662$, $S_{b2}=0.207$. ელასტიკურობის კოეფიციენტებია: $E_1=0.208$, x_1 -ის 1%-იანი ცვლილება y ზრდის 20.8%-ით. $E_2=-0.117$, x_2 -ის 1%-იანი ცვლილება y ამცირებს 11.7%-ით. $\beta_1=-0.364 < \beta_2=-0.121$, ე.ი. მეორე ცვლადის ზემოქმედება მეტია. მრავლობითი კორელაციის კოეფიციენტია $R=0.3516$, ხოლო დეტერმინაციის კოეფიციენტია: $R^2=0.1236$. უფრო ზუსტი შემფასებელია კორექტირებული დეტერმინაციის კოეფიციენტი $\bar{R}^2=-0.00159$. მოდელის მნიშვნელოვნება შევამოწმოთ ფიშერის კრიტერიუმით: $F=0.99$,

$F_{კრიტ(2;14)}=3.74$ (გაანგარიშებულია კორექტირებული დეტერმინაციის კოეფიციენტის საფუძველზე). $0.99 < 3.74$, ამიტომ დეტერმინაციის კოეფიციენტი სტატისტიკურად არამნიშვნელოვანია. პარამეტრების ეკონომიკური ინტერპრეტაციაა: x_1 -ის 1 ერთეულით გაზრდა გამოიწვევს y -ის შემცირებას საშუალოდ 0.928 ერთეულით, ასევე, x_2 -ის 1 ერთეულით ზრდა გამოიწვევს y -ის შემცირებას 0.0963 ერთეულით. მაქსიმალური კოეფიციენტის $\beta_2 = -0.121$ თანახმად, ვასკნით, რომ y -ზე გაცილებით მეტი გავლენა აქვს x_2 ფაქტორს. დადგინდა, რომ y -ის ზოგადი ცვალებადობის 12.36% გამოწვეულია ფაქტორების ცვლილებით. დადგინდა, რომ მოდელის პარამეტრები მნიშვნელოვანია. მოდელში ჰეტეროსკედასტურობის არსებობა გამოირიცხა.

2016: რეგრესია: $\hat{y} = 2.7844 - 0.02311X_1 - 0.06083X_2$. წყვილური კორელაციის კოეფიციენტებია: $r_{yx1} = -0.0269$, $r_{yx2} = -0.209$, $r_{x1x2} = -0.176$. ფარარ-გლობერის ალგორითმით დავადგინოთ ცვლადებს შორის მულტიკოლინიარობის არსებობა/არარსებობა: (ფიშერის კრიტერიუმით). $F_1 = 0.4$, $F_2 = 0.29$, $F_3 = 0.66$, $F_{კრიტ(16;2)} = 19.4$, რადგან $0.4 < 19.4$, y არამულტიკოლინიარულია სხვა ცვლადების მიმართ. რადგან, $0.29 < 19.4$, ამიტომ x_1 არამულტიკოლინიარულია სხვა ცვლადების მიმართ. რადგან $0.66 < 19.4$, x_2 არამულტიკოლინიარულია სხვა ცვლადების მიმართ. პარამეტრების შესაბამისი დისპერსიებია: $S_{b0} = 0.602$, $S_{b1} = 0.0934$, $S_{b2} = 0.0732$. ელასტიკურობის კოეფიციენტებია: $E_1 = 0.0070$, x_1 -ის 1%-იანი ცვლილება y ამცირებს 0.7%-ით. $E_2 = -0.0590$, x_2 -ის 1%-იანი ცვლილება y ამცირებს 5.9%-ით. $\beta_1 = -0.0656 > \beta_2 = -0.22$, ე.ი. პირველი ცვლადის ზემოქმედება მეტია. მრავლობითი კორელაციის კოეფიციენტია $R = 0.2184$, ხოლო დეტერმინაციის კოეფიციენტი: $R^2 = 0.04771$. უფრო ზუსტი შემფასებელია კორექტირებული დეტერმინაციის კოეფიციენტი $\bar{R}^2 = -0.0883$. მოდელის მნიშვნელოვნება შევამოწმოთ ფიშერის კრიტერიუმით: $F = 0.35$, $F_{კრიტ(2;14)} = 3.74$ (გაანგარიშებულია კორექტირებული დეტერმინაციის კოეფიციენტის საფუძველზე). $0.35 < 3.74$. ამიტომ, დეტერმინაციის კოეფიციენტი სტატისტიკურად არამნიშვნელოვანია. პარამეტრების ეკონომიკური ინტერპრეტაციაა: x_1 -ის 1 ერთეულით გაზრდა გამოიწვევს y -ის შემცირებას საშუალოდ 0.0231 ერთეულით, ასევე, x_2 -ის 1 ერთეულით ზრდა გამოიწვევს y -ის შემცირებას 0.0608 ერთეულით. მაქსიმალური კოეფიციენტის $\beta_1 = -0.0656$ თანახმად, ვასკნით, რომ y -ზე გაცილებით მეტი გავლენა აქვს x_1 ფაქტორს. დადგინდა, რომ y -ის ზოგადი ცვალებადობის 4.77%

გამოწვეულია ფაქტორების ცვლილებით. დადგინდა, რომ მოდელის პარამეტრები მნიშვნელოვანია. მოდელში ჰეტეროსკედასტურობის არსებობა გამოირიცხა.

პარამეტრების ეკონომიკური ინტერპრეტაციაა: შავი ფულის გათეთრების ფაქტორის 1 ერთეულით გაზრდა გამოიწვევს მშპ-ს შემცირებას საშუალოდ 0.300375 ერთეულით. ზემოთ მოცემულ მოდელში ჰეტეროსკედასტურობის არსებობა გამოირიცხა. აღნიშნულის საფუძველზე ჩვენ მივიღეთ ნულოვანი ჰიპოთეზა, რომლის თანახმად, შავი ფულის გათეთრება და კორუფცია უარყოფითად აისახება მშპ-ზე და უარვევით ალტერნატიული ჰიპოთეზა, რომლის თანახმად, შავი ფულის გათეთრება და კორუფცია დადებითად აისახება მშპ-ზე.

 **ფულის გათეთრება, კორუფცია და ინვესტიციები**

H_0 : პოსტ-სოციალისტურ ქვეყნებში ფულის გათეთრება და კორუფცია უარყოფითად აისახება ინვესტიციებზე.

H_1 : ფულის გათეთრება და კორუფცია დადებითად აისახება ინვესტიციებზე.

ცხრილი 11. შავი ფულის, კორუფციის და ინვესტიციების ინდექსირებული მაჩვენებელი პოსტ-სოციალისტური ქვეყნებისათვის 2012.-2016წწ.³³⁹ ³⁴⁰ ³⁴¹

		ფულის გათეთრება (x ₁)					კორუფცია (x ₂)					ინვესტიციები (y)				
		2012	2013	2014	2015	2016	2012	2013	2014	2015	2016	2012	2013	2014	2015	2016
1	ალბანეთი	5.5	5.4	5.5	5.6	5.0	33.0	31.0	33.0	36.0	39.0	28.4	27.6	25.9	26.4	27.0
2	ბელორუსია	5.4	5.4	5.4	5.4	5.4	31.0	29.0	31.0	32.0	40.0	38.1	41.3	38.5	32.8	29.2
3	ბულგარეთი	4.2	4.1	3.8	3.8	3.8	41.0	41.0	43.0	41.0	41.0	22.0	21.1	21.7	21.4	19.6
4	ესტონეთი	3.3	3.3	3.3	3.2	3.8	64.0	68.0	69.0	70.0	70.0	29.3	27.8	28.3	25.8	25.7
5	ლატვია	5.4	4.9	5.0	5.0	4.9	49.0	53.0	55.0	55.0	57.0	25.9	24.0	21.4	21.4	21.0
6	ლიტვა	4.0	3.8	3.6	3.7	3.6	54.0	57.0	58.0	61.0	59.0	17.0	16.5	16.6	20.3	19.0
7	მოლდოვა	5.9	5.1	5.1	5.2	5.2	36.0	35.0	35.0	33.0	30.0	24.4	25.0	25.5	22.4	23.1
8	პოლონეთი	4.7	4.7	3.9	4.0	4.4	58.0	60.0	61.0	62.0	62.0	21.6	20.1	22.0	22.2	21.2
9	რუმინეთი	4.7	4.7	4.6	4.6	4.5	44.0	43.0	43.0	46.0	48.0	25.6	24.9	24.5	25.2	24.2
10	რუსეთი	5.7	5.8	6.3	6.3	6.2	28.0	28.0	27.0	29.0	29.0	28.0	26.0	24.2	21.6	22.0
11	საქართველო	5.6	4.8	4.8	4.8	4.7	52.0	49.0	52.0	52.0	57.0	25.7	22.0	26.6	28.3	29.8
12	სომხეთი	5.1	4.9	4.9	4.9	4.6	34.0	36.0	37.0	35.0	33.0	27.9	24.6	23.0	22.0	20.1
13	უზბეკეთი	5.4	5.4	5.4	5.1	5.1	17.0	17.0	18.0	19.0	21.0	25.3	25.7	26.4	26.8	27.2
14	უკრაინა	6.6	6.5	6.6	6.6	6.6	26.0	25.0	26.0	27.0	29.0	21.3	18.7	13.1	16.2	22.3
15	უნგრეთი	4.3	4.1	4.0	4.1	4.1	55.0	54.0	54.0	51.0	48.0	18.6	19.3	20.8	19.3	18.2
16	ყირგიზეთი	6.3	6.4	6.3	6.3	6.2	24.0	24.0	27.0	28.0	28.0	39.2	37.1	41.3	38.8	37.6
17	ჩეხეთი	4.8	4.7	4.6	4.6	4.7	49.0	48.0	51.0	56.0	55.0	26.3	25.0	26.5	28.4	27.0

³³⁹<https://index.baselgovernance.org>

³⁴⁰<https://data.worldbank.org/indicator>

³⁴¹<https://www.transparency.org/research/cpi/overview>

2012: რეგრესიის განტოლება: $\hat{y}=29.0931+0.6281X_1-0.1505X_2$. დაკვირვებათა რიცხვი $n=17$. მოდელში დამოუკიდებელი ცვლადების რაოდენობაა 2, ერთეულოვანი ვექტორის გათვალისწინებით კი რეგრესორთა რაოდენობა უდრის უცნობი კოეფიციენტების რაოდენობას. წყვილური კორელაციის კოეფიციენტებია: $r_{yx1}=0.353$, $r_{yx2}=-0.419$, $r_{x1x2}=-0.742$. ვინაიდან, ფარარ-გლობერის ალგორითმი ყველაზე სრულად იკვლევს მულტიკოლინიარობას, ამიტომ გამოვიყენეთ იგი, რათა დაგვედგინა, არის თუ არა სხვა დანარჩენ ცვლადებსა და თითოეულ კონკრეტულ ცვლადს შორის მულტიკოლინიარობა. (ფიშერის კრიტერიუმი). ფიშერის განაწილების ცხრილში, (16;2) თავისუფლების ხარისხების გათვალისწინებით მოვძებნეთ $F_{კრიტ(16;2)}=19.4$ და შევადარეთ გამოთვლილ შესაბამის F სტატისტიკებს: $F_1=1.75$, რადგან, $F_1 \leq F_{კრიტ}$, ამიტომ y -სა და სხვა ცვლადებს შორის მულტიკოლინიარობა არ არის. $F_2=9.89$, რადგან $F_2 \leq F_{კრიტ}$, ამიტომ, x_1 არამულტიკოლინიარულია სხვა ცვლადებთან მიმართებაში. $F_3=11$, ვინაიდან, $F_3 \leq F_{კრიტ}$, ამიტომ, x_2 არამულტიკოლინიარულია სხვა ცვლადებთან მიმართებაში. გავიანგარიშეთ აპროქსიმაციის საშუალო შეცდომა, რომელიც განსაზღვრავს გადახრებს ფაქტობრივი მნიშვნელობებიდან. აპროქსიმაციის 15%-მდე მნიშვნელობა განსაზღვრავს კარგად შერჩეულ მოდელს. ჩვენს შემთხვევაში: $A=15.07\%$. მოდელის პარამეტრების შესაბამისი დისპერსიებია: $S_{b0}=17.762$, $S_{b1}=2.441$, $S_{b2}=0.155$. გამოვთვალოთ ელასტიკურობის კერძო კოეფიციენტები, რათა დაგვედგინა, თუ რა გავლენა აქვს ახსნილ ცვლადზე (y) თითოეულ რეგრესორს ($x_1; x_2$), რაც გულისხმობს, თუ რამდენი პროცენტით იცვლება ახსნილი ცვლადი ამხსნელი ცვლადის 1%-ით ცვლილებისას. $E_1=0.123$, x_1 ცვლადის 1%-იანი ცვლილება y -ს ზრდის 12.3%-ით. $E_2=-0.235$, x_2 ცვლადის 1%-იანი ცვლილება კი y -ს ამცირებს 23.5%-ით. დავადგინეთ კოეფიციენტები, რათა განგვესაზღვრა, თუ რომელი რეგრესორის ზემოქმედებაა უფრო ძლიერი ახსნილ ცვლადზე: $\beta_1=0.093 > \beta_2=-0.35$, ე.ი. პირველი ცვლადის ზემოქმედება მეტია. განვსაზღვრეთ მრავლობითი კორელაციის მაჩვენებელი, რომელიც ასახავს, თუ რა გავლენა აქვთ ამხსნელ ცვლადებს ერთად ახსნილზე. $R=0.4236$. აქედანვე, გამოვთვალოთ დეტერმინაციის კოეფიციენტი: $R^2=0.179$, თუმცა, ვინაიდან უფრო ზუსტი შემფასებელია კორექტირებული დეტერმინაციის კოეფიციენტი, აუცილებელია მისი განსაზღვრა და გამოყენება: $\bar{R}^2=0.0622$. რაც უფრო ახლოსაა ეს კოეფიციენტი ერთთან, მით უფრო მეტად ხსნის რეგრესიის განტოლება y -ის ცვლილებას.

მიღებული მრავლობითი რეგრესიის განტოლების ვალიდურობის დასადგენად გამოვიყენეთ დეტერმინაციის კოეფიციენტი დაფიშერის ტესტი. $R^2=0.1795$, $F=1.53$. თავისუფლების ხარისხების (2;14) მიხედვით, ფიშერის ცხრილიდან დავადგინეთ კრიტერიუმის კრიტიკული მნიშვნელობა $F_{კრიტ}=3.74$. მოდელის პარამეტრების ეკონომიკური ინტერპრეტაციაა: x_1 ცვლადის 1 ერთეულით გაზრდა y ცვლადს საშუალოდ 0.628 ერთეულით ზრდის; x_2 ცვლადის 1 ერთეულით გაზრდა y -ს საშუალოდ 0.15 ერთეულით ამცირებს. მაქსიმალური კოეფიციენტის $\beta_1=0.093$ მიხედვით ვასკენით, რომ ახსნილ ცვლადზე მეტი გავლენა აქვს x_1 ფაქტორს. განტოლების სტატისტიკური მნიშვნელობა შემოწმებულია დეტერმინაციის კოეფიციენტისა და ფიშერის კრიტერიუმის გამოყენებით. დავადგინეთ, რომ გამოკვლეულ შემთხვევაში, საერთო ცვალებადობის 17.95% შემთხვევაში, y -ს ცვლის x_1 და x_2 რეგრესორები. ასევე დადგინდა, რომ მოდელის პარამეტრები სტატისტიკურად მნიშვნელოვანნი არიან. ასევე, უარყოფილია მოდელში ჰეტეროსკედასტურობა.

2013: რეგრესიის განტოლება: $\hat{y}=27.2966+0.7703X_1-0.1466X_2$. წყვილური კორელაციის კოეფიციენტებია: $r_{yx1}=0.387$, $r_{yx2}=-0.427$, $r_{x1x2}=-0.831$. ფარარ-გლობერის ალგორითმით დავადგინოთ ცვლადებს შორის მულტიკოლინიარობის არსებობა/არარსებობა: (ფიშერის კრიტერიუმი) $F_1=1.82$, $F_2=17.94$, $F_3=18.97$, $F_{კრიტ(16;2)}=19.4$. ვინაიდან $1.82<19.4$, ამიტომ y არამულტიკოლინიარულია სხვა ცვლადების მიმართ. ამასთანავე, $17.94<19.4$, ამიტომ x_1 არამულტიკოლინიარულია სხვა ცვლადების მიმართ და $18.97<19.4$, რაც ნიშნავს, რომ x_2 არამულტიკოლინიარულია სხვა ცვლადების მიმართ. აპროქსიმაციის საშუალო შეცდომაა: $A=15.42\%$, პარამეტრების შესაბამისი დისპერსიებია: $S_{b0}=22.758$, $S_{b1}=3.229$, $S_{b2}=0.186$. ელასტიკურობის კოეფიციენტებია: $E_1=0.152$, x_1 -ის 1%-იანი ზრდა y -ის 15.2%-ით. $E_2=0.24$, x_2 -ის 1%-იანი ზრდა y -ის 24%-ით. $\beta_1=0.103>\beta_2=-0.341$, ე.ი. პირველი ცვლადის ზემოქმედება მეტია. ამასთანავე, მრავლობითი კორელაციის კოეფიციენტია $R=0.4305$, ხოლო დეტერმინაციის კოეფიციენტი: $R^2=0.1854$. უფრო ზუსტი შემფასებელია კორექტირებული დეტერმინაციის კოეფიციენტი $\bar{R}^2=0.069$. მოდელის მნიშვნელოვნება შევამოწმოთ ფიშერის კრიტერიუმით: $F=1.59$, $F_{კრიტ(2;14)}=3.74$ (გაანგარიშებულია კორექტირებული დეტერმინაციის კოეფიციენტის

საფუძველზე). პარამეტრების ეკონომიკური ინტერპრეტაციაა: x_1 -ის 1 ერთეულით გაზრდა გამოიწვევს y -ის ზრდას საშუალოდ 0.77 ერთეულით, ასევე, x_2 -ის 1 ერთეულით ზრდა გამოიწვევს y -ის შემცირებას 0.147 ერთეულით. მაქსიმალური კოეფიციენტის $\beta_1=0.103$ თანახმად, ვასკვნით, რომ y -ზე გაცილებით მეტი გავლენა აქვს x_1 ფაქტორს. დადგინდა, რომ y -ის ზოგადი ცვალებადობის 18.54% გამოწვეულია ფაქტორების ცვლილებით. დადგინდა, რომ მოდელის პარამეტრები მნიშვნელოვანია. მოდელში ჰეტეროსკედასტურობის არსებობა გამოირიცხა.

2014: რეგრესია: $\hat{y}=25.6638+0.6062X_1-0.08401X_2$. კერძო კორელაციის კოეფიციენტები: $r_{yx1}=0.238$, $r_{yx2}=-0.253$, $r_{x1x2}=-0.841$. ფარარ-გლობერის ალგორითმის საშუალებით გამოვიკვლიეთ მოდელში თითოეული ცვლადის სხვა ცვლადებთან მულტიკოლინიარობის საკითხი: (ფიშერის კრიტერიუმი). ფიშერის ცხრილის მიხედვით, დავადგინეთ მისი კრიტიკული მნიშვნელობა: $F_{კრიტ(16;2)}=19.4$. $F_1=0.57<19.4$, y არამულტიკოლინიარულია სხვა ცვლადების მიმართ. $F_2=19.35<19.4$, x_1 არამულტიკოლინიარულია სხვა ცვლადების მიმართ. $F_3=19.59>19.4$, x_2 მულტიკოლინიარულია სხვა ცვლადების მიმართ. აპროქციმაციის საშუალო შეცდომაა $A=19.34\%$. პარამეტრების დისპერსიებია: $S_{b0}=24.891$, $S_{b1}=3.352$, $S_{b2}=0.222$. ელასტიკურობის კოეფიციენტებია: $E_1=0.118$ x_1 -ის 1%-იანი ზრდა იწვევს y -ის 11.8%-იან ზრდას. $E_2=-0.142$, x_2 -ის 1%-იანი ზრდა იწვევს y -ის 14.2%-იან შემცირებას. $\beta_1=0.0863>\beta_2=-0.18$, რაც გულისხმობს, რომ პირველი ცვლადის ზემოქმედება მეტია. მრავლობითი კორელაციის კოეფიციენტი: $R=0.257$, ხოლო დეტერმინაციის კოეფიციენტი $R^2=0.0661$. თუმცა, კორექტირებული დეტერმინაციის კოეფიციენტი უფრო ზუსტი შემფასებელია, ამიტომ: $\bar{R}^2=-0.0674$. კორექტირებული დეტერმინაციის კოეფიციენტზე დაფუძნებული ფიშერის ტესტით შევაფასოთ მოდელის მნიშვნელოვნება: $F=0.5$, $F_{(2;14)}=3.74$. მოდელის პარამეტრების ეკონომიკური ინტერპრეტაციაა: x_1 -ის 1 ერთეულით გაზრდა გამოიწვევს y -ის ზრდას საშუალოდ 0.606 ერთეულით, ასევე, x_2 -ის 1 ერთეულით ზრდა გამოიწვევს y -ის შემცირებას 0.084 ერთეულით. მაქსიმალური კოეფიციენტის $\beta_1=0.0863$ თანახმად, ვასკვნით, რომ y -ზე გაცილებით მეტი გავლენა აქვს x_1 ფაქტორს. დადგინდა, რომ y -ის ზოგადი ცვალებადობის 6.61% გამოწვეულია ფაქტორების ცვლილებით. დადგინდა, რომ მოდელის პარამეტრები მნიშვნელოვანია. მოდელში ჰეტეროსკედასტურობის არსებობა გამოირიცხა.

2015: რეგრესია: $\hat{y}=19.3358+1.1508X_1-0.00663X_2$. კერძო კორელაციის კოეფიციენტები: $r_{yx1}=0.217$, $r_{yx2}=-0.179$, $r_{x1x2}=-0.793$. ფარარ-გლობერის ალგორითმის საშუალებით გამოვიკვლიეთ მოდელში თითოეული ცვლადის სხვა ცვლადებთან მულტიკოლინიარობის საკითხი: (ფიშერის კრიტერიუმი). ფიშერის ცხრილის მიხედვით, დავადგინეთ მისი კრიტიკული მნიშვნელობა: $F_{კრიტ(16;2)}=19.4$. $F_1=0.4 < 19.4$. y არამულტიკოლინიარულია სხვა ცვლადების მიმართ, $F_2=13.94 < 19.4$, x_1 არამულტიკოლინიარულია სხვა ცვლადების მიმართ, $F_3=13.6 < 19.4$, x_2 არამულტიკოლინიარულია სხვა ცვლადების მიმართ. აპროქსიმაციის საშუალო შეცდომაა $A=16.9\%$. პარამეტრების დისპერსიები: $S_{b0}=17.754$, $S_{b1}=2.424$, $S_{b2}=0.158$. ელასტიკურობის კოეფიციენტები: $E_1=0.227$, x_1 -ის 1%-იანი ზრდა იწვევს y -ის 22.7%-იან ზრდას. $E_2=-0.0115$, x_2 -ის 1%-იანი ზრდა იწვევს y -ის 1.15%-იან შემცირებას, $\beta_1=0.203 > \beta_2=-0.0176$, ე.ი. პირველი ცვლადის ზემოქმედება მეტია. მრავლობითი კორელაციის კოეფიციენტი: $R=0.2177$, ხოლო დეტერმინაციის კოეფიციენტი $R^2=0.0474$. თუმცა, კორექტირებული დეტერმინაციის კოეფიციენტი უფრო ზუსტი შემფასებელია, ამიტომ: $\bar{R}^2=-0.0887$. კორექტირებული დეტერმინაციის კოეფიციენტზე დაფუძნებული ფიშერის ტესტით შევაფასოთ მოდელის მნიშვნელოვნება: $F=0.35$, $F_{(2;14)}=3.74$. მოდელის პარამეტრების ეკონომიკური ინტერპრეტაციაა: x_1 -ის 1 ერთეულით გაზრდა გამოიწვევს y -ის ზრდას საშუალოდ 1.151 ერთეულით, ასევე, x_2 -ის 1 ერთეულით ზრდა გამოიწვევს y -ის შემცირებას 0.00663 ერთეულით. მაქსიმალური კოეფიციენტის $\beta_1=0.203$ თანახმად, ვასკვნით, რომ y -ზე გაცილებით მეტი გავლენა აქვს x_1 ფაქტორს. დადგინდა, რომ y -ის ზოგადი ცვალებადობის 4.74% გამოწვეულია ფაქტორების ცვლილებით. დადგინდა, რომ მოდელის პარამეტრები მნიშვნელოვანია. მოდელში ჰეტეროსკედასტრობის არსებობა გამოირიცხა.

2016: რეგრესიის განტოლება: $\hat{y}=5.2821+3.3128X_1+0.06592X_2$. კერძო კორელაციის კოეფიციენტები: $r_{yx1}=0.441$, $r_{yx2}=-0.208$, $r_{x1x2}=-0.695$. ფარარ-გლობერის ალგორითმის საშუალებით გამოვიკვლიეთ მოდელში თითოეული ცვლადის სხვა ცვლადებთან მულტიკოლინიარობის საკითხი: (ფიშერის კრიტერიუმი). ფიშერის ცხრილის მიხედვით, დავადგინეთ მისი კრიტიკული მნიშვნელობა: $F_{კრიტ(16;2)}=19.4$, $F_1=2.18 < 19.4$, y არამულტიკოლინიარულია სხვა ცვლადების მიმართ, $F_2=10.85 < 19.4$, x_1 არამულტიკოლინიარულია სხვა ცვლადების მიმართ, $F_3=7.86 < 19.4$, x_2 არამულტიკოლინიარულია სხვა ცვლადების მიმართ. აპროქსიმაციის საშუალო

შეცდომაა $A=14.88\%$. პარამეტრების დისპერსიებია: $S_{b0}=13.27$, $S_{b1}=1.899$, $S_{b2}=0.113$. ელასტიკურობის კოეფიციენტებია: $E_1=0.664$, x_1 -ის 1%-იანი ზრდა იწვევს y -ის 66.4%-იან ზრდას, $E_2=-0.119$, x_2 -ის 1%-იანი ზრდა იწვევს y -ის 11.9%-იან შემცირებას. $\beta_1=0.575 > \beta_2=0.192$, ე.ი. პირველი ცვლადის ზემოქმედება მეტია. მრავლობითი კორელაციის კოეფიციენტი: $R=0.4625$, ხოლო დეტერმინაციის კოეფიციენტი $R^2=0.214$, თუმცა, კორექტირებული დეტერმინაციის კოეფიციენტი უფრო ზუსტი შემფასებელია, ამიტომ: $\bar{R}^2=-0.102$. კორექტირებული დეტერმინაციის კოეფიციენტზე დაფუძნებული ფიშერის ტესტით შევაფასოთ მოდელის მნიშვნელოვნება: $F=1.9; F(2;14)=3.74$. მოდელის პარამეტრების ეკონომიკური ინტერპრეტაციაა: x_1 -ის 1 ერთეულით გაზრდა გამოიწვევს y -ის ზრდას საშუალოდ 3.313 ერთეულით, ასევე, x_2 -ის 1 ერთეულით ზრდა გამოიწვევს y -ის შემცირებას 0.0659 ერთეულით. მაქსიმალური კოეფიციენტის $\beta_1=0.575$ თანახმად, ვასკენით, რომ y -ზე გაცილებით მეტი გავლენა აქვს x_1 ფაქტორს. დადგინდა, რომ y -ის ზოგადი ცვალებადობის 21.39% გამოწვეულია ფაქტორების ცვლილებით. ამასთანავე, მოდელში ჰეტეროსკედასტურობის არსებობა გამოირიცხა, ხოლო მისი პარამეტრები მნიშვნელოვანია.

აღნიშნულ კვლევაზე დაფუძნებით შეგვიძლია, ვთქვათ, რომ შავი ფულის გათეთრების ცვლადის 1 ერთეულით ზრდა იწვევს ინვესტიციების მოცულობის 1.2936 ერთეულით ზრდას. ინვესტიციებზე მეტი გავლენა აქვს შავი ფულის გათეთრებას, განტოლების სტატისტიკური მნიშვნელობა შემოწმებულია დეტერმინაციის კოეფიციენტისა და ფიშერის კრიტერიუმის გამოყენებით. დავადგინეთ, რომ გამოკვლეულ შემთხვევაში, საერთო ცვალებადობის საშუალოდ 13.85% შემთხვევაში, ინვესტიციების მაჩვენებელს ცვლის შავი ფულის გათეთრების და კორუფციის რეგრესორები. ასევე დადგინდა, რომ მოდელის პარამეტრები სტატისტიკურად მნიშვნელოვანნი არიან. ასევე, უარყოფილია მოდელში ჰეტეროსკედასტურობა. აღნიშნულის საფუძველზე, შეგვიძლია, უარყოთ ნულოვანი ჰიპოთეზა და მივიღოთ ალტერნატიული ჰიპოთეზა 1, რომლის თანახმად, ფულის გათეთრება და კორუფცია დადებითად აისახება ინვესტიციებზე.

ფულის გათეთრება, კორუფცია და პუი

H_0 : პოსტ-სოციალისტურ ქვეყნებში ფულის გათეთრება და კორუფცია უარყოფითად აისახება პუი-ზე

H_1 : ფულის გათეთრება და კორუფცია დადებითად აისახება პუი-ზე;

ცხრილი 12. შავი ფულის გათეთრების, კორუფციის და პუი-ს ინდექსირებული მაჩვენებელი პოსტ-სოციალისტური ქვეყნებისათვის 2012.-2016წწ.^{342 343 344}

		ფულის გათეთრება (x_1)					კორუფცია (x_2)					პუი (y)				
		2012	2013	2014	2015	2016	2012	2013	2014	2015	2016	2012	2013	2014	2015	2016
1	ალბანეთი	5.5	5.4	5.5	5.6	5.0	33.0	31.0	33.0	36.0	39.0	7.4	10.0	9.0	7.6	7.7
2	ბელორუსია	5.4	5.4	5.4	5.4	5.4	31.0	29.0	31.0	32.0	40.0	2.4	3.6	2.9	2.7	2.1
3	ბულგარეთი	4.2	4.1	3.8	3.8	3.8	41.0	41.0	43.0	41.0	41.0	3.5	3.8	3.9	5.0	2.1
4	ესტონეთი	3.3	3.3	3.3	3.2	3.8	64.0	68.0	69.0	70.0	70.0	8.2	4.9	7.6	-3.1	3.1
5	ლატვია	5.4	4.9	5.0	5.0	4.9	49.0	53.0	55.0	55.0	57.0	4.1	3.7	3.4	3.0	0.8
6	ლიტვა	4.0	3.8	3.6	3.7	3.6	54.0	57.0	58.0	61.0	59.0	1.4	1.7	1.2	2.2	2.1
7	მოლდოვა	5.9	5.1	5.1	5.2	5.2	36.0	35.0	35.0	33.0	30.0	4.1	3.6	4.8	3.1	1.2
8	პოლონეთი	4.7	4.7	3.9	4.0	4.4	58.0	60.0	61.0	62.0	62.0	1.4	0.2	3.7	2.7	2.9
9	რუმინეთი	4.7	4.7	4.6	4.6	4.5	44.0	43.0	43.0	46.0	48.0	1.8	2.2	2.1	2.3	2.7
10	რუსეთი	5.7	5.8	6.3	6.3	6.2	28.0	28.0	27.0	29.0	29.0	3.0	4.1	1.3	0.4	2.0
11	საქართველო	5.6	4.8	4.8	4.8	4.7	52.0	49.0	52.0	52.0	57.0	6.3	7.0	12.3	10.7	10.5
12	სომხეთი	5.1	4.9	4.9	4.9	4.6	34.0	36.0	37.0	35.0	33.0	4.8	3.2	3.6	1.6	2.9
13	უზბეკეთი	5.4	5.4	5.4	5.1	5.1	17.0	17.0	18.0	19.0	21.0	1.2	1.3	1.2	0.1	0.1
14	უკრაინა	6.6	6.5	6.6	6.6	6.6	26.0	25.0	26.0	27.0	29.0	5.7	3.1	0.6	2.5	2.8
15	უნგრეთი	4.3	4.1	4.0	4.1	4.1	55.0	54.0	54.0	51.0	48.0	8.1	-2.8	9.3	-3.7	46.7
16	ყირგიზეთი	6.3	6.4	6.3	6.3	6.2	24.0	24.0	27.0	28.0	28.0	5.1	10.9	5.9	18.8	9.8
17	ჩეხეთი	4.8	4.7	4.6	4.6	4.7	49.0	48.0	51.0	56.0	55.0	4.5	3.5	3.8	0.8	2.8

³⁴²<https://data.worldbank.org/indicator>

³⁴³<https://www.transparency.org/research/cpi/overview>

³⁴⁴<https://index.baselgovernance.org>

2012: რეგრესიის განტოლება: $\hat{y} = -2.9734 + 0.7994X_1 + 0.07771X_2$. კერძო კორელაციის კოეფიციენტები: $r_{yx1} = -0.0405$, $r_{yx2} = 0.236$, $r_{x1x2} = -0.742$. ფარარ-გლობერის ალგორითმის საშუალებით გამოვიკვლიეთ მოდელში თითოეული ცვლადის სხვა ცვლადებთან მულტიკოლინიარობის საკითხი: (ფიშერის კრიტერიუმი). ფიშერის ცხრილის მიხედვით, დავადგინეთ მისი კრიტიკული მნიშვნელობა: $F_{კრიტ(16;2)} = 19.4$. $F_1 = 0.85 < 19.4$, y არამულტიკოლინიარულია სხვა ცვლადების მიმართ, $F_2 = 10.6 < 19.4$, x_1 არამულტიკოლინიარულია სხვა ცვლადების მიმართ, $F_3 = 11.67 < 19.4$, x_2 არამულტიკოლინიარულია სხვა ცვლადების მიმართ. პარამეტრების დისპერსიები: $S_{b0} = 7.356$, $S_{b1} = 1.011$, $S_{b2} = 0.0643$, ელასტიკურობის კოეფიციენტებია: $E_1 = 0.952$, x_1 -ის 1%-იანი ზრდა იწვევს y -ის 95.2%-იან ზრდას, $E_2 = 0.74$, x_2 -ის 1%-იანი ზრდა იწვევს y -ის 74%-იან ზრდას. $\beta_1 = 0.3 < \beta_2 = 0.459$, ე.ი. მეორე ცვლადის ზემოქმედება მეტია. მრავლობითი კორელაციის კოეფიციენტი: $R = 0.31$, ხოლო დეტერმინაციის კოეფიციენტი $R^2 = 0.0961$. თუმცა, კორექტირებული დეტერმინაციის კოეფიციენტი უფრო ზუსტი შემფასებელია, ამიტომ: $\bar{R}^2 = -0.033$. კორექტირებული დეტერმინაციის კოეფიციენტზე დაფუძნებული ფიშერის ტესტით შევაფასოთ მოდელის მნიშვნელოვნება: $F = 0.74$, $F_{(2;14)} = 3.74$. მოდელის პარამეტრების ეკონომიკური ინტერპრეტაცია: x_1 -ის 1 ერთეულით გაზრდა გამოიწვევს y -ის ზრდას საშუალოდ 0.799 ერთეულით, ასევე, x_2 -ის 1 ერთეულით ზრდა გამოიწვევს y -ის ზრდას 0.0777 ერთეულით. მაქსიმალური კოეფიციენტის $\beta_2 = 0.459$ თანახმად, ვასკვნით, რომ y -ზე გაცილებით მეტი გავლენა აქვს x_2 ფაქტორს. დადგინდა, რომ y -ის ზოგადი ცვალებადობის 9.61% გამოწვეულია ფაქტორების ცვლილებით და მოდელის პარამეტრები მნიშვნელოვანია. მოდელში ჰეტეროსკედასტურობის არსებობა გამოირიცხა.

2013: რეგრესია: $\hat{y} = -5.5464 + 1.7848X_1 + 0.01194X_2$. კერძო კორელაციის კოეფიციენტები: $r_{yx1} = 0.413$, $r_{yx2} = -0.326$, $r_{x1x2} = -0.831$. ფარარ-გლობერის ალგორითმის საშუალებით გამოვიკვლიეთ მოდელში თითოეული ცვლადის სხვა ცვლადებთან მულტიკოლინიარობის საკითხი: (ფიშერის კრიტერიუმი). ფიშერის ცხრილის მიხედვით, დავადგინეთ მისი კრიტიკული მნიშვნელობა: $F_{კრიტ(16;2)} = 19.4$. $F_1 = 1.65 < 19.4$, y არამულტიკოლინიარულია სხვა ცვლადების მიმართ, $F_2 = 19.84 > 19.4$, x_1 მულტიკოლინიარულია სხვა ცვლადების მიმართ, $F_3 = 17.86 < 19.4$, x_2 არამულტიკოლინიარულია სხვა ცვლადების მიმართ. პარამეტრების დისპერსიები: $S_{b0} = 12.042$, $S_{b1} = 1.709$, $S_{b2} = 0.0987$. ელასტიკურობის კოეფიციენტებია: $E_1 = 2.345$, x_1 -ის

1%-იანი ზრდა იწვევს y -ის 234.5%-იან ზრდას, $E_2=0.13$, x_2 -ის 1%-იანი ზრდა იწვევს y -ის 13%-იან ზრდას. $\beta_1=0.457 > \beta_2=0.053$, ე.ი. პირველი ცვლადის ზემოქმედება მეტია. მრავლობითი კორელაციის კოეფიციენტი: $R=0.4138$, ხოლო დეტერმინაციის კოეფიციენტი $R^2=0.1712$. თუმცა, კორექტირებული დეტერმინაციის კოეფიციენტი უფრო ზუსტი შემფასებელია, ამიტომ: $\bar{R}^2=-0.0528$. კორექტირებული დეტერმინაციის კოეფიციენტზე დაფუძნებული ფიშერის ტესტით შევაფასოთ მოდელის მნიშვნელოვნება: $F=1.45$, $F(2;14)=3.74$. მოდელის პარამეტრების ეკონომიკური ინტერპრეტაცია: x_1 -ის 1 ერთეულით გაზრდა გამოიწვევს y -ის ზრდას საშუალოდ 1.785 ერთეულით, ასევე, x_2 -ის 1 ერთეულით ზრდა გამოიწვევს y -ის ზრდას 0.0119 ერთეულით. მაქსიმალური კოეფიციენტის $\beta_1=0.457$ თანახმად, ვასკვნით, რომ y -ზე გაცილებით მეტი გავლენა აქვს x_1 ფაქტორს. დადგინდა, რომ y -ის ზოგადი ცვალებადობის 17.12% გამოიწვეულია ფაქტორების ცვლილებით და მოდელის პარამეტრები მნიშვნელოვანია. მოდელში ჰეტეროსკედასტურობის არსებობა გამოირიცხა.

2014: რეგრესია: $\hat{y}=-4.544+0.776x_1+0.124x_2$. კერძო კორელაციის კოეფიციენტები: $r_{yx1}=-0.234$, $r_{yx2}=0.357$, $r_{x1x2}=-0.841$. ფარარ-გლობერის ალგორითმის საშუალებით გამოვიკვლიეთ მოდელში თითოეული ცვლადის სხვა ცვლადებთან მულტიკოლინიარობის საკითხი: (ფიშერის კრიტერიუმი). ფიშერის ცხრილის მიხედვით, დავადგინეთ მისი კრიტიკული მნიშვნელობა: $F_{კრიტ}(16;2)=19.4$. $F_1=1.33 < 19.4$, y არამულტიკოლინიარულია სხვა ცვლადების მიმართ, $F_2=19.77 > 19.4$, x_1 მულტიკოლინიარულია სხვა ცვლადების მიმართ, ასევე, $F_3=22.09 > 19.4$, x_2 მულტიკოლინიარულია სხვა ცვლადების მიმართ. პარამეტრების დისპერსიები: $S_{b0}=11.601$, $S_{b1}=1.562$, $S_{b2}=0.103$. ელასტიკურობის კოეფიციენტებია: $E_1=0.842$, x_1 -ის 1%-იანი ზრდა იწვევს y -ის 84.2%-იან ზრდას, $E_2=1.166$, x_2 -ის 1%-იანი ზრდა იწვევს y -ის 116.6%-იან ზრდას. $\beta_1=0.227 < \beta_2=0.548$, ე.ი. მეორე ცვლადის ზემოქმედება მეტია. მრავლობითი კორელაციის კოეფიციენტი: $R=0.3777$, ხოლო დეტერმინაციის კოეფიციენტი $R^2=0.1427$. თუმცა, კორექტირებული დეტერმინაციის კოეფიციენტი უფრო ზუსტი შემფასებელია, ამიტომ: $\bar{R}^2=-0.0202$. კორექტირებული დეტერმინაციის კოეფიციენტზე დაფუძნებული ფიშერის ტესტით შევაფასოთ მოდელის მნიშვნელოვნება: $F=1.17$, $F(2;14)=3.74$. მოდელის პარამეტრების ეკონომიკური ინტერპრეტაცია: x_1 -ის 1 ერთეულით გაზრდა გამოიწვევს y -ის ზრდას საშუალოდ 0.776 ერთეულით, ასევე, x_2 -ის 1 ერთეულით ზრდა გამოიწვევს y -ის ზრდას 0.124

ერთეულით. მაქსიმალური კოეფიციენტის $\beta_2=0.548$ თანახმად, ვასკენით, რომ y -ზე გაცილებით მეტი გავლენა აქვს x_2 ფაქტორს. დადგინდა, რომ y -ის ზოგადი ცვალებადობის 14.27% გამოწვეულია ფაქტორების ცვლილებით და მოდელის პარამეტრები მნიშვნელოვანია. ამასთანავე, მოდელში ჰეტეროსკედასტურობის არსებობა გამოირიცხა.

2015: რეგრესიის განტოლება: $\hat{y}=-14.8317+3.1661x_1+0.06341x_2$, კერძო კორელაციის კოეფიციენტები: $r_{yx1}=0.439$, $r_{yx2}=-0.282$, $r_{x1x2}=-0.793$. ფარარ-გლობერის ალგორითმის საშუალებით გამოვიკვლიეთ მოდელში თითოეული ცვლადის სხვა ცვლადებთან მულტიკოლინიარობის საკითხი: (ფიშერის კრიტერიუმი). ფიშერის ცხრილის მიხედვით დავადგინეთ მისი კრიტიკული მნიშვნელობა: $F_{კრიტ(16;2)}=19.4$, $F_1=2.05 < 19.4$, y არამულტიკოლინიარულია სხვა ცვლადების მიმართ, $F_2=16.98 < 19.4$, x_1 არამულტიკოლინიარულია სხვა ცვლადების მიმართ, $F_3=13.91 < 19.4$, x_2 არამულტიკოლინიარულია სხვა ცვლადების მიმართ. პარამეტრების დისპერსიები: $S_{b0}=15.655$, $S_{b1}=2.138$, $S_{b2}=0.139$. ელასტიკურობის კოეფიციენტებია: $E_1=4.635$, x_1 -ის 1%-იანი ზრდა იწვევს y -ის 463.5%-იან ზრდას. $E_2=0.822$, x_2 -ის 1%-იანი ზრდა იწვევს y -ის 82.2%-იან ზრდას, $\beta_1=0.58 > \beta_2=0.179$, ე.ი. პირველი ცვლადის ზემოქმედება მეტია. მრავლობითი კორელაციის კოეფიციენტია: $R=0.4518$, ხოლო დეტერმინაციის კოეფიციენტი $R^2=0.2041$. თუმცა, კორექტირებული დეტერმინაციის კოეფიციენტი უფრო ზუსტი შემფასებელია, ამიტომ: $\bar{R}^2=-0.0904$. კორექტირებული დეტერმინაციის კოეფიციენტზე დაფუძნებული ფიშერის ტესტით შევაფასოთ მოდელის მნიშვნელოვნება: $F=1.8$, $F_{(2;14)}=3.74$. მოდელის პარამეტრების ეკონომიკური ინტერპრეტაციაა: x_1 -ის 1 ერთეულით გაზრდა გამოიწვევს y -ის ზრდას საშუალოდ 3.166 ერთეულით, ასევე, x_2 -ის 1 ერთეულით ზრდა გამოიწვევს y -ის შემცირებას 0.0634 ერთეულით. მაქსიმალური კოეფიციენტის $\beta_1=0.58$ თანახმად, ვასკენით, რომ y -ზე გაცილებით მეტი გავლენა აქვს x_1 ფაქტორს. დადგინდა, რომ y -ის ზოგადი ცვალებადობის 20.41% გამოწვეულია ფაქტორების ცვლილებით და მოდელის პარამეტრები მნიშვნელოვანია. მოდელში ჰეტეროსკედასტურობის არსებობა გამოირიცხა.

2016: რეგრესია: $\hat{y}=20.3277-2.5668x_1-0.04053x_2$. კერძო კორელაციის კოეფიციენტები: $r_{yx1}=-0.165$, $r_{yx2}=0.0873$, $r_{x1x2}=-0.695$. ფარარ-გლობერის ალგორითმის საშუალებით გამოვიკვლიეთ მოდელში თითოეული ცვლადის სხვა ცვლადებთან მულტიკოლინიარობის საკითხი. ფიშერის ცხრილის მიხედვით, დავადგინეთ მისი

კრიტიკული მნიშვნელობა: $F_{კრიტ(16;2)}=19.4$, $F_1=0.24<19.4$, y არამულტიკოლინიარულია სხვა ცვლადების მიმართ, $F_2=7.82<19.4$, x_1 არამულტიკოლინიარულია სხვა ცვლადების მიმართ, $F_3=7.5<19.4$, x_2 არამულტიკოლინიარულია სხვა ცვლადების მიმართ. პარამეტრების დისპერსიებია: $S_{b0}=32.422$, $S_{b1}=4.64$, $S_{b2}=0.277$. ელასტიკურობის კოეფიციენტებია: $E_1=-2.079$, x_1 -ის 1%-იანი ზრდა იწვევს y -ის 207.9%-იან შემცირებას, $E_2=-0.295$, x_2 -ის 1%-იანი ზრდა იწვევს y -ის 29.5%-იან შემცირებას, $\beta_1=-0.203<\beta_2=-0.0535$. ე.ი. მეორე ცვლადის ზემოქმედება მეტია. მრავლობითი კორელაციის კოეფიციენტი: $R=0.1699$, ხოლო დეტერმინაციის კოეფიციენტი $R^2=0.02885$. თუმცა, კორექტირებული დეტერმინაციის კოეფიციენტი უფრო ზუსტი შემფასებელია, ამიტომ: $\bar{R}^2=-0.11$. კორექტირებული დეტერმინაციის კოეფიციენტზე დაფუძნებული ფიშერის ტესტით შევაფასოთ მოდელის მნიშვნელოვნება: $F=0.21$, $F(2;14)=3.74$. მოდელის პარამეტრების ეკონომიკური ინტერპრეტაციაა: x_1 -ის 1 ერთეულით გაზრდა გამოიწვევს y -ის შემცირებას საშუალოდ 2.567 ერთეულით, ასევე, x_2 -ის 1 ერთეულით ზრდა გამოიწვევს y -ის შემცირებას 0.0405 ერთეულით. მაქსიმალური კოეფიციენტის $\beta_2=0.0535$ თანახმად, ვასკენით, რომ y -ზე გაცილებით მეტი გავლენა აქვს x_2 ფაქტორს. დადგინდა, რომ y -ის ზოგადი ცვალებადობის 2.89% გამოწვეულია ფაქტორების ცვლილებით. დადგინდა, რომ მოდელის პარამეტრები მნიშვნელოვანია. მოდელში ჰეტეროსკედასტურობის არსებობა გამოირიცხა.

აღნიშნული კვლევის საფუძველზე შეგვიძლია, ვთქვათ, რომ მოდელის პარამეტრების ეკონომიკური ინტერპრეტაციაა: შავი ფულის გათეთრების ფაქტორის ერთი ერთეულით ზრდა იწვევს პუის საშუალოდ 0.7898 ერთეულით ზრდას, ხოლო კორუფციის ზრდა-0.02194-ით. კვლევის საფუძველზე ასევე ვასკენით, რომ კორუფციას აქვს გაცილებით მეტი გავლენა პირდაპირ უცხოურ ინვესტიციებზე, ვიდრე შავი ფულის გათეთრებას. ასევე, დადგინდა, რომ პუი-ს ზოგადი ცვალებადობის 12.86% გამოწვეულია ფაქტორების ცვლილებით. დადგინდა, რომ მოდელის პარამეტრები მნიშვნელოვანია. მოდელში ჰეტეროსკედასტურობის არსებობა გამოირიცხა. აღნიშნულის საფუძველზე, შეგვიძლია, უარყოთ ნულოვანი ჰიპოთეზა და მივიღოთ ალტერნატიული ჰიპოთეზა 1, რომლის თანახმად, ფულის გათეთრება და კორუფცია დადებითად აისახება პუი-ზე.

დასკვნა

ნაშრომში ყურადღება გამახვილებულია ფულის გათეთრების გლობალურ პრობლემაზე და საქართველოს გამოწვევებზე. კვლევის ფარგლებში, გაგაანალიზეთ უკანონოდ მიღებული შემოსავლების ლეგალიზაციაზე არსებული ლიტერატურა, რის შედეგადაც ჩამოვაყალიბეთ ჰიპოთეზები, რომლებიც შემოწმდა ემპირიული კვლევით მსოფლიო ბანკის და ბაზელის მიერ გამოქვეყნებული შავი ფულის გათეთრების ინდექსის მონაცემების საფუძველზე.

გასულ წლებში ბევრი დაიწერა შავი ფულის გათეთრების შესახებ, ვინაიდან ფულის გათეთრება XXI საუკუნისათვის ახალი მოვლენა არ არის და ბიზნესის ოპერატორების ნაწილი ყოველთვის ცდილობდა შემოსავლების ჭეშმარიტი წყაროს დამალვას. თუმცა, აღნიშნული პრობლემის ინტერპრეტაციას მეცნიერებები განსხვავებულად ახდენენ. ზოგიერთი შავი ფულის გათეთრების განსაზღვრებისას ორიენტირდება გათეთრების შედეგზე, ზოგიერთიც-პროცესზე.

პრობლემის არსის უკეთ აღსაქმელად რეკომენდირებულია, ყურადღება დაეთმოს როგორც უკანონოდ მიღებული შემოსავლებისათვის კანონიერი სახის მიცემის პროცესს, ასევე მის შედეგს. დღესდღეობით არსებობს სხვადასხვა საერთაშორისო დოკუმენტი და ორგანიზაცია თუ გაერთიანება, რომელიც აქტიურად გამოიყენება უკანონოდ მიღებული სახსრებისათვის ლეგალური სახის მიცემის წინააღმდეგ საბრძოლველად. დროთა განმავლობაში, აღნიშნული დოკუმენტებისა თუ ორგანიზაციების რიცხვი მატულობს, რაც ხაზს უსვამს პრობლემის აქტუალობას XXI საუკუნეში.

ხსენებულმა გარემოებამ განაპირობა ფულის გათეთრების საკითხის, მასზე მოქმედი ძირითადი ფაქტორების და გათეთრების მეთოდების, ფაზების კვლევის აუცილებლობა. შავი ფულის გათეთრების დეტერმინანტების დადგენის საფუძველზე გამოვლინდა, რომ არაოფიციალური საქმიანობიდან მიღებული შემოსავლების მაღალი ხვედრითი წილი, ჩრდილოვანი ეკონომიკის, ფინანსური ინსტიტუტების საქმიანობაზე კონტროლისა და მონიტორინგის მექანიზმების არასრულყოფილება, ფინანსური საქმიანობის რეგულირების საერთაშორისო სტანდარტების შეუსრულებლობა, გამჭვირვალობის არასაკმარისი მოთხოვნები ფინანსურ ოპერაციებსა და ქონების საკუთრებასთან დაკავშირებით, ანონიმური ანგარიშების, ქვეყნის შიგნით თავისუფალი სავაჭრო ზონების არსებობა ხელს

უწყობს ფულის გათეთრების მასშტაბების ზრდას. ამასთანავე, ძირითადი ფაქტორები, რომლებიც გავლენას ახდენენ უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის პროცესზე, დროთა მანძილზე ვითარდება, რაც განაპირობებს მათი შესწავლის მუდმივ საჭიროებას.

მართალია, დღესდღეობით, არსებობს შავი ფულის გათეთრების ძირითადი ერთი უნიფიცირებული მიდგომა, რომელიც გულისხმობს განთავსებას, დანაწევრებასა და გაერთიანებას, თუმცა, რეალობაში მრავალი ხერხი და მეთოდი გამოიყენება კრიმინალისტების მიერ უკანონო შემოსავლებისათვის კანონიერი სახის მისაცემად.

აშკარაა, რომ უკანონო საქმიანობიდან მიღებული ფულადი სახსრების ლეგალიზაციის მეთოდები დღევანდელობაში საკმაოდ მრავალფეროვანია. უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის ფაქტებთან დაკავშირებული პროცესზე ზემოქმედების მიზნით ჩატარებული კვლევა იძლევა საქართველოში აქტუალური სფეროების გამოვლენის შესაძლებლობას. როგორც კვლევამ გვაჩვენა, 2016 წელს ფინანსური მონიტორინგის სამსახურში შესულია 993 საექვო გარიგება, რომელთაგან

- კომერციული ბანკების მიერ წარმოდგენილია 549;
- მიკროსაფინანსო ორგანიზაციების მიერ 65;
- სადაზღვევო კომპანიებისა და არასახელმწიფო საპენსიო სქემების მიერ 75;
- ფასიანი ქაღალდების რეგისტრატორების მიერ 5;
- საბროკერო კომპანიების მიერ 1;
- ლატარიების, აზარტული და სხვა მომგებიანი თამაშების მომწოდებლების მიერ 27;
- სალიზინგო კომპანიების მიერ 46;
- შემოსავლების სამსახურის და საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მიერ 296 საექვო გარიგების შესახებ ანგარიშგების ფორმა.

თითოეული საჭიროებს დეტალურ ანალიზს პასუხისმგებელი ორგანოების მიერ, რათა თავიდან იქნას აცილებული რისკები, დაკავშირებული ქვეყნის ეკონომიკურ განვითარებასთან.

ფულის გათეთრების სამყაროში კრიმინალებს, ფინანსურ ინსტიტუტებსა და სამართალდამცავ ორგანოებს შორის ბრძოლა ინტელექტუალურ შერკინებას ჰგავს, სადაც ფულის გათეთრებლები მუდმივად ეძებენ გათეთრების ახალ გზებს. იმ

დროს, როდესაც ფინანსური ინსტიტუტები ისევე, როგორც სახელმწიფო სტრუქტურები, ახორციელებენ დიდი მოცულობის ინვესტიციებს თანამედროვე ტექნოლოგიებში, რათა მოხერხდეს კლიენტების შესახებ უტყუარი ინფორმაციის მიღება. დამნაშავეები მაქსიმალურად ცდილობენ ალტერნატიული გზების მოძიებას, რის საპასუხოდაც სახელმწიფო თუ საერთაშორისო სამართალდამცავი და ადგილობრივი ორგანოები იმუშავებენ სხვადასხვა ტექნოლოგიებს, რომელიც საშუალებას მისცემს მათ დაინახონ კავშირები მოთამაშეებს შორის და გამოავლინონ საეჭვო ტიპის შემთხვევები, დაკავშირებული ფულის გათეთრებასთან და სხვა დანაშაულებრივ საქმიანობასთან. თუ ფინანსური სისტემები კვლავაც განაგრძობენ ახალი კონტროლის მექანიზმების დანერგვას, კრიმინალები კვლავ შეეცდებიან ახალი ალტერნატიული გზის მოძიებას ფულადი სახსრებისათვის ჭეშმარიტი წყაროს დასაფარად.

ჩვენ ჩავატარეთ ემპირიული კვლევა პოსტ-სოციალისტური 17 ქვეყნის ოფიციალური სტატისტიკური მონაცემის საფუძველზე. კვლევის საწყის ეტაპზე მიმოვიხილეთ ფულის გათეთრების პრობლემით დაინტერესებული სხვადასხვა მეცნიერის თეორიები შავი ფულის, კორუფციისა და ეკონომიკური ზრდის, პირდაპირი უცხოური ინვესტიციებისა და ინვესტიციების შესახებ, რათა გამოვლენილიყო შავი ფულის გათეთრების ზემოქმედება ეკონომიკურ მაჩვენებლებზე. კვლევის მიხედვით დავასკვნით, რომ ფულის გათეთრებასა და ეკონომიკურ ზრდას შორის არის უარყოფითი დამოკიდებულება. ასევე, აღსანიშნავია, რომ შავი ფულის გათეთრება კორუფციასთან ერთად დადებითად აისახება ინვესტიციებისა და პუი-ს მოცულობის ზრდაზე. აღნიშნული კავშირის არსებობა გამოწვეულია იმით, რომ პოსტ-სოციალისტური ქვეყნების დიდი ნაწილი ჯერ კიდევ არადემოკრატიული ქვეყნებია, სადაც არსებობს ბიუროკრატიული სამართალი, სახელმწიფო მოხელეები თავად არიან ჩართულნი კორუფციულ აქტივობებში, უკანონო გზებით მიღებული შემოსავლები გააქვთ ოფშორებში და შემდგომ პირდაპირი უცხოური ინვესტიციების სახით ახორციელებენ ინვესტიციას ქვეყანაში.

აღნიშნულზე მიუთითებს საქართველოს მაგალითიც, სადაც პუი-ს გარკვეული ნაწილი ოფშორებიდან მოედინება, რაც საფრთხეს წარმოადგენს საქართველოს მომავლისათვის, ვინაიდან შავი ფულის გათეთრებას აქვს სხვადასხვა ნეგატიური ეფექტი ქვეყნის მდგრადი განვითარებისათვის, რომელიც მოიცავს და არ შემოიფარგლება მხოლოდ კერძო სექტორისათვის ლეგიტიმური

ძირის გამოთხროთ, ფინანსური ბაზრებისთვის ზიანის მიყენებით, ეკონომიკური სტაბილურობის რღვევით, თუ სხვ.

კვლევის მიხედვით დადგინდა, რომ დღეისათვის საქართველოში მნიშვნელოვან პრობლემას წარმოადგენს შავი ფულის გათეთრება, ხოლო კორუფციის მაღალი დონე ერთ-ერთი ყურადსაღები პრობლემაა საქართველოს რეალობისათვის. ორივე ფაქტორი განსაკუთრებით საშიში ხდება, როცა უკანონო შემოსავლები ქვეყნის პოლიტიკური და ეკონომიკური უსაფრთხოების წინააღმდეგ მიმართული ღონისძიებების, მათ შორის ტერორიზმის, ნარკოტიკებით და იარაღით უკანონო ვაჭრობის, ეკონომიკური და სხვა სახის დანაშაულებების დაფინანსებას ხმარდება.

ამასთან, პოლიტიკური ნების არსებობის პირობებში სრულიად შესაძლებელია, რომ ქვეყანაში დაუსჯელობის სინდრომი დასჯის შიშით შეიცვალოს და ფულის გათეთრების აღკვეთის მიმართულებით მკაცრი ზომები გატარდეს. ლიტერატურული ანალიზი გვიჩვენებს, რომ კორუფციის მაღალი ზრდის ტემპი იწვევს ქვეყნის ეკონომიკური ზრდისა თუ განვითარების ღონის შემცირებას, ისევე, როგორც ვნებს სახელმწიფოს მიერ სოციალური ტიპის დანახარჯების ეფექტიანობას და ადამიანური კაპიტალის ფორმირებას.

საქართველოსთვის განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება ინვესტიციების მაჩვენებელს ისევე, როგორც პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოზიდვას. ქვეყანაში არსებული ლიბერალური საინვესტიციო გარემო და თანაბარი პირობები ადგილობრივი და უცხოური ინვესტიციებისათვის, საქართველოს მიმზიდველს ხდის უცხოელი ინვესტორებისთვის. თუმცა, აღნიშნული არ ნიშნავს, რომ მთავრობა არ უნდა ებრძოდეს კორუფციას ან ფულის გათეთრების პრობლემას. მიჩნეულია, რომ ფულის გათეთრების შემდეგ, უმეტესი ნაწილი კვლავ მიემართება კრიმინალური აქტივობების დასაფინანსებლად. აუცილებელია, გვახსოვდეს, რომ საქართველოს ნაკისრი აქვს ვალდებულება მოახდინოს საკუთარი კანონმდებლობის ჰარმონიზაცია ევროპის ქვეყნების კანონმდებლობასთან და მიიღოს კანონმდებლობა, რომელიც ითვალისწინებს შესაბამის დაწესებულებებთან საქმიანი ურთიერთობის დაწყებისას მომხმარებელთა ვინაობის დადგენას, ცალკეული გარიგებების ან ერთმანეთთან დაკავშირებული გარიგებების სერიის დამწყები მომხმარებლების იდენტიფიცირებას, მომხმარებელთან საქმიანი შეთანხმების დასრულების შემდეგაც კი განსაზღვრული პერიოდით შესაბამისი ცნობების შენახვას, შიდა კონტროლისა და კავშირის ადეკვატური პროცედურების

დაწყებას, შესაბამისი დაწესებულებების მიერ თავისი თანამშრომლებისათვის ტრენინგის პროგრამების შემუშავებას და სხვ.

